კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY

# The 11th International Scientific Conference

for BA, MA and PhD students

# ABSTRACTS
# თეზისები

ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა
**მეთერთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

10.06.2023

# სარჩევი / CONTENTS:


საერთაშორისო ურთიერთობების სექცია
Section of International Relations ....................4
- I ქვესექცია / I Subsection ....................4
- II ქვესექცია / II Subsection ....................28
- უსაფრთხოების კვლევების ქვესექცია / Subsection of Security Studies ....................53

ჟურნალისტიკის სექცია
Section of Journalism ....................80
- I ქვესექცია / I Subsection ....................80
- II ქვესექცია / II Subsection ....................103

სამართლის სექცია
Section of Law ....................128
- I ქვესექცია / I Subsection ....................128
- II ქვესექცია / II Subsection ....................156

მედიცინის სექცია
Section of Medicine ....................179
- I ქვესექცია / I Subsection ....................179
- II ქვესექცია / II Subsection ....................240

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სექცია
Section of Business and Technologies ....................276
- მენეჯმენტის ქვესექცია / Subsection of Management ....................276
- მარკეტინგის და ფინანსების ქვესექცია / Subsection of Marketing and Finances ....................299
- ტურიზმის ქვესექცია / Subsection of Tourism ....................318
- ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი ქვესექცია / Subsection of Business Administration ....................346

მევენახეობა-მეღვინეობის სექცია
Section of Viticulture-Winemaking ....................350

# საერთაშორისო ურთიერთობების სექცია
# Section of International Relations

## I ქვესექცია
## I Subsection

**არჩილ ორთანეზაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრი
ხელმძღვანელი: **დავით კუხალაშვილი**
ისტორიის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

### ყაზახეთის კონტრსადაზვერვო საქმიანობის როლი ცენტრალური აზიის უსაფრთხოებაში

მოხსენებაში განხილული იქნება ყაზახეთის სპეციალური სამსახურების საქმიანობის მნიშვნელობა, ცენტრალური აზიის, პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების პოლიტიკური უსაფრთხოების მიმართულებით. ნაშრომი მოიცავს რამდენიმე კატეგორიის კონტრსადაზვერვო საქმიანობის ანალიზს, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ როგორც ყაზახეთზე, ისე მის რეგიონში არსებულ სახელმწიფოებზე. ყაზახეთი გამოირჩევა სპეციფიკური

გეოგრაფიული არეალით, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის გეოპოლიტიკას.

აღნიშნული სახელმწიფო ანგარიშგასაწევი მოთამაშეა, ენერგოუსაფრთხოების, კასპიის ზღვის პირა ქვეყნების, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების უსაფრთხოების, ცენტრალური აზიისა და ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით. ყაზახეთის მრავალპოლუსიანი საგარეო პოლიტიკა თანაბარმნიშვნელოვნად პოზიციონირებს გლობალური ტიპის საკითხებში, რაც მას რეგიონალურიდან საერთაშორისო დონის ფაქტორად აქცევს მულტიპოლარულ სისტემაში. სახელმწიფოთა ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოების დაცვის საკითხში გარდამტეხ როლს ასრულებს მათი კონტრსადაზვერვო საქმიანობის როლი. შესაბამისად, ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში წარმოუდგენელია არ განიხილებოდეს კონტრსადაზვერვო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და დამაზიანებელი ქმედებებისთვის არსებული სპეციალური და საერთო ობიექტები, მოწყვლადი ჯგუფები და სხვა.

**Archil Ortanezashvili**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Davit Kukhalashvili**
Academic Doctor of History,
Associate Professor

## The role of Kazakhstan's counterintelligence activities in the security of Central Asia

The report will discuss the importance of the activities of Kazakhstan's special services in the direction of political security of Central Asia and post-Soviet states. The paper includes an analysis of several categories of counterintelligence activities that have a positive impact on both Kazakhstan and the states in its region. Kazakhstan is distinguished by a specific geographical area, which significantly determines its geopolitics. The mentioned state is an accountable player in the direction of energy security, the countries bordering the Caspian Sea, the security of post-Soviet states, Central Asia and the fight against terrorism. Kazakhstan's

multipolar foreign policy positions itself equally in global issues, which turns it from a regional to an international level factor in the multipolar system. The role of their counter-intelligence activities plays a decisive role in the protection of the national and regional security of the states. Therefore, in the fight against terrorism, it is impossible not to discuss the main directions of counterintelligence activities and special and common objects for harmful actions, vulnerable groups and others.

**ავთანდილ ხურციძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრანტი
ხელმძღვანელი: **ვახტანგ მაისაია**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

## აშშ-ს უსაფრთხოების სისტემა: მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება

ნაშრომში განხილულ იქნება აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის უახლოესი ცვლილებები და მოსალოდნელი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან და მის რაოდენობრივ ზრდასთან.

ჩვენ გავაანალიზებთ იმ პოლიტიკურ და სტრატეგიულ მისწრაფებებს, რის განხორციელებასაც გეგმავს აშშ საკუთარი უსაფრთხოების კუთხით. შევეხებით ბირთვული სახელმწიფოების გავლენის არეალის ზრდას მსოფლიოს უსაფრთხოების სისტემაში, ახალი ბირთვული სახელმწიფოების წარმოშობისა და უახლესი მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში მათ პოტენციურ როლს. გამოვყოფთ იმ კონცეპტუალურ და საკვანძო საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია აშშ-სა და სხვა ბირთვული სახელმწიფოების ურთიერთზემოქმედებასთან - ბირთვულ შეჯიბრებადობასა და გავლენის სფეროების გადანაწილებასთან. განვიხილავთ აშშ-ს უსაფრთხოების უახლეს სტრატეგიულ გეგმებთან დაკავშირებულ როგორც დადებით, ისე უარყოფით ასპექტებს, მათ ნაკლოვანებებსა და რისკებს. ბოლოს აუცილებლად შევეხებით იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ და ცვლილებებს, რასთანაც შეიძლება იყოს დაკავშირებული აშშ-ს უსაფრთხოება როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

**Avtandil Khurtsidze**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Vakhtang Maisaia**
Doctor of Political Sciences,
Professor

## The US Security System: The Proliferation of weapons of mass destruction

Abstract The paper will discuss the upcoming changes in the US national security system and the possible challenges related to the proliferation of weapons of mass destruction and its quantitative growth. We will analyze the political and strategic aspirations the US plans to implement in terms of its own security. We will approach the growth of the sphere of influence of nuclear states in the world security system, the emergence of new nuclear states and their potential role in the formation of the latest world order. We will analyze the conceptual and key issues related to the interaction between the US and other nuclear states - nuclear competition and the distribution of spheres of influence. We will discuss both positive and negative aspects, their shortcomings and risks related to the latest US strategic security plans. Finally, we will definitely touch on the political and economic changes that may be related to US security in the domestic and international arenas.

**ბაქარი გვაზავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
ხელმძღვანელი: **ქეთევან შოშიაშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ინიციატივა : " ერთი სარტყელი - ერთი გზა"

კვლევის საგანს წარმოადგენს ინიციატივა ,,ერთი სარტყელი - ერთი გზა". „ერთი სარტყელი - ერთი გზა" ესაა გლობალური მასშტაბისა და უდიდესი ამბიციის მატარებელი პროექტი. ინფრასტუქტურული განვითარების

სტრატეგიის ინიციატივაში ჩართულ სახელმწიფოთა რაოდენობა უფრო და უფრო გაიზარდა. ფაქტობრივად, აღნიშნულმა პროექტმა მოიცვა მთელი ევრაზიის კუნძული.

საუკუნის ამბიციურმა პროექტმა უამრავი კითხვა გააჩინა ანალიტიკოსთა შორის. სახელმწიფოთა დონეზე დააყენა მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანა, რომლითაც მათ სწორად უნდა განსაზღვრონ ჩინეთის სტრატეგიული მისწრაფებანი. გასაკვირი არაა, რომ იმ მზარდი გავლენის ფონზე, რომელსაც დღითიდღე ზრდის ჩინეთი, საპასუხო რეაგირებას იწვევს სხვა ძალაუფლების მქონე სახელმწიფოებში. აღნიშნული პროცესების კვალდაკვალ იკვეთება აშშ-სა და ჩინეთის დაპირისპირების სულ უფრო მზარდი ტენდენციები. არც რუსეთი აპირებს პოზიციების დათმობას და სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმას ცდილობს.

ასეთი მასშტაბის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საწყის ეტაპზე გააძლიერეოს ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, ვერ აღიქმება უსაფრთხოდ. რეგიონები, რომლებსაც მოიცავს BRI, ხასიათდება მაღალი დაძაბულობისა და კონფლიქტის ზონებად, რაც პირდაპირ აჩენს რეგიონალური უსაფრთხოების განცდას სახელმწიფოების დონეზე.

**Baqari Gvazava**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Ketevan Shoshiashvili**
Academic Doctor of Historical Sciences,
Associate Professor

## "Belt and Road" Initiative

The subject of the research is the initiative "One Belt - One Road". "One Belt - One Road" is a project of global scale and great ambition. The number of states involved in the infrastructural development strategy initiative has increased more and more. In fact, this project covered the entire Eurasian island. The ambitious project has raised many questions for analysts. Countries should correctly define China's future strategic goals. It is not surprising that in the background of the growing influence that China is gaining day by day, it is causing a reaction in other powerful states. In

the wake of the mentioned processes, the tendencies of confrontation between the USA and China are increasing more and more. Russia is not going to give up its positions either and is trying to take strategic steps. A project of this scale cannot be considered safe. The regions covered by the BRI are characterized as zones of high tension and conflict, which directly creates a sense of regional insecurity at the level of states.

**ბესიკ თავართქილაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **ალიკა გუჩუა**
CIU-ს ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

## ჩინეთისა და აშშ-ს დაპირისპირება გლობალური ჰეგომონობისთვის

თანამედროვე სართაშორისო პოლიტიკაში იზრდება ჩინეთის როლი და გავლენა საერთაშოსიო პროცესებში, რაც აშშ-ის მხრიდან იწვევს შეშფოთებას, რადგან ის ჩინეთს მოიაზრებეს მის მათვარ კონკურენტ სახელმწიფოდ. იქიდან გამომდინარე, რომ ჩინეთი ზრდის საკუთარ გავლენას მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტში, რათა შეძლოს იქიდან გადმოქაჩოს რაც შეიძლება მეტი ბუნებრივი რესურსი,  რომელიც მას ხელს მისცემს გაძლიერდეს როგორც ეკონომიკურად და პოლიტიკურად, ასევე სამხედრო მიმართულებით.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აშშ-სა და ჩინეთის ურთიერთობებს, როგორც გლობალურ, ისე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებში. მათ შორის არსებობს მზარდი კონკურენცია, როგორც ეკონომიკური ისე იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური მიმართულებით. რაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს დანარჩენი მსოფლიოსთვის. ნაშრომში განხილულია აშშ-ის და ჩინეთის დაპირისპირების ძირითადი საკითხები და გამოწვევები. ასევე ყურადღება გამახვილებული არის ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების საკითხებზე და საერთაშორისო სისტემის წინაშე არსებულ საფრთხეებზე.

**Besik Tavartkiladze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Alika Guchua**
Associate Professor of CIU,
Doctor of Political Sciences

## The rivalry between China and the US for global hegemony

In modern international politics, the role and influence of China in international processes is increasing, which causes concern on the part of the USA, because it is perceived by China as its rival state. Due to the fact that China is increasing its influence on, in different continents of the world in order to be able to extract as many natural resources as possible from there, which will help it to become stronger, both economically and politically, as well as militarily. In modern international politics, relations between the USA and China are of great importance, both within the framework of global and international economic relations. There is a growing competition between them, both in the economic, ideological and geopolitical direction. Which is a significant threat to the rest of the world. The paper discusses the main issues and challenges of the confrontation between the US and China. The attention is also focused on the issues of the formation of the new world order and the threats facing the international system.

**ლაშა ბრეგვაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
ხელმძღვანელი: **ვახტანგ მაისაია**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

## ასიმეტრიული საფრთხის ფენომენი და მისი გავლენა პოლიტიკური სისტემის განვითარებაზე

XXI საუკუნეში განვითარებული მოვლენების ფონზე, კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ რა არის უსაფრთხოება და რა წარმოადგენს მის მთავარ რეფერენტს, უფრო და უფრო რთული ხდება იმის გათვალისწინებით, რომ

უსაფრთხოების გაგება მაქსიმალურად ფართოვდება და წარმოგვიდგება უმთავრესად სადაო კონცეფტი, რომლის გააზრება განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა დისკურსით მივუდგებით საკითხს. მეორე მხრივ, ეს სირთულე ვლინდება სხვადასხვანაირი ტიპის მოთამაშეებში, რომლებიც ცდილობენ უსაფრთხოების პოლიტიკა გაატარონ და, შესაბამისად, ჩამოაყალიბონ უსაფრთხოების განსხვავებული მიდგომები.

მსოფლიოში სამხედრო პოლიტიკურ მდგომარეობას განსაზღვრავს, სამხედრო კონფლიქტების არსებობა. ასიმეტრიული საფრთხე გახდა მნიშვნელოვანი ფენომენი ამ ახალი უსაფრთხოების სისტემაში, რომელსაც დიდი გავლენა აქვს პოლიტიკური სისტემაზე.

**Lasha Bregvadze**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Vakhtang Maisaia**
Professor, Doctor of Political Sciences

## Asymmetric Threat Phenomenon and Its Influence on Political System Development

Against the background of developments in the XXI century, to answer the question of what is security and what is its main referent? It becomes more and more difficult as the understanding of security expands and presents itself as a largely contested concept, the understanding of which varies depending on the discourse through which we approach the issue. On the other hand, this complexity manifests itself in different types of players trying to implement security policies and accordingly form different security approaches. Military and political situation in the world is determined by the presence of military conflicts. Military and political situation in the world is determined by the presence of military conflicts. Asymmetric threat has become a new phenomenon in this new security system, which has a great impact on the political system.

**დავით ბერიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრანტი
ხელმძღვანელი: **ვახტანგ მაისაია,**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

# რუსეთის ფედერაციის ,,რბილი ძალის'' პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ნაშრომში განხილული იქნება ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებს რუსეთის ფედერაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მოცემულ ნაშრომში განხილული,ა თუ ,,რბილი ძალის'' რა რესურსებს იყენებს რუსეთის ფედერაცია და ასევე კარგადაა ჩამოყალიბებული ის საშუალებები, რომლის დახმარებითაც ახორციელებს ამ პოლიტიკას და, ზოგადად, რა მიზანს ემსახურება ეს პოლიტიკა. რუსეთის ფედერაციას სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება და ძალიან დიდი გეოპოლიტიკური მიზნები აქვს ამ რეგიონის მიმართ, რაც აიხსნება იმ ფაქტებით, რომ გავლენის მოპოვებით ის შეძლებს რეგიონში გახდეს ყველაზე გავლენიანი აქტორი და დასავლეთისთვის კიდევ უფრო მეტად ანგარიშგასაწევი ძალა.

ეს არავისთვის არის სიახლე და სწორედ ამიტომ ის სხვადასხვა ხერხით ცდილობს ამის მიღწევას. საქართველო ამ მხრივ არის საკმაოდ რთულ მდგომარეობაში, რადგან რუსეთი საქართველოს მიმართ იყენებს როგორც ,,რბილი ძალის'' პოლიტიკას, ასევე ,,ხისტი ძალის'' პოლიტიკას. ეს პოლიტიკა უკვე რამდენიმე წელია დაწყებულია და არც ახლო მომავალში უჩანს დასრულების პირი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია ,,რბილი ძალის'' პოლიტიკას დიდი აქტიურობით ატარებს როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ასევე ოკუპირებულ, არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, ეს ყველაფერი კი პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის უსაფრთხოებაზე.

**Davit Beridze**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Vakhtang Maisaia**
Professor, Doctor of Political Sciences

## The "soft power" policy of the Russian Federation in the occupied territories of Georgia

The paper will discuss the policy pursued by the Russian Federation on the occupied territories of Georgia. In this paper, it is discussed what resources of "soft power" the Russian Federation uses and also in the paper the means are well established with the help of which this policy is implemented and what purpose this policy serves in general. The Russian Federation has a special attitude towards the countries of the South Caucasus and very big geopolitical goals towards this region, which is explained by the fact that by gaining influence it will be able to become the most influential actor in the region and is an even more accountable force for the West. This news is not for anyone, and that is why it tries to achieve this in different ways. Georgia is in a rather difficult situation in this regard, as Russia uses both "soft power" and "hard power" policies towards Georgia. This policy has been in place for several years and does not seem to end in the nearest future. It is significant that the Russian Federation actively pursues the "soft power" policy both in the controlled territory of Georgia and in the occupied, non-controlled territories, and all this directly affects the security of the country.

**ედენა ალიევი, ლიზი გოჩიტიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **გიორგი ფარეშიშვილი**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი,
ასისტენტი

## ეთნიკური უმცირესობების მიმართ ენობრივი პოლიტიკის სისტემური გამოწვევები საქართველოში

საქართველოში არსებობს ეთნიკური უმცირესობების განსახლების ორი ტიპი: კომპაქტური და დისპერსიული. ერთ-ერთ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები, რომლებიც საქართველოს მრავალ მხარეში კომპაქტურად ცხოვრობენ, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მათი უმრავლესობა ქვემო ქართლშია. ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაცია ქართული დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა და ამის მთვარი მიზეზი ენობრივი ბარიერია.

ანგარიშის, ,,ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები", თანახმად, 2005 წლიდან დღემდე განათლების სისტემაში რჩება მრავალი გამოწვევა, მათ შორის სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაცია და პერსონალის ნაკლებობა, მრავალენოვანი სწავლების დაბალი ეფექტურობა, სახელმძღვანელოების თარგმნის დაბალი დონე, რაც არ შეესაბამება დღევანდელ 2018-2024 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმას.

კომპაქტურად განსახლებულ ადგილებში ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის უმეტესობა ფლობს რუსულ ენას, რაც საბჭოთა კავშირის ეთნოლინგვისტური პოლიტიკის კვალია, შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ვერ იგებენ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას და არც თუ მცირე ნაწილი ინფორმაციულ ვაკუუმში რჩება.

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ენობრივი პოლიტიკის სისტემური გამოწვევები და ინტეგრაციის სუსტი მონაწილეობის მიზეზების კვლევა, რომელიც აფერხებს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას საზოგადოებაში.

**Edena Alievi, Lizi Gochitidze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Giorgi Pareshishvili**
PhD Student in Political Sciences,
Assistant

## Systemic challenges of language policy towards ethnic minorities in Georgia

There are two types of settlement of ethnic minorities in Georgia: compact and dispersed. One of the ethnic groups are Azerbaijanis, who live compactly in many parts of Georgia, although it is worth noting the fact that most of them live in Kvemo Kartli. Civil, political, and social integration of ethnic minorities is one of the acute problems of the development of Georgian democracy, and the main reason for this is the language barrier. According to the report "Systemic Challenges of Education Policy Towards Ethnic Minorities", from 2005 to the present day, many challenges remain in the education system, including the lack of qualifications and staff of school teachers, low effectiveness of multilingual teaching, low level of translation of textbooks, which does not correspond to the current 2018-2024 the national curriculum. Most of the ethnically non-Georgian population in compactly settled areas speak Russian, which has traces of the ethnolinguistic policy of the Soviet Union, therefore representatives of ethnic minorities do not understand the political situation in the country, and not a small part remains in an information vacuum. The aim of the paper is to present a study of the reasons for the weak participation of representatives of ethnic minorities in the integration of the systemic challenges of the language policy, which hinders the integration of ethnic minorities in the society.

**Elzbieta Buchenfeld**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Vakhtang Maisaia**
Professor, Doctor of Political Sciences

## he Regional Security Studies Problems in Challenging Global Security Agenda - The Caucasus-Caspian Region Security Case Study

Incumbent Global Security Agenda has been challenging drastically compare to Cold War Period. Global Security One and nowadays the regional security issues became very important implications from international security processes development. The Caucasus region has been given new geopolitical identification as the Caucasus-Caspian Region one and from Global Security perspective the identification matters much. Dominant aspect of the attention from constellation of the pattern became energy security and with Caspian Sea abundant energy resources (counts at least 5-6% of the world industrial reserves in oil and gas) penetrated from simple regional into global security problem "basket". Hence, regional security studies on its turn also became as indispensable part of the security studies as a new academic field of studies and newly adopted in Georgia and in Poland. That is why it becomes important to review and study the Caucasus-Caspian Regional Security modality from both academic and real-political point of views perspective.

**Gaga Maisaia**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Alika Guchua**
Associate Professor of CIU,
Doctor of Political Sciences

## Geoeconomic Security and Its Role in World Politics

New academic security dimension has emerged in aegis of contemporary international relations that is configured with economic and social interest realization perspective pursued by some geopolitical actors. One of the novelty of the paper could be adoption in Georgian political vocabulary, a jargon geoeconomic

security, which is very actual and relevant to the national political system as well as the academic community. The adoption of the jargon is to be developed not only to research-academic system but also to real political sphere, like on examples of governmental structures. Moreover, the paper seeks to define content of economic security and economic threat identity and how both are correlating with international security system. It is very interesting to stress that new type of warfare concept is being perceived in conjunction with realization and implementation of economic interests and national interests as whole. The type of warfare concept labeled as geoeconomic warfare concept deal with realization of the interests of the great powers, like the USA and China.

**გიგა გოგუა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
ხელმძღვანელი: **ალიკა გუჩუა**
CIU-ს ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

## პატარა ქვეყნის როლი და ადგილი საერთაშორისო სისტემაში

მოცემულ ნაშრომში განხილულია და გაანალიზებულია პატარა ქვეყნების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში და მოყვანილია გარკვეული სახელმწიფოების მაგალითები. ძალთა ბალანსის და კლასიკური რეალიზმის თეორიის კუთხით, განხილულია პატარა სახელმწიფოების ფაქტორი გეოპოლიტიკური პროცესების ტრანზაციის პირობებში.

ისტორიის განმავლობაში სახელმწიფოების ტერიტორიულ სიდიდეს და რესურსებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს იყო დიდ წილად განმაპირობებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სახელმწიფოთა წარმატებისა. ისტორიას ახსოვს ტერიტორიულად დიდი და რესურსებით მდიდარი წარმატებული და წარუმატებელი სახელმწიფოები ისევე, როგორც ისეთი პატარა სახელმწიფოები, რომლებსაც არც დიდი ტერიტორიები ჰქონდათ და არ რესურსები, თუმცა მათ მიაღწიეს წარმატებას. პატარა სახელმწიფოების ტიპოლოგიის განსაზღვრა რთულია, ვინაიდან ამ შემთხვევაში დიდია ცდუნება მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებს დავეყრდნოთ, როგორიც არის: ტერიტორია, მოსახლეობის რიცხოვნობა, რესურსები.

პატარა ქვეყნების კონკრეტულ ტიპებად ჩამოყალიბებას მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ვერ მოვახერხებთ. თუ ისეთ მაჩვენებლებს ავიღებთ, როგორიც არის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო სიძლიერე, აქაც დიდ კონტრასტს მივიღებთ. ძალზე საინტერესოა პატარა სახელმწიფოების როლის შესწავლა მაგალითების საფუძველზე. აქ შესაძლებელია მნიშვნელოვანი გარემოებების გამოვლენა.

**Giga Gogua**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Alika Guchua**
Associate Professor of CIU,
Doctor of Political Sciences

## The role and place of a small country in the international system

In this paper, the role of small countries in international relations is discussed and analyzed, and examples of certain states are given. From the point of view of the balance of power and the theory of classical realism, the factor of small states is discussed in the conditions of the transition of geopolitical processes. Throughout history, the territorial size and resources of states have always been of great importance, it was to a large extent one of the main factors determining the success of states. History remembers successful and failed states that are large in territory and rich in resources, as well as small states that did not have large territories and resources, but they succeeded. Defining the typology of small states is difficult, since in this case there is a great temptation to rely only on quantitative indicators such as: territory, population, resources. We will not be able to form small countries into specific types based only on quantitative indicators. If we take indicators such as economic, political, military strength, we will get a big contrast here as well. It is very interesting to study the role of small states on the basis of examples, here it is possible to reveal important circumstances.

**გიორგი ჯინჭარაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
ხელმძღვანელი: **თამარ კიკნაძე**
CIU-ს ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,

## ისლამი აზერბაიჯანში

აზერბაიჯანში ისლამი არ ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან როლს, როგორსაც ახლო აღმოსავლეთის მუსულმანურ ქვეყნებში. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ისლამს პატივს სცემენ, მაგრამ შედარებით მცირე გავლენა აქვს საერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირის დროინდელმა 70 წლიანმა ათეისტურმა პროპაგანდამ თავისი კვალი დატოვა აზერბაიჯანის მუსულმან მოსახლეობაში.

დღესდღეობით, მოსახლეობა ისლამს განიხილავს, როგორც საკუთარი კულტურის განუყოფელ ნაწილს, თუმცა გარკვეული ძალები ცდილობენ რელიგიის გამოყენებას პოლიტიკური და პირადი მიზნებისთვის. სახელმწიფო მის ხელთ არსებული ყველანაირი ბერკეტით ცდილობს ქვეყანაში რადიკალური ისლამისტების გავლენის შემცირებასა და მის საფუძვლიან აღმოფხვრას. იმის მიუხედავად, რომ აზერბაიჯანში მშვიდობიანად თანაცხოვრობენ სუნიტები და შიიტები, მაინც დღის წესრიგში დგას რელიგიური ურთიერთდაპირისპირების საფრთხე. ამასთან, ქვეყანაში განვითარდა ისეთი არატრადიციული რელიგიური მიმდინარეობები, როგორიცაა: სალაფიზმი, ვაჰაბისტურჯიჰადისტური მიმდინარეობა, თურქეთის მისიონერული მიმდინარეობები, ირანული შიიზმი და სხვ. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის და აფერხებს აზერბაიჯანის, როგორც სეკულარული ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ განვითარებას.

**George Jintcharadze**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Tamar Kiknadze**
Associate Professor at CIU,
Doctor of Political Sciences

## Islam in Azerbaijan

Islam plays a relatively minor role in Azerbaijan compared to other Muslim countries in the Middle East. Although respected, it has limited political influence. The influence of the 70-year atheistic propaganda of Soviet Union is evident in the Azerbaijani Muslim population. Despite this, Islam is considered an integral part of the country's culture, though some groups attempt to exploit it for personal or political gain. The government is actively working to reduce the influence of radical Islamists and eliminate any threats to peace and stability in the country. Azerbaijan is home to both Sunni and Shiite Muslims who coexist peacefully, but there is still a risk of religious conflict. Additionally, non-traditional religious currents, such as Salafism, Wahhabism, Turkish missionary movements, and Iranian Shi'ism, have emerged, posing a threat to the country's political and economic development as a secular state.

**გიორგი ლომუაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **გიორგი ფარეშიშვილი**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი,
ასისტენტი

## უკრაინის მოქალაქეთა მიგრაცია რუსეთის სამხედრო აგრესიის ფონზე

რუსეთის სამხედრო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც პირდაპირი ომის ფაზაში გადავიდა 2022 წლის 24 თებერვალს, იყო ლოგიკური გაგრძელება იმ დამპყრობლური და იმპერიალისტური პოლიტიკისა, რასაც რუსეთი და ვლადიმერ პუტინი უკვე 20 წელზე მეტია ატარებს. გარდა იმ

ადამიანური დანაკარგებისა და უამრავი პრობლემებისა, რაც ამ ომმა უკრაინას და მთელ მსოფლიოს მოუტანა, არ უნდა დაგვავიწყდეს მიგრაციული ტალღა, რომლის მსგავსიც კაცობრიობას II მსოფლიო ომის შემდეგ არ უნახავს. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, უკრაინის ტერიტორია დატოვა 8 მილიონზე მეტმა ადამიანმა, მათ 90 %-ს წარმოადგენენ ქალები და ბავშვები.

ლტოლვილთა უდიდესი ნაწილი მიემართება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, სადაც, ძირითადად, მათი სხვა ქვეყნებში შეღწევის პირველწყარო არის მეზობელი პოლონეთი. საინტერესო ფაქტორია, რომ დიდი რაოდენობით უკრაინელი ლტოლვილ ის გასვლა მოხდა რუსეთის ფედერაციაში. აღნიშნულ რეალობას მივყავართ ასევე სხვა პრობლემასთან, როგორიც არის უკრაინული მოსახლების ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსული მხარის მიერ იძულებით გატაცება.

ნაშრომში განხილულია უკრაინის მოქალაქეთა მიგრაცია რუსეთის სამხედრო აგრესიის ფონზე და არსებული გამოწვევები.

**Giorgi Lomuashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Giorgi Pareshishvili**
PhD student in Political Sciences,
Assistant

## Migration of Ukrainian citizens against the backdrop of Russian military aggression

Russia's military aggression against Ukraine, which entered the phase of direct war on February 24, 2022, was a logical continuation of the aggressive and imperialist policy pursued by Russia and Vladimir Putin for more than 20 years. In addition to the human losses(loss) and numerous problems that this war brought to Ukraine and the whole world, we should not forget the migration wave, the like of which has not been seen since World War II. According to the data of the United Nations High Commissioner for Refugees, more than 8 million people have left the territory of Ukraine, 90% of them are women and children. The largest part of the refugees goes(go) to the member states of the European Union, where the main source of their entry into other countries is the neighboring Poland. An interesting factor (it

is significant) that a large number of Ukrainian refugees left the Russian Federation. This reality also leads to another problem, such as the forced abduction of Ukrainian residents from the occupied territories by the Russian side. The paper discusses the migration of Ukrainian citizens against the background of Russian military aggression and the existing challenges.

**გიორგი მხეიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **გიორგი ფარეშიშვილი**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი,
ასისტენტი

## რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის როლი პოლიტიკურ პროცესებში (რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში)

ისტორიული გამოცდილება და პრაქტიკა არაერთ შემთხვევას გვაჩვენებს, სადაც იკვეთება რელიგიური ინსტიტუტების ჩარევა და აქტივობა პოლიტიკურ პროცესებში როგორც დადებით, ისე უარყოფით კონტექსტში. დღესდღეობით რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის თვალსაჩინო მაგალითია. იგი სრულიად ემხრობა და მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის შეჭრასა და სამხედრო აგრესიას უკრაინის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ზემოხსენებულის დამადასტურებელია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი იერარქების განცხადებები, რომლებიც პირდაპირ ემსახურება რუსეთის მიერ განხორციელებული ინტერვენციის ლობირებას.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო აქტივობებს ამართლებენ რელიგიური მოტივებით, რომელსაც ფაქტობრივად სისტემატიური სახე აქვს მიღებული, მნიშვნელოვანია რუსეთის ეკლესიის იდეოლოგია, რომელიც სრულ თანხვედრაშია მათი ხელისუფლების პოლიტიკურ პათოსთან. რუსული ეკლესია რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულ აგრესიას აიგივებს ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვასთან. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკურ

პროცესებში როლზე და გავლენაზე როდესაც ვსაუბრობთ, აღსანიშნავია უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია (მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი), რომლის არა ერთი წევრი, ომის დაწყების დღიდან მოყოლებული, გამოააშკარავეს რუსულ სპეც-სამსახურებთან თანამშრომლობაში.

**Giorgi Mkheidze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Giorgi Pareshishvili**
PhD Student in Political Sciences,
Assistant

## The role of the Russian Orthodox Church in political processes (context of the Russian- Ukraine war)

Historical experience and practice show us more than one case, where the intervention and activity of religious institutions in political processes can be seen in both positive and negative contexts. Today, the Russian Orthodox Church is a visible example of interference in political processes. It fully supports(encourages) and supports the invasion and military aggression of the Russian Federation on the territory of the sovereign state of Ukraine. The above is confirmed by the statements of the highest hierarchs of the Russian Orthodox Church, which directly serves to lobby for the intervention carried out by Russia. The military activities of the Russian Federation are justified by religious motives, which, in fact, have taken a systematic form - the ideology of the Russian Church is important, which is in complete harmony with the political pathos of their government. The Russian Church equates the aggression carried out by the Russian Federation with the protection of true Orthodox values and values. When we talk about the role and influence of the Russian Orthodox Church in the political processes, it is worth noting the Ukrainian Orthodox Church (subordinate to the Moscow Patriarchate), not a single member of which, since the beginning of the war, has been exposed in cooperation with the Russian special services.

**გუგა ყალაბეგაშვილი, თორნიკე სახიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **ქეთევან შოშიაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ასოცირებული პროფესორი

## საქართველო-რუსეთის ურთიერთობა საბჭოთა კავშირის შემდეგ

1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ, 1991 წლის 26 დეკემბერს დაიშალა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და გამოეყო საბჭოთა კავშირს. ამის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის დაიძაბა ურთიერთობა.

1992-1993 წლებში 13 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა აფხაზეთის ომი სეპარატისებსა და საქართველოს სამთავრობო ჯარებს შორის. ამ ომში ქართველებმა დაკარგეს დიდი ტერიტორიული ერთეული აფხაზეთი, რომელიც დღეს რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

2008 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დაიწყო ომი. საომარი მოქმედებები რამდენიმე დღეს გაგრძელდა. საბოლოოდ,ცეცხლი შეწყდა 12 აგვისტოს. ამ ომში დიდი ზარალი მიადგა საქართველოს ეკონომიკას, დაზარალდა ქალაქი გორი და ხალხმა ემიგრაცია განიცადა. ხალხი, რომელიც მოხვდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ენგურის გავლით გადავიდა სვანეთში, თუმცა ამ პროცესს ძალიან ბევრი შეეწირა.

რუსეთის სახელმწიფო დღემდე აგრძელებს საქართველოს შევიწროებას და მასზე საკუთარი გავლენის დამყარებას. ნაშრომში განხილულია არსებული გამოწვევები და საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ.

**Guga Kalabegashvili, Tornike Sakhiashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Ketevan Shoshiashvili**
Academic Doctor of Historical Sciences,
Associate Professor

## Relations of Georgia and Russia after the collapse of the Soviet Union

The Union of the Soviet Socialist Republic was formed on December 30, 1922, and dissolved some time later, on December 26, 1991. April 9th, 1991, Georgia declared independence and seceded from the Soviet Union. After that, relations between Georgia and Russia became tense. In 1992-1993,The war took place in Abkhazia. The war was fought for 13 months between the separatists and the princely troops of Georgia. In this war, Georgians lost a large territorial unit of Abkhazia, which is now occupied by Russia. In 2008, a war broke out between Russia and Georgia, which lasted several days. Hostilities continued for several more days. The fire finally ceased on 12th of August.In this war, the economy of Georgia suffered great losses, the city of Gori suffered and And people had to emigrate. Others who were stuck on the occupied territory moved to Svaneti region after passing through Enguri river. People who came to the occupied territory moved to Svaneti via Enguri, however this process took many lives. Still, to this day, the Russian Federation tries to influence Georgia and continuously harasses it. Political relations between Georgia and Russia after the collapse of the Soviet Union and the current challenges are discussed in the paper.

**გურამ ლილუაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **გიორგი ფარეშიშვილი**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი,
ასისტენტი

## ქალების როლი ქართულ პოლიტიკაში

ქალთა როლი ქართულ პოლიტიკაში, მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, მუდამ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების საკითხებში. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქალთა პოლიტიკური უფლებისთვის ბრძოლა დაახლოებით ოც წელს ითვლის. ამ პერიოდის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა განახორციელეს არაერთი საქმიანობა თემის აქტუალიზაციისა და ხელისუფლების ყურადღების მისაქცევად.

აღნიშნული პრობლემატიკის მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა არ უნდა მიეცეს დავიწყებას, სადაც მონაწილეობას არაერთი ქალი იღებდა. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის დროს გამოჩნდა, რომ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საარჩევნო კანონმდებლობასა და საარჩევნო სისტემაზე.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ყველას აქვს თანაბარი უფლება, დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა და მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში პასიური თუ აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის უმაღლესი კანონი არის გენდერულად ნეიტრალური და, თუ არ ახალისებს, ხელსაც არ უშლის გენდერულ თანასწორობას ქვეყანაში.

ნაშრომში განხილულია ქალთა როლი ქართულ პოლიტიკაში და მათი გავლენა საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვაში.

**Guram Liluashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Giorgi Pareshishvili**
PhD Student in Political Sciences,
Assistant

## The role of women in Georgian politics

The role of women in Georgian politics, despite many obstacles, has always played an important role in the country's national interests and security issues. In the history of independent Georgia, the struggle for women's political rights has been going on for about twenty years. During this period, the representatives of the civil society carried out a number of activities in order to renew the society and attract the attention of the government. Despite the mentioned problems, we should not forget the struggle for Georgia's independence, in which many women participated. During the analysis of international experience, it was found that the growth of women's political participation is significantly dependent on the electoral legislation and electoral system. According to the Constitution of Georgia, everyone has an equal right to hold public office and participate in elections with the right to passively or actively vote, which means that the highest law of the country is gender neutral and, if not renewed, does not interfere gender Equality in the country. The paper discusses the role of women in Georgian politics and their influence in the conduct of foreign policy.

# საერთაშორისო ურთიერთობების სექცია
# Section of International Relations

## II ქვესექცია
## II Subsection

**ნინო თვირიანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრი
ხელმძღვანელი: **ალიკა გუჩუა**
CIU-ს ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

### გლობალიზაციის როლი საერთაშორისო ტერორიზმის გავრცელების პროცესში და 21-ე საუკუნის საერთაშორისო ტერორიზმის სტრატეგიული ლოგიკა

უკანაკნელი საუკუნის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად იქცა ახალი ტიპის საფრთხეებისა დაგამოწვევების მკვეთრი მატება. ასეთი ტიპის საფრთხეებსა თუ გამოწვევებს მიეკუთვნება კიბერდანაშაულები, ჰიბრიდული ომი, მეკობრეობა, კიბერტერორიზმი, საერთაშორისო ტერორიზმი და ა.შ. გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო ტერორიზმის დახასიათება შესაძლებელია, როგორც ასიმეტრიული საფრთხე, მასთან გამკლავება კიდევ უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოსთვის.

XXI საუკუნემ საკომუნიკაციო და ტექნოლოგიური განვითარების შეუქცევადმა პროცესებმა ტერორიზმი საუკუნის გამოწვევად აქცია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. თითოეული სახელმწიფო იძულებული გახდა დღის

წესრიგში განსაკუთრებული ადგილი მიეჩინა ტერორიზმთან ბრძოლისა თუ შეკავების საკითხებისათვის. რაც შეეხება საერთაშორისო ტერორიზმის სტრატეგიულ ლოგიკას, ერთობ საინტერესო და აქტუალური საკითხია. გლობალიზაციის პროცესში ჩაბმული ერი-სახელმწიფოები წარმოადგენენ ტერორიზმის პოტენციურ მსხვერპლებს, გლობალიზაციით გამოწვეული ტექნოლოგიური, საკომუნიკაციო თუ ეკონომიკური განვითარების სწრაფი და შეუქცევადი პროცესების გამო.

ტერორიზმი გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესის პირობებში იქცა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვან გამოწვევად. ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ტერორიზმის გავლენა გლობალურ უსაფრთხოებაზე და ის რისკები, რომლებიც მომდინარეობს მისგან ერი-სახელმწიფოებისთვის.

**Nino Tviriani**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Alika Guchua**
Associate Professor of CIU,
Doctor of Political Sciences

## The role of globalization in the spread of international terrorism and the strategic logic of international terrorism in the 21st century

One of the main features of the last century has become a sharp increase in new types of threats and challenges. Such type of threats or challenges include cyber crimes, hybrid warfare, piracy, cyber terrorism, international terrorism, etc. Due to the fact that international terrorism can be characterized as an asymmetric threat, dealing with it is an even bigger problem for the nation-state. Irreversible processes of communication and technological development have made terrorism as a challenging and dangerous subject for all the country around the world and XXI century is a suitable illustration of the mentioned condition. Each state was forced to give a special place in the agenda to the issues of combating and deterring terrorism. As for the strategic logic of international terrorism, it is both an interesting and relevant issue. States involved in the process of globalization are

potential victims of terrorism, due to the rapid and irreversible processes of technological, communication and economic development caused by globalization. Terrorism in the conditions of the irreversible process of globalization has become an important challenge of modern international relations. The paper discusses the impact of international terrorism on global security and the risks that arise from it for nation-states.

**ოთარი სომხიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
ხელმძღვანელი: **დავით კუხალაშვილი**
ისტორიის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ტრანსნაციონალური კრიმინალის სადაზვერვო ასპექტები

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე პროცესები განსაკუთრებული საფრთხეებით გამოირჩევა. XXI საუკუნეში უსაფრთხო საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორს ტრანსნაციონალური კრიმინალი წარმოადგენს. მისი ნიშნებია: ტრეფიკინგი, ტერორიზმი, კიბერთავდასხმები, იარაღით - ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა და ა.შ. ღია წყაროებში არსებული მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ ყველა სახელმწიფო მოქმედებს საკუთარი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე და რიგ შემთხვევებში, სახელმწიფოები პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ კრიმინალური დაჯგუფებების შექმნაში, მხარს უჭერენ მათ ძალადობრივ საქმიანობას და იყენებენ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

ფაქტებისა და მოვლენების ერთობლიობა მიანიშნებს, რომ ზემოაღნიშნული დამაზიანებელი პროცესები მაღალი ალბათობით პროვოცირებულია სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ. სპეცსამსახურების პროტექტორატის ქვეშ მყოფი კრიმინალური ჯგუფები ხელისუფლებებზე პოლიტიკური ზეწოლის მიზნით გამოიყენება.

**Otari Somkhishvili**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Davit Kukhalashvili**
Academic Doctor of History,
Associate Professor

## Intelligence aspects of transnational crime

Current processes in modern international relations are characterized by special threats, transnational crime is one of the factors hindering the establishment of safe international relations in the XXI century. Its signs are: trafficking, terrorism, cyber-attacks, illegal trade in weapons and drugs, etc. The analysis of data available in open sources reveals that all states act in their own strategic interests, and in some cases, states directly or indirectly participate in the creation of criminal groups, support their violent activities and use them for their own interests. The combination of facts and events indicate that the above-mentioned damaging processes are most likely provoked by the special services of different countries. Criminal groups under the protectorate of special services are used to exert political pressure on the authorities.

**Ozan Akdeniz**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Vakhtang Maisaia**
Professor, Political Science Doctor

## Security Studies as an Academic Field of Studies: Past, Present and Future

Security Studies have been a major part of International Relations discipline and in wider Political Sciences discipline in the last decades. The value of the interdisciplinary area is in its prospects to provide not only academics and students but also policy areas with the most current global issues with regard to Global Security. Historically, discussions have rooted in Trans-Atlantic area and have transformed, not merely interpreted in from various points of views. At the core,

discussions started to part ways with Military Studies and Strategic Studies in the way that the discipline provided a respectively broader theoretical perspective. This indeed came together with its relatively closer bond with International Relations discipline. After the end of the second World War, Security Studies discussions revolved around Deterrence (nuclear) Theory and Game Theory at the core. Such an environment of the Cold War had an ultimate impact on scholarship circles, which in turn also affected policy makers. However, by the end of 1980s, there has been deepening and enlarging in the theoretical core of the discipline. Indeed, concern including but not limited to Environmental Security, Energy Security, Human Security and Regime Security have dominated discussions and presented a significant difference in points of views between the U.S. and European scholars. Without doubt, Security Studies will continue to be a major part of political scientific discussions on its development as an interdisciplinary study of its own. In this aspect, this presentation aims to shed a light of the past and discuss the today and future of such a discipline.

**Roland Magradze**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Alika Guchua**,
Associate Professor of CIU,
Doctor of Political Sciences

## Food Security as Biosecurity Provisional Concept – Challenges and Perspectives

Biological security or biosecurity is the protection of microbial agents and research-related information from theft, loss, diversion or intentional misuse. While biosecurity includes the physical security of items, it also includes security for information stored on computers and other electronic devices. A biosecurity plan encompasses three major components of protection: physical security, personnel reliability, and information security. A research facility should consider all three aspects of biosecurity to ensure the safety of their personnel and the security of the biological agents and toxins in use there. Physical security focuses on preventing unauthorized access to biological facilities and ensuring only the appropriate people within the facilities can access agents. Personnel reliability focuses on ensuring that

all staff at a biological facility are responsible and are suitable to work with sensitive materials. Information security, which includes cyber security, focuses on ensuring all electronic information is safe from theft or misuse.

**რუსუდან ზარიძე, თათია ოსიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **გიორგი ფარეშიშვილი**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი, ასისტენტი

## ლობისტური კომპანიების როლი აშშ-ს პოლიტიკაში

ლობისტური კომპანიები თანამედროვე პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა. ლობისტური კომპანია წარმოადგენს შუამავალ რგოლს საზოგადებასა და ხელისუფლებას შორის. ლობისტური კომპანიები ხელს უწყობს დემოკრატიის გაღრმავებას, სამართლიანი გარემოს შექმნას და საზოგადოების ინფორმირებას. ლობისტური კომპანიები ჩართულნი არიან სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაში და, შესაბამისად, გავლენას ახდენენ პოლიტიკურ გადაწყვეტლებებზე.

ამერიკა, როგორც ლობიზმის სამშობლო, მნიშვნელოვან გამოცდილებას ფლობს ლობისტურ ჯგუფებთან მიმართებით. ამერიკის პოლიტიკა ნათელს ხდის ლობიზმის არსს . ლობისტური კომპანიების საკითხი მნიშვნელოვანია, თუმცა საქართველოში მას სათანადო ყურადღება არ ეთმობა, ან უარყოფით ასპექტშია განხილული, ამიტომ საჭიროა მისი პოპულარიზაცია.

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ლობიზმის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის არსი ამერიკაში.

**Rusudan Zaridze, Tatia Osiashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Giorgi Pareshishvili**
PhD Student in Political Sciences,
Assistant

## The role of lobbying companies in US politics

Lobby companies are considered an integral part of modern politics. The lobbying company is an intermediary link between the society and the government. Also, they contribute to the deepening of democracy, creating a fair environment and informing the public. Lobbying companies are involved in the activities of state institutions and, therefore, influence political decisions. America, as the homeland of lobbying, has significant experience in relation to lobbying groups. American policy makes the essence of lobbying clear. The issue of lobbying companies is important, but in Georgia it is not given proper attention or is discussed in a negative aspect, therefore it needs to be popularized. The aim of the paper is to study the essence of lobbying as a socio-political event in America.

**სალომე წურიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრი
ხელმძღვანელი: **ალიკა გუჩუა**
CIU-ს ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

## ალბანეთში არსებული ბერძნული უმცირესობის ისტორიული საფუძვლები და კომუნისტური ძალის პოლიტიკის შედეგები მისი ფორმირების პროცესში

საბერძნეთისა და ალბანეთის რთული პოლიტიკური და ეთნიკური ურთიერთობა შუა საუკუნეებიდან დაიწყო, როდესაც საბერძნეთის ტერიტორიაზე დასახლდა არვანიტებად წოდებული ადამიანთა ჯგუფი, რამაც გავლენა იქონია როგორც საბერძნეთის ომის ფორმირებაზე, ასევე ალბანეთში კომუნიზმის ჩამოშლის შედეგად ორმხრივი დაპირისპირების

წარმოქმნასა და თანამედროვე საბერძნეთის ჩამოყალიბებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ კონფლიქტი ჩიხში შევიდა, დაიწყო ორმხრივი პოლიტიკის გატარება, მიგრაციის პროცესები და შიდა ურთიერთობების დისბალანსი, კომუნისტური ძალის მნიშვნელობა ამ ჭრილში მკაფიოდ უნდა გამოიხატოს, ვინაიდან ძალადობრივი ინციდენტებისა და ალბანელი ემიგრანტების საბერძნეთის ტერიტორიიდან გაყვანისას მათი ქმედითიანობა აქტიურ ფაზაში მიმდინარეობდა, შედეგი კი პოზიტიური და სასარგებლო გამოდგა ეთნიკური უმცირესობისათვის. მოხსენების მიზანია, აღნიშნული ფაქტორების ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩინოთ პრობლემები და საფუძვლები კომუნიზმის მექანიზმის წიაღში, შესაბამისად, ამ გზით ნათელი გავხადოთ საბერძნეთი-ალბანეთის კულტურული, ისტორიული კავშირის, ბერძნული ეთნიკური ჯგუფების მნიშვნელობა და მათი დიპლომატიური ურთიერთობის დღევანდელი მდგომარეობა წარსულის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

**Salome Tsuriashvili**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Alika Guchua**
Associate Professor of CIU,
Doctor of Political Sciences

## The historical foundations of the Greek minority in Albania and the consequences of the communist power policy in the process of its formation

During middle centuries, the complex relationship between Greece and Albania began from a political and ethic point of view, because of a group of people, called Arvanites, settled on the territory of Greece. As we can consider nowadays, it influenced several events – the formation of The Greek War, the emergence of bilateral conflicts after the collapse of communism in Albania and the formation of modern Greece as well. In order to the fact that the mentioned conflict entered a stalemate, the implementation of bilateral policies, the processes of migration and the imbalance of internal relations commenced, the importance of the communist force in this regard should be clearly expressed, because during the violent incidents and the expulsion of Albanian immigrants from the territory of Greece their actions

turned into an active phase and the result was positive and beneficial for the ethnic minority. The main purpose of the report is to make presentation of the problems and foundations in the core of the mechanism of communism based on the analysis of the factors mentioned above, therefore, in this way, to clarify the significance of the GreekAlbanian cultural and historical connection, the Greek ethnic groups meaning and the current circumstance of their diplomatic relations considering the past experience.

**თამარ მანგოშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
ხელმძღვანელი: **თამარ კიკნაძე**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
CIU-ს ასოცირებული პროფესორი

## რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის პოლიტიკური განზომილება

საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა კავკასიაში რუსეთის ენერგეტიკული გავლენის სფეროს გაფართოების მთავარი კოორდინატია. პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი ენერგომატარებლების დაქვემდებარება მისი ეკონომიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. საქართველოს გაკონტროლებით მას შეუძლია დასავლეთ-აღმოსავლეთის ენერგეტიკის დერეფანზე იქონიოს გავლენა და გააკონტროლოს კასპიის აუზიდან გამომავალი ნავთობი და გაზი.

რუსეთი სამხედრო შეიარაღებულ კონფლიქტში პირველად ჩაერთო თავის უახლოეს სუვერენულ მეზობელთან. ეს რომ ერთჯერადი მოვლენა არ იქნებოდა, დაამტკიცა უკრაინის სუვერენიტეტის შემრყევმა საომარმა მოქმედებებმა, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება. აგვისტოს ხუთი დღის ომის პოლიტიკური განზომილებები რეგიონალურ და გლობალურ პოლიტიკაში არის მოცემული თეზისი და წამოდგენილი თემა, რომელიც მოიცავს 2008 წლის ომამდელ პოლიტიკურ განზომილებებს და მის შემდგომ ეფექტს როგორც რეგიონში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. დასავლეთის პრესამ, ისევე

როგორც არაერთმა უმაღლესი რანგის პოლიტიკის მკვლევართა ხედვებმა, მყარად წარმოადგინეს რუსეთის გაშლილი კარტებით თამაში, რაც გამოიხატებოდა დასავლეთის დესტაბილიზაციის გაძლიერებულ ინტერესში და რეგიონის სუვერენულ ქვეყნებში მომატებული ევროატლანტიკური ორიენტაციების ხელისშემშლელ ქმედებებში. აღსანიშნავია რბილი ძალის პოლიტიკა აგვისტოს ომის შემდგომ და საქართველოს პრაგმატული პოლიტიკის კურსი, მისი მიმართება უკრაინის ომთან.

**Tamar Mangoshvili**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Tamar Kiknadze**
Doctor of Political Science,
Associate Professor of CIU

## Political Dimenssions of the Russian-Georgian War

The geographic-strategic location of the small Caucasus country Georgia is an important coordinate for Russian energy development. Energy transport routes that emerged after the end of the Soviet regime play an important role for the Russian economy. By controlling Georgia, Russia gains its supremacy over the Eastern and Western Energy Corridor and could increase its control over the gas and oil flowing out of the Caspian Sea. Because Russia got into an armed conflict with one of its neighbors sovereign country for the first time. That this was not a single case was also proved by the armed intervention in Ukraine in 2022, when the territorial security and sovereignty of Ukraine was and is shaken. The political dimensions of the August War in regional and international terms deal with the given thesis. What were the consequences of this conflict? The Western media and high-ranking political scientists deal with it and often prove the game with open cards of Russia which suggests destabilization of Western systems, as well as as well as to hinder the increasing political Euro approach of the sovereign country's in the region. Significant in this regard are the soft power politics in the region after the 2008 war and Georgia's pragmatic political course and its connection to the Ukraine war.

**თემურ დიღმელაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
ხელმძღვანელი: **ალიკა გუჩუა,**
CIU-ს ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

## კიბერომის გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე

ნაშრომში განხილულია კიბერუსაფრთხოების და კიბერომის გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ეროვნული უსაფრთხოების დაცვა ყველა სუვერენული სახელმწიფოსთვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რასაც აფერხებს მსოფლიოში არსებული სხვადასხვა გამოწვევები და საფრთხეები, რომელთა შორისაც არის ტერორიზმი, ჰიბრიდული ომი, ტრანსნაციონალური დანაშაული, კიბერომი და ა.შ.

თანამედროვე საზოგადოებებში ტექნოლოგიებზე მზარდი დამოკიდებულების გამო, მრავალი კრიტიკული ინფრასტრუქტურის სისტემა ხდება დაუცველი, როგორებიცაა სამთავრობო საიტები, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტები. კიბერშეტევები შეიძლება გამოყენებულ იქნას სენსიტიური ინფორმაციისა და ინტელექტუალური საკუთრების მოსაპარად, რასაც შეიძლება ჰქონდეს გავლენა ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

ეროვნულ სახელმწიფოებს და სხვა მავნე აქტორებს შეუძლიათ გამოიყენონ კიბერჯაშუშობა სენსიტიურ მონაცემებზე წვდომისთვის, როგორიცაა სამხედრო საიდუმლოებები, სამთავრობო დოკუმენტები და სავაჭრო საიდუმლოებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სტრატეგიული უპირატესობის მოსაპოვებლად სხვა ერებზე ან ბიზნესზე. გარდა ამისა, კიბერშეტევები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ომის იარაღი, სადაც ქვეყნები იყენებენ თავიანთ კიბერ შესაძლებლობებს მოწინააღმდეგეების კრიტიკული ინფრასტრუქტურის, საკომუნიკაციო სისტემებისა და სამხედრო ქსელების ჩაშლის ან გამორთვის მიზნით.

**Temur Digmelashvili**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Alika Guchua**
Associate Professor of CIU,
Doctor of Political Sciences

## The impact of cyberwarfare on national security

The paper discusses the impact of cyber security and the cyber war on national security. The protection of national security is of vital importance to all sovereign states. What is hindered by various challenges and threats in the world, among which are terrorism, hybrid war, transnational crime, cyber war, etc. Due to the increasing dependence on technology in modern societies, many critical infrastructure systems are becoming vulnerable, such as government sites, and various government institutions. Cyber-attacks can be used to steal sensitive information and intellectual property, which can have implications for national security. Nation-states and other malicious actors can use cyber espionage to gain access to sensitive data, such as military secrets, government documents, and trade secrets, which can be used to gain a strategic advantage over other nations or businesses. In addition, cyber-attacks can be used as a weapon of war, where countries use their cyber capabilities to disrupt or disable adversaries' critical infrastructure, communications systems, and military networks.

**თეონა ლეჟავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრი
ხელმძღვანელი: **ალიკა გუჩუა,**
CIU-ს ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

## რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკა

აღნიშნული თეზისი აანალიზებს რუსეთის გეოპოლიტიკურ მიზნებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და ასახავს ენერგეტიკული უსაფრთხოების

პოლიტიკას. ბუნებრივი გაზი არის უმნიშვნელოვანესი რბილი ძალის აქტივი, რომელსაც რუსეთი იყენებს რეგიონში, რათა შეინარჩუნოს თავისი გავლენის სფერო.

წინამდებარე თეზისი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის განსაზღვრისას ყურადღებას ამახვილებს რეგიონის შემდეგ ქვეყნებზე: ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, ჩრდილოეთ მაკედონია და სერბეთი. აღსანიშნავია, რომ რუსეთი საუკუნეების მანძილზე იყო მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური აქტორი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ეს ურთიერთობა მომდინარეობს და განისაზღვრება მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირებით, დაძაბულობით, თანამშრომლობითა და ძლიერი მრავალმხრივი ურთიერთობებით, რომელიც აშკარაა რუსულ ლიტერატურაში და სხვა აკადემიურ ნაშრომებში.

ემპირიული კვლევა რუსეთის როლს იკვლევს, როგორც ბუნებრივი გაზის მთავარ მიმწოდებელს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და ასევე ხაზს უსვამს რეგიონის პოტენციალის გეოსტრატეგიულ შედეგებს. მოცემული თეზისი იყენებს თავდაცვითი რეალიზმის თეორიას გაზის ინფრასტრუქტურის განვითარების შესწავლაში და ყურადღებას ამახვილებს რუსეთის ენერგეტიკულ დომინანტურ როლზე რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დგას რეგიონალური გაზის ბაზრის კონტროლის თვალსაზრისით. მათ შორის, ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა, თხევადი ბუნებრივი აირი (LNG) შეერთებული შტატებიდან, ბუნებრივი აირი აზერბაიჯანიდან და სხვა რთული ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს რეგიონალურ გეოპოლიტიკურ და ენერგეტიკულ ასპარეზზე. ემპირიული მონაცემების ანალიზით, წინამდებარე თეზისი აფასებს, თუ როგორ რეაგირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თითოეული ქვეყანა გაზის ინფრასტრუქტურის ახალ პროექტებზე და რუსეთის მცდელობებზე, გამოიყენოს თავისი გაზის აქტივები.

ამ მოვლენებმა, მათ შორის, რუსეთის გაზის პროექტებმა, შეიძლება შექმნას რეგიონული თანამშრომლობის შესაძლებლობა და კომერციული ღირებულება ამ რეგიონის ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვან კერად გარდაქმნით. საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა, რუსეთი, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ბუნებრივი გაზი, თავდაცვითი რეალიზმი, რბილი ძალა.

**Teona Lezhava**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Alika Guchua**
Associate Professor of CIU,
Doctor of Political Sciences

## Russia's geopolitical interests in Southeast Europe and energy security policy

This thesis analyzes Russia's geopolitical objectives in Southeast Europe by focusing on energy security. Natural gas is a crucial soft power asset that Russia utilizes to maintain its sphere of influence in the region. When defining Southeast Europe, this thesis focuses on the following countries of the region: Bosnia and Herzegovina, Croatia, North Macedonia, and Serbia. Russia has for centuries been a significant geopolitical actor in Southeast Europe. This special relationship stems from and is defined by centuries of controversy, tensions, cooperation, and strong multilateral relations and is evident in Russian literature and other academic work. The empirically driven research explores Russia's role as the main natural gas supplier in Southeast Europe and the geostrategic implications of the region's potential to become a vital entry point into Europe for Russian natural gas. This thesis applies the theory of defensive realism to the study of gas-infrastructure developments and Russia's dominant energy role within the region. Further on, Russia faces various challenges to its control of the regional gas market, including European Union's energy policies, LNG from the United States, natural gas from Azerbaijan, and other complex factors that play into the regional geopolitical and energy arena. With the analysis of the empirical data, this thesis assesses how each of the Southeast European countries respond to new gas-infrastructure projects and to Russia's effort to leverage its gas assets. These developments, including Russia's gas projects, could provide opportunities for regional cooperation, while creating commercial value by transforming this region into an important natural gas hub. Keywords: Geopolitics, Southeast Europe, Russia, energy security, natural gas, defensive realism, soft power

**თიკა გაზდელიანი, ქეთევან იმნაიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **ქეთევან შოშიაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## რუსეთის ექსპანსია საქართველოში და ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება

საქართველო უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე მდებარეობს და ისტორიულად იგი წარმოადგენდა შემაკავშირებელ ხიდს ჩრდილოეთსა და სამხრეთს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. ევროპა-აზიის დამაკავშირებელი მაგისტრალი - აბრეშუმის გზა საქართველოს მუდამ დიდი სახელმწიფოების ინტერესის ქვეშ აყენებდა.

ქვეყნის შესანიშნავმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, საქართველოს არ მისცა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური განვითარების გარანტია. ფეოდალური შინააშლილობა, გაუთავებელი ლეკიანობა, ირან-ოსმალეთის მუდმივი აგრესია აფერხებდა ქვეყნის განვითარების პროცესს.

სუკუნეების განმავლობაში ყველა დიდი სახელმწიფო ცდილობდა კავკასიისა და განსაკუთრებნით საქართველოზე კონტროლის დაწესებას, რაც გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობდა. განსაკუთრებით ვითარება შეიცვალა XVIII ს-ში, როდესაც რუსეთის იმპერიალური გეგმები კავკასიასთან დაკავშირებით აქტიური გახდა.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე რუსეთში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი - ქართული სამეფო-სამთავროების იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. რუსეთის პოლიტიკურ, სამხედროსტრატეგიულ და ეკონომიკურ ინტერესებს კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოს სამეფო-სამთავროთა ვასალური დამოკიდებულება მის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში შექმნილი მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა. გააძლიერა თავისი გავლენა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე და XIX ს-ის დასწყისში სამეფო მთლიანად გააუქმა. მალევე მოხდა დასავლეთ საქართველოს სამეფოს გაუქმება და მოგვიანებით, როგორც კი პოზიციები გაიმაგრა, ქართული სამთავროების გაუქმებაც დაიწყო ძლიერი დემოგრაფიული ექსპანსიის ფონზე. რუსეთის იმპერიამ საქართველოს დაპყრობით ძლიერი საფუძველი შექმნა კავკასიის სრულიად დასაპყრობად.

**Tika Gazdeliani, Ketevan Imnaishvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Ketevan Shoshiashvili**
Academic Doctor of Historical Sciences,
Associate Professor

## Russia's Expansion in Georgia and the Abolition of Georgian Statehood

Georgia is located at the oldest transport crossroads, and historically it represented as connecting bridge between Northern and Southern, Western and Eastern countries. The Europe-Asia connecting highway-Silk Road has always put Georgia under the interest of great powers. The excellent geographical location of the country did not give Georgia a guarantee of political, social and economic development. Feudal family disorder, endless Lekianism, constant Iranian-Ottoman aggression hindered the country's development process. During the centuries, all the great powers tried to establish control over the Caucasus and especially over Georgia, which stemmed from geopolitical interests. The situation changed especially in the 18th century, when Russia's imperial plans regarding the Caucasus became active. At the turn of the 18th-19th centuries, a point of view - about the inclusion of the Georgian kingdomprincipalities in the empire- was formed in Russia. Russia's political, military-strategic and economic interests in the Caucasus, and in particular the vassal attitude of the kingdoms of Georgia, were against its policy. The Russian government used the difficult domestic and foreign situation in Georgia to its advantage, strengthened its influence on the royal court of Kartl-Kakheti and abolished the kingdom completely at the beginning of the 19th century. Soon the Kingdom of Western Georgia was abolished, and later, as soon as the positions were strengthened, the abolition of the Georgian principalities began in the background of strong demographic expansion. By conquering Georgia, the Russian Empire created a strong foundation for the complete conquest of the Caucasus.

**თინათინ ჯავახიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
ხელმძღვანელი: **ვახტანგ მაისაია**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

## თანამედროვე უსაფრთხოების დილემა საქართველოს მაგალითზე

თანამედროვე მსოფლიოში აბსოლუტური უსაფრთხოება შეუძლებელია, უსაფრთხოების სექტორის ერთიანი და საყოველთაოდ აღაირებული განსაზღვრება არ არსებობს. იგი მოიცავს ყველა იმ საჭირო სფეროს, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნების განვითარებისთვის.

ბოლო წლებში მსოფლიოში განვითარებულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა უსაფრთხოების გარემო, რომელიც სახელმწიფოსთან მიმართებით გულისხმობს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული იდეოლოგიისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ასევე, ძირითადი ფასეულობების მიმართ საფრთხის არარსებობას.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ფანჯარას წარმოადგენს პატარა გარდამავალი ქვეყნების უსაფრთხოების პრობლემების ანალიზისთვის მკაცრ სამეზობლოო გარემოში, როდესაც მათ უწევთ გაუმკლავდნენ დიდ, ზოგჯერ მტრულადაც განწყობილ მეზობლებს. ეროვნული უსაფრთხოების დაცვისთვის ასევე საჭიროა შესაბამისი უწყებების განვითარება, მოდერნიზაცია და უსაფრხოების დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც ერთგვარ სახელმძღვანელოს ან სამოქმედო გეგმას წარმოადგენს კრიტიკულ სიტუაციებში.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია საქართველოს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს, ეროვნულ ინტერესებს, ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარ საფრთხეებს, გამოწვევებს და, ასევე, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს მოიცავს. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება დღეს საკმაოდ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, როგორიც არის ჩრდილოელი მეზობლისგან მომდინარე საფრთხეები, სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტი (მთიანი ყარაბახი) და კიბერუსაფრთხოება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს, როგორც უსაფრთხოების მთავარ გარანტს, ალტერნატივა არ გააჩნია. მოხსენების მიზანია, გავაანალიზოთ თანამედროვე

უსაფრთხოების არსი გლობალიზაციის პირობებში, ასევე, შესწავლილ იქნას თანამედროვე უსაფრთხოების შიდა და გარე ფაქტორების სტრატეგია და კრიტერიუმები საქართველოს მაგალითზე.

**Tinatin Javakhishvili**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Vakhtang Maisaia**
Professor, Political Science Doctor

## Modern security dilemma on the example of Georgia

Absolute security is impossible in the modern world, there is no single and universally accepted definition of the security sector. It includes all the necessary areas that are important for the development of countries. The processes developed in the world in recent years have significantly changed the security environment, which in relation to the state implies the preservation of sovereignty, territorial integrity, national ideology and cultural identity, as well as the absence of threats to basic values. The concept of national security provides a window to analyze the security problems of small transition countries in a tough neighborhood environment when they have to deal with large, sometimes hostile, neighbors. For the protection of national security, it is also necessary to develop, modernize relevant agencies and develop security documents, which are a kind of guide or action plan in critical situations. The concept of national security of Georgia includes the fundamental national values of Georgia, national interests, threats and challenges facing national security, as well as the main directions of the national security policy of Georgia. Today, Georgia's national security is facing quite serious challenges, such as threats from the northern neighbor, the conflict in the South Caucasus (Nagorno-Karabakh) and cyber security. It should be noted that the state, as the main guarantor of security, has no alternative. The purpose of the report is to analyze the essence of modern security in the conditions of globalization, as well as to study the strategy and criteria of internal and external factors of modern security on the example of Georgia.

**ცოტნე ჩაჩანიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
ხელმძღვანელი: **ალიკა გუჩუა**
CIU-ს ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

## ბრექსიტის შედეგები ევროკავშირისთვის

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციებში ცალკეული წევრების დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების სურვილის განხილვა, მასთან დაკაშირებული პრობლემები და ნაციონალიზმი, რომელიც ხშირად აღიქმება საფრთხის შემცველად, როგორც გლობალიზაციისთვის, ასევე მსოფლიო სტაბილურობისათვის. ნაშრომი ეყრდნობა კონსტრუქტივიზმის თეორიას, რომელიც ფოკუსირდება ნორმებზე, შეხედულებებსა და წესებზე, მნიშვნელოვანია არა მატერიალური შესაძლებლობები, არამედ ის, თუ როგორ ვხედავთ ჩვენს ადგილსა და როლს მსოფლიოში. შესაბამისად, კონსტრუქტივიზმი აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ როგორ ყალიბდება იდენტობები და შემდეგ იკვლევს მათ გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე.

ბრექსიტის კონტექსტში შევეცდები კონსტრუქტივიზმი გამოვიყენო იმ განსხვავებული დამოკიდებულებების ასახსნელად, რაც ჰქონდათ და აქვთ დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირში, თუნდაც საემიგრაციო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ასევე შევეცდები, ამ განსხვავებების ანალიზით დავხატო ის აღქმა, რაც ორივე მხარეს აქვს მათ ადგილთან და როლთან დაკავშირებით დღევანდელ მსოფლიოში და განვიხილო ნაციონალიზმის როლი ევროინტეგრაციაში. აღნიშნული საკითხი, ნაციონალიზმის როლი, განხილულია ბრექსიტის მაგალითზე.

**Tsotne Chachanidze**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Alika Guchua**
Associate Professor at CIU,
Doctor of Political Sciences

## Consequences of Brexit for the European Union

The aim of this paper is to study individual members desire to have their own independent policy implementation in the international relations, its related problems and nationalism, which is often perceived as hazardous for the world stabilit. The work is based on the theory of constructivism, which focuses on the standards, beliefs and rules, for this theory the most important thing is not material opportunities, but how we see our place and role in the world theory of constructivism focuses on how identities are formed and then examines their impact on international relations. According to Brexsit's context, I am going to use constructivism to explain the different attitudes that they had and have today in the UK and in the European Union, for example: immigration policies, to analyse this differences I draw the perception that both sides have their vision of their place and role in nowaday's world.

**ოთო საბანაძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრანტი
ხელმძღვანელი: **ოთარ გოგოლიშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

## ფრანგები ბათუმში

1614 წელს საქართველოს ეწვია იეზუიტების ორდენის წარმომადგენელი ლუი გრანჟე (1552-1615). მისი ანგარიშები გამოქვეყნდა 1915 წ. თბილისში. იმ დროს ფორმალურად აჭარა ოსმალების ხელში იყო, მაგრამ მათი წეს-წყობილება ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული. ალბათ ამიტომ ამბობს გრანჟე,

რომ ,,ბათუმი ქართული ნავსადგურიაო“. სწორედ ამ ქალაქში ფაშას დესპანმა და გურიის მთავარმა 1614 წლის 13 დეკემბერს ხელი მოაწერეს ზავს, რომლითაც გურიელი ხარკის გადახდას კისრულობდა. ამის შემდეგ გრანჟეს უფლება მიეცა სამეგრელოსაკენ განეგრძო გზა. ფრანგი მოგზაური ედუარდ ლიოზენი ორჯერ, 1904 წლის აგვისტოში და 1905 წლის ნოემბერში ეწვია აჭარას. თავისი შთაბეჭდილებები მან თბილისში გამოაქვეყნა (Известния Кавказского отдела..., 1905 ბ, 1906).

მოგზაურმა მოინახულა ბათუმი, კახაბერი, სარფი და ლიმანი, გაეცნო აჭარელთა და აფხაზთა ცხოვრებას, სოფლის მეურნეობას (სიმინდი), მეცხოველეობას, ჭოროხზე ნავით მოგზაურობას, ჭოროხის წყალმარჩხებზე ცხენებით გადასვლას. მოგზაურმა დაათვალიერა აგრეთვე გონიოს ციხე და ჩაიწერა, რომ ციხის დასავლეთ კოშკთან იყო წარწერიანი ლითონის დაფა, რომელიც 1877-78 წწ. ომის დროს ოსმალებმა გაიტაცესო. სხვების მსგავსად ე. ლიოზენიც მოექცა არასწორი ინფორმაციის გავლენის ქვეშ და თქვა, რომ ლაზები ციხის აშენებას სულთან სულეიმანს მიაწერენ, სინამდვილეში გენუელების აშენებული უნდა იყოსო. როგორც ცნობილია, ორივე მოსაზრება მცდარია და არაერთგზის შესწორდა. ანრი ბარბიუსმა საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად მოიარა მესხეთი და აჭარა, დაათვალიერა ისტორიული ადგილები, მატერიალური კულტურის ძეგლები, დეტალურად გაეცნო საქართველოს ისტორიას და იგი თანამედროვეობას შეადარა. სტუმარმა მესხეთიდან გოდერძის უღელტეხილი გადმოიარა და ხულოში გადმოვიდა, გაეცნო მაშინდელ სამაზრო საავადმყოფოს (გაიხსნა 1925 წ), ტაბახმელას სახერხ ქარხანას, დაათვალიერა ახალი გზები და ხიდები, ქოხ-სამკითხველოები, სკოლები. აქედან იგი აჭარისწყლის ხეობით წავიდა ბათუმისაკენ. ნახა ახალი ხიდები შუახევსა და ქედაში (აშენდა 1924-1925 წწ, რომლებიც დღესაც მოქმედებს), გაეცნო აწ ჰესის მშენებლობის მიმდინარეობას.

1930 წელს საქართველოში ჩამოვიდა ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლუი არაგონი (1897-1982). სხვადასხვა დროს აჭარას სტუმრობდნენ ფრანგი ხალხის სხვა გამოჩენილი შვილები: მარსელ კაშენი (1869-1958), რენე ლაფონი (1899-1974), მეუღლეს ალბერტინასთან ერთად, როლან ლერუა (1969წ), ბოტანიკოსი და ეთნოგრაფი ანდრე ოდრიუკერი (1975 წ ) და სხვები (ი. ბექირიშვილი, 1975., მისივე, მისივე, 1973)

**Oto sabanadze**
Batumi Shota Rustaveli State University
Master
Supervisor: **Otari Gogolishvili**
Doctor of History, Professor

# Batumi – "A safe haven in the eastern shores of the Black Sea" Within the 60s and 70s of the XIX century

From the XIX century begins the aspiration of the Western states to establish intensive trade relations with the rich regions of the East through Batumi. This could be explained by the fact that Batumi was distinguished among the Black Sea coast points by its naval port conditions. In particular, Batumi possessed a cozy harbor shaped by nature.

At that time, Adjara was formally in the hands of the Ottomans, but their regulations had not yet been established. Perhaps that is why Grange says that Batumi became a Georgian port. That is why Pasha's envoy and the chief of Guria signed a truce in this city on December 13, 1614, by which Guliel paid tribute. Then Grange was allowed to continue his way to Samegrelo. The French traveler Edouard Liosen visited Adjara twice, in August 1904 and November 1905. He published his impressions in Tbilisi (Известия Кавказского Отдела...1905-1906. The traveler visited Kakhaberi, Sarfi and Liman in Batumi, got acquainted with the life of the Adjarians and Abkhazians, agriculture (corn ), livestock, traveling by boat on Chorokhi, crossing Chorokhi waterfalls on horseback. The traveler visited Agretve Gonio Castle and recorded that there was a metal plaque with an inscription near the western tower of the castle, which was stolen by the Ottomans during the war of 1877-1878. The construction of the castle is attributed to Sultan Suleiman, but in fact it must have been built by Danuels.

Henrey Barbius toured Adjara and Meskheti together with other parts of Georgia. He visited historical places and monuments of material culture, got acquainted with the history of Georgia in detail and compared it with modernity. The guest crossed the Goderdzi pass from Meskheti and got off in Khulo, and opened (in 1925) Tabakhmela sawmill. , visited new bridges and roads, huts-reading rooms, schools. From there he went to Batumi through the water valley of Adjara. He saw the new bridges in Shuakhevi and Keda (built in 1924-25, which are still in use today), got acquainted with the progress of the construction of the HPP.

In 1930, the French writer and public figure Louis Aragon (1897-1982) came to Georgia. At other times, other prominent children of the French people visited Adjara: Marcel Cachen (1869-1958), Remelafon (1899-1974) with his wife Albertina, Roland Lelois 1969 botanist and Ethnographer Andre Odriukeli 1975 and others.

**თამარ კაპანაძე**
აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **თამაზი გოგბერაშვილი,**
ისტორიის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## უკრაინა რუსეთის კონფლიქტი და საქართველო

21-ე საუკუნეში ყველაზე საინტერესო, დამაფიქრებელი და მრავლისმეტყველი ომი გაჩაღდა რუსეთსა და უკრაინას შორის, ამ ომმა ბევრი რამ შეცვალა და ისტორიიის თავიდან აღწერაც კი განაპირობა, ყველაფერი თებერვალში დაიწყო, როცა რუსეთმა უკრაინას შეუტია, საქართველო ამ ომში მეტად მნიშვნელოვან და დამაფიქრებელ ადგილას აღმოჩნდა, ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა და იძულებული გახდა მსოფლიო რუსეთი ტერორისტულ სახელმწიფოდაც ეცნო, საინტერესოა როგორ განვითარდება მოვლენები, რა როლს შეასრულებს ეს ომი მომავალში და რამდენად დიდ პრობლემებს შეუქმნის ეს საქართველოს, სად გადის ზღვარი აწმყოსა და მომავალში და როგორ წარიმართება ამ სამი სახელმწიფოს ბედი ახლო მომავლისათვის, სწორედ ამ თემებზე ვაპირებ საუბარს და ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანი საკითხია დღევანდელი მსოფლიოსთვის, რატომ დაუწესეს სანქციები რუსეთს, რა შეუძლია გააკეთოს საქართველომ უკრაინელი ხალხის დასახმარებლად და იქონიებს თუ არა ეს ომი დიდ გავლენას საქართველოზე.

**Tamar Kapanadze**
Akaki Tsereteli State University
Bachelor
Supervisor: **Tamazi Gogberashvili**
Academic Doctor of History,
Associate Professor

## Ukraine Russia conflict and Georgia

In the 21st century, the most interesting, thought-provoking and multi-faceted war broke out between Russia and Ukraine. This war changed many things and even led to the beginning of history, everything started in Tevreval when Russia attacked Ukraine, Georgia found itself in a very important and thought-provoking place in this war. Everything changed radically and the world was forced to recognize Russia as a terrorist state. It is interesting how things will develop. What role will this war play in the future and how big problems will it create for Georgia; where is the border between the present and the future and how will the fate of these 3 states are in the near future? To help the Ukrainian people of Georgia and whether this war will have a big impact on Georgia.

**გიორგი ქვლივიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **ალიკა გუჩუა**
CIU-ს ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

## რუსეთის ჰიბრიდული ომი დასავლეთის წინააღმდეგ

ომი კაცობრიობისთვის ნაცნობი ფენომენია და ის მრავალი საუკუნეა არსებობს, როგორც ადამიანთა დაპირისპირების საშუალება. ომის სახე დროთა განმავლობაში იცვლებოდა და პროგრესთან ერთად უფრო მეტ კომპონენტს იმატებდა. დღეს ის უფრო მეტი ასპექტისგან შედგება, ვიდრე ოდესმე. იქნება ეს ტექნოლოგიური, მეცნიერული, საინფორმაციო თუ სხვა. მსგავს კონფლიქტს, რომელიც არა მარტო სამხედრო დაპირისპირებისგან შედგება და ამავე დროს შესაძლებელია, რომ სამშვიდობო პერიოდშიც მიმდინარეობდეს, ჰიბრიდული ომი ეწოდა. ამ ნაშრომში ჩვენ გავეცნობით

რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის კონკრეტული მოქმედებების მაგალითებს, რომლებიც მიმართული იყო დასავლეთის ქვეყნებისა და მათი პარტნიორებისკენ.

კრემლი მრავალი წლის მანძილზე იყენებდა კონფრონტაციის სხვადასხვა საშუალებას. მათ შორის ფარულ მოქმედებებსაც, რომელთა იდენთიფიკაცია მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგაა შესაძლებელი, როცა მას თავისი ამოცანა ნაწილობრივ მაინც აქვს შესრულებული. ამ მაგალითების განხილვა დაგვეხმარება მსგავსი ფარული მეთოდების აღმოჩენასა და პრევენციაში, რასაც გარკვეულ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი შეიძლება ჰქონდეს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.

**Giorgi Kvlividze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Alika Guchua**
Associate Professor of CIU,
Doctor of Political Sciences

## Russia's hybrid war against the West

War is a familiar phenomenon for humanity and has existed for many centuries as a means of confronting people. The face of the war varied over time, and as progress progressed, more components were added. Today, it consists of more aspects than ever before. Whether it is technological, scientific, informational, and more. A similar conflict, which consists not only of military confrontation and at the same time possible during the peace period, has been called a hybrid war. In this thesis, we will look at examples of the specific actions of the hybrid war produced by Russia, aimed at Western countries and their partners. The Kremlin has been using various means of confrontation for many years. Among them are hidden actions, which only can be identified after a certain period, when it has partially accomplished its task. Considering these examples will help us to discover and prevent such hidden methods, which in certain cases may even be crucial to the security of the country.

# საერთაშორისო ურთიერთობების სექცია
# Section of International Relations

## უსაფრთხოების კვლევების ქვესექცია
## Subsection of Security Studies

**ქეთი შუბითიძე, მარიამ ბალახაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **გიორგი ფარეშიშვილი**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი,
ასისტენტი

### ქართული სახელმწიფო პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით

საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაცია. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ხელისუფლებამ ფორმალურად ცნო აფხაზეთის დამოუკიდებლობა, სინამდვილეში ეს არის აფხაზეთის ტერიტორიის მიტაცება, სადაც

მრავალრიცხოვანი რუსული სამხედრო შენაერთები აკონტროლებენ პოლიტიკურ ვითარებას.

რაც შეეხება ცხინვალის ოკუპირებული ტერიტორიების ისტორიას, ამ ტერიტორიაზე 1922 წელს იქნა შექმნილი ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებში. მანამდე მსგავსი სახის წარმონაქმნი ამ ტერიტორიაზე არ არსებობდა. საბოლოოდ რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაამყარა კონტროლი ამ ტერიტორაზე, რაც მისი მხრიდან საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა.

სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ეფუძნება შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს: საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია; საქართველოს საყოველთაოდ აღიარებული საზღვრები ურყევი. მოცემული სტრატეგია ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს. მნიშვნელოვანია ის ასპექტი, თუ საქართველოს სახელმწიფო როგორ უწყობს ხელს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოქალაქეებს, რათა ისინი ამ რთულ ვითარებაშიც კი გრძნობდნენ სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას და მხარდაჭერას.

**Keti Shubitidze, Mariami Balakhashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Giorgi Pareshishvili**
PhD Student in Political Sciences,
Assistant

## "Georgian state policy in relation to the occupied territories"

Georgia is a sovereign state and the presence of the armed forces of any other state in its territory is, according to international law, an illegal military occupation of the territory of a sovereign state. On August 26, 2008, the Russian government formally recognized the independence of Abkhazia, in fact it is the seizure of the Abkhazian territory, where numerous Russian military units control the political situation. As for the history of the occupied territories of Tskhinvali, an autonomous

republic was created in this territory in 1922 within the framework of the Soviet Socialist Republic of Georgia. Before that, there was no such formation in this area. Finally, as a result of the August 2008 war, Russia established control over this territory, which is a gross violation of international law on its part. The state strategy towards the occupied territories is based on the following fundamental principles: Georgia's sovereignty and territorial integrity are inviolable; The generally recognized borders of Georgia are unshakable. This strategy is based on the Constitution of Georgia, the main principles of international law. It is important how the state (country) of Georgia supports the citizens living in the villages near the dividing line so that they feel the help and support of the state even in this difficult situation.

**ბაკურ ხუბულავა, ქეთი ბიძინაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **გიორგი ფარეშიშვილი**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი,
ასისტენტი

## კატალონიური სეპარატიზმი- ფისკალური პოლიტიკა და ეკონომიკური უთანასწორობა

ნაშრომი ეხება კატალონიური სეპარატიზმის გამომწვევი მიზეზების ანალიზს და ფისკალური პოლიტიკის გავლენის საკითხს ეკონომიკური უთანასწორობის პროცესში. 21-ე საუკუნეში ეკონომიკური სეპარატიზმი საკმაოდ აქტუალური გახდა და მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ნაციონალისტური მისწრაფებების სხვადასხვა გამოვლინებებთან ერთად. რიგი ქვეყნები უკვე ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ იდეაზე მეტად ეკონომიკურ ფაქტორებს აყენებენ. მაგალითისთვის, ე.წ. მდიდრების სეპარაციის უმთავრესი მკვებავი კატალონიური სეპარატიზმია.

2003 წლის კატალონიის ჟენერალიტეტის არჩევნების შემდეგ კატალონიაში შეიცვალა სეპარატისტული მოძრაობისადმი მიდგომები. თუ ადრე კატალონიზმი ასოცირდებოდა ქვეყნის აშენებასთან, რომელიც კულტურულად დიფერენცირებულია დანარჩენი ესპანეთისგან, 2003 წლის

შემდეგ ნაკლებ მნიშვნელოვანი გახდა კულტურის როლი და მეტი ყურადღება მიექცა ეკონომიკურ-პოლიტიკურ ასპექტებს.

ნაშრომის მიზანია „ფისკალური პოლიტიკის“ ფისკალური დამოკიდებულების ფაქტორის წარმოჩენა კატალონელთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ არ გააჩნიათ ფისკალური დამოუკიდებლობა განსხვავებით კიდევ ორი ავტონომიური რეგიონის - ნავარისა და ბასკეთისგან. კატალონიის მოსახლეობა და მთავრობა იზიარებეს პოზიციას, რომლის მიხედვითაც, დღევანდელ მსოფლიოში თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებში პატარა ქვეყნებსაც შეუძლიათ იყვნენ ძალიან წარმატებულნი.

**Bakur khubulava, Keti Bidzinashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Giorgi Pareshishvili**
PhD Student in Political Sciences, Assistant

## Catalan separatism-fiscal policy and economic inequality

The work deals with the analysis of the causes of catalon separatism And the impact of fiscal policy on the issue of economic inequality in the Twenty-first century,economic separatism has become quite relavant and Plays on important role along with various manifestations of nationalist aspirations A number of countries are already putting economic factors above historical,cultural And religious ideas.for example,the so-called the main source of the separation of the rich Is Catalan separatism. 2003years of the generalitat of Catalonia attitudes towards the separatist movement Have changed in Catalonia it previously catalanism was associated with building a Country that is culturally differentiated from the rest of Spain, after 2003 the role of culture became less important and more attention was paid to economic-political aspects. The purpose of the work “fiscal policy” presented the factor of fiscal dependence In the political life of catalons them do not have fiscal dependence,the two autonomous regions of Navare and Basque Country catalon population and government shared Position,which according today world,free in trade realations little country can were very successful.

**ლაშა მელაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
ხელმძღვანელი: **თამარ კიკნაძე**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

# 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები და მისი გავლენა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე

ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირება დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ მოვლენებსა და საერთაშორისო გარემოზე. ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესია სახელისუფლებო არჩევნები, რომელიც საშუალებას აძლევს თითოეულ მოქალაქეს შეაფასოს გასული წლების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, მხარი დაუჭიროს წინა ხელისუფლების კურსს, ან აირჩიოს ქვეყნის განვითარების ახალი გზა.

საქართველო ევროკავშირის კანდიდატის ქვეყნის სტატუსის მოლოდინშია. ქვეყანამ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად 12 პირობა უნდა შეასრულოს. ერთ-ერთ პირობად კი დასახელებულია „ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულად ფუნქციონირების, მათი დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და ეფექტური ანგარიშვალდებულების გარანტირება. საარჩევნო ჩარჩოს გაუმჯობესება OSCE/ODIHR-ის და ევროპის საბჭოს/ვენეციის კომისიის მიერ ამ პროცესებში გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრით“. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ფედერიკა მოგერინის, განცხადებით, საბჭოთა ბლოკის ყოფილმა წევრებმა იმისათვის, რომ ევროკავშირში გაწევრიანება შეძლონ, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები უნდა ჩაატარონ.

არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ ევროკავშირი 2024 წლის არჩევნებამდე გადადებს კანდიდატის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას. შესაბამისად მომავალი არჩევნების თვისებრივად ახალ გარემოში ჩატარება და ევროკავშირის მიერ მოცემული პირობების შესრულება მნიშვნელოვანია საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. ნაშრომში საუბარია 2024 წლის არჩევნების ჩატარების პროცესზე და მის მნიშვნელობაზე საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში.

**Lasha Meladze**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Tamar Kiknadze**
Doctor of Political Science,
Associate Professor

## 2024 parliamentary elections and its impact on the European integration of Georgia

The formation of the country's foreign policy depends on the political, economic or social events taking place inside the country and the international environment. Governmental elections are the most important for any democratic state, which allows each citizen to evaluate the domestic and foreign policy of the past years, support the course of the previous government or choose a new way of developing the country.Georgia is awaiting the status of a candidate country for the European Union. The country must fulfill 12 priorities in order to receive the status of a candidate country of the European Union. One of the priorities is to “Guarantee the full functioning of all state institutions, strengthening their independent and effective accountability as well as their democratic oversight functions; further improve the electoral framework, addressing all shortcomings identified by OSCE/ODIHR and the Council of Europe/Venice Commission in these processes”.According to the highest representative of the European Union, Federica Mogherini, "former members of the Soviet bloc must hold free and fair elections in order to be able to join the European Union." There is assumptions that the EU will delay a decision on whether to award a candidate until the 2024 elections. Accordingly, conducting the next elections in a qualitatively new environment and fulfilling the priorities given by the European Union are crucial for Georgia's European integration. The paper talks about the process of holding the 2024 elections and its significance in the process of Georgia's integration into the Euro-Atlantic structures

**ლერი უშხვანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრი
ხელმძღვანელი: **ვახტანგ მაისაია**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

## ჰიბრიდული ომის სამხედრო კომპონენტები

ნაშრომში განხილულია ჰიბრიდული ომის სამხედრო კომპონენტები. ჰიბრიდული ომის უამრავი კომპონტეტის არსებობის მიუხედავად, სამხედრო კომპონენტები არის უმნიშნველოვანესი მოწინააღმდეგის ნების გასატეხად. ნაშრომში განხილულია სამხედრო კომპონენტების მნიშვნელობა, როგორც ომის კლაუზევიცის მოდელში, ასევე ჰიბრიდული ომის წარმოებაში, როგორც მეხუთე თაობის ომის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი. მიუხედავად ჰიბრიდული ომის არაერთი შესაძლო ვარიაციისა, სამხედრო კომპონენტები არის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე, რომელზე დაყრდნობაც ხდება როგორც უშუალოდ კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტის დროს, ასევე კონფლიქტის დაწყებამდე.

ნაშრომი მოიცავს მართვადი ქაოსის დანერგვის და რბილი ძალის მეთოდების შესაძლო გამოყენების შემთხვევებს, რომლებიც ორიენტირებული არის შეიარაღებული ძალებისთვის საბრძოლო შესაძლებლობების დაქვეითებაზე, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად, რომელიც დამყარებული არის საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის გამოყენების შემთხვევებზე.

თითოეული თაობის ომისთვის საერთო მახასიათებელი და მიზანი არის მოწინააღმდეგის ნების გატეხვა, რომლის მრავალფეროვან ვარიაციას გვთავაზობს ჰიბრიდული ომი, სადაც თავის მნიშვნელობას არ კარგავს შეიარაღებული ძალები, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის გარანტი.

დასკვნით ნაწილში არის რეკომენდაციები სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის, რომელიც მოიცავს შესაძლო გასატარებელ ღონისძიებებს ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ მაღალ ეფექტურ მომზადებას შესაძლო დეზინფორმაციების მოწყვლადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ომი; სამხედრო კომპონენტები; შეიარაღებული ძალები; მართვადი ქაოსი; რბილი ძალა.

**Leri Ushkhvani**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Vakhtang Maisaia**
Professor, Political Science Doctor

## Military components of hybrid war

The paper discusses the military components of hybrid war. Despite the existence of many components of hybrid war, military components are the most important for breaking the will of the opponent. The paper discusses the importance of military components, as in the Clausewitz model of war, Also in hybrid warfare, as one of the main characteristics of fifth generation warfare. Regardless of the many possible variations of hybrid warfare, military components are of vital importance, which are relied upon both directly during the resolution of the conflict by forceful methods and before the conflict begins. The paper also includes cases of the introduction of controlled chaos and the possible use of soft power methods, which are focused on reducing the combat capabilities of the armed forces, as a result of the psychological impact, which is based on the cases of the use of information-psychological warfare. The common characteristic and goal of the war of each generation is to break the will of the opponent, a variety of which is offered by the hybrid war, where the armed forces do not lose their importance as a guarantor of the country's sovereignty and territorial integrity. In the final part there are recommendations for the relevant structural units of the state, which includes possible measures to be taken against hybrid warfare highly effective preparation in the fight against possible disinformation vulnerabilities.

**Levani Mumlauri**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Vakhtang Maisaia**
Professor, Political Science Doctor

## The Caucasus Regional Security Modality - A Path between Peace and War

The Caucasus region was one of the most important region in a lot of ways in the world history. Some features of region such as history, geographical location, ethnicities, and natural resources caused to be arisen powers' interest to the region. On the other hand, Caucasus should have an identification within its name, location, geostrategic position, history, and ethnicities in international relations. However, there is no exact definition about the region and there are several different definitions about geostrategic position, geographical location, and ethnical situation and so on. The geographical location of the Caucasus turns it into a potential transit route not only for Azerbaijan but also for Central Asia, despite its greater length, expense and danger compared to the Iranian route (Peimani, Conflict And Security In Central Asia And The Caucasus, 2009). The location of the Caucasus led to struggles, sometimes wars, among the powers throughout history. Russia, Turkey and Iran as key geopolitical hegemons have attempted to gain their interests in the region in the different ways. The Caucasus region has very unique geopolitical placement and its provisions are defined by the special political spectrum engulfed in the regional security system

**ლიკა ლაგვილავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
ხელმძღვანელი: **ალიკა გუჩუა,**
CIU-ს ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

## ტერორიზმი, როგორც პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა

თანამედროვე სამყაროში ტერორიზმი ერთ-ერთი გლობალური გამოწვევაა, ხოლო ტერორისტული აქტები აქტუალობას არ კარგავს. წამყვანი

ქვეყნების, რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციების უმთავრესი საზრუნავი გახდა ტერორიზმის აღკვეთა. თუმცა ის კვლავ რჩება კაცობრიობის გლობალურ, გადაუჭრელ პრობლემად, რომელიც ემუქრება ძლიერ თუ სუსტ სახელმწიფოებს.

ტერორიზმი გახდა პოლიტიკური, ეთნიკური მიზნების მიღწევისათვის ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი და თვით პოლიტიკური ძალადობის ფორმაც კი. ტერორიზმი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ შიდა სახელმწიფოებრივ ღირებულებებს, არამედ იგი გავლენას ახდენს ქვეყნების საგარეო პოლიტიკის გატარებაზე. ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების ნორმალური განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორია, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილურობის წინააღმდეგ.

თანამედროვე ტერორიზმი სცდება კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალს, კულტურას და რელიგიას. ტერორიზმი მიიჩნევა ტრადიციულ საშუალებად მათთვის, ვინც ებრძვის თავისზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს. ამის მაგალითია ირა, ეტა, თალიბანი და მსგავსი დაჯგუფებები. ნაშრომში განხილულია ტერორიზმის არსი, მისი ცვალებადი ხასიათი ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად და გავლენა საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურაზე. მათ შორის, ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში ეროვნული სახელმწიფოების რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი.

**Lika Lagvilava**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Alika Guchua**
Associate Professor of CIU,
Doctor of Political Sciences

## Terrorism as a form of struggle for political power

In the modern world, terrorism is one of the global challenges, and terrorist acts do not lose their relevance. Prevention of terrorism has become the main concern of leading countries, regional and international organizations. However, it still remains a global, unsolved problem of humanity, which threatens strong or weak states. Terrorism has become one of the tools of struggle to achieve political and ethnic goals and even a form of political violence. Terrorism poses a threat not only

to domestic state values but also affects the foreign policy of countries. It is also an obstacle to the normal development of international relations, which is directed against the stability of international relations. Modern terrorism transcends a specific geographic area, culture and religion. Terrorism is considered a traditional means for those who fight an enemy stronger than themselves. Examples of this are IRA, ETA, Taliban, and similar groups. The paper discusses the essence of terrorism, its changing nature with the introduction of new technologies, and its impact on international security architecture. Among them, is the role of regional and international organizations of national states in the fight against terrorism.

**ლიზა ბაიაზოვა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **გიორგი ფარეშიშვილი**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი,
ასისტენტი

## კვიპროსის კონფიქტი და თანამედროვე გამოწვევები

ოკუპაცია წარმოდგენს კონკრეტული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავებას, რაც შემდგომში იწვევს კონფლიქტს ორ სახელმწიფოს შორის. ამის მაგალითია კვიპროსის კონფლიქტი.

კვიპროსის კონფლიქტი თანამედროვე სახით იწყება 1878 წელს, ბრიტანეთის მიერ კვიპროსის დაპყრობით. თავდაპირველად კონფლიქტს კვიპროსის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა, თუმცა მოგვიანებით, კუნძულის თურქი და ბერძენი მოსახლეობა დაუპირისპირდა ერთმანეთს, რომლებსაც კუნძულის ტერიტორიის დაუფლება სურდათ. კუნძულზე დიდი ბრიტანეთის სამხედრო კონტინგენტის შესვლის შემდეგ ეს დაპირისპირება განიხილებოდა, როგორც „კონფლიქტი კვიპროსელ და ბრიტანელ ხალხებს შორის“. რა თქმა უნდა, აქ აუცილებელია გავავლოთ პარალელი საქართველოსა და მის ოკუპირებულ ტერიტრიებთან, თუ რა საერთო აქვს ამ ორ კოფლიქტს და რა უპირატესობები ჰქონდა

კვიპროსის კონფლიქტს მომავალში სიმწვავესთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა აფხაზეთის მსგავსად არაღიარებული ქვეყნების სიაში შედის. უნდა გავითვალისწინოთ ამ კონფლიქტში საერთაშორისო ორგნიზაციების როლიც, რომელიც აღმოჩნდა გადამწყვეტი და ცდილობდნენ ეს პრობლემა მოეგვარებინათ, ამისთვის მათ შეიმუშავეს არაერთი გეგმა, რომ ეს პრობლემა გადაეწყვიტათ.


**Liza Baiazova**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Giorgi Pareshishvili**
PhD Student in Political Sciences,
Assistant


## Cyprus conflict and contemporary challenges

Occupation is the temporary occupation of the territory of another country by the armed forces of a particular state, which subsequently leads to conflict between the two states. An example of this is the Cyprus conflict. The Cyprus conflict, in its modern form, begins after the British occupation of Cyprus in 1878. Initially, the conflict involved differences of opinion over the political future of Cyprus, but later, the island's Turkish and Greek populations clashed over control of the island's territory. . After a British military contingent arrived on the island, the conflict was seen as "a conflict between the Cypriot and British peoples". Of course, here it is necessary to draw a parallel between Georgia and its occupied territories, what these two conflicts have in common and what advantage the Cyprus conflict had in relation to the future escalation. As you know, the Turkish Republic of Northern Cyprus, like Abkhazia, is included in the list of unrecognized countries. We must consider the role of international organizations in this conflict, which proved to be decisive and tried to solve this problem, for this they developed a series of plans to solve this problem.

**ლუკა ლეფსაია**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **სანდრო ტაბატაძე**
განათლების მეცნიერების მაგისტრი,
ასისტენტი

## აბსენტიზმი და მისი თავისებურებები თანამედროვე საქართველოში 2016-2020

აბსენტიზმი წარმოადგენს თავის არიდებას მოქალაქეების ან წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, გამოხატავს მოსახლეობის ფართო მასების პროტესტს არსებული რეჟიმის ან არჩევნების ანტიდემოკრატიული სისტემის წინააღმდეგ და ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებით გამოწვეულ უკმაყოფილებას(ვიკიპედია). არჩევნებში მონაწილეობის უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული წესრიგისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეამბულაში კონვენციით დადგენილი უფლებების დაცვის მთავარ გარანტიად მოხსენიებულია „ჭეშმარიდატ დემოკრატიული პოლიტიკური წესრიგი“. სწორედ, ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლი ,,რომ არჩევნების უფლება არის ინდივიდუალური და საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს არჩევნების გზით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის პროცესში“, მაშასადმე, განუყოფელი უფლება, რომელიც სხვა პირს არ შეიძლება გადაეცეს.

საინტერესოა, თუ როგორ იღებს ქართული საზოგადოება გადაწყვეტილებას და როგორ ახორციელებს არჩევნებში მონაწილეობაზე თავის არიდების გადაწყვეტილებას. შესაბამისად, კვლევის მიზანია საქართველოს 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე აბსენტიზმის თავისებურებების შესწავლა. ზემოთ აღნიშნული თემის ამ ეტაპზე კვლევა მიზანშეწოლილია, რათა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის გათვალისწინებული იყოს და მოხდეს აბსენტიზმის ფაქტორების შესწავლა. სწორედ ამ საკითხს დაეთმობა წინამდებარე ნაშრომი.

**Luka Lephsaia**
Tbilisi State University
Bachelor
Supervisor: **Sandro Tabatadze**
Master of Science in Education, Assistant

## Absenteeism and its features in modern Georgia 2016-2020

Absenteeism is the evasion by citizens or a representative body, expressing the protest of the masses of the population against the existing regime or the anti-democratic system of elections and the dissatisfaction caused by the political situation created in the country (Wikipedia). The right to participate in elections is of special importance for the democratic order. In the preamble of the European Convention on Human Rights, the main guarantee of the protection of the rights established by the convention is mentioned as "true democratic political order". Based on this meaning, Article 28 of the Constitution of Georgia provides, That the right to elections is individual and the citizen of Georgia has the right to participate in the process of legitimizing the state government through elections, therefore, it is an inalienable and indivisible right that cannot be transferred to another person. It is interesting how the Georgian society makes a decision and how it implements the decision to refrain from participating in the elections. Accordingly, the purpose of the research is absenteeism in the 2016 and 2020 parliamentary elections of Georgia study of peculiarities. At this stage of the topic mentioned above, the research is focused on the purpose, since the factors of absenteeism should be considered and studied for the parliamentary elections of 2024. This paper will be devoted to this issue.

**მარიამ ბეინაშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **გიორგი ბენაშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
ასისტენტ პროფესორი

**შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მნიშვნელობა რუსეთის ფედერაციისთვის**

შავი ზღვის რეგიონი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო საინტერესო საკვლევი საკითხია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ რეგიონში დღესაც მიმდინარეობს სამხედრო დაპირისპირება( იგულისხმება რუსეთ-უკრაინის 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებული ომი). როგორც გასული, ისე მიმდინარე საუკუნის განმავლობაში აღნიშნულ რეგიონში არაერთხელ დაუპირისპირდნენ სახელმწიფოები ერთმანეთს პირველობისთვის, აღსანიშნავია, 1991- 1993 და 2008 წლების რუსეთ-საქართველოს, 2014 და 2022 წლების რუსეთ-უკრაინის კონფლიქტები.

როგორც ვხედავთ, ძირითადი აქტორი ყველა დაპირისპირებაში არის რუსეთის ფედერაცია, რომელიც ყველა ხერხით ცდილობს პირველობის მოპოვებას შავი ზღვის რეგიონში. სწორედ ამიტომ, ჩნდება კითხვა: რა ფორმით ვლინდება შავი ზღვის მნიშვნელობა რუსეთის ოფიციალურ პოზიციაში და რამდენად განაპირობებს მისი აღნიშნული ინტერესი მის სამხედრო ნაბიჯებს.

კვლევის მიზანია, რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების საფუძველზე შევისწავლოთ რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პოზიცია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ. აგრეთვე, კვლევისთვის საინტერესოა, თუ რა კავშირი არსებობს საქართველოსა და უკრაინაში განხორციელებულ სამხედრო ინტერვენციებსა და რუსეთის სურვილს შორის - ჰქონდეს პირველობა შავ ზღვაზე. ამ მიზნების მისაღწევად კი დავისახავთ შემდეგ ამოცანებს: რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების შესწავლა და ანალიზი, რუსეთის ფედერაციის მხრიდან რეგიონში ძლიერებისთვის გადადგმული ნაბიჯების შესწავლა და ანალიზი.

კვლევის მეთოდად კი გამოვიყენებთ პირველად და მეორეულ დოკუმენტთა ანალიზს. ამრიგად, შავი ზღვის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარების შესწავლა მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია.

როგორც ზემოთ ვიმსჯელეთ, რუსეთის ფედერაციისთვის შავი ზღვის რეგიონი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რაზეც მეტყველებს ისტორიული მეხსიერებაც. მისი ძლიერება შავ ზღვაზე ნიშნავს გავლენის მოპოვებას მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილზე. სწორედ ამიტომ, ჰიპოთეზის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის მიერ დაწყებული აგრესია საქართველოსა და უკრაინაში განპირობებულია მისი სურვილით - ფლობდეს ერთპიროვნულ ძლიერებას შავი ზღვის რეგიონში და საინტერესოა, რა სახით ვლინდება აღნიშნული რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულ დოკუმენტებში.


**Mariam Beinashvili**
Tbilisi State University
Bachelor
Supervisor: **Giorgi Benashvili**
PhD of Economics,
Assistant Professor


## Importance of the countries of the Black Sea region for the Russian Federation

The Black Sea region is an interesting study due to its important geopolitical location, especially when there is a war going on in this region (meaning the Russia-Ukraine war that started on February 24, 2022). Both in the past and in the current century, states have repeatedly challenged each other for supremacy in the mentioned region. It is worth noting the Russia-Georgia conflicts of 1991-1993 and 2008, Russia-Ukraine conflicts of 2014 and 2022. As we can see, the main actor in all conflicts is the Russian Federation, which is desperately trying to gain primacy in the Black Sea region. That is why the question arises - in what form the importance of the Black Sea is manifested in Russia's official position and to what extent its stated interest determines its military steps.

The purpose of the research is to study the official position of the Russian Federation on the geopolitical importance of the countries of the Black Sea region based on the strategic documents of Russia. Also, it is interesting for the research what the connection is between the military interventions carried out in Georgia and Ukraine and Russia's desire to have primacy on the Black Sea. To achieve these goals, we will

set the following tasks: study and analysis of strategic documents of Russia and also, study and analysis of steps taken by the Russian Federation to strengthen in the region. We will use primary and secondary document analysis as a research method. Thus, the study of the geopolitical situation in the Black Sea region against the background of the current Russian-Ukrainian war is a relevant and important issue. As discussed above, the Black Sea region is of vital importance for the Russian Federation, as evidenced by historical memory. Its power over the Black Sea means gaining influence over an important part of the world. That is why, as a hypothesis, we can say that the aggression started by Russia in Georgia and Ukraine is due to its desire to have sole power in the Black Sea region, and it is interesting to see how this is manifested in the strategic documents of the Russian Federation.

**მუხრანი შუბითიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრი
ხელმძღვანელი: **ალიკა გუჩუა,**
CIU-ს ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

## ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: გამოწვევები და შესაძლებლობები

ევროკავშირი მსოფლიო არენაზე მნიშვნელოვანი მოთამაშეა რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების ინტერესებითა და პასუხისმგებლობებით. ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორის წევრი სახელმწიფოების განსხვავებული პრიორიტეტები და ინტერესები, შეზღუდული რესურსები და გლობალური აქტორების გარე ზეწოლა. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ევროკავშირისთვის, ითამაშოს უფრო მნიშვნელოვანი როლი გლობალურ პოლიტიკაში, ასევე ხელი შეუწყოს მისი ღირებულებებისა და ინტერესების დაცვას. მისი ძირითადი მიმართულებები მოიცავს კონფლიქტების პრევენციას და გადაწყვეტას, ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ

ბრძოლას, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის ხელშეწყობას და გლობალური გამოწვევების მოგვარებას, როგორიცაა კლიმატის ცვლილება და მიგრაცია.

ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერება მოითხოვს ევროკავშირის ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების გაუმჯობესებას, საზოგადოების მხარდაჭერისა და ჩართულობის გაზრდას და პარტნიორობის დამყარებას ძირითად რეგიონულ და გლობალურ აქტორებთან საერთაშორისო მშვიდობაისა და უსაფრთხოების დასაცავად.

ნაშრომში განხილულია ევროკავშირის საერთო საგარეო პოლიტიკის მიზნები, მისი როლი სამშვიდობო პროცესებში, უსაფრთხოების პოლიტიკა და ფაქტორი გლობალურ პოლიტიკაში.

**Mukhrani Shubitidze**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Alika Guchua**
Associate Professor of CIU,
Doctor of Political Sciences

## "Common Foreign and Security Policy of the European Union: Challenges and Opportunities"

"Common Foreign and Security Policy of the European Union: Challenges and Opportunities" The European Union is an important player on the world stage with regional and global security interests and responsibilities. The EU's Common Foreign and Security Policy faces many challenges, including diverging priorities and interests among member states, limited resources, and external pressures from global actors. Despite these challenges, the EU's Common Foreign and Security Policy represents an important opportunity for the EU to play a more important role in global politics as well as to promote the protection of its values and interests. Its main areas of focus include conflict prevention and resolution, countering terrorism and violent extremism, promoting human rights and democracy, and addressing global challenges such as climate change and migration. The work that I made discusses the common foreign policy goals of the European Union, its role in peace processes, security policy, and global politics.

**ნანო გელანტია, ანანო ნოზაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **ქეთევან შოშიაშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

# მმართველობითი სისტემა ფეოდალურ საქართველოში ( ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით)

ფეოდალური საქართველოს მმართველობითი სისტემის შესწავლისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ,,ხელმწიფის კარის გარიგება“. XII საუკუნეში საქართველო წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ წარმოდგენილია სახელმწიფოს მმართველთა უფლება-მოვალეობანი, ვაზირობისა და დარბაზობის წესი. მეფე ზებუნებრივი არსების ნიშნებით არის დაჯილდოებული; იგი ღვთის სწორია. ამის გამომხატველია სასახლეში მიღებული წესჩვეულებები, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი ძეგლში. მეფე უდგას სათავეში ყოველგვარ საეკლესიო და საერო საქმიანობას.

ამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო წიგნის თანახნად, დგინდება, რომ ამ პერიოდში საქართველოში აბსოლუტური მონარქია იყო და მეფის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ხდებოდა სახელმწიფოს მართვა.

,,ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ დგინდება, რომ მისი შექმნის პერიოდში (დაახ. XIV ს) საქართველო ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი სამეფო-სამთავროებად. „ხელმწიფის კარის გარიგება “ ნათლად წარმოაჩენს ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის თითოეულ უწყებას, რომელსაც სავსებით ჩამოყალიბებული სამოხელეო აპარატი ჰქონდა. ძეგლში წარმოდგენილია აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, უმაღლესი სასამართლო დაწესებულება, მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტი, რომლის შესახებ არცერთ სხვა წყაროს არ შემოუნახავს რაიმე ცნობა. „გარიგება ჴელმწიფის კარისა“ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლია, რომელიც ფეოდალური საქართველოს მამართველობით სისტემასა და ადმინისტრაციულ მოწყობას წარმოგვიდგენს.

**Nano Gelantia, Anano Nozadze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Ketevan Shoshiashvili**
Academic Doctor of Historical Sciences,
Associate Professor

## Governance system in feudal Georgia (According to the sovereign's door deal)

An important document for the study of the system of governance of feudal Georgia is the “deal of the sovereign's door“. In XII century , Georgia turned into the strongest state in previous Asia. In the "deal of the sovereign's door" the rights and duties of the state rulers, the rule of “vaziroba and Hall” are presented. The king is endowed with the signs of a supernatural being; he is the right of God. This is expressed in the ordinances adopted in the palace, which are described in detail in the monument. The king heads all church and secular activities. According to this important legislative book, it is established that during this period Georgia was an absolute monarchy and the state was governed by the unilateral decision of the King. From the “deal of the sovereign's door“ it is established that during the period of its creation (approx. XIV C.) Georgia had not yet been broken up into Kingdom-principalities. "The deal of the sovereign's door" clearly demonstrates each agency of the feudal Georgian state, which had a fully established military apparatus. The monument also includes local government bodies, High Court institutions, the Institute of the teacher-pastor, about which no other source has preserved any information. "Deal of the state" is an important legislative monument, which presents the system and administrative arrangement of feudal Georgia.

**ნოდარ ბოკერია**
კავკასიის უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **ნუგზარ რუხაძე**
მოწვეული პროფესორი

## რუსეთ-უკრაინის ომი და მისი გავლენა კავკასიის რეგიონზე

მიმდინარე ომი რუსეთ უკრაინას შორის არის 21-ე საუკუნის მთავარი მოვლენა, რომელსაც შეუძლია მთლიანად შეცვალოს მსოფლიო წესრიგი, განსაკუთრებით კი კავკასიის რეგიონში. ომის გავლენა ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონზე საკმაოდ დიდია სხვადასხვა სფეროში: ეკონომიკურ, სამხედრო, დემოგრაფიულ და საერთაშორისო ურთიერთობებში.

ეს კვლევა მიზნად ისახავს გააანალიზოს, თუ რა გავლენა იქონია ამ ომმა კავკასიის რეგიონზე და როგორ შეძლებენ ამ რეგიონის ქვეყნები გამოიყენონ ეს საერთაშორისო მდგომარეობა, იმისათვის, რომ გააუმჯობესონ მათი პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები. მატერიალები და მეთოდების კვლევა ეფუძნება საქართველოსა და ამიერკავკასიის სტატისტიკის სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტებსა და სტატიებს, რომლებიც მზადდება ომის დაწყებიდან დღემდე და ნათლად აჩვენებს ამ ომის უარყოფით გავლენას რეგიონზე.

აბსტრაქტში გამოყენებულია ევროკავშირისა და ნატოს კვლევითი ფონდის სტატისტიკური და მეტაანალიტიკური ნაშრომები. რუსეთის მიერ განხორციელებულმა უსასტიკესმა კამპანიამ, იმისათვის, რომ მიეღწია თავისი ორაზროვანი გეგმებისთვის, ნამდვილად შეძლო და შეცვალა ყველა ასპექტი უკეთესობიდან უარესობამდე. ამ კამპანიის მიმდინარეობის დროს ეკონომიკური კონდიციები კავკასიის რეგიონში საგრძნობლად დაეცა. ევროპის მიღმა ეს ქვეყნები რუსეთის რეცესიიდან და სანქციებით უფრო დიდ შედეგებს იგრძნობენ, ამიტომ ისინი ენერგორესურსების ექსპორტის შემცირების რისკის წინაშე აღმოჩნდებიან, თუ სანქციები გავრცელდება რუსეთის გავლით მილსადენებზე.

**Nodar Bokeria**
Caucasus University
Bachelor
Supervisor: **Nugzar Ruhadze**
Invited Professor

## Russia's war in Ukraine and its impact over Caucasus region

The Current war between Russia and Ukraine is the main event in the XXI century,that can fully change the order of the world, especially in Caucasus region.Ongoning war's impact over this crucial Region is mammoth in diverse spheres: economy, millitary, demograpic and in international affairs.It is clear,that the position of Caucasian countries may have decisive role in the faith of the war.This article aims to analize,what was the effect of current war on Caucasus region,what will be the plan of Vladimir putin toward the Caucasian countries and how they will be able to use war in order to improve their country's condition.Materials and Methods (Oral/Poster Only)This finding research and revision is based on governmental and non-governmental institutions of Georgian and Transcaucasian statistics and articles which are made from the very beginning of the war toward nowadays and clearly shows the negative influence of this war on the regione.This abstract consists statistical and meta-analysis of European Union and NATO's speakers and publishings. Overall the ruthless campaign of Russia in order to attain its ambigious plans, really managed to change everything from good to bad. During this campaign the economical condition in the Caucasian countries was remarkably declined. Beyoned Europe, these alongside nations will feel greater results from Russia's recession and the sanctions,so they will face the risk of reduced energy exports,if sanctions extend to pipelines through Russia.

**ნია სადაღაშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრი
ხელმძღვანელი: **მირანდა მიქაძე**
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

# სოციალური ჯგუფი პოლიტიკური პროცესის კონტექსტში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომმა პოლიტიკურმა პროცესებმა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებმა, საქართველოში სრულიად ახალი გარემო ჩამოაყალიბა. ცვლილებები შეეხო ყველა სფეროს, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ კონტექსტში. აღნიშნულმა მოვლენებმა საქართველოში ახალი სოციალური ჯგუფი შექმნა, რომელიც სამი ათეული წლის შემდეგაც არ კარგავს მნიშვნელობას.

დევნილობა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი მილიონობით ადამიანი ამაოდ ელის შინ დაბრუნებას და მისთვის უცხო სოციუმში მკვიდრდება. ომი და ძალადობა, სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოს განუყოფელი რეალობაა, რაც, თავისთავად, კიდევ უფრო აძლიერებს ისედაც განუსაზღვრელი რაოდენობის ლტოლვილთა ნაკადს.

„კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ განსაზღვრავს, რომ ადამიანი, ასევე, შეიძლება „დევნის მსხვერპლი გახდეს რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო“ (კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ), შესაბამისად, დევნილობის სტიგმის მატარებლები არამხოლოდ ომს გამოქცეული ადამიანები არაიან, არამედ რაიმე ნიშნის მიხედვით დაჩაგრულნიც, ამდენად, იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოცდილება სხვადასხვა ასპექტით უნდა განისაზღვროს.

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის საგანია, პოლიტიკური პროცესების ფონზე ჩამოყალიბებული სოციალური ჯგუფის, დევნილების, სოციოლოგიური მარკერების წარმოჩენა ცნობილი ამერიკელი მკვლევრის, ჯეფრი ალექსანდერის, კოლექტიური ტრავმის თეორიის კონტექსტში.

**Nia Sadagashvili**
Tbilisi State University
Bachelor
Supervisor: **Miranda Mikadze**
Doctor of Political Science,
Associate Professor

## Social Group in the Context of the Political Process

The political processes after the collapse of the Soviet Union, the conflicts in Abkhazia and Tskhinvali region, created a completely new environment in Georgia. The changes affected all spheres, especially in the political, cultural, economic and social context. The mentioned events created a new social group in Georgia, which does not lose its importance even after three decades. Displacement is one of the pressing problems of modern society. Millions of people, cut off from their native environment, wait in vain to return home and settle in a foreign society. War and violence are, unfortunately, an inseparable reality of the modern world, which, in itself, further increases the flow of already indeterminate number of refugees. The "Convention on the Status of Refugees" defines that a person can also "become a victim of persecution because of race, religion, creed, nationality, belonging to a certain social group or political opinion" (Convention on the Status of Refugees), therefore, the bearers of the stigma of displacement are not only fleeing war People are not oppressed by any means, so the experience of internally displaced persons should be defined in different aspects. At this stage, the subject of our research is the presentation of sociological markers of the social group, IDPs, formed on the background of political processes, in the context of the collective trauma theory of the famous American researcher, Jeffrey Alexander.

**ნინო კოზმავა, ზაზა ქითანავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრი
ხელმძღვანელი: **ვახტანგ მაისაია**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

## საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ურანის იზოტოპები ცენტრიფუგული მეთოდებით საბჭოთა კავშირში, პირველად საქართველოში, აფხაზეთში დაყვეს. სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში დასაქმებული გერმანელი მეცნიერების მიერ საჭირო რაოდენობით გამდიდრებული ურანი პირველი საბჭოური ატომური ბომბისთვის შესაქმნელად საკმარისი აღმოჩნდა...

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე საბჭოეთმა გამალებით დაიწყო ატომურ ბომბზე მუშაობა, რათა მასაც შეექმნა იმის საპირწონე ბომბები, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იაპონიის ქალაქებში ჩამოაგდო. პროექტის მთავარი მენეჯერი ლავრენტი ბერია, სამეცნიერო ხელმძღვანელი კი იგორ კურჩატოვი იყო. ხვდებოდნენ, რომ დრო და ამერიკული დაზვერვა მათ წინააღმდეგ მუშაობდნენ. სწორედ სამეცნიერო დროის დანაკლისის შესავსებად ხსნას იმ ერის მეცნიერებში ხედავდნენ, რომლის დასამხობადაც მანამდე ხუთი წელი ომობდნენ... ატომზე მომუშავე ბევრი გერმანელი სპეციალისტი ბრიტანეთში ან ოკეანის გაღმა, შტატებში გადაბარგდა. ბერიას ქვეშევრდომებმაც სწრაფად იმოქმედეს და ბერლინში ატომური ბომბის კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ჰიტლერის ფავორიტი მრჩეველი, მანფრედ ფონ არდენე თანამშრომლებთან ერთად სინოპში გაამწესეს. ურანის გამდიდრებაზე მუშაობდნენ აგუძერაშიც. იმ ჯგუფს ელექტრო მაგნიტური ტალღების აღმომჩენი ჰენრიხ ჰერცის შვილიშვილი, ნობელის ლაურეანტი გუსტავი ხელმძღვანელობდა. გერმანელი მეცნიერები და რიგითი თანამშრომლები მათთვის შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე სრულ კომფორტში ცხოვრობდნენ და ატომურ ბომბზე მუშაობისთვის საბჭოელ კოლეგებზე ბევრად მეტ ხელფასს იღებდნენ.

გერმანელებმა თავისი საქმე გააკეთეს - საბჭოეთის მიერ გამოცდილ ბომბში, აფხაზეთში გამდიდრებული ურანი იყო. მოგვიანებით, 1952 წლიდან გერმანელებს სამშობლოში ეტაპობრივად დაბრუნების უფლება მიეცათ. აგუძერისა და სინოპის ლაბორატორიების ბაზაზე კი სოხუმის ფიზიკა-

ტექნიკურმა ინსტიტუტმა გააგრძელა ფუნქციონირება, სადაც სამშვიდობო მიზნებისთვის ატომის გამოყენების შესაძლებლობებს ამუშავებდნენ. საქართველო ატომთან კიდევ ერთი ლაბორატორიით იყო დაკავშირებული, რომელიც 1957 წელს თბილისის მახლობლად, მცხეთის მიმდებარედ ამოქმედდა. ფიზიკის ინსტიტუტის კვლევითი ბირთვული რეაქტორი IRT-2000-ის ექსპლუატაციაში უშუალოდ ორი წლის შემდეგ შევიდა. 1990 წელს კი ბირთვული სამეცნიერო კვლევითი რეაქტორი ექსპლუატაციიდან გამოიყვანეს და ლაბორატორიამ ფუნქციონირება შეწყვიტა.


**Nino Kozmava, Zaza Chitanava**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Vakhtang Maisaia**
Professor,
Doctor of Political Sciences


**Master's Program in International Relations and International Security**

For the first time in the Soviet Union, the center of uranium isotopes was split in Abkhazia, Georgia, using the centrifugal method. Uranium enriched by German scientists employed at the Sukhumi Institute of Physics and Technology, turned out to be enough for making the first Soviet atomic bomb. Immediately after the end of the Second World War, the Soviet Union began to work on the atomic bomb in order to create a counterweight to the bombs that the United States of America dropped on Japanese cities. The main manager of the project was Lavrenti Beria, and the scientific supervisor was Igor Kurchatov. They realized that time and American intelligence were working against them. In order to fill the lack of scientific time, they saw the salvation in the scientists of the nation, which they fought to overthrow for 5 years before... Many German specialists working on the atom moved to Britain or across the ocean, to the States. Beria's subordinates also acted quickly, and the head of the atomic bomb research laboratory in Berlin, Hitler's favorite adviser, Manfred von Ardenne, along with his staff, was stationed in Sinop. They also worked on uranium enrichment in Agudzera. That group was led by Nobel Laureate Gustav, the grandson of Heinrich Hertz, the discoverer of

electromagnetic waves. German scientists and ordinary employees lived in complete comfort in the territory enclosed for them and received much higher salaries than their Soviet colleagues for working on the atomic bomb. The Germans did their job - the bomb tested by the Soviets contained uranium enriched in Abkhazia. Later, from 1952, Germans were allowed to return to their homeland gradually. On the basis of the Agudzeri and Sinop laboratories, the Sukhumi Physics-Technical Institute continued to operate, where the possibilities of using the atom for peaceful purposes were developed. Georgia was connected to Atom by another laboratory, which was put into operation in 1957 around Mtskheta, near Tbilisi. The research nuclear reactor of the Institute of Physics IRT-2000 was put into operation after 2 years. In 1990, the nuclear scientific research reactor was decommissioned and the laboratory stopped functioning.

# ჟურნალისტიკის სექცია
# Section of Journalism

## I ქვესექცია
## I Subsection

**დარეჯან ქურასბედიანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი, მე-8 სემესტრის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნანა ამირანაშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

### ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და რეაგირების ანალიზი ქართულ მულტიმედიაში (2022 წლის მაისიდან 2023 წლის მაისამდე)

ქალთა მიმართ ძალადობა მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს და გამონაკლისი არც საქართველოა. ამ გამოწვევას ებრძვიან საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, მთავრობები, სამართალდამცავები და მედია, ამიტომ აქტუალურად მიგვაჩნია, გამოვიკვლიოთ, როგორ რეაგირებს ქართული მულტიმედია ქალთა მიმართ ძალადობაზე მათი უფლებების დასაცავად.

"საზოგადოების ბედი პირდაპირ არის დამოკიდებული ჟურნალისტიკის ხარისხზე"- ამბობს თამაზ ჯოლოგუა. მართლაც, ობიექტურ, თავისუფალ და

ადეკვატურ მედიას შეუძლია, რომ საზოგადოების ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს.

როგორია ქართული მედიის როლი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების გაშუქებაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად 2022 წლის მაისიდან 2023 წლის მაისამდე ვაკვირდები ისეთ მედიაარხებს, როგორებიცაა ტელეკომპანია "იმედი", "მთავარი არხი", საზოგადოებრივი მაუწყებელი "პირველი არხი" და ონლაინ გამოცემა - "ინტერპრესნიუსი". გამოიკვეთა ტენდენცია: ოთხივე მათგანი განსაკუთრებით აქტიური იყო 25 ნოემბერს - ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს, ჩვენს ნაშრომში სამსჯელოდ გამოვიტანთ ჩამოთვლილ მედიასაშუალებებში საკითხის გაშუქების ხარისხსა და პრობლემებს, გამოვიყენებთ შემთხვევათა ანალიზს, გამოვიკვლევთ, რას მოჰყვა ყველაზე მეტი რეაგირება მედიის მხრიდან და როგორ იმოქმედა ამან მსხვერპლი ქალების ბედზე.

**Darejan Kurasbediani**
Caucasus International University,
Bachelor, student of 8th semester
Supervisor: **Nana Amiranashvili**
PHD, Associate Professor

## Analysis of detection and response to violence against women in Georgian multimedia (from May 2022 to May 2023)

Violence against women is one of the most important problems in the world, and Georgia is no exception, international and local organizations, governments, law enforcement and media are fighting this challenge, so we consider it relevant to investigate how Georgian multimedia reacts to violence against women in order to protect their rights. "The fate of society directly depends on the quality of journalism", says Tamaz Jologua. Indeed, objective, free and adequate media can change society's life for the better. What is the role of the Georgian media in covering the issues of violence against women? To answer this question, from May 2022 to May 2023, I was monitoring such media channels as "Imedi" TV company, "Mtavari Arkhi", public broadcaster "Pirveli Arkhi" and online publication "interpressnews". A trend was revealed: all of them were particularly active on November 25 - the International Day for the Elimination of Violence against

Women. In our paper, we will judge the quality and problems of coverage of the issue in the listed media outlets, use case analysis, investigate what caused the most media attention and how it affected the fate of the female victims.

**თამარ ოკუჯავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი, მე-8 სემესტრის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **რუსუდან კვარაცხელია**
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## კრიმინალის გაშუქების სპეციფიკა (ტელეკომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებლის" საინფორმაციო პროგრამა „მოამბის" 2023 წლის იანვარ-აპრილის მაუწყებლის მაგალითზე)

„ჟურნალისტიკა ისეთივე ძველი პროფესიაა, როგორიც… ერთი სიტყვით, ის მეორე უძველესი პროფესიაა" - რობერტ სილვესტერი. თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში მედიას თავისი როლი აქვს. ყველა ადამიანს აქვს სიახლის გაცნობის მოთხოვნილება. ჟურნალისტიკა კი სწორედ ამ საქმეს, ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და გავრცელებას ემსახურება. კრიმინალური ფაქტები და ანტისოციალური ქცევა იმ თემათაგანია, რომელსაც მედია აშუქებს იმისთვის, რომ მოქალაქეებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია ჰქონდეთ. ჩვენს რეალობაში კი, რიგ შემთხვევებში, მედიასაშუალებები მსგავს მოვლენებს ნახვადობის გასაზრდელად იყენებენ, რაც ჟურნალისტურ ეთიკას სცილდება.

„პირველი არხი" ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებელია. შესაბამისად, მისი საქმიანობა აბსოლუტურად ხალხის გამოძახილი უნდა იყოს. სხვა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებთან შედარებით, ის თავის მოვალეობას საკმაოდ დაბალანსებულად ასრულებს კიდეც, თუმცა ჩემ მიერ საინფორმაციო პროგრამა „მოამბეზე" ოთხთვიანი დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ კრიმინალის გაშუქებასთან დაკავშირებით გარკვეული ხარვეზებია. უკვე აღარ დაობენ იმაზე, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ქცევაზე ტელევიზიის ზემოქმედების ძალა მნიშვნელოვნად დიდია. შესაბამისად, სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, მასობრივი კომუნიკაციის

საშუალებები კონკრეტული საკითხების გაშუქებას დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდონ.

interpressnews–ის, on.ge–სა და kommersant.ge-ის შესწავლამ ცხადყო, რომ მედიასაშუალებების პრიორიტეტებში ოკუპირებული აფხაზეთის რეალობის გაშუქება ნამდვილად შედის, თუმცა გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, რომელთა გამოსწორების მიზნით, სათანადო რეკომენდაციების გათვალისწინება ჩვენი მედიასაშუალებებისათვის სასარგებლო იქნება.

**Tamar Okujava**
Caucasus International University,
Bachelor, student of 8th semester
Supervisor: **Rusudan Kvaratskhelia**
Doctor of Arts, Associate Professor

## The specifics of crime coverage
## (On the example of the January-April 2023 broadcast of the "Moambe" news program of the "Public Broadcasting" TV company)

"Journalism is as old a profession as... in short, the second oldest profession" – Robert Sylvester. Media has its own role in the life of each of us. All people have a need to understand new things. And journalism serves exactly this purpose, obtaining-processing-disseminating information. Criminal facts and anti-social behavior are among the topics that the media covers in order to inform the citizens about the current events in the country. In our reality, in some cases, media outlets use such events to increase visibility, which goes beyond journalistic ethics. For example, the "First Channel" is the public broadcaster of our country. Therefore, its activities should find a full response from the people. Compared to other media outlets, it performs its duty in a balanced manner, however, as a result of my four-month observation of the "Moambe" news program, it was revealed that there are some shortcomings in the coverage of crime. It is no longer disputed that the influence of television on public consciousness and behavior is extremely large. Accordingly, that is why it is significant that the means of mass communication take the coverage of specific issues with great responsibility.

**კლარიტა გელაშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი, მე-6 სემესტრის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლევან ბებურიშვილი,**
ფილოლოგიის დოქტორი,
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

## ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში

მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკა ცენზურასთან ბრძოლაში ვითარდებოდა. იმ პერიოდში ხელისუფლების წარმომადგენლები მათთვის საწინააღმდეგო პროცესების, მოვლენების შეცვლას, გადაკეთებასა თუ გაქრობას სხვადასხვა გზით ცდილობდნენ.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია მე-19 საუკუნის უდიდესი ქართული პერიოდული გაზეთების - „საქართველოს მოამბისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ერის განათლების, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების საქმესა თუ სამოქალაქო ცნობიერების ფორმირებაში. ეს ის პერიოდია, როდესაც პრესა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენდა. იმხანად სწორედ პრესა იყო ის მძლავრი საშუალება, რომელიც მასობრივ აუდიტორიაზე გადიოდა და მარტივად შეეძლო საზოგადოებაში არსებული განწყობების შეცვლა ან ახლის დამკვიდრება.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა ძალიან დიდი და მრავალფეროვანია. მისი მოღვაწეობა ერწყმოდა პოლიტიკურ სფეროს. იგი დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას, ინფორმაციულად ჩართული იყო მსოფლიოს პოლიტიკური და კულტურული ტენდენციების პროცესში და ცდილობდა, დაემკვიდრებინა ის ეთიკა, რომელსაც სოციალური თვალსაზრისით ევროპა ამკვიდრებდა.

**Klarita Gelashvili**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Baccalaureate, 6th semester
Supervisor: **Levan Beburishvili**
Doctor of philology, Associate Professor of TSU

## The influence of Ilia Chavchavadze's publicism on the formation of public opinion

Georgian journalism of the 19th century was developing in the fight against censorship. During that period, government officials tried to change, transform or disappear the processes and events against them in different ways

The present paper analyzes the materials published on the pages of the 19th century's largest Georgian periodicals „Sakartvelos moambe” and Iveria” which played a major role in the nation's education, political, economic, and cultural development, as well as in the formation of civic consciousness. This is the period when the press had a great influence on the formation of public opinion. At that time, the press was a powerful medium that reached a mass audience and could easily change existing attitudes in society or established new ones.

Ilia Chavchavadze's journalistic heritage is very large and diverse. His work was combined with the political sphere. He was engaged in journalistic activity for a long time, was aware of the political and cultural trends of the world and tried to establish the ethics that Europe was establishing from a social point of view.

**მარიამ არდაშელია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრი, მე-8 სემესტრის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზაზა ცოტნიაშვილი**
მეცნიერებათა დოქტორი მედიის
მიმართულებით, პროფესორი

## აფხაზეთის პრობლემების გაშუქება ქართულ და აფხაზურ მედია საშუალებებში

აფხაზეთის პრობლემის გაშუქება ქართულ და აფხაზურ მედია საშუალებებში მნიშვნელოვანია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების

განვითარების თვალსაზრისით. აფხაზური მედასაშუალება „апсныпрес“-ი, ქართული on.ge და ინტერპრესნიუსი გამოირჩევიან საკითხის გაშუქებით. ზოგადად ქართული მედია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების გაშუქების კუთხით დიდი აქტიურობით არ გამოირჩევა. აშუქებენ კონკრეტული დროითი მონაკვეთისთვის აქტუალურ თემებს, მაგალითად, როგორიცაა: გადაადგილების შეზღუდვა ენგურის ხიდზე, უკანონო დაკავებების კონკრეტული შემთხვევები და სხვა.ისინი თემის ზოგადი მიმოხილვითა და პოლიტიკოსების კომენტარებით შემოიფარგლებიან. ამ კუთხით არც ზემოთ ხსენებული ვებგვერდები გამოირჩევა.

რაც შეეხება აფხაზურ მედიას, ის აქტიურად აშუქებს იქ მიმდინარე მოვლენებს თუმცა გასათვალისწინებელია კონტექსტი, ისინი რუსული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ არიან და ეს ეტყობა თითოეულ მასალას.

აფხაზურ და ქართულ მედიასაშუალებებში განსხვავებული დამოკიდებულებაა საკითხებისადმი, რაც გაუცხოებით და განსხვავებული პოზიციების მქონე აუდიტორიით არის გამოწვეული.

აფხაზური მედია სრულად იზიარებს რუსულ ნარატივებს. მედიის როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში დიდია, ამიტომაც უწოდებენ მას „მეოთხე ხელისუფლებას“. მნიშვნელოვანია საზოგადოებას ჰქონდეს სწორი და ობიექტური ინფორმაცია. ამ თვალსაზრისით ქართული მედია გამოირჩევა.

**Mariam Ardashelia**
Caucasus International University,
Bechalor, student of 8th semester
Supervisor: **Zaza Tsotniashvili**
Doctor of Sciences in the Direction of Media,
Professor

## Coverage of Abkhazia's problems in Georgian and Abkhaz media

The coverage of Abkhazia’s problems in Georgian and Abkhaz media is key for approach to current Georgian-Abkhazian relations. Abkhazian media “апсныпрес”, and Georgian on.ge and Interpressnews are covering the everyday life in Abkhazia. The Georgian media is not very active in covering the current situation in the occupied territories. They cover topics such as: restriction of movement on the Enguri Bridge, specific cases of illegal detentions, and others. They are limited to

general overview of the topic and comments of politicians. In this regard, the websites mentioned above do not stand out either.

As for the Abkhazian media, it actively covers the current events there. However, given the context, they are influenced by Russian ideology, and this is evident in each of the materials. Abkhazian end Georgian media have a different attitude towards issues, caused by alienation and audiences with different positions.

Abkhazian media fully shares Russian narratives. The role of the media in shaping public opinion is great, that's why they call it the "fourth government". It is important for society to have correct and objective information

**მარიამ ვეკუა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი, მე-2 სემესტრის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო მინდიაშვილი**
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## თეატრი ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში

ქართული თეატრის ისტორია შორეული წარსულიდან მომდინარეობს და განსაკუთრებულ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში განსხვავებულია მიდგომა თეატრისა თუ დრამატურგიული თხზულებებისადმი, თუმცა, ისტორიული წყაროებით დასტურდება ქართველების დამოკიდებულება თეატრის, როგორც კულტურული მოვლენის მიმართ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში კულტურული პროცესების ასაღორძინებლად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. 1945 წელს თბილისში საფუძველი ეყრება რუსულ დრამატულ თეატრს, ხოლო, 1950 წელს, გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით, მუშაობას იწყებს ქართული პროფესიული თეატრი. აღსანიშნავია, რომ ქართული თეატრის მნიშვნელობის საკითხი საინტერესოდ არის წარმოჩენილი მე-19 საუკუნის ქართულ პუბლიცისტიკაში, თუმცა, ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის საგანია ილია

ჭავჭავაძის ის პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც ქართული თეატრია წარმოჩენილი და განხილული.

შესწავლილი მასალის საფუძველზე, ცხადდება, რომ ილია ჭავჭავაძე უმნიშვნელოვანეს კულტურულ მოვლენად მიიჩნევს ქართული თეატრის არსებობას, რომელსაც ქართული ნაციონალური იდენტობის და სოციალურ-პოლიტიკური სტატუსის წარმოჩენისა და შემეცნების მნიშვნელოვანი მექანიზმები გააჩნია.

**Mariam vekua**
Caucasus International University
Bachelor, student of 2nd semester
Supervisor: **Nino Mindiashvili**
Doctor of Philology,
Associate Professor

## Theatre in Ilia Chavchavadze public paper

The history of the Georgian theater originates from the distant past and plays a special role in forming public opinion. In different historical eras, there are different approaches to theater and dramaturgy, however, historical sources confirm the dedication of Georgians to theater as a cultural event. Since the second half of the 19th century, active work has been going on to revive cultural processes in Georgia. In 1945, the foundations of the Russian Drama Theater were laid in Tbilisi, and in 1950, under the leadership of Giorgi Eristavi, the Georgian Professional Theater began its work. It should be noted that the issue of the importance of the Georgian theater is interestingly presented in the Georgian journalism of the 19th century, however, at this stage, the subject of our interest is the journalistic letters of Ilia Chavchavadze, in which the Georgian theater is presented and discussed. Based on the studied material, it is clear that Ilia Chavchavadze considers the existence of the Georgian theater to be the most important cultural event, which has important mechanisms for presenting and recognizing the Georgian national identity and sociopolitical status.

**ნინო ოთარაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი, მე-2 სემესტრი
ხელმძღვანელი: **ნინო ქალაგანიძე**
ჟურნალისტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**ტელეწამყვანი: პიროვნული თვისებები და პროფესიული უნარები (ტელეკომპანია „იმედის" საინფორმაციო პროგრამა „ქრონიკის" 17:00 საათიანი გამოშვების მიხედვით; საკვლევი პერიოდი 13/10/2022 – 31/10/2022)**

დღეს დავას აღარ იწვევს, რომ XXI საუკუნე ინფორმაციის ერაა და მისი ზემოქმედების ძალა საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ადამიანთა ქცევაზე კიდევ უფრო გაიზრდება.

აღნიშნულის საუკეთესო მაგალითად შეიძლება (ტელეკომპანია „იმედის" ფუნქციონირება მივიჩნიოთ. ჩვენი საკვლევი თემა კი ტელეკომპანია „იმედის" საინფორმაციო პროგრამა „ქრონიკის" 17:00 სთ-იანი გამოშვებას უკავშირდება.

კვლევის მიზანია, შევისწავლოთ, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული საინფორმაციო პროგრამა პროფესიულ სტანდარტსა და ეთიკის ნორმებს; რა როლი ეკისრებათ ახალი ამბების ჟურნალისტებს საინფორმაციო პოლიტიკის განსაზღვრასა და აღსრულებაში.

კვლევის თეორიული ჩარჩო დღის წესრიგის თეორიას უკავშირდება, რომელიც ფართოდაა აპრობირებული პოლიტიკური კომუნიკაციისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევებში.

დღის წესრიგის თეორიის შექმნის საფუძველი პრობლემურ საკითხებზე კონცენტრირებაა: როგორ წარმოიქმნება, როგორ იცვლება, როგორ ხდება კომუნიკაცია და მასზე ზემოქმედება პროცესში მონაწილეთა მიერ.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ შესწავლილი პროგრამა და მისი განმახორციელებელი ჟურნალისტები ცდილობენ, აუდიტორიას მიაწოდონ უტყუარი ინფორმაცია. აუდიტორიას სურს იცოდეს ფაქტები და ჟურნალისტები ვალდებულნი არიან, შეატყობინონ მათ აუხლესი ინფორმაცია. მთავარია, მედიატექსტის ფორმატში ჟურნალისტის როლი და მიზანი მკაფიოდ იყოს დაცული.

**Nini Otarashvili**
Caucasus International University,
Bachelor, student of 2nd semester
Supervisor: **Nino Chalaganidze**
Doctor of Journalism, Associate Professor
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**TV presenter: personal qualities and professional skills (TV company "Imedi" news program "Chronika 17:00 according to the hourly release; study period 13/10/2022 – 31/10/2022)**

At present, it is no longer disputed that the XXI century is the era of information and the power of its impact on public consciousness and human behavior will increase even more. The best example of this can be considered the operation of Imedi TV company. Our research topic is related to the 17:00 release of "Chronica" news program of Imedi television company.

The purpose of the research is to study the extent to which the mentioned information program meets professional standards and ethical norms. What is the role of news journalists in determining and enforcing information policy.

The theoretical framework of the research is related to agenda theory, which is widely tested in political communication and public opinion studies. The base for creating agenda theory is to focus on problematic issues how they arise, how they change, how they are communicated and influenced by the participants in the process.

The results of the research confirm that the studied program and the journalists implementing it try to provide the audience with reliable information. Auditoria wants to know the facts and journalists are obliged to inform them of the latest information. The main thing is that the role and purpose of the journalist should be clearly protected in the format of the media text.

**ნინო შავლაძე, ანამარია ხეთაგური**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ნინო ქალაგანიძე**
ჟურნალისტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

# დილის საინფორმაციო-გასართობი პროგრამების ფუნქციონირების თავისებურებები ტელეკომპანია "იმედის" დილის საინფორმაციო-გასართობი პროგრამის: "იმედის დილის" მაუწყებლობის მაგალითზე

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ის გავლენას ახდენს სოციუმის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ დღის წესრიგზე, რითაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობაში. გამოსახვითი საშუალებების მდიდარი არსენალის წყალობით, გავლენის თვალსაზრისით, ტელევიზია გამოირჩევა. ის ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, ხასიათდება ოპერატიულობით და უწყვეტი რეჟიმით ურთიერთობს მასობრივ აუდიტორიებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ტელევიზიის სოციალური პასუხისმგებლობა ძალზე მაღალია. მისი პოლიფუნქციური მნიშვნელობა კი ყველაზე უკეთ დილის გადაცემებში (breakfast television) ვლინდება, რომელთა აუდიტორიაც ყველა ჯგუფისა და ტიპის მაყურებლისგან შედგება. საგულისხმოა, რამდენად ახერხებენ ქართულ ტელემედიაში დილის პროგრამები დასახული მიზნების მიღწევას და საზოგადოებისათვის მაღალი ხარისხის ჟურნალისტური პროდუქტის მიწოდებას? სწორედ ამ საკითხის შესწვლა წარმოადგენს წინამდებარე კვლევის მიზანს, რომლის ფარგლებში საკვლევ ობიექტად შეირჩა კერძო ტელეკომპანია „იმედის" დილის საინფორმაციო-გასართობი პროგრამა „იმედის დილა". ნაშრომის ფარგლებში შესწავლილია დილის საინფორმაციო-გასართობი პროგრამის მიზანდასახულობა, თემატურ-ჟანრული სტრუქტურა, წამყვანთა პერსონიფიკაცია, შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტსა და ეთიკურ ნორმებთან. დასკვნებს ახლავს პრაქტიკული რეკომენდაციები.

**Nino Shavladze, Anamaria Khetaguri**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Bachelor
Supervisor: **Nino Chalaganidze**
Doctor of Journalism, Associate Professor
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

## Peculiarities of functioning of morning informative-entertainment programs TV company "Imedi" on the example of the morning informative-entertainment program: "Imedis Dila"

Means of mass communication are inseparable part of public life. They influence the socio-political and cultural agenda of the society and make a significant contribution in the development process of a democratic state and society. Thanks to its rich arsenal of visual media, television stands out in terms of influence. It is one of the main sources of information and it is characterized by operationality and interacts with mass audiences in continuous mode. Based on the information given above, social responsibility of television is high, its polyfunctional significance is perfectly demonstrated in morning shows (breakfast television), the audience of morning programs consists from dissimilar types of viewers and groups. By that means, it's interesting to what extent morning programs in Georgian TV media are able to achieve set goals and provide high-quality journalistic product to public? The aim of the study is to investigate the above-mentioned issue. As a research object was selected the private TV company "Imedi" and its morning informative-entertainment program "Imedis Dila". In the framework of the research we have investigated the purposfulness of morning informative-entertainment program, thematic-genre structure, the personification of the presenters and if professional standards and ethical norms are taken into consideration. Conclusions are followed by practical recommendations.

**ნინო ვარდიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი, მე-4 სემესტრის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ქალაგანიძე,**
ჟურნალისტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**პერსონიფიკაცია ახალ ამბებში („ტელეკომპანია რუსთავი 2“-ის საინფორმაციო პროგრამა ,,კურიერის" 21:00 სთ.-იანი გამოშვების 2022 წლის მაუწყებლობის მაგალითზე)**

სადღეისოდ, საინფორმაციო მაუწყებლობის სფეროში პერსონიფიკაციის საკითხი გამორჩეულად აქტუალურია, ვინაიდან ჟურნალისტი პირდაპირაა პასუხისმგებელი მის მიერ გადაცემული ინფორმაციის სანდოობაზე, მის ხარისხსა თუ აღქმის შედეგებზე. აქედან გამომდინარე, წამყავანისა და აუდიტორიის ურთიერთობის პროცესი პირდაპირპროპორციულად უნდა უკავშირდებოდეს ტელეპერსონის პროფესიონალიზმს, რაც სპეციფიკურ ფაქტორთა ერთობლიობას მოიცავს და კონტენტის ეფექტიანობის ძირითადი მსაზღვრელია.

პერსონიფიკაციის არსის, მისი მნიშვნელობისა და ეფექტის შესწავლაა წინამდებარე საკონფერენციო ნაშრომის მიზანი. ესაა მცდელობა, შევისწავლოთ თანამედროვე საკომუნიკაციო (საინფორმაციო) სივრცის ძირითადი მახასიათებლები და წარმოვაჩინოთ პერსონიფიცირებული ინფორმაციის მნიშვნელობა. კვლევის ობიექტი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვება, ,,კურიერია’’, რომელიც ეთერში დღეში შვიდჯერ გადის. უკვე ორი ათწლეულია “კურიერის” ჟურნალისტები ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე უმნიშვნელოვანეს მოვლენებს დღის განმავლობაში ოპერატიულად გვაწვდიან. საღამოს 9 საათზე კი მთავარი საინფორმაციო გამოშვება აჯამებს დღის ამბებს.

ნაშრომში გამოყენებულია კონტენტ-ანალიზის მეთოდი. კონკრეტული მაგალითების შესწავლითა და განხილვით შესაძლებელი გახდა წამოყენებული ჰიპოთეზების დადასტურება.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოვლენილ იქნა კონკრეტული გადაცდომები, რომლებიც საინფორმაციო გამოშვების ტექნიკურ ხარვეზებსა და არაეთგვაროვან სამაუწყებლო ბადეს უკავშირდებოდა.

**Nino Vardiashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Nino Chalaganidze**
Doctor of Journalism, Associate Professor
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

## Personification in news (on the example of 2022 broadcast of 21:00 edition of the Rustavi 2 TV news program "Courier")

As of today, the issue of personification in the field of news broadcasting is extremely actual, as the journalist is directly responsible for reliability of the information transmitted by him/her, its quality and results of perception. Based on this, the process of the relationship between the presenter and the audience should be directly proportional to the professionalism of the teleperson, which includes a set of specific factors and is the main determinant of the content effectiveness.

The purpose of this conference paper is to study the essence of personification, its meaning and effect. This is an attempt to study the main features of the modern communication (information) space and demonstrate the importance of personalized information. The object of the study (research) is “Courier” news program of "Rustavi 2" TV station, which is aired seven times a day. Already for two decades, “Courier” journalists have been providing us with the most important events taking place in the country and outside it throughout a day. At 9 o'clock in the evening, the main news program summarizes the news of the whole day.

Studying the specific examples made it possible to confirm the proposed hypotheses. In addition, the paper revealed specific violations related to technical deficiencies in the discussion of the news release and non-standard broadcasting network.

**რუსუდან ლალოშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი, მე-4 სემესტრის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ქალაგანიძე,**
ჟურნალისტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

## ინფორმაციის პერსონიფიკაცია, როგორც ტელევიზიის ეფექტიანობის ერთ-ერთი პარამეტრი (ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 21:00 საათიანი „კურიერის“ მაგალითზე; საკვლევი პერიოდი 12/10/2022 - 1/11/2022)

ნაშრომში წარმოდგენილია ის ვერბალური და არავერბალური მეთოდები, რომლებსაც ტელეწამყვანები იყენებენ სატელევიზიო დისკურსში აუდიტორიაზე ეფექტიანი ზემოქმედებისთვის. ემპირიულ მაგალითად განხილულია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გადაცემა „კურიერი“. შევისწავლეთ მისი ისტორია და განვითარების ეტაპები. ჟურნალისტების საქმიანობაზე დაკვირვებით, გავაანალიზეთ მათი პერსონიფიკაციის ხარისხი, პროფესიული თვისებები, პრაქტიკული უნარები და ემოციური განწყობა.

ნაშრომში აღწერილია სატელევიზიო ახალი ამბების წამყვანის იმიჯის აღქმის ძირითადი ასპექტები; ტელეწამყვანების სასურველი მახასიათებლების ანალიზის მეთოდოლოგია, რომელსაც აუდიტორია აფასებს კონკრეტული თვისებების ერთობლიობით.

ნაშრომის მიზანია ტელეწამყვანის განზოგადებული იმიჯის სტრუქტურის შესწავლა საინფორმაციო გადაცემების მაყურებლების აღქმაში. ნაშრომის მეთოდოლოგია ეყრდნობა კონტენტ-ანალიზს, რომლის დახმარებით გაცხადდა, რომ „კურიერის“ წამყვანები შესაბამისი სტანდარტების დაცვით, უწყვეტად აწვდიან მაყურებელს ახალ ამბებს. პროგრამა გამოირჩევა ექსკლუზიური მასალით. პროდუქციის ხარისხს განაპირობებს მაყურებლებისათვის ზუსტი, კვალიფიციური და სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდება.

**Rusudan Iaghoshvili**
Caucasus International University
Bachelor: student of 4th semester
Supervisor: **Nino Chalaganidze**
Doctor of Journalism, Associate Professor
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

## Personification of information as one of the parameters of television effectiveness (on the example of "Courier" at 21:00 of TV company "Rustavi 2"; research period 12/10/2022 1/11/2022)

As an empirical example is considered the news program "Courier" of TV company "Rustavi 2". We have studied its history and stages of development. By observing the activities of journalists, we analyzed their personification degree, professional qualities, practical skills and emotional mood. The work describes the main aspects of the perception of TV news anchor image; the methodology for analyzing the desired characteristics of TV presenters, which is valued by the audience by a set of specific qualities. The aim of the work is to study the structure of the generalized image of TV presenter in the perception of the news programs viewers. The methodology of work is based on the content analysis, with the help of which it was declared that the presenters of "Courier" continuously provide news to the viewers, following the relevant standards. The program is distinguished by exclusive material. The quality of the products is determined by provision of accurate, qualified and in-depth information to the viewers.

**თამარ კობერიძე**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **ნინო მინდიაშვილი**
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## აფხაზეთი თანამედროვე პუბლიცისტიკაში

ქართულ საზოგადოებაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად კვლავ აფხაზეთი განიხილება. საგულისხმოა, რომ აფხაზეთის თემას ეძღვნება არაერთი სამეცნიერო თუ საკვალიფიკაციო ნაშრომი, რაც, დღევანდელი პოლიტიკური ვითარებისა თუ აფხაზეთის ამჟამინდელი სტატუსის გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივია.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის თემა სხვადასხვა კონცეპტუალური დატვირთვითა და სიხშირით წარმოჩენილია ქართულ პუბლიცისტიკაში, რაც წარმოადგენს კიდეც ჩვენი ინტერესის საგანს. შევისწავლეთ აკაკი ბაქრაძის, ვახტანგ ჭელიძის, ნოდარ დუმბაძისა და ბექა ქურხულის პუბლიცისტური წერილები აფხაზეთის ომისა და, ზოგადად, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ამ მხარეში განვითარებული მოვლენების შესახებ. კვლევაში გამოყენებულია მასალები აკაკი ბაქრაძის წიგნიდან_„აფხაზეთისათვის“, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა დროს დაბეჭდილი პუბლიკაციები აღნიშნული ავტორისა. ყურადღება გამახვილებულია ომისწინა პერიოდში აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე, რამაც, ფაქტობრივად, განაპირობა საუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის რღვევა აფსუებსა და ქართველებს შორის.

ჩვენი აზრით, საინტერესოა ვახტანგ ჭელიძის ისტორიული წერილი, რომელშიც ავტორი საუბარობს თედო სახოკიას მიმოწერის შესახებ ივანე მაჩაბელთან, რომელიც ეხება ივანე მაჩაბლის სოხუმის მერად არჩევის საკითხს და ამავდროულად, იხსენებს სახოკიას ეთნოგრაფიულ ნარკვევს „სამურზაყანო და აფხაზეთი“. რაც შეეხება ნოდარ დუმბაძის წერილს _ „გული“, ავტორმა შოთა ნიშნიანიძის ლექსის - „აფხაზური კანტატა“ - გავლენით დაწერა. მწერალი მორდუობის, მეგობრობასა და სხვადასხვა ეთნოსს შორის არსებულ გრძნობათა სიწრფელეს წარმოაჩენს. ბექა ქურხულის პუბლიცისტური წერილი კი უშუალოდ ომის თემატიკას ეხება. მასში მთელი სიმძაფრით წარმოჩნდება ტრავმული ნარატივი.

**Tamar Koberidze**
Sokhumi State University,
Doctoral
Supervisor: **Nino Mindiashvili**
Doctor of Philological Sciences,
Associate Professor

## Abkhazia in the modern publicism

Abkhazia is still considered one of the actual issues in the Georgian society. It is significant, that a number of scientific and qualification works are devoted to the topic of Abkhazia, which is completely natural considering the current political situation and the current status of Abkhazia. It should be mentioned that the topic of Abkhazia is presented in Georgian journalism with different conceptual aspects and frequency, which is really the subject of our interest. We have studied publicistic letters of Akaki Bakradze, Vakhtang Chelidze, Nodar Dumbadze and Beka Kurkhuli about the war in Abkhazia and, in general, the events that developed in this area in the 80s-90s of the previous century. Some materials from Akaki Bakradze's book "For Abkhazia" are used in the research, where publications of the mentioned author, published at different times are collected. Attention is focused on the processes taking place in Abkhazia during the pre-war period, which, in fact, caused the breaking of the age-old brotherhood and friendship between the Abkhazians and Georgians. In our opinion, Vakhtang Chelidze's historical letter is interesting, in which the author talks about Tedo Sakhokia's correspondence with Ivane Machabeli. The correspondence is about the election of Ivane Machabeli as the Mayor of Sokhumi and at the same time, recalls Sakhokia's ethnographic essays "Samurzakano and Abkhazia". As for Nodar Dumbadze's letter "Heart", the author was influenced by Shota Nishnianidze's poem "Abkhazian Cantata". The writer describes friendship and sincerity of feelings between different ethnic groups. Whereas, Beka Kurkhuli's publicistic letter is directly on the topic of war. A traumatic narrative appears in it with all its intensity.

**თეონა გოგოლაძე, დიანა თირქია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი, მე-2 სემესტრის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ ავალიანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის,
ასოცირებული პროფესორი

# ჟურნალისტური ეთიკის დილემები საქართველოში

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია არის ჟურნალისტთა დამოუკიდებელი გაერთიანება, რომლის მისიაა, პროფესიული და ეთიკური სტანდარტის დაცვისა და თვითრეგულირების მექანიზმების შექმნის გზით, მედიის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლება. თუმცა, დღეს საქართველოში პროფესიული მოვალეობა ეთიკის ნორმების დარღვევით სრულდება.

გავიხსენოთ 2022 წლის 28 ნოემბრის ფაქტი, როდესაც "იმედის&quot ჟურნალისტმა,

პირდაპირ ეთერში გასული სიუჟეტიდან მოქალაქეების მიმართ მონაცემების მოპოვება-დამუშავების ფაქტზე საკითხის შესწავლა დაიწყო. ის კრიტიკული კომენტარების ავტორებს ურეკავს და პასუხს სთხოვს.

ეს საკითხი დაკავშირებულია მაუწყებელთა ქცევის კოდექსთან, რომლის დაცვა ყველა ტელე-რადიოსთვის სავალდებულოა. ამაში 34-ე მუხლიც გვარწმუნებს: ,,მაუწყებელმა პროგრამების მომზადებისას და მათი ეთერში გაშვებისას არ უნდა დაუშვას ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა. მაუწყებელი ვალდებულია დაიცვას ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და

ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლეგიტიმურ მოლოდინს შორის".

საბოლოო ჯამში, ჟურნალისტის მიზანი ყოველთვის უნდა იყოს გონივრული ბალანსის დაცვა, ეთიკური პრინციპების წინ წამოწევა. არ უნდა დაგვავიწყდეს ქარტიის 10 პრინციპი, სადაც საუბარია, რომ ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას სხვის პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.

**Teona Gogoladze, Diana Tirkia**
Caucasus International University,
Bachelor, student of 2nd semester
Supervisor: **Tamar Avaliani**
Caucasus International University
Associate Professor

## Dilemmas of journalistic ethics in Georgia

The Charter of Journalistic Ethics of Georgia is an independent association of journalists whose mission is to increase the public responsibility of the media through the protection of professional and ethical standards and the creation of self-regulation mechanisms. However, today in Georgia the professional duty is fulfilled by violating the norms of ethics.

Let's recall the fact of November 28, 2022, when "Journalist of Imedi" started to study the issue of obtaining and processing data on citizens from a live story. He calls the authors of critical comments and asks for an answer.

This issue is related to the code of conduct of broadcasters, the observance of which is mandatory for all TV-radios. Article 34 assures us of this: "While preparing programs and airing them, the broadcaster should not allow infringement of the right to inviolability of a person's private life." The broadcaster is obliged to maintain a balance between freedom of information and the legitimate expectation of inviolability of a person's private life".

Ultimately, a journalist's goal should always be to maintain a reasonable balance, to promote ethical principles. We should not forget the 10 principles of the Charter, where it is said that a journalist should respect a person's private life and not invade another's private life, unless there is a special public interest.

**ლიკა ფაჩუაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი, მე-6 სემესტრის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზაზა ცოტნიაშვილი,**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ჟურნალისტიკაში, პროფესორი

## უკრაინის  ომის გაშუქება
## (საზოგადოებრივი მაუწყებელი, თებერვალი, 2023წ.)

სსმ ერთ-ერთი ოპერატიული და დაბალანსებული მედიასაშუალებაა, იგი ორიენტირებულია საზოგადოებაზე, მის მუდმივ განვითარებაზე და ამაზე მისი გადაცემებიც მიუთითებს. არხის ოფიციალური ვებგვერდია „1tv.ge". საყურადღებოა მისი აპლიკაცია, რომელიც ამარტივებს პროგრამების ნახვას. ის დაყოფილია რუბრიკების მიხედვით: სპორტი, კულტურა, ეკონომიკა და სხვა, მაგრამ ბოლო ერთი წელია ჩამონათვალს დაემატა უკრაინის ომის რუბრიკა. სსმ ომის პირველივე დღიდან აქტიურად ავრცელებს ინფორმაციას საომარი ვითარების შესახებ; აშუქებს ომს და ქმნის მრავალ გადაცემას ამ საკითხზე. არხზე მთავარი საინფორმაციო საშუალება მოამბეა, რომელიც იყოფა ოთხ ნაწილად, სსმ გამოხატავს უკრაინისადმი თანადგომას, გმობს აგრესიას და აქტიურად აშუქებს მიმდინარე მოვლენებს.

უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ თავად ტელევიზიამ უკრაინაში გააგზავნა ჟურნალისტი ლევან ახალაია, რომელიც მაყურებელს აცნობდა იქაურ სიტუაციას, გვაჩვენებდა ომის რეალურ სახეს, დაზარალებულ და შეშინებულ ხალხს, მათ კომენტარებს, საცხოვრებელ პირობებს და ა.შ იმ დროისთვის გამოშვების სახელწოდება იყო შემდეგი - „|ვითარება უკრაინაში - „მოამბე" კიევიდან. "

ბოლო ერთი წელია პირველი არხის საინფორმაციო გამოშვება სწორედ რუსეთ-უკრაინის ომით იწყება.

ჩვენი დაკვირვების პერიოდი მნიშვნელოვანია ომის წლისთავისადმი მიძღვნილი საინტერესო სიუჟეტებითა და გადაცემებით, რაც კონფლიქტების გაშუქების მიმართულებით ქართული ჟურნალისტიკის ახალ საფეხურს ქმნის.

**Lika Pachuashvili**
Caucasus International University,
Bechelor
Supervisor: **Zaza Tsotniashvili**
Doctor of Social Sciences
in Journalism, Professor

# Coverage of the war in Ukraine
# (Public Broadcaster, February, 2023)

Georgian Public Broadcasting is one of the operative and balanced media outlets, which is focused on society and its development. The official website of the channel is “1tv.ge.” We should mention that the channel has an application which makes it easier to see and view programs. It’s divided according to the rubrics: Sports, Economy , Culture and others, but in the last year program added one rubric to the list which is about the Ukrainian war.

The main news outlet on the channel is “Moambe” which was in four parts. They created many programs on this subject. Since the first day of war, GPB has been spreading information about the war, covers it and the situations there.

GPB expresses their support for Ukraine, they condemn aggression and covers current events. We should note the fact that the television sent a journalist to Ukraine itself. This journalist is Levan Akhalaia, who provides the audience information about the war. He showed us the real face of the war, the affected and frightened people, their comments, places of residence, etc.

The title of the release was as follows- “ in Ukraine-Tell from Kiev.“For the last year, the channel‘s news program has started with the Russia-Ukraine war.

The period of our observation is important with interesting stories and programs dedicated to the anniversary of the war, which creates a new level of Georgian journalism in the direction of conflict coverage.

# ჟურნალისტიკის სექცია
# Section of Journalism

## II ქვესექცია
## II Subsection

**ელენე ჩხეიძე**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა,
ხელმძღვანელი: **ნინო მინდიაშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

### ჟურნალი "ჩვენი მწერლობა" - ლიტერატურული დისკურსი (2015 წელი)

ქართული პრესა თავისი არსებობის განმავლობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა კულტურული პროცესების წარმოჩენასა და განვითარებაში, რაც არაერთი პერიოდული გამოცემის შესწავლით დასტურდება.

თანამედროვე საქართველოში არსებობს პერიოდული გამოცემები, რომლებმაც, ერთი მხრივ, ხელი შეუწყეს ახალი ავტორების წარმოჩენასა და პოპულარიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, სალიტერატურო კრიტიკის საინტერესო ნიმუშებიც შემოგვთავაზეს. ამ ეტაპზე, ჩვენი ინტერესის საგანია ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე), რომელშიც ყურადღებას ვამახვილებთ ლიტერატურული პროცესის წარმოჩენის დინამიკაზე და იმ საინტერესო კონცეპტებზე, რომლებითაც ხასიათდება თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკა.

შესწავლილი მასალის საფუძველზე ცალსახად შეიძლება გამოიკვეთოს ჟურნალის ერთ-ერთი მთავარი მარკერი, წარმოაჩინოს და შეაფასოს

თანამედროვე ლიტერატურული პროცესი, რაც, უდავოდ, ემსახურება სწორი მსოფლმხედველობრივი ორიენტირების ჩამოყალიბებას პერიოდული გამოცემის მკითხველში.

**Elene Chkheidze**
Sokhumi State University,
Doctoral
Supervisor: **Nino Mindiashvili**
Doctor of Philological Sciences,
Associate Professor

## Magazine "Our Writing" - Literary Discourse (2015)

During its existence, the Georgian press has played a special role in the development of cultural processes, which is confirmed by the study of numerous periodicals. In modern Georgia, there are periodicals, which, on the one hand, contributed to the presentation and promotion of new authors, and, on the other hand, offered us interesting examples of literary criticism. At this stage, the subject of our interest is the magazine "Our Writing" (editor Rostom Chkheidze), in which we focus on the dynamics of presenting the literary process and the interesting concepts that characterize modern Georgian literary criticism. On the basis of the studied material, one of the main markers of the magazine can be singled out, to present and evaluate the modern literary process, which, undoubtedly, serves to form the correct worldview orientation in the readers of the periodical.

**მარიამ მარღია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **ციცინო ბუკია**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

# ტოქ-შოუს სფეციფიკა და ნანუკა ჟორჟოლიანის შოუს პოლიტიკური ნარატივი

თანამედროვე ჟურნალისტიკაში ინტერნეტის განვითარებამ სხვადასხვაგვარი ცვლილება გამოიწვია. ციფრულ მედიაში მაყურებლის უკუკავშირის გაგება-გაზიარება ბევრად მარტივია. ე.წ ლაიქებით, სხვადასხვაგვარი ემოციებითა და მედია პროდუქტზე კომენტირების შესაძლებლობით აუდიტორია მუდმივადაა ჩართული მედიასაშუალების შეფასებასა და განვითარებაში. თუმცა, ტოქ-შოუს სახით ინტერნეტის განვითარებამდეც იყო ჟურნალისტიკაში აუდიტორიის ჩართულობისა და აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. ის, როგორც ჟანრი, მეოცე საუკუნეში, აშშ-ში 1930-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა. ჟურნალისტიკას, უამრავ ფუნქციასთან ერთად, რეკრეაციის ფუნქციაც გააჩნია. სწორედ განტვირთვის შესაძლებლობად შეიძლება ჩავთვალოთ გასართობი ჟანრისა და ფორმატის ტოკ-შოუები.

ქართულ ტელესივრცეს არაერთი მსგავსი ფორმატის გადაცემა ახსოვს. მათი ნაწილი დაიხურა, ხოლო ერთეულები წლების მანძილზე აქტუალურობას არ კარგავენ. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ამჟამადაც მოქმედი ნანუკა ჟორჟოლიანის შოუა. გადაცემა 14 წელია ეთერშია, თუმცა ამ ხნის განმავლობაში სამი სხვადასხვა ტელეკომპანია შეიცვალა. წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ნანუკა ჟორჟოლიანის შოუს ტრანსფორმაციას გასართობი ფორმატის ტოქ-შოუდან პოლიტიკური ელემენტების შემცველ გადაცემამდე და გამოკვეთს ჟურნალისტის პოლიტიკური სიმპათიების გავლენას მედიაპროდუქტის შინაარსზე. კვლევის ფარგლებში განვიხილავთ ნანუკა ჟორჟოლიანის შოუს ტრანსფორმაციას ტელეკომპანიების: იმედის, რუსთავი 2-ისა და მთავარი არხის ეთერში გასულ ეპიზოდებს.

**Mariam Marghia**
Caucasus International University,
Doctoral,
Supervisor: **Tsitsino Bukia**
Doctor of Social Sciences,
Associate Professor

## The specifics of a talk show and the political narrative of Nanuka Zhorjoliani's show

The portrait is a crucial genres in print media; it is distinguished both by its style and the psychological investigations which have always interested its readers. Thus, its role is also important.

It is a kind of an elitist genre and it offers us not only the portrait of a person in a narrow sense, but also the environment in which the hero works and lives; his interests, problems and so on. Therefore portrait essays depict the inner world of their heroes.

This is why we became interested in this genre and chose “Teatri” journal for this study.  The publishing house has a history which is longer than a century and offers us portrait-essays in its pages; this is what makes this print media special and interesting. The portraits are about the most prominent figures of our reality – Georg Balanchini, Erlom Akhvlediani or Lili Ioseliani are in their sphere of interest.

In our study, we tried to analyze their work and show just how important, difficult and interesting portrait essays are for media and how important it is to develop this genre.

**ნინო ფაფიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
მაგისტრატურა
ხელმძღვანელი: **ზაზა ცოტნიაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ჟურნალისტიკაში, პროფესორი

## გადამოწმებული ინფორმაციის მნიშვნელობა თანამედროვე მედიაში

არსებული უმძიმესი საინფორმაციო ველის ფონზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გადამოწმებული ინფორმაციის მომზადებას და გავრცელებას მედიასაშუალებებში. სამწუხაროდ, ხშირად ცნობილი მედიასაშუალებები გამიზნულად თუ გაუცნობიერებლად ავრცელებენ გადაუმოწმებელ ინფორმაციას, რაც ყალბი ინფორმაციის ტოლფასია. მედიის გავლენა, თავის გლობალური გაგებით, საზოგადოებაზე დროთა განმავლობაში უფრო ძლიერდება. თანამედროვე მსოფლიოში მას სამართლიანად უწოდებენ “მეოთხე ხელისუფლებას”.

საზოგადოებისთვის გააზრებული და სწორად ინფორმირებული არჩევანის ხელშეწყობაში მედიის როლი გადამწყვეტია, ვინაიდან მხოლოდ სწორად ინფორმირებულ მოქალაქეს შეუძლია არჩევანის გაკეთება ობიექტურად, ამიტომ დიდი მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა ენიჭება მედიაში გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებას. გადამოწმებული იფნრომაცია საზოგადოებას სწორი გზის არჩევაში ეხმარება. ამ თვალსაზრისით დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მედიას, რომელიც ინფორმაციას აწარმოებს, ის მხოლოდ სწორ და კარგად გადამოწმებულ ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს. გადამოწმებული ინფორმაცია ქმნის საზოგადოების საღი აზრის საფუძველს, შესაბამისად, ხელს უწყობს დემოკრატიასა და განვითარებას.

**Nino Papiashvili**
Caucasus International University,
Master, student of 2nd semester
Supervisor: **Zaza Tsotniashvili**
Doctor of Sciences in the
Direction of Media, Professor

## Importance of verified information in modern media

Against the background of today's most complex information field, the preparation and dissemination of verified information by the media is of particular importance. Unfortunately, well-known media often deliberately or unknowingly disseminate unverified information, which is tantamount to false information. The influence of the media in a global sense on society is increasing over time. In the modern world, it is rightly called the "fourth government." Since only a properly informed citizen can make an objective choice, therefore, great importance and responsibility is attached to the dissemination of verified information in the media. Verified information helps society choose the right path. From this point of view, the media, which produces information, has a great responsibility, it should be based only on correct and well-verified facts. Verified information forms the basis of public common sense, thus contributing to democracy and development.

**აკდენიზ ოზან**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
მაგისტრატურა, მე-2 სემესტრის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზაზა ცოტნიაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ჟურნალისტიკაში, პროფესორი

## Twitter თურქული საზოგადოების სამსახურში

ნაშრომი მიზნად ისახავს იმის დემონსტრირებას, თუ რამდენად თანამედროვე და საჯარო სფეროა "ტვიტერი". მნიშვნელოვანია ის, რომ მკვლევრებს, ჟურნალისტებსა და, რაც მთავარია, გადასახადის გადამხდელ მოქალაქეებს, წინა რიგის ადგილს აძლევს გარკვეულწილად

დემოკრატიული ქვეყნის სტრუქტურული ტრანსფორმაციის გასაანალიზებლად, როგორიცაა თურქეთი.

მეთოდოლოგიურად "ტვიტერი " არის პოპულარული საინფორმაციო დომენი, მთავრობის გამოჩენილი ფიგურებისა და რეჟიმის წარმომადგელნელბის მიერ არჩეული, დისკურსის ანალიზისთვის, მათ შორის, პრეზიდენტის და არა მხოლოდ. რაც შეეხება მოწინააღმდეგის ფრონტს, შესწავლილია რიგითი მოქალაქეების, აკადემიკოსებისა და ჟურნალსტების " ტვიტები“, რომლებიც სისტემატური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ. თეორიულად იურგენ ჰაბერმასის კონცეფცია "საჯარო სფეროსა" და "დისკურსის ეთიკის" შესახებ (რომელიც მისივე შექნილი თეორიაა), რეჟიმის პოლიტიკური და ეგზისტენციალური დისკურსის დეკონსტრუქციის პოსტსტრუქტურალისტური მიდგომით.

საერთო ჯამში, ბოლო ათწლეულში "ტვიტერი" გახდა შესანიშნავი ბრძოლის ველი თავის უფლბის მებრძოლესა და თურქეთის სამთავრობო ინსტიტუტებს შორის, რაც ნიშნავს მასობრივი ინფორმაციის გავრცელების წყაროს თავისუფლებისთვის მებრძოლთათვის, რაც სამთავრობო ინსტიტუტების ღამის კოშმარია.

**Ozan Akdeniz**
Caucasus International University,
Master, student of 2nd semester
Supervisor: **Zaza Tsotniashvili**
Doctor of Sciences in the
Direction of Media, Professor

## Twitter in Service of Turkish Society

This paper aims to demonstrate to what extent a contemporary public sphere “Twitter” is instrumental in the way that it provides researchers, journalists and most importantly tax-paying citizens a front-row seat to analyze a structural transformation of a somewhat democratic country that Turkey is. Methodologically, “Twitter” is chosen as a popular information domain for discourse analysis of the prominent figures of the government as representatives of the regime, including but not limited to the President. As for the opponent front, “tweets” of ordinary citizens,

academics, and journalists who have been under systematic pressure thereof are scrutinized. Theoretically, Jurgen Habermas's concept of the "public sphere", and his theory of "discourse ethics" with a post-structuralist approach to deconstructing the regime's political and existential discourse are adopted. Overall, in the last decade "Twitter" has become a formidable battlefield between freedom fighters and Turkish Governmental Institutions whose worst nightmare is the massive public reaction.

**სოფიკო ჩიტაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მაგისტრატურა
ხელმძღვანელი: **ნინო მინდიაშვილი**
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## პოლიტიკური რეპრესიების გამოცხადებული ქრონიკა (ჟურნალი „მნათობი" 1937 წელი)

მე-20 საუკუნის 30-იანი წლები დაუნდობელი რეპრესიებით ხასიათდება. აღნიშნულ ეპოქაში მიმდინარე მოვლენებს შეეწირნენ დიდი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები. ლიტერატურული ჟურნალი „მნათობი" მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის არამარტო შესაბამისი ეპოქის ლიტერატურის ნიმუშების, არამედ ეპოქის პოლიტიკური თუ ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების კუთხით არსებული ვითარების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალას გვაძლევს 1937 წლის „მნათობი". ლიტერატურული ჟურნალის ფურცლებზე ვლინდება საბჭოთა იმპერიის მმართველი ძალის იდეოლოგიური გავლენა, რომელიც განსაზღვრავს მის თემატიკასაც.

საბჭოთა საქართველოს მმართველები დაუფარავად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს „ხალხის მტრებზე" და ჟურნალის ფურცლებზე იგეგმება განწირულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დასჯა. ლავრენტი ბერია დაუფარავად გამოხატავს პარტიის პოზიციას - დაუნდობელი ბრძოლა

გამოუცხადოს ყველა იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეს. ქართულ პერიოდიკაში გაჟღერებული მუქარა ბევრად მძიმე და სასტიკ შედეგებად ტრანსფორმირდება.

1937 წლის „მნათობი“ ბევრი რაკურსით არის საინტერესო, თუმცა ჩვენი ინტერესის საგანია გამოვკვეთოთ: 1. საბჭოთა რეჟიმის გავლენა ქართულ პრესაზე; 2. ქართველი მწერლების შემოქმედებითი პოზიცია; 3. ლიბერალურ-დემოკრატიული კონცეპტები ჟურნალის ნარატივში.

ნიშანდობლივია, რომ ჟურნალი „მნათობი“ მხოლოდ სტალინისა და ბერიასადმი გაღებული ხარკის შემდეგ ახერხებს შეეხოს ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღს და აქვეყნებს საკმაოდ საინტერესო საარქივო მასალებს. კერძოდ, ილია ჭავჭავაძის ისტორიულ ფოტოებს, მის ავტობიოგრაფიასა თუ მასზე მოგონებებს.

**Sopiko Chitadze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Master
Supervisor: **Nino Mindiashvili**
Doctor of Philology,
Associated Professor

## Declared chronicle of political repressions (magazine “Mnatobi” 1937)

The 1930s of the 20th century were characterized by merciless repression. Great Georgian writers and public figures suffered from the events which took place in this era: Mikheil Javakhishvili, Titsian Tabidze, Paolo Iashvili and others. Literary magazine "Mnatobi" provides us with important information not only about the literary models of the relevant era, but also about the current situation in terms of political or liberal democratic values of the era. Particularly important documentary is given in Mnatobi" 1937. The pages of literary magazine reveal ideological influence of the ruling power of the Soviet Empire and that determines subject matter. The governors of Soviet Georgia openly express their opinions about the "enemies of people" and on the pages of the magazine is planned punishment of predestined writers and public figures. Lavrenti Beria openly expresses the party's

position to declare a merciless fight against all ideological opponents. The threats announced in Georgian periodical publications are transformed into much more serious and cruel consequences. "Mnatobi" 1937 is significant from many sides, nevertheless we are interested in highlighting: 1. The influence of Soviet regime on Georgian press; 2. Creative position of Georgian writers; 3. Liberal-democratic concepts in the narrative of the magazine. It is significant that "Mnatobi" magazine manages to touch on Ilia Chavchavadze's anniversary date only after paying tribute to Stalin and Beria and publishes quite interesting archival materials. Namely, historical photos of Ilia Chavchavadze, his autobiography and memories of Ilia Chavchavadze.

**ნინო კვიტაშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
დოქტორანტურა, მე-5 სემესტრის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ქეთევან გიორგობიანი,**
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## „თანამედროვე სამეცნიერო ჟურნალისტიკის გამოწვევები საერთაშორისო და ქართული ელექტრონული მედიასაშუალებების დისკურსში“

ნაშრომში განხილულია სამეცნიერო ჟურნალისტიკის ძირითადი ტენდენციები და გამოწვევები თანამედროვე ქართულ და უცხოურ ელექტრონულ მედიასაშუალებებში. სამეცნიერო ჟურნალისტიკა ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი დარგია. 21-ე საუკუნეში ციფრული მედიასაშუალებები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ სამეცნიერო თემატიკის პუბლიკაციებს, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს მასშტაბით.

სამეცნიერო ჟურნალისტიკის მთავარი მახასიათებლების, მიზნებისა და პრიორიტეტების გამოკვეთასთან ერთად, ჩვენ მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი მასალის - ერთი მხრივ, ინტერნეტ პორტალებზე Next.on.ge, Marketer.ge-სა და საქართველოს 1 არხის ინტერნეტ გვერდზე „1tv.ge - მეცნიერება“ გამოქვეყნებული სამეცნიერო თემატიკის პუბლიკაციებისა და

მეორე მხრივ, მსოფლიოს წამყვანი ონლაინ გამოცემების Sciencealert.com, Sciencedaily.com, Newscientist.com 2023 წლის იანვარ-აპრილში გამოქვეყნებული მედიამასალის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად, გაანალიზებულია, თუ რამდენად უწყობს ხელს ონლაინ მედია მეცნიერების როლისა და მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. ასევე, რამდენად არის თანხვედრაში და რით განსხვავდება ქართული და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალისტიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები, რომელ საკომუნიკაციო ფორმებს, ინსტრუმენტებსა და ჟურნალისტურ ხერხებს მიმართავენ, რა გავლენას ახდენენ მედიასაშუალებები ფართო საზოგადოებაზე. სამომავლოდ, რა ნაბიჯების გადადგმაა რეკომენდებული არსებული გამოწვევების დასაძლევად.

**Nino Kvitashvili**
Georgian Technical University
Faculty of Engineering Economics,
Media Technologies and Social Sciences
$5^{th}$ semester PhD Student
Supervisor: **Ketevan Giorgobiani**
Academic Doctor of Philology,
Associate Professor

## Challenges of Modern Science Journalism through International and Georgian Electronic Media Discourse

The paper examines the prominent trends and challenges of science journalism in modern Georgian and foreign electronic media. Science journalism is one of the slightest studied field of journalism. In the 21st century, digital media pays increased attention to scientific publications in Georgia, as well as worldwide.

Along with the presentation of the main features, aims, and priorities of science journalism, our researched factual material – on the one hand, the publications on scientific issues posted on the internet portals Next.on.ge, Marketer.ge and the internet page of First Channel of Georgia "1tv.ge - Science" and on the other hand, the world's leading online news editions Sciencealert.com, Sciencedaily.com, and

Newscientist.com consequently to a quantitative and qualitative study of media material published in January-April 2023, is analyzed how online media contributes to the formation of public opinion regarding the role and significance of science. Furthermore, how consistent and diverse are the primary trends and priorities of the development of Georgian and international science journalism, what kind of communication forms, tools, and journalistic methods they use, what influence they have on the general public. For the future, what steps are recommended to be taken to overcome the current challenges.

**ასმათ წერეთელი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **ეკა თხილავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
მას. კომუნიკაციის დოქტორი

## ქართული დოკუმენტური კინო და რეზო თაბუკაშვილის ტრილოგია („საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“, „კვალი ნათელი“, „შორიელთა სიახლოვე“)

ყველა დროში სინამდვილე ყოველგვარ ფანტაზიას ყველაფრით სჯობნის - ადამიანის

აზრის გაქანებით, სიღრმეების წვდომით, ემოციურობით, ესთეტიკური ხიბლით და თუნდაც მკაცრი რეალობით. ვერავითარი ფანტაზია ვერ აღაფრთოვანებს და ვერ დააფიქრებს საზოგადოებას ისე, როგორც დოკუმენტური სინამდვილე. ამიტომ დოკუმენტურ ხელოვნებას განსაკუთრებული დაფასება სჭირდება. სინამდვილის ნატურალისტური უტყუარობით ასახვა უნდა იყოს დოკუმენტური კინოს მთავარი პრინციპული პოზიცია და არა იდეოლოგიზებული შელამაზება.

ხელოვანმა, დოკუმენტური ფილმის ავტორი იქნება, თუ სხვა სფეროს წარმომადგენელი, პირველმა უნდა დაინახოს პრობლემა, სხვას დაასწროს და ატეხოს განგაში. ყველაზე დიდ ზიანს საზოგადოებას გულგრილობა და

ნიჰილიზმი აყენებს, რომლის არდაშვების ბერკეტი ხელოვნებას გააჩნია. ხელოვნებაში რაოდენობა არაფერს ნიშნავს, ხარისხი კი ყველაფერს. დოკუმენტურ ფილმებს უნდა გააჩნდეთ ემოციურ-აზრობრივი ზემოქმედებისა და ზეგავლენის ძალა, ეს კი მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ფილმი ჟანრის მოთხოვნას აკმაყოფილებს.

დოკუმენტური კინოს მახასიათებლებია: სცენარი, კადრს მიღმა თუ კადრს შიგნით ტექსტი, გამოყენებული ლიტერატურა, ხმა, ფოტოგრაფია, მუსიკალური და გრაფიკული

გაფორმება და სხვა. სწორედ ამ მახასიათებლებს განვიხილავთ რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმების მაგალითებზე. ეს ფილმებია ,,კვალი ნათელი“, ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“, ,,შორიელთა სიახლოვე“.

**Asmat Tsereteli**
Caucasus International University,
Doctoral
Supervisor: **Eka Tkhilava**
Caucasus International University,
Associate Professor,
PhD Mass Communication

## Georgian documentary cinema and Rezo Tabukashvili's trilogy (Georgia's potter, "clear footprints", "nearness of Shorians")

The main principled position of documentary cinema should be the depiction of reality with naturalistic infallibility, not ideologized beautification. The principle when the desire to tell the truth is opposed to the desire to tell a lie. Whether the artist, the author of a documentary or another field Representative - must be the first to set the problem, reach out to others and sound the alarm. Indifference and nihilism do the greatest harm to society, which art has the leverage to prevent. In art, quantity means nothing, quality means everything. Documentary films should have the power of emotional impact and influence. This is possible when the film meets the requirements of the genre.

The features of documentary cinema are - script, text outside the frame or inside the frame, used literature, sound, photography, musical and graphic decoration and others. We will discuss these characteristics on the examples of Rezo Tabukashvili's documentaries. Rezo Tabukashvili took an important and special place in Georgian documentary cinema.

**მაია ბრეგაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **ნანა ამირანაშვილი**
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## გერმანია-საქართველოს 1918-1919 წლების სტრატეგიული პარტნიორობის

ამ პერიოდის ქართულ-გერმანული ურთიერთობები დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც გერმანია დიდი შვიდეულისა და ტრადიციული ევროპის ერთ-ერთი ძლიერი წარმომადგენელია. მიუხედავად იმისა, რომ პირველ და მეორე მსოფლიო ომებში ის ჰეგემონობას ესწრაფოდა, საქართველოს დამოკიდებულება, განსაკუთრებით ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, გერმანიის მიმართ საკმაოდ პოზიტიური იყო. რას შეცვლიდა გერმანული მხარის გამარჯვება ჩვენი ქვეყნისათვის და გვიხსნიდა თუ არა 1921 წლის 23 თებერვლისაგან, იყო თუ არა გერმანია მომხიბვლელ ევროპულ სამოსში გამოწყობილი კოლონიზატორი და როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ქართული ინტელიგენციის ეს არჩევანი რომ გამართლებულიყო. ამ ფაქტების ახლებურად გადაფასება, ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება.

ქართული პრესა ფხიზლად ადევნებდა თვალყურს გერმანიაში მიმდინარე პროცესებს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის დაინტერესება საქართველოს რესპუბლიკით არ იყო უანგარო, არც ერთი მისი მიზანი არ ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს. შესწავლილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ

გერმანია საქართველოს თავის პარტნიორად მიიჩნევდა და ორმხრივ თანამშრომლობას აპირებდა.

ჩვენს ნაშრომში სწორედ აღნიშნულ საკვანძო საკითხებზე ვიმსჯელებთ. 1918-1919 წლის სამთავრობო გაზეთის ,,საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიების თემატური ანალიზის გამოყენებითა და ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნილი რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვით.

**Maia Bregadze**
Caucasus International University,
Doctoral
Supervisor: **Nana Amiranashvili**
Doctor of Philology,
Associate Professor

## Analysis of the German-Georgian strategic partnership of 1918-19 in the prism of the ,,Republic of Georgia"

Georgian-German relations are very common nowadays, as Germany is an important part of the "Great Seven" and is one of the best representatives of Europe.

Even though Germany always tried to be at the front row, Georgia always had positive attitude towards Germany.

What difference the victory of Germany could have made for our country? Could this fact save us from the events of 1921-23 February? What consequences would this occurrence would have brought if the choice of the Georgian intelligence had come true. I believe that revaluation of this facts must be truly interesting and crucial.

The Georgian press was carefully overseeing what was going on in Germany. Even though Germany was pricelessly interested with the Georgian republic, none of its interests was restricting Georgian independence.

The Georgian press was vigilantly following the ongoing processes in Germany. Although Germany's interest in the Republic of Georgia was not selfless, none of its

goals undermined Georgia's sovereignty. From the studied documents, it can be seen that Germany considered Georgia as its partner and intended to cooperate bilaterally.

In our work we discuss the topics that were mentioned above.

**გიორგი გოგოხია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **ხათუნა კაჭარავა**
ჟურნალისტიკის დოქტორი, პროფესორი

## მედია და თანამედროვე საარჩევნო სისტემები

21-ე საუკუნეში, ტექნიკის განვითარებასთან ერთად, მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებმა უმნიშვნელოვანესი როლი მოირგეს ზოგადსაკაცობრიო პროცესებში. თანამედროვეობაში მედიის მისია სოციუმის შემეცნებაა, მისი მეშვეობით საზოგადოება იღებს დამუშავებულ ინფორმაციულ ნაკადს. მედია კარნახობს საზოგადოებას რა მოვლენებზე და, ამასთან, როგორ იფიქრონ მათზე. შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, რომ სოციუმს და მასთან დაკავშირებულ პროცესებს ნაწილობრივ მედია აყალიბებს.

ინფორმაციულობის განსხვავებული ხარისხიდან გამომდინარე, ყალიბდება სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარემოებები, რომლებშიც ცხოვრობს თანამედროვე მსოფლიოს მოსახლეობა. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს დემოკრატიული, ავტორიტარული და გარდამავალი მმართველობის მქონე ქვეყნები.

აღსანიშნავია, რომ პოსტ საბჭოთა ქვეყნები, მათ შორის საქართველო დემოკრატიულობის გარდამავალ პერიოდში იმყოფებიან, რაც თავად დემოკრატიული პროცესების განხორციელებას და დანერგვას მოიაზრებს.

დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი პირობები, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება, პლურალიზმის მაღალი დონე და სამართლიანი არჩევნებია. არაერთი სოციოლოგის მოსაზრებით, ქვეყანაში განვითარებული დემოკრატიული პროცესების ხარისხი ინფორმირებულობაზეა დამოკიდებული. არჩევნები, პროცესი, რომლითაც განისაზღვრება ქვეყანაში ხალხის მიერ მმართველი აპარატის დანიშვნა, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული ფორმით გვხვდება. ერთი შეხედვით, დემოკრატიული პროცესი შესაძლებელია წარიმართოს იმგვარად, რომ სრულიად ეწინააღმდეგებოდეს სამართლიანობის პრინციპს.

საქართველოს საარჩევნო ისტორიის მაგალითზე, არჩევნებმა განვითარების მრავალი ეტაპი გაიარა, წლიდან წლამდე იხვეწება და სხვა, დემოკრატიული ქვეყნების მაგალითზე რაციონალურ მაგალითებს იღებს. დემოკრატიულ ჭრილში არჩევნები თითოეული მოქალაქის თანაბარუფლებიანობას და სამართლიანობას იცავს, უნდა იქმნებოდეს გარემო სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ექნება სურვილი პროცესში ჩართვისა. როგორც ზემოთა აღნიშნული, მედია განსაზღვრავს ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს, ამასთან საარჩევნო პერიოდში განსაკუთრებული დატვირთვით გადმოსცემს ყველა განითარებულ მოვლენას. იკვეთება მასობრივი კომუნიკაციების როლი, როგორც კავშირი ხალხსა და საარჩევნო პროცესებს შორის.

**Giorgi Gogokhia**
Caucasus International University,
Doctoral
Supervisor: **Khatuna Katcharava**
Doctor of Journalism, Professor

## Media and modern electoral systems

In the 21st century, along with the development of technology, the means of mass communication have played an important role in public processes. In modern times, the mission of the media is the knowledge of the society, through it the society receives processed information flow. The media dictates to the public what events and how to think about them. Therefore, it is possible to say that society and related processes are partially shaped by the media. Depending on the different degrees of information, different political, social and cultural circumstances are formed in

which the population of the modern world lives. The difference lies in the fact that there are countries with democratic, authoritarian and transitional governments. It should be noted that the post-Soviet countries, including Georgia, are in the transitional period of democracy, which includes the implementation and introduction of democratic processes. The most important conditions of democracy are freedom of speech and expression of opinion, high level of pluralism and fair elections. According to many sociologists, the quality of democratic processes developed in the country depends on awareness. Elections, the process of determining the appointment of the ruling apparatus by the people in the country, are found in different forms in different countries. At first glance, a democratic process can be conducted in such a way that it completely contradicts the principle of justice. As an example of the electoral history of Georgia, elections have passed through many stages of development, are improving year by year and take rational examples from the example of other democratic countries. In a democratic context, elections protect the equality and justice of each citizen, an environment must be created where the majority of the population will be willing to participate in the process. As it was mentioned above, the media determines the processes developed in the country, while during the election period, it conveys all the developed events with special emphasis. The role of mass communications as a link between people and electoral processes is highlighted.

**ჯუმბერ გოგრიჭიანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **ზაზა ცოტნიაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ჟურნალისტიკაში, პროფესორი

## რუსეთ-უკრაინის ომის გაშუქების სპეციფიკა სატელევიზიო სივრცეში (საქართველოსა და რუსეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2022)

რუსეთ-უკრაინის ომი თანამედროვე მსოფლიოს ბოლო დროის ყველაზე დიდი გამოწვევაა. მასმედია, რომელშიც წამყვან როლს ტელევიზია ასრულებს, ძალიან დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საზოგადოების ფენაზე, ის თავისი ინფორმაციულობით უნდა იკავებდეს ნეიტრალურ

პოზიციას, უკეთეს შემთხვევაში კი ხელს უწყობდეს კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვას.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ომის პირველივე დღეებიდან აქტიურად აშუქებს აღნიშნულ თემატიკას, მისი გაშუქების სპეციფიკა საინტერსოა, თუმცა ძირითადად ეყრდნობა სხვა მედიასაშუელების მიერ გავრცელებლ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი მაქსიმალურად ინარჩუნებს მიუკერძოებლობას ომის გაშუქებისას. რუსული სატელევიზიო სივრცე ბუნებრივია, სახელმწიფო პოლიტიკის ტირაჟირების მთავარი ადგილია.

ამდენად, აქ ობიექტური გაშუქება ნაკლებად გვხვდება. მისი მიზანია ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას შეუქმნას რუსული სიმართლისა და რუსეთის ომში გამარჯვების ილუზია.

**Jumber Gogrichiani**
Caucasus International University,
Doctoral
Supervisor: **Zaza Tsotniashvili**
Doctor of Journalism, Professor

## Specifics of coverage of the Russia-Ukraine war in the television space Public Broadcaster of Georgia and Russia, 2022

The Russia-Ukraine war is the biggest challenge in the modern world. The mass media, in which television plays a leading role, can have a great impact on society, it should take a neutral position with its information and at best it should contribute to the de-escalation of conflict situations.

Georgian Public Broadcasting has been actively covering the mentioned topic since the first days of the war, the specificity of its coverage is interesting, although it mainly relies on the information distributed by other media outlets. It is important that the Public Broadcasting Service of Georgia maintains its impartiality as much as possible while covering the war

Russian television space is naturally the main place for the circulation of state policy. Thus, there is little objective coverage here. Its purpose is to create the illusion of Russian truth and Russian victory in the war for the local and international communities.

**ლიკა გოდერიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
მაგისტრატურა, მე-2 სემესტრის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზაზა ცოტნიაშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ჟურნალისტიკაში, პროფესორი

**ყალბი ამბები სოციალურ მედიაში**

ყალბი ამბები თანამედროვე მედიის და საზოგადოების მნიშვნელოვანი პრობლემაა. სოციალური ქსელის განვითარების ეპოქაში ყალბი ამბების გავრცელება უფრო სწრაფად ხდება, ამ თვალსაზრისით, სოციალური ქსელის მენეჯმენტი ცდილობს გააკონტროლოს აღნიშნული სივრცე, რაც ზოგიერთი ანგარიშიც დასანქცირების მექანიზმით ხორციელდება.

ციფრული ინფორმაციის ფართოდ გავრცელების ეპოქაში ყალბი ახალი ამბები იწვევს საზოგადოების დაეჭვებას, რაც კარგავს ნდობის ხარისხს არამარტო დემოკრატიული სისტემის, არამედ ერთმანეთის მიმართაც, რაც დემოკრატიული პროცესის დესტაბილიზაციის მთავარ მიზეზს წარმოადგენს და დემოკრატიული ინსტიტუტების მორალურ უპირატესობებში რწმენის ეროზიას იწვევს.

სოციალურ მედიაში ყალბი ამბების გავრცელებისგან თავის არიდება შეუძლებელია, თუმცა შეგვიძლია, კრიტიკული აზროვნებით ხელი შევუშალოთ ყალბი ინფორმაციის გავრცელებას. მნიშვნელოვანია, მედიაორგანიზაციების, საზოგდოების, ხელისუფლების ერთიანობა აღნიშნულ პრობლემასთან გასამკლავებლად.

**Lika Goderidze**
Caucasus International University,
Master
Supervisor: **Zaza Tsotniashvili**
Doctor of Social Sciences
in Journalism, Professor

## Fake news on social media

Fake news is a significant problem in modern media and society. In the era of social network development, the spread of fake news becomes faster, from this point of view, social network management tries to control the said space, which some accounts are also implemented through the mechanism of banning.

In the era of widespread digital information, fake news causes public suspicion, which leads to a loss of trust not only in the democratic system, but also in each other, which is the main cause of destabilization of the democratic process and causes the erosion of faith in the moral superiority of democratic institutions.

It is impossible to avoid the spread of fake news on social media, but we can prevent the spread of fake information by thinking critically.

The unity of media organizations, society, government is important to deal with the mentioned problem.

**მაკა არახამია**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **გიგლა გობეჩია**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი (მასკომუნიკაცია),
განათლების მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
მასკომუნიკაცია-ჟურნალისტიკის სამაგისტრო
პროგრამის ხელმძღვანელი

## კოვიდპანდემიასთან დაკავშირებით გავრცელებული ძირითადი დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული ნარატივები უცხოურ და ქართულ ონლაინ მედიაში

კორონაპანდემია, როგორც შესაძლებლობა, რიგმა სახელმწიფოებმა და მსხვილმა კორპორატიულმა ჯგუფებმა საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნებისთვის გამოიყენეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა რუსეთი და ჩინეთი. რუსეთი შეეცადა, გაემძაფრებინა ანტიდასავლური განწყობები ქვეყნებში, რომლებზეც გავლენის მოპოვება მის სტრატეგიულ ინტერესებში შედის. მათ რიცხვშია საქართველოც. ამისთვის ინტენსიურად გამოიყენებოდა ონლაინმედია, როგორც საინფორმაციო-პროპაგანდისტული ომის ინსტრუმენტი.

ნაშრომში საუბარია კოვიდპანდემიასთან დაკავშირებით ონლაინმედიაში გავრცელებულ ნარატივებსა და საინფორმაციო ომის ტაქტიკებზე, პანდემიის სხვადასხვა ეტაპზე საინფორმაციო სტრატეგიების ტრანსფორმაციაზე. ჩინეთის და რუსეთის ნარატივები ერთმანეთისგან განსხვავდება მიზნებითა და მეთოდებით, მათ შორის, საქართველოსთან მიმართებით.

დეზინფორმაციის კამპანია სამედიცინო კუთხითაც რისკებს შეიცავს. მედიცინისადმი უნდობლობის გაჩენა საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას, თუმცა საზოგადოებაში გაჩენილი უპასუხო კითხვებიც ზრდის უნდობლობის კოეფიციენტს. ეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების პრობლემაა.

საკითხის შესწავლა აქტუალურია დეზინფორმაციასთან ბრძოლის სწორი სტრატეგიის შემუშავებისთვის.

**Maka Arakhamia**
Georgian Technical University,
Doctoral
Supervisor: **Gigla Gobechia**
Associate Professor (Mass Communication)
of Technical University of Georgia, Academic
Doctor of Education Sciences, Head of Master's Program
in Mass Communication-Journalism

# Main disinformation and propaganda narratives spread in foreign and Georgian online media regarding the Coronavirus (Covid-19) pandemic

A number of states and large corporate groups, especially Russia and China have used the Covid-19 pandemic as an opportunity for achieving their own political and economic goals. Russia has tried to intensify anti-Western sentiments in countries that are within its strategic interests of influence, and Georgia is among them. For this purpose, online media was intensively used as a tool of information-propaganda war.

The paper describes the narratives spread in the online media and the tactics of information war regarding the Covid-19 pandemic, the transformation of information strategies at different stages of the pandemic.

The narratives of China and Russia differ from each other in terms of goals and methods, including regarding Georgia.

The disinformation campaign also carries risks from a medical point of view. Distrust in medicine poses a threat to people’s health, while unanswered questions in society also increase the mistrust coefficient. This is a public safety issue. Studying the issue is relevant for developing the right strategy to combat disinformation.

**მალხაზ ვარდიაშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
მაგისტრატურა
ხელმძღვანელი: **ზაზა ცოტნიაშვილი,**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ჟურნალისტიკაში, პროფესორი

## რუსეთ-უკრაინის ომის გაშუქება მედიაში
## (დასავლური და რუსული მედიასაშუალების შედარება)

უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედება მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებების პრიორიტეტულ თემად იქცა.

ომის გაშუქების პროცესში გამოიკვეთა გარკვეული განსხვავებული მიდგომები დასავლურ და რუსულ მედიასაშუალებებში, სადაც ჩანს ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესები. განსხვავებული საინფორმაციო პოლიტიკა დასავლურ და რუსულ საინფორმაციო ომში პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას გვიჩვენებს.

სოციალური ქსელები ჩამოყალიბდა საკუთარი ხედვების მასებისათვის მიწოდების მნიშვნელოვან პლატფორმად, განსხვავებული პოლიტიკური ინტერესების მქონე საინფორმაციო წყაროებისთვის.

ჩანს, რომ ობიექტური მიდგომა საკითხისადმი დიდი პრობლემაა თანამედროვე მედიასივრცისთვის.

უკრაინის ომის გაშუქებამ გამოკვეთა საზოგადოების მოუმზადებლობა, კრიტიკული აზროვნების ნაკლებობა, რაც მედიასაშუალებებისთვის საკუთარი პოზიციის მარტივად გასავრცელებლად კარგი შესაძლებლობაა.

გავლენიანი პოლიტიკური ძალები საკუთარი ინტერესების გასავრცელებლად მნიშვნელოვან ძალისხმევას მიმართავენ. ხშირად რეალუარი საომარი მოქმედებები განსხვავდება მედიასაშუალებებში წარმოდგენილი ინფორმაციისგან.

**Malkhaz Vardiashvili**
Georgian Technical University,
Master
Supervisor: **Zaza Tsotniashvili,**
Doctor of Social Sciences in Journalism,
Professor

## Media coverage of the Russia-Ukraine war (Comparison of Western and Russian media)

The ongoing war in Ukraine has become a priority topic for the world's leading media.

In the process of covering the war, some different approaches were observed in the Western and Russian media, where the geopolitical interests of the countries are visible.

The different information policies in the Western and Russian information war show the struggle for and against propaganda.

Social networks have become an important platform for providing their views to the masses, for information sources with different political interests.

It seems that an objective approach to the issue is a big problem for the modern media space.

The coverage of the war in Ukraine highlighted the unpreparedness of the public, the lack of critical thinking, which is a good opportunity for the media to spread their position easily.

Influential political forces make significant efforts to spread their interests.

Often, actual hostilities differ from the information presented in the media.

# სამართლის სექცია
# Section of Law

## I ქვესექცია
## I Subsection

**რევაზ ბერულავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრი
ხელმძღვანელი: **თინათინ ერქვანია**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

### აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება საქართველოს ფედერალიზაციის პერსპექტივების კონტექსტში

***ნაშრომში განვითარებული ფედერალიზმის, როგორც კონფლიქტის დარეგულირების მცდელობის იდეა, დაფუძნებულია 2022 წელს სტამბულში გამართულ ქართულ - აფხაზურ დიალოგზე. გაზიარებულია აფხაზური მხარის შეხედულებები.***

ფედერალიზმი ეთნიკური, რელიგიური და სხვა სახის კონფლიქტების გადაწყვეტის ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიული და ოპტიმალური გზაა. აღსანიშნავია, რომ თვითმყოფადობის რეალიზაციის ფორმა ესწრაფვის მრავალფეროვნებას ერთიანობაში. იგი ერთდროულად იცავს სხვადასხვა სოციუმის ინდივიდუალურ თავისებურებებს და იმავდროულად აერთიანებს მათ ერთიან სისტემაში. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ერთიანი,

პოლიტიკურად და სამართლებრივად შეჯერებული პოზიციის არქონის ერთ-ერთი შედეგია ისიც, რომ დღემდე აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში ძირითადი იმედები დამყარებულია გარეშე ძალებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ძალებს უდიდესი გავლენა გააჩნიათ არსებულ ვითარებაზე, მთავარი გასაღები კონფლიქტის გადაწყვეტისა ქართული და აფხაზური საზოგადოების შეთანხმებაშია.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში რამდენიმე კონსტიტუციისა და მათში მთელი რიგი ცვლილება-დამატებების შეტანის მიუხედავად, დღემდე ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციური მშენებლობის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად რჩება.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია გადაიხედოს აფხაზეთის კონსტიტუციური სტატუსი, კონფლიქტების მოგვარებისა და მათი მართვის კუთხით არსებული კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლის პრაქტიკა. აფხაზებისთვის საქართველოს იურისდიქციის აღდგენა აღიქმება, როგორც უშუალო საფრთხე მათი ფიზიკური არსებობისათვის, შესაბამისად, გაუგებარია, რატომ უნდა თქვან უარი თუნდაც დე-იურე არშემდგარ და ნაკლულ დამოუკიდებლობაზე საქართველოს შემადგენლობაში ბუნდოვანი მომავლის სანაცვლოდ.

ნაშრომის კვლევის საგანია აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური, კონსტიტუციური მეთოდებით დარეგულირების ხედვის წარმოჩენა. ყურადღება გამახვილებულია ქართველ და აფხაზ ხალხს შორის ფედერალური ტერიტორიული შეთანხმების, როგორც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მცდელობის შესაძლებლობაზე. ეთნიკურად აფხაზი ხალხი წარმოდგენილია არა როგორც უმცირესობა, არამედ როგორც საქართველოს ფედერალური სახელმწიფოს ჩამომყალიბებელი ერთ-ერთი ერი და გააზრებულია მათი იდენტურობის გრძნობა, რომელიც ეფუძნება აფხაზეთის საკუთარ ერთადერთ სამშობლოდ და მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისაგან გამორჩეულობის შეგრძნებას.

**Revaz Berulava**
Caucasus International University
Master's degree
Supervisor: **Tinatin Erkvania**
Doctor of Law, Associate Professor

# Settlement of the conflict of Abkhazia in the context of the federalization perspectives of Georgia

***The concept of federalism, which is presented in this article as a possible solution to the conflict, is based on the Georgian-Abkhazian dialogue held in Istanbul in 2022. The perspectives of the Abkhazian side were also incorporated into this proposal.***

Federalism is one of the most democratic and best way to resolve ethnic, religious and other conflicts. It is worth mentioning that this form of self-realization strives for diversity in unity. At the same time, it protects the individual characteristics of the different societies and combines them into a single system. One of the results is that until today, the hopes for settling the conflict in Abkhazia are based on external forces.. Although these forces have the greatest influence on the current situation, the main key of resolving the conflict lies in the convention of the Georgian and Abkhaz societies.

In the history of independent Georgia, despite the introduction of several constitutions and a number of amendments and additions, the issue of the territorial organization of the country is still one of the most pressing problem of the constitutional structure of the Georgian state. The purpose of this article is to examine the constitutional status of Abkhazia and the existing constitutional and international legal practice of conflict resolution and management. The restoration of Georgian jurisdiction is perceived by the Abkhazians as a direct threat to their physical existence. It is therefore incomprehensible why they themselves should reject a de jure non-existent and incomplete independence in favor of an unclear future within Georgia.

The research object of this work is the vision of settlement of the Abkhaz conflict by political and constitutional methods. The focus is on the possibility of a federal territorial agreement between the Georgian and Abkhazian people as an attempt to restore the territorial integrity of our country and peacefully settle the current

conflict. Ethnically, the Abkhazian people are not a minority, but one of the nations that make up the federal state of Georgia, which is based on the feeling of Abkhazia as its only homeland and distinctiveness from the rest of the population.

**ნინო ქედია**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ომარ მთივლიშვილი**
სამართლის სადოქტორო პროგრამის
დოქტორანტი

## წინააღმდეგობისა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის უფლებათა ურთიერთმიმართება და მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

წინააღმდეგობისა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის უფლებები სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოვლინებაა. პირად ინტერესებზე ორიენტირებული ხელისუფლებისა და დემოკრატიის მაძიებელი ხალხის მოთხოვნილებათა ზრდის პირობებში, აშკარა ხდება ამ ორი უფლების გამოყენების აუცილებლობა და იმის განსაზღვრა, თუ რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ჩაითვლება მათი გამოყენება ლეგიტიმურად.

თანამედროვე რეალობაში საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ძირეული სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები. მე-20 საუკუნეში განხორციელებულმა რევოლუციებმა, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებების და, ზოგადად, რეჟიმის წინააღმდეგ, ხელი შეუწყო განსახილველ უფლებათა, როგორც თავისუფლების მოპოვების ერთ-ერთი საშუალების საბოლოო ჩამოყალიბებას. დაინტერესებას იწვევს საქართველოში ბოლო დროს მიმდინარე საპროტესტო აქციებიც და საზოგადოების მოთხოვნები ხელისუფლების მიმართ. ნაშრომის მთავარ მიზანს სწორედ განსახილველი უფლებების, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ელემენტების, მნიშვნელობის აღქმა, მათი გამოყენების შეზღუდვის ფარგლების განსაზღვრა და მათ შორის არსებული ურთიერთმიმართების წარმოჩენა წარმოადგენს.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია წინააღმდეგობისა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის უფლებათა არსი და მნიშვნელობა, მათი ისტორიული განვითარების გზა და პრაქტიკაში რეალიზების როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული მაგალითები. ამის შემდეგ, მიმოხილულია აღნიშნულ უფლებათა ურთიერთმიმართება და ავტორისეული რეკომენდაციები.

**Nino chedia**
Tbilisi State University
Bachelors
Supervisor: **Omar mtivlishvil**
Doctoral Student of the Doctoral Program

## The relationship and importance of the right to resist and the right of civil disobedience in the democratic society

The right to resist and the right to civil disobedience are one of the manifestations of a legal and democratic state. In the conditions of growing demands of self-interested government and democracy-seeking people, the need to exercise these two rights and to define the conditions under which their exercise will be considered legitimate becomes obvious.

In modern reality, the relevance of the issue is determined by the fundamental social and political changes taking place at the national and international level. The revolutions of the the20th century, directed against individual decisions taken by the Soviet government and against the regime in general, contributed to the final establishment of the rights in question as a means of obtaining freedom. Also, the recent protests in Georgia and the public's demands towards the government triggers the interest. The main goal of the paper is to perceive the importance of the rights under consideration as the main elements of the legal state, to define the scope of their use and to present the existing relationships among them.

The first part of the paper discusses the essence and the importance of the right to resist and the right to civil disobedience, the path of their historical development and both international and national examples of their realization in practice. After that, the relationship between the mentioned rights and the author's recommendations are reviewed.

**ბადრი ხატიძე**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **თამთა წირქვაძე**
სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი

# ,,სასამართლოს მეგობრის“ როლი საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებაში

მსოფლიოში მოქმედ სამართლის ოჯახებს გააჩნიათ მათთვის დამახასიათებელი სამართლებრივი ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება და საჭიროების შემთხვევაში დამხმარე მექანიზმებით ივსება სამართალწარმოების პროცესი. ერთ-ერთ ასეთ ინსტიტუტს წარმოადგენს „სასამართლოს მეგობრის“ (Amicus Curiae) ინსტიტუტი, რომლის გამოყენების მდიდარი პრაქტიკა გააჩნია როგორც საერთო სამართლის, ისე კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებს. „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების პროცესში, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი ინსტრუმენტია და იგი სასამართლო სისტემის ფუნქციონირებაზე დადებით გავლენას ახდენს. შეიძლება ითქვას, რომ „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი ასრულებს სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ერთგვარი „მედიატორის“ ფუნქციას და ხელს უწყობს სასამართლოსა და საზოგადოებას შორის ნდობის გამყარებას. „სასამართლოს მეგობარი“ არ წარმოადგენს პროცესის მხარეს, იგი არის დამოუკიდებელი და ნეიტრალური. მას უნდა ამოძრავებდეს სასამართლოს დახმარების სურვილი. მისი მოსაზრება ატარებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს სასამართლოსთვის.

საქართველოში სისხლის სამართალწარმოებაში „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის ეფექტიანად განხორცილებას შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები ესაჭიროება, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლს. საქართველოში არსებობს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე სახალხო დამცველის მიერ „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის გამოყენების არაერთი პრაქტიკა, ისეთ საქმეებთან მიმართებით, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, სიცოცხლის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ და სხვა სახის დანაშაულებს.

საქართველოში „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის დანერგვასა და პრაქტიკაში მის გამოყენებას მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრებას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია, მას შესწევს უნარი თავისი გავლენა მოახდინოს სასამართლოს მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაზე. „სასამართლოს მეგობრის“ მიერ კონკრეტულ საქმეზე წარდგენილი მოსაზრება ზრდის სასამართლოს ინფორმირებას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, სადაც დიდია საზოგადოებრივი ინტერესი, ხელს უწყობს განსახილველი საქმის გარემოებათა ყოველმხრივ შეფასებას, არგუმენტირებას, ანალიზს, სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციას და მათ განვრცობას. შესაბამისად, საქართველოში „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის შემდგომი განვითარების და პრაქტიკაში მისი გამოყენების გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხრივ, მოხდეს შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების შემდგომი სრულყოფა და მეორე მხრივ, დაინტერესებულ პირთა მიერ, აღნიშნული ინსტიტუტის მიმართ გაცილებით მაღალი ინტერესის გამოხატვა სასამართლოს მიერ სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

აღნიშნული მიდგომა, თავის მხრივ გაზრდის სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხს.

**Badri Khatidze**
Ilia State University
Bachelors
Supervisor: **Tamta Tsirkvadze**
Assistant, PhD Student in Law

## The Role of the Friend of the Court (Amicus Curiae) in Implementation of Criminal Judiciary in Georgia

The world's legal families of law have their own legal institutions by means of which the litigation process is carried out and, if necessary, supported by auxiliary mechanisms. The Friend of the Court (Amicus Curiae) is one of those institutions, which has a long-established practice in both common law and civil law countries. The Friend of the Court is one of the tools of objective and fair decision-making by

the court in the process of administrative, civil and criminal proceedings, and it has a positive effect on the functioning of the judicial system. It can be said, that the Friend of the Court performs the function of the so called "mediator" between the court and the society and helps to develop a trust between those two. The Friend of the Court is not a party to the proceedings, it is an independent and neutral one. The Friend of the Court should be motivated by a desire to help the court and its opinion has only an advisory to the court. Effective implementation of the Friend of the Court in criminal proceedings in Georgia requires appropriate legal mechanisms, wherein Article 55 of the Criminal Procedure Code of Georgia has an important role in it. There is a good practice of using the Friend of the Court by non-governmental organizations, as well as by the Public Defender in Georgia in respect with cases related to human rights and freedoms, crimes against life, property, and other types thereof.

Implementation and administration of the Friend of the Court in Georgia has a great importance for improving a judicial system. Although the opinion of the Friend of the Court" has only an advisory nature, it might affect the court in a fair decision-making. Opinions submitted by the Friend of the Court increases court awareness, which is extremely important particularly in cases where there is a great public interest, it contributes to the comprehensive assessment of case under consideration, argumentation, scrutiny and interpretation of legal norms. Accordingly, in order to further develop an institution of the Friend of the Court in Georgia and increase its practice, it is important that, on the one hand, the relevant legal mechanisms are improved and, on the other hand, the respective parties express their intense interest in the Friend of the Court within the criminal proceeding. Given approach itself will increase the level of public confidence and trust in the judiciary.

**ნიკა ხორავა**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **დავით გეფერიძე**
პროფესორი საერთაშორისო სამართლის
მიმართულებით

## პრევენციული თავდაცვის დასაშვებობა საერთაშორისო სამართალში

საერთაშორისო საზოგადოება მეტად დააზარალა მსოფლიო ომებმა, სწორედ ამიტომ გაეროს ძირითადი მიზანიც სწორედ შეიარაღებული კონფლიქტების საშინელი შედეგების თავიდან არიდება გახდა. თუკი ადრეულ პერიოდში დავების გადაწყვეტა ძალის გამოყენებით ლეგალური იყო, დღეს საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს იმ ბერკეტს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დავების არა ძალადობრივი, არამედ მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტა. მიუხედავად ძალის გამოყენების აკრძალვისა, ძალის გამოყენების საგამონაკლისო შემთხვევები მაინც არსებობს, კერძოდ, გაეროს წესდებით გათვალისწინებული თავდაცვის უფლება და უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება. თავდაცვის უფლებასთან დაკავშირებით დღემდე არსებობს წინააღმდეგობრივი პოზიციები, კერძოდ, პრევენციული თავდაცვის მომხრეები მიუთითებენ ბირთვულ იარაღზე, იმ ტექნოლოგიურ პროგრესზე, რომელიც კაცობრიობამ განიცადა, ასევე მიუთითებენ ჩვეულებით სამართალზე, რომლის თანახმადაც წინასწარ აღმკვეთი მოქმედებების განხორციელება გარკვეული კრიტერიუმების დაცვით კანონიერია. პრევენციული თავდაცვის მოწინააღმდეგეები კი მიიჩნევენ, პრევენციული თავდაცვის აღიარება შეასუსტებს საერთაშორისო სამართლით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებულ აკრძალვებს. წინამდებარე ნაშრომის მიზანს ის წარმოადგენს, რომ განვსაზღვროთ რამდენად შესაძლებელია პრევენციული თავდაცვის დაშვება საერთაშორისო სამართალში. პრევენციული თავდაცვის დასაშვებობასა და კანონიერებაზე, რასაკვირველია, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ უნდა იმსჯელოს და დაადგინოს, თუ რამდენად შესაბამისი იქნება მისი დაშვება საერთაშორისო სამართალთან.

**Nika Khorava**
Tbilisi State University
Bachelor
Supervisor: **Davit Geperidze**
Professor in the Direction of
International Law

## Admissibility of preventive defense in International Law

The international community was greatly affected by the world wars, which is why the main goal of the United Nations was to avoid the terrible consequences of armed conflicts. If in the early period, the resolution of disputes by force was legal, today international law is the lever through which it is possible to resolve disputes by non-violent, but peaceful means. Despite the prohibition of the use of force, there are still exceptional cases of the use of force, namely the right of self-defense stipulated by the UN Charter and the authority of the Security Council. There are still conflicting positions regarding the right to self-defense, in particular, proponents of preventive defense point to the technological progress that humanity has experienced with nuclear weapons, and also point to customary law, according to which the implementation of pre-emptive actions is legal under certain criteria. Opponents of preventive self-defense believe that the recognition of preventive self-defense will weaken the prohibitions related to the use of force under international law. The purpose of the present work is to determine how far it is possible to allow the preventive defense in international law. Of course, the International Court of Justice should discuss the admissibility and legality of preventive defense and determine how appropriate its admission will be with international law.

**აზა რუხაძე, თათია მაწონაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ალექსანდრე გიორგიძე**
სამართლის დოქტორი

# გაუფრთხილებლობა და მისი ევოლუცია დანაშაული კლასიკური მოძღვრებიდან თანამედროვე სისტემამდე

ჩვენი განხილვის საგანია გაუფრთხილებლობა სისხლის სამართალში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხია და მას სისხლის სამართლის აქილევსის ქუსლსაც უწოდებენ.

გაუფრთხილებლობის პრობლემატიკა კომპლექსურ ხასიათს ატარებს, რა დროსაც საჭიროა სხვადასხვა მოძღვრების, მათ შორის, ფილოსოფიური სწავლების მოშველიება. ამ მხრივ, გამოირჩევა კანტიანური იდეალისტური ფილოსოფიური სწავლება და ასევე ჰეგელის შეხედულებები და ნეოკლასიკური მოძღვრებები.

მიმოვიხილავთ გაუფრთხილებლობის ორ სახეს, თვითიმედოვნებას და დაუდევრობას, ასევე მიმოვიხილავთ გაუფრთხილებლობას სხვადასხვა თეორიის მიხედვით, როგორიცაა კალსიკური მოძღვრება, რომელიც ასევე მოიცავს ფსიქოლოგიურ გაგებას, ასევე ნორმატიული გაგება და ფინალური მოძღვრება, ვისუბრებთ თეორიათა ფუძემდებლებზე, ასევე განვიხილავთ ქართველი სამართლის მეცნიერების დამოკიდებულებას მოცემულ თეორიათა მიმართ. საბოლოოდ, ვისაუბრებთ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ერთსაფეხურიან და ორსაფეხურიან მოდელებზე.

**Aza Rukhadze, Tatia Matsonadze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Aleksandre Giorgidze**
Doctor of Law

## Negligence and its evolution as a crime from the classical doctrine to the modern system

Subject of our discussion is the negligence in a criminal law, which is one of the most problematic issue. The problem is that carelessness has a complex nature and that becomes the basis for replacing one sistem of crime with another and the “achilles heel”-of criminal law.

We will discuss two types of carelessness: self-reliance and negligence, also different types of theories of carelessness, which is classical theory, that encludes psychological understanding, then normative theory of guilt in a neoclassical theory of crime and dogmatic systematic analysis of negligence according to the Final doctrin.

We will also discuss founders of those theories and attitudes of Georgian scientists towards them.

Finally we will talk about single- stage and two-stage models of negligently commited crime.

**მონიკა ნაჭყებია, თათია დეკანოზიშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **გიული შაბაშვილი**
ასოცირებული პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი

## ცხოველების გამოყენება კვლევებისთვის

ცხოველების გამოყენება კვლევისა და პროდუქტების უსაფრთხოების ტესტირებაში ათწლეულების განმავლობაში მწვავე დისკუსიის საგანია. სწორედ ამ საკითხს ეხმიანება წინამდებარე ნაშრომი და განიხილავს

პრობლემას, რომელსაც მრავალი ადამიანი ეწინააღმდეგება. საკითხის არსი კი ცხოველების უუფლებობაში მდგომარეობს. მათ არ გააჩნიათ თავისუფლება და ამის გამო ხშირად განიცდიან ტრავმასა და დისკომფორტს. ყოველ პროცედურას, თუნდაც „მსუბუქად" კლასიფიცირებულს, აქვს პოტენციალი, გამოიწვიოს ცხოველების ფიზიკური და ფსიქოლოგიური დისტრესი და ტანჯვა. ცოცხალ არსებათა კვლა პირადი მოხმარების მიზეზით პირდაპირ ხელყოფს მათ უფლებებს. ცხოველები და ადამიანები მრავალი თვალსაზრისით ჰგვანან ერთმანეთს; ორივე გრძნობს, ფიქრობს, იქცევა და განიცდის ტკივილს. ამრიგად, ცხოველები ისეთივე პატივისცემით მოპყრობას იმსახურებენ, როგორსაც ადამიანები.

ამჟამად მილიონობით ცოცხალი არსება გამოკეტილია ლაბორატორიებში მთელი ქვეყნის მასშტაბით და იტანჯება ტკივილისგან, განიცდის უკიდურეს იმედგაცრუებას, სტკივა მარტოობისგან და სურთ თავისუფლება. ამგვარად, ნაშრომი ეხება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას, რომლითაც ცხოველებს ერთმევათ თავისუფლება და მასთან ერთად სიცოცხლეც. ამასთანავე, საკითხი განხილულია რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობის მაგალითზე, მათ შორის საქართველოზე.

**Monika Natchkebia, Tatia Dekanozishvili**
Tbilisi State University
Bachelor
Supervisor: **Giuli Shabashvili**
Associate Professor, Doctor of Philology

## The usage of animals for research

For several decades, there has been a heated discussion about the use of animals in research and product safety testing. The present work addresses that issue and reviews a problem that many people struggle with. The lack of animal rights is what gives the statement its meaning. They are denied their freedom and frequently suffer serious injury and discomfort. All examinations, even those identified to be "light," have the potential to cause the animals pain and suffering on both a physical and emotional level. Killing living beings for personal use directly violates their rights. Animals and people share many characteristics, including the ability to feel, think, act, and experience pain. As a result, humans and animals both deserve

respect. Numerous living things are now locked up in laboratories across the globe in sterile cages. They labor with loneliness, experience painful frustration, dwell in pain, and desire to be free. Thereby, the work refers to one of the most serious issues wherein animals are deprived of their freedom and consequently, of life. At the same time, the issue is discussed in the example of the legislation of several countries, including Georgia.

**ნათია ბასარია, მარიამ ხურციძე**
კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **თამთა წირქვაძე**
სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი

## ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული ბრალდებულის უფლებები გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, ევროკავშირის ადამიანის ძირითადი უფლებების ქარტიით და ევროსაბჭოსა და ევროკავშირის სხვადასხვა დირექტივით დადგენილი სტანდარტებიდან. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია.

- ძირითადი უფლება, რომელიც ბრალდებულს აქვს კანონით მინიჭებული და რომელიც განსაზღვრავს მის საპროცესო მდგომარეობას, ეს არის დაცვის უფლება. ბრალდებულის დაცვის უფლება ეს არის სხვადასხვა უფლებების კომპლექსი, რაც ბრალდებულს გააჩნია პროცესის ყველა სტადიაზე და რაც მას აძლევს შესაძლებლობას უარყოს ბრალდება, დაიცვას თავისი ინტერესები და თავისი პოზიცია საქმეზე.
- ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობის დასახასაითებლად ქართულ სისხლის სამართლის პროცესში უნდა გამოვყოთ რამდენიმე პრობლემური საკითხი:

1. რამდენად არის დაცული ბრალდებულის უფლება, ჰქონდეს თავის ადვოკატთან კონფიდენციალური ურთიერთობა, მაშინ, როდესაც შეიძლება

ადვოკატ ბრალდებულის მიმოწერის შინაარსობრივი შემოწმება, როცა ოფიციალურ ორგანოებს აქვთ დასაბუთებული ვარაუდი, რომ მიმოწერა შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს ციხის უსაფრთხოებას, ან სხვათა უსაფრთხოებას, ან სხვაგვარად იყოს კრიმინალური ბუნების.

2. რამდენად არის მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი დაცული იმის ფონზე, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლება მხოლოდ ბრალდების მხარეს გააჩნია. რამდენად აქვს ბრალდებულს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს საქმისწარმოებაზე.

3. რამდენად უზრუნველყოფს დაცვის ე.წ საგამონაკლისო უფლებები იმ უთანასწორობას, რომლითაც მხარეებს თავიდანვე არათანაბარი შესაძლებლობები გააჩნიათ.

- ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისა და ანალიზის შედეგის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ რამდენად არის ქართულ სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა გარანტირებული და შესაბამისი რეკომენდაციები შეიძლება იქნეს შემუშავებული ოპტიმალური შედეგების დასანერგად.

**Natia Basaria, Mariam Khurtsidze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Tamta tsirkvadze**
PhD Student in Law, Assistant

## The legal status of the prisoner in the Georgian criminal justice process

The rights of the accused, guaranteed by the Constitution of Georgia and procedural legislation, derive from the standards established by the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms, the Charter of Fundamental Human Rights of the European Union, and various directives of the Council of Europe and the European Union. According to the first sentence of the first part of Article 11 of the Constitution of Georgia, all people are equal before the law.

• The main right that the accused is granted by law and that determines his procedural status is the right to defense. The right to defense of the accused is a

complex of various rights that the accused has at all stages of the process and which gives him the opportunity to deny the accusation, defend his interests and his position in the case.

• In order to describe the legal status of the accused in the Georgian criminal law process, we should highlight several problematic issues:

1. To what extent is the right of the accused to have a confidential relationship with his lawyer protected, while the contents of correspondence between the lawyer and the accused can be checked when the official authorities have a reasonable suspicion that the correspondence may endanger the security of the prison or the safety of others, or otherwise be of a criminal nature.

2. To what extent is the principle of competition between the parties protected against the background of the fact that only the prosecution party has the right to conduct secret investigative actions. To what extent the accused has the opportunity to influence the proceedings.

3. To what extent the so-called exclusive rights of protection ensure the inequality by which the parties have unequal opportunities from the beginning.

• Based on the results of the analysis and the answers to all these questions, we can judge to what extent the legal status of the accused in the Georgian criminal justice process is guaranteed, and appropriate recommendations can be developed to implement optimal results.

**ᲜᲘᲙᲐ ᲡᲔᲠᲓᲣᲛᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ
ᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲘᲐᲢᲘ
ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ: **ᲑᲔᲥᲐ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ**
ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ,
ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ

## სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი და მისი განვითარების  პერსპექტივები საქართველოში

სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი არის არსებითი კონცეფცია მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და გაჭირვებულთათვის სოციალური სერვისებით უზრუნველსაყოფად.

საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა სოციალური უსაფრთხოების სისტემების განვითარებასა და სოციალური პროგრამების განხორციელებაში. თუმცა, საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები სიღარიბის, უთანასწორობისა და სოციალური გარიყულობის კუთხით.

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს საქართველოში სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ევოლუციას და მისი განვითარების პერსპექტივებს. ნაშრომი ასევე აანალიზებს საქართველოში სოციალური სახელმწიფოს პრინციპის საკანონმდებლო და კონსტიტუციურ ჩარჩოებს და აფასებს მისი განხორციელების ეფექტურობას, სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ისტორიულ განვითარებას, კონტექსტუალიზაციას, საქართველოში სოციალური სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზას და აანალიზებს ქვეყნის კონსტიტუციურ დებულებებს ამ სფეროში.

სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი გადამწყვეტია საქართველოში მოქალაქეთა უფლებების დასაცავად და სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად, ნაშრომი ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების უფრო მეტ ჩართულობას საქართველოში სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის ხელშეწყობასა და მხარდაჭერას.

**Nika Serdumalishvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Beka Kantaria**
Doctor of Law, Associate Professor

## The constitutional-legal principle of the social state and its development prospects in Georgia.

The constitutional-legal principle of social nation is essential concept of protecting the fundamental rights of citizens and for people in need to be provided providing social services. Georgia experienced significant progress in implementation of social security system and social series of events. However, Georgia has an important challenges in poverty, inequality and social relinquish.

Previous research is looking for an evolution of social nation's principle and development of its perspectives. The research also analyzes legislative and constitutional frames of social nation's principle in Georgia and expounds of its implementation effectiveness, development of social nation's principle history, contextualization, social nation's legislative base and also analyzes country's constitutional provisions in this field.

Social nation's constitutional-legal principle is decisive for citizen's rights protection and to ensure social justice in Georgia. To mention, research supports civil society's engagement is social justice and equality in Georgia.

**მერი კანთელაშვილი**
კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **პაატა ტურავა**
სამართლის დოქტორი, თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

## პრევენციული დაცვის საშუალებების გამოყენების თავისუბურებანი ადმინისტრაციულ სამართალში

ეფექტური მართლმსაჯულება გულისხმობს არა მარტო რეპრესიულ დაცვას, დარღვეული უფლების აღდგენას, არამედ დროებით დაცვას, პირის დაცვის უზრუნველყოფას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

სარჩელის სუსპენზიური ეფექტით ავტომატურად აჩერებს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას, მის ნამდვილობას და პირს იცავს არასასურველი მმართველობითი ღონისძიებისაგან. კვლევის საგანი გახდა საკითხი იმის შესახებ, რომ სარჩელის მიღება მხოლოდ ტექნიკური საკითხია და გულისხმობს რეგისტრაციას კანცელარიაში თუ სუსპენსიურ ეფექტს იძენს სარჩელის დაშვების შემდგომ. ასევე საჭიროა თუ არა საპროცესო ნორმა ნათლად, თუ მიუთითებდეს ადმინისტრაციული აქტის შეჩერების შესახებ საპროცესო დოკუმენტის შედგენის აუცილებლობაზე.

თუ სასამართლოს მიერ სასკ-ის 31-ე მუხლის საფუძველზე მიღებული დროებითი განჩინება გამოდგება გაუმართლებელი დავის საგანთან დაკავშირებით და დადასტურდება, რომ მოთხოვნას არ ჰქონდა

სამართლებრივი საფუძველი, მაშინ მოსარჩელე მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზიანი, რომელიც დროებითი განჩინების გამოცემის შედეგად მიადგა. ცხადია, დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნა შეიცავს გარკვეულ რისკს, რაც არ ახასიათებს სასკ-ის 29-ე მუხლით განსაზღვრულ უფლების დაცვის დროებით საშუალებას სარჩელის სუსპენსიური ეფექტის სახით, თუმცა არ გამორიცხავს ასეთი ზიანის მიყენების შესაძებლობას.

აღსანიშნავია, რომ მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, პრევენციული ღონისძიებების გამოყენება შესაძლებელია როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან და ადმინისტრაციულ სამართალში უნდა არსებობდეს სამომავლოდ ზიანის მიყენებისაგან მოპასუხის დაცვის ეფექტიანი საშუალებები.

**Meri Kantelashvili**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Paata Turava**
Doctor of Law, Professor of
Tbilisi State University

## Specifics of application of the use of preventive protection measures in administrative law

Effective justice implies not only repressive protection, restoration of the violated right, but also temporary protection, providing protection to a person until the final decision on the case is taken.

With the suspensive effect automatically suspends the action of the disputed administrative-legal act, its validity and protects the person from an undesirable administrative measure. The issue of whether accepting the claim is only a technical matter and involves registration in the court or it gains a suspensive effect after the claim is accepted, as well as whether it is required for the procedural norm to clearly indicate the necessity of drafting a procedural document concerning the suspension of the administrative act have become a subject of the study.

If the temporary ruling adopted by the court on the basis of Article 31 of the APC is used with respect to the subject of an unjustified dispute and it is proved that the claim had no legal basis, then the claimant shall be obliged to compensate the other party for the damage caused as a result of the issuance of the temporary ruling. It is obvious that the requirement to issue a temporary ruling involves a certain risk that is not characteristic of the temporary means of protection of the right defined by Article 29 of the CALG in the form of a suspensive effect of the lawsuit, although, it does not exclude the possibility of causing such damage.

It is noteworthy that based on the most essential principle of equality of the parties, preventive measures can be applied both from the position of the plaintiff and the defendant, and in administrative law, there should also be effective means of protecting the defendant from harm in the future.

**მაკა პაპაშვილი**
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
ხელმძღვანელი: **გოგა ხატიაშვილი**
სამართლის მაგისტრი,
ასისტენტი

## ქართული კანონმდებლობის აღსრულების პრაქტიკული სირთულეები ფემიციდის წინააღმდეგ საბრძოლველად

XXI საუკუნეში ფემიციდი, ქალის მკვლელობა, რომელიც მოტივირებულია გენდერული უთანასწორობით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემა არ არის უცხო ქართული რეალობისთვისაც, უფრო მეტიც, ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა გენდერული ნიშნით ჩადენილ მკვლელობათა მაჩვენებელი. იქიდან გამომდინარე, რომ ფემიციდი არ არის სპონტანური დანაშაული და, როგორც წესი, მანამდე ქალი ექვემდებარება ძალადობის სხვადასხვა ფორმას, უნდა მოხდეს მისი გამომწვევი ფაქტორების გაანალიზება და შეფასება. ფემიციდი ეს არის ძალადობრივი ციკლის კულმინაცია, რომელსაც სჭირდება კომპლექსური შესწავლა. სტატიის მიზანია, ნათლად იქნეს წარმოჩენილი ის პრობლემები, რომლებიც ახალისებს გენდერული

უთანასწორობით მოტივირებულ მკვლელობას. ამ გამოწვევების წარმოსაჩენად სტატიაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კანონმდებლობის აღსრულების პრობლემატური საკითხები;
- საბაზისო განათლების მნიშვნელობა გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის პროცესში;
- მოძალადესთან მუშაობის სპეციფიკა, ქცევის კორექციის პროგრამის მნიშვნელობა და მასთან არსებული გამოწვევები;
- ელექტრონული ზედამხედველობა ფემიციდის პრევენციის პროცესში;

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვა მიზნად ისახავს მოხდეს ფემიციდის მაპროვოცირებელი ძირითადი ტენდენციების განხილვა, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება რელევანტური რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა განხორციელებაც მოგვცემს შესაძლებლობას გავაძლიეროთ ძალისხმევა ქალთა მიმართ, ანდა ოჯახში ძალადობის და განსაკუთრებით ფემიციდის პრევენციისათვის.

**Maka Papashvili**
Georgian National University
Master's degree
Supervisor: **Goga Khatiashvili**
Master of Law, Assistant

## Practical difficulties in enforcing Georgian legislation to combat femicide

In the 21st century, femicide, the killing of women motivated by gender inequality, is one of the most important challenges. The mentioned problem can be found in Georgian reality as well. Moreover, the rate of gender-based murders has significantly increased in recent years. Based on the fact that femicide is not a spontaneous crime, and as a rule, a woman is exposed to various forms of violence before that, the factors causing it should be analyzed and evaluated. Femicide is the culmination of a cycle of violence that needs a complex study. The purpose of the article is to clearly present the problems that are causing murder motivated by gender inequality. To present these challenges, the article will discuss the following issues:

• Problematic issues of enforcement of legislation on violence against women and domestic violence;

• The importance of basic education in the process of eliminating gender inequality;
• The specifics of working with the abuser, the importance of the behavior correction program and the challenges associated with it;

• electronic supervision in the process of femicide prevention;

The discussion of the above-mentioned issues aims to discuss the main trends provoking femicide, as a result of which it will be possible to develop relevant recommendations, the implementation of which will give us the opportunity to strengthen efforts to prevent violence against women or domestic violence, and especially femicide.

**დარეჯან აღალბედაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **გივი ლობჟანიძე**
პროფესორი

## ზურაბ ავალიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის და მსოფლმხედველობის ძირითადი მომენტები

ზურაბ ავალიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა მას შემდეგ, რაც ქართველი ერისა და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას გამოაკლდა ილია ჭავჭავაძე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან ილიას დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელა მთელი სიცოცხლის მანძილზე. მისმა განსწავლულობამ და სამართლებრივმა თვალსაწიერმა გადაარჩინა ქვეყანა თურქეთის ანექსიისაგან, მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა 1921 წლის კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები, რითაც ისაზრდოვა დემოკრატიულმა საქართველომ. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში იგი ძირითადად უცხოეთში იმყოფებოდა, მუდამ საქართველოს ისტორიას იკვლევდა და ქმნიდა კულტურულ-ინტელექტუალურ ღირებულებებს, რასაც შეფასება და დაფასება სჭირდება .

ზურაბ ავალიშვილის შეხედულებით, ქვეყნის განვითარების უმთავრესი საფუძველი არის დამოუკიდებლობა. მისი მოსაზრება ქვეყნის განვითარების

ძირეულ საფუძველზე ემთხვევა ილია ჭავჭავაძის შეხედულებას. ზურაბ ავალიშვილს შეეძლო ყოფილიყო მხოლოდ იურისტი, ისტორიკოსი, მწერალი და არა აქტიურად მოქმედი პირი საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაში. ის შესაძლებელი იყო დასჯერებოდა მხოლოდ წერას და თავისი ეპოქის, თავისი ქვეყნის ტკივილის, საჭიროების და მიზეზების აღწერას თავის ნაშრომებში. დასაფასებელი და პატივსაცემია სწორედ ის გარემოება, რომ ის რამდენიმე ფრონტზე იბრძოდა თავისი ქვეყნის სამსახურში.

ქვეყნის ეროვნული წარმატება, ეროვნული პროგრესი აღელვებდა. ეს კი ხაზს უსვამს მის დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი, მის მრავალმხრივ განათლებას, პრაქტ.მოღვაწეობას.

**Darejan Akhalbedashvili**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Givi Lobdjanidze**
Professor

## The main points of life, activity and worldview of Zurab Avalishvili

Zurab Avalishvili's political career started after Ilia Chavchavadze moved away from the struggle for Georgian nation and independence of Georgia. It is fair to mention ~~said~~, that he honorably continued the matter, which was started by Ilia, over his lifetime. His erudition and legal open-mindedness saved country from the annexation by Turkey, Constitution of 1921 year and other normative acts were composed with his active participation, which provided the democracy of Georgia. In spite the fact, that later he lived abroad, he was always researching history of Georgia and creating cultural- intellectual values, that deserves appreciation

According to Zurab Avalishvili's view, the most important basis for the development of the country is independence. His consideration about the main basics of development of country coincide entirely with the points of Ilia Chavchavadze.

Zurab Avalishvili could be only a lawyer, historian, writer and not active person in the political conditions of Georgia in that period. He could be sufficient with writing and describing the pain, needs and reasons of his epoch, his country. Exactly, the

circumstance that he was fighting in the different fronts for his country is very appreciative and worthy of respect.

Zurab Avalishvili could be only a lawyer, historian, writer and not active person in the political conditions of Georgia in that period. He could be sufficient with writing and describing the pain, needs and reasons of his country. Exactly, the circumstance that he was fighting in different places for his country is very appreciative and worthy of respect.

He was concerned about the national success, national progress. And this really emphasizes his love towards the motherland, his multifaceted education and practical activities for public good.

**თეონა გაიდაროვი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ბექა ქანთარია**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფოს იდეა

ფაქტია, დროის ცვლილებასთან ერთად, ეპოქა ყოველთვის ახდენდა ზეგავლენას კონსტიტუციის შინაარსზე. მოცემულ ასპექტში განვიხილავთ, თუ რას მოცავს და რა დანიშნულება აქვს თანამედროვე კონსტიტუციურ იდეას სახელმწიფოში. აღნიშნულთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ წინა პერიოდის კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, ახალ კონსტიტუციებში უფრო გაფართოებულია რეგულირების სფერო, სადაც სახელმწიფო უშუალოდ ერევა სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში. აღსანიშნავია, რომ ამ კონსტიტუციათა უმრავლესობა XX საუკუნის 60-იან წლებში ახლით შეიცვალა, ზოგ შემთხვევაში კი მოხდა ძველის გადასინჯვა.

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში უფრო ეფექტური, დემოკრატიული და გონივრული მმართველობის უზრუნველსაყოფად, ხელისუფლებაში პოლიტიკური ძალაუფლება გადანაწილებულია 3 შტოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის,

რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გამოვლინებას წარმოადგენს. ამგვარი დაყოფა და ხელისუფლების შტოების ურთიერთკონტროლი კი მიზნად ისახავს სახელმწიფო ძალაუფლების ბალანსის მიღწევას, ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ იგი უზრუნველყოფს კონტროლის ადეკვატურ მექანიზმებს და აღკვეთს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. აქვე აღვნიშნავ, რომ, რამდენადაც ცნობილია, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო ერთმანეთს განაპირობებენ, თუმცა, ისინი სამართლებრივი სისტემის დამოუკიდებელ პრინციპებს წარმოადგენენ. ისტორია იცნობს დემოკრატიულ სახელმწიფოებს, სადაც სამართლებრივი სახელმწიფო არ არსებობდა და პირიქით, სამართლეებრივ სახელმწიფოებს, სადაც დემოკრატია არ ყოფილა. აღნიშნულთან მიმართებით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი მახასიათებელი მისი სუვერენიტეტია. საქართველო, მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, სუვერენული სახელმწიფოა, რაც ნიშნავს, რომ მას აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება მისივე ტერიტორიაზე. იგი არის უზენაესი თავის საშინაო საქმეებში და დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთობებში. ამავდროულად, იგი საგარეო ურთიერთობებში მონაწილეობს, როგორც თანასწორი სუბიექტი სხვა სახელმწიფოებთან მიმართებით.

**Teona Gaidarovi**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Beka Kantaria**
Doctor of Law, Associate Professor

## Idea of modern constitutional state

The fact is, along with the change of time, the era has always influenced the content of the constitution. In this aspect, we will discuss what the modern constitutional idea is and what purpose it has in the state. In this regard, first of all, it is important to say that, unlike the constitutions of the previous period, the new constitutions have a wider scope of regulation, where the state directly intervenes in social, economic and other important issues. It should be noted that most of these constitutions were changed in the 60s of the 20th century, and in some cases the old ones were revised. In order to ensure more effective, democratic and reasonable

governance in modern democratic states, the political power in the government is divided into 3 branches of legislative, executive and judicial power, which is an expression of the principle of separation of powers. Such division of branches of government and mutual control aims to achieve balance of state power, at the same time, it is important to ensure adequate mechanisms of control and prevent abuse of power. I would also like to point out that, as far as is known, democracy and the rule of law condition each other. However, they are independent principles of the legal system. History knows democratic states where there was no legal state and, on the contrary, legal states where there was no democracy.

In relation to the above, it is also important that one of the characteristics of the modern state is its sovereignty. Georgia, like other states, is a sovereign state, which means that it has exclusive authority over its own territory. He is supreme in domestic affairs and independent in foreign affairs. At the same time, it participates in foreign relations as an equal subject in relation to other states.

**სალომე გულიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **სერგო ქელიძე**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენების ფორმალური საფუძვლები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ეროვნული პრაქტიკის მიხედვით

სამეცნიერო ნაშრომის მნიშვნელობა განპირობებულია არასრულწლოვან ბრალდებულთა უფლებების დაცვით მაშინ, როდესაც მათ მიმართ უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების საკითხი განისაზღვრება, აღნიშნული ინსტიტუტის საჭიროებებზე მსჯელობა წარმოუდგენელია პატიმრობის გამოყენების თეორიული და პრაქტიკული კუთხით გაანალიზების გარეშე. კვლევისას გამოყენებულია ანალიზისა და შედარების მეთოდი, ლოგიკური მსჯელობისა და აზროვნების მეთოდი, კონკრეტული სისხლის

სამართლის საქმეებისა და დადგენილი განაჩენების შესწავლისა და განზოგადების მეთოდი.

ნაშრომის სტრუქტურა ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში მყოფი ერთგვარი ჯაჭვია, სადაც კანონმდებლობის გაანალიზების შემდგომ პრაქტიკულად ასახვის მაგალითებია განხილული. კერძოდ, გაანალიზებულია, თუ რას გულისხმობს და როგორ განიმარტება არასრულწლოვნის მიმართ უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის საკანონმდებლო კონსტრუქცია, განხილულია ფორმალური (საპროცესო) საფუძვლები ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზების კუთხით, სამივე ფორმალური (საპროცესო) საფუძველი, როგორებიცაა მიმალვის საფრთხე, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა მტკიცებულებების განადგურებით და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, განხილულია სასამართლო პრაქტიკის მიხედვით და დასახელებულია, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს მათში. ნაშრომში განხილული თემის მთავარ რეკომენდაციად დასახელებულია ფორმალური საფუძვლების დასაბუთების ხარისხის გაზრდა და აბსტრაქტული, ზოგადი მსჯელობის დაუშვებლობა.


**Salome Guliashvili**
Caucasus International University
Doctoral
Supervisor: **Sergo Tchelidze**
Doctor of Law,
Associate Professor


## Formal grounds for the use of detention against minors according to the European Court of Human Rights and national practice


The importance of the scientific work is due to the protection of the rights of the minor defendants, while the issue of using the extreme preventive measure - imprisonment is determined for them, it is impossible to discuss the needs of the mentioned institution without analyzing the use of imprisonment from a theoretical and practical point of view. The research uses the method of analysis and comparison, the method of logical reasoning and thinking, the method of studying and generalizing specific criminal cases and established verdicts.

The structure of the work is a kind of chain logically connected with each other where after analyzing the legislation, examples of practical reflection are discussed. In particular, it is analyzed what is meant and how the legal construction of the measure of extreme restraint against minors - detention is interpreted, formal (procedural) grounds are discussed in terms of analyzing national and international practice, all three formal (procedural) grounds, such as the threat of absconding, obstruction of the administration of justice by destruction of evidence and the threat of committing a new crime is discussed according to the case law and meaning. The main recommendation of the topic discussed in the work is to increase the quality of justification of formal grounds and not allow abstract, general reasoning.

# სამართლის სექცია
# Section of Law

## II ქვესექცია
## II Subsection

**ზაზა სურგულაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ქექელაშვილი**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

### ფაქტორინგის მნიშვნელობა და უპირატესობა საქართველოში

ფაქტორინგი კომპანიებს ფულადი სახსრების გაზრდასა და საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებაში ეხმარება. აღნიშნული საბანკო პროდუქტი ითვალისწინებს ინვოისების დაფინანსებას, მხარდაჭერას მიმდინარე დებიტორული დავალიანების შეგროვებაში და დაფინანსების დაფარვის უზრუნველყოფას დებიტორის გაკოტრების ან არგადახდის შემთხვევაში.

ფაქტორინგი ძირითადად ისეთ ბიზნეს საქმიანობაში გამოიყენება, როგორიცაა წარმოება, საბითუმო ვაჭრობა/დისტრიბუცია, მშენებლობა, ჯანდაცვა ან ფარმაცევტული კომპანიისა და ტრანსპორტის კომპანიების საქმიანობა, თუმცა ამ პროდუქტის გამოყენება შეუძლია ასევე ნებისმიერ ბიზნესს, რომელიც რეგულარულად აწვდის ან უწევს მომსახურებას მომხმარებლებს.

დებიტორისათვის ფაქტორინგის მეშვეობით აგრეთვე შესაძლებელია თანხის გადახდის ვადის გადავადებაც.

ფაქტორინგული გარიგებები მოიცავს რამდენიმე ძირითად ელემენტს: ფაქტორინგის სახის განსაზღვრა, იმის დადგენა, წარმოადგენს თუ არა დებიტორული დავალიანების გადაცემა მის რეალიზაციას თუ უზრუნველყოფის ხელშეკრულებას, სამომავლო დებიტორული დავალიანების არსებობის შედეგები, ფაქტორინგის ფარგლების იდენტიფიკაცია, ასევე, დებიტორული დავალიანების ფაქტორინგული და არაფაქტორინგული ფორმების განსხვავება შესაძლოა მივიჩნიოთ ასეთ ძირითად ელემენტებად.

**Zaza Surguladze**
Caucasus International University
Bachelors
Supervisor: **Zurab Chechelashvili**
Doctor of Law, Associate Professor

## Importance and advantages of factoring in Georgia

Factoring helps companies raise cash and finance working capital. The mentioned banking product provides financing of invoices, support in the collection of current receivables and provision of repayment of financing in case of bankruptcy or non-payment of the debtor.

Factoring is primarily used in business activities such as manufacturing, wholesale/distribution, construction, healthcare or pharmaceutical and transportation companies, although any business that regularly supplies or provides services to customers can use this product.

It is also possible for the debtor to postpone the payment term through factoring.

Factoring transactions include several basic elements that should be considered in the process of determining the said financial service. Determining the type of factoring, determining whether the transfer of receivables represents its realization or a security agreement, the consequences of the existence of future receivables, the identification of the scope of factoring, as well as the difference between factoring and non-factoring forms of receivables can be considered like such basic elements.

**ირაკლი ლეონიძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **ნათია ჩიტაშვილი**
სამართლის დოქტორი

## ჩუქების ხელშეკრულებისა და ანდერძის გამიჯვნის სამართლებრივი მახასიათებლები

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავის სიცოცხლეში თავისუფლად და დამოუკიდებლად განკარგოს კერძო საკუთრების ობიექტი. მოქალაქიდან მოქალაქეზე უძრავი ნივთის გადაცემის - ანდერძით მემკვიდრეობის გზით და ჩუქების ხელშეკრულებისმიერი საშუალებები დადგენილია კანონით, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სისტემურობასა და სტაბილურობას თეორიული თუ პრაქტიკული დანიშნულებით.

წინამდებარე კვლევის მიზანია ანდერძის თავისუფლების შეპირისპირება უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულებასთან, შემდგომში ჩუქების ხელშეკრულებისა და ანდერძის გამიჯვნის სამართლებრივი სისტემური მახასიათებლების ჩამოყალიბება: ფორმა, ძირითადი პირობები, ძალაში შესვლა, შედეგების წარმოშობა და სხვა. მათ შორის, დადგენა იმისა, თუ რა განსხვავებაა ანდერძის თავისუფლებასა და ჩუქების სახელშეკრულებო თავისუფლებას შორის -სუბიექტთა მოტივების გათვალისწინებით.

საკითხის დამუშავება ხელს შეუწყობს სავარაუდო სამკვიდრო ქონების მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე განლევის რისკების გარკვევასა და ანდერძის ბათილობის კომპლექსურობის შეფასებას. ამ მხრივ რეკომენდაციების შემუშავებას ერთი მხრივ, ხელშეკრულების მხარეთა, ხოლო მეორე მხრივ, ანდერძისმიერ მემკვიდრეთა უფლებების დასაცავად.

**Irakli Leonidze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Doctoral
Supervisor: **Natia Chitashvili**
Doctor of Law

## Qualifying Characteristics of Testamentary Succession to Distinguish from Gift

A citizen can freely and independently dispose ~~of~~ a private property. The means of transfer of immovable property through inheritance by will and gift agreement are established by the law, which ensures systematization and stability of civil turnover for theoretical or practical purposes.

The aim of the study is to contrast the freedom of will with the contract of gift of immovable property, then to establish the legal system characteristics of the separation of gift contract and will: form, basic conditions, entry into force, origin of results and others, in order to define the difference between the freedom of will and the contractual freedom of gift the people's motives must be taken into consideration.

Working out the issue will help to clarify the risks of disposing of the estate before the death of the heir and assess the complexity of the invalidity of the will. In this regard, the development of recommendations for the protection of the rights of the parties to the contract on the one hand, and of the heirs under the will on the other hand.

**ანა გვენცაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
პუატიეს უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **ზურაბ ჭეჭელაშვილი, მიშელ ბუდო**
სამართლის დოქტორი, პროფესორი

## თანაცხოვრება და სოლიდარობის აქტი

მას შემდეგ, რაც 1997 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ძალაში შევიდა, 25 წელზე მეტია, იმდროინდელი გერმანული საოჯახო სამართლის ანალოგი - ქართული საოჯახო სამართალი საკანონმდებლო ცვლილებების ობიექტი ფაქტობრივად არ გამხდარა. მაშინ, როდესაც ევროპის მასშტაბით, საზოგადოების ძირითადი ბირთვის გარშემო, რომელსაც ოჯახი ეწოდება, სახელმწიფოები ახალ რეგულაციებს აწესებენ, ქმნიან ინსტიტუტებს, აფართოებენ ცნებებს და ამ ყველაფერს უსადაგებენ პიროვნების თავისუფალ განვითარებასა და არჩევანს, ჩვენი საოჯახო სამართალი სულ უფრო და უფრო შორდება რეალობას. აღნიშნულ სტატიაში მიმოხილულია, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული, წყვილს შორის არსებული ურთიერთობის ქორწინებისაგან განსხვავებული სახეები, რომლებიც, საფრანგეთის ეროვნული სტატისტიკის მიხედვით, ქორწინებასთან შედარებით, ბევრად მოთხოვნადია ახალგაზრდა წყვილებს შორის. აღნიშნული სახეები პიროვნებებს აძლევს საშუალებას, საკუთარი ნებით გადაწყვიტონ, რომელი სამართლებრივი ინსტიტუტია მათი ურთიერთობისთვისა და მიზნებისთვის ყველაზე ხელსაყრელი.

ქართული საზოგადოება ევროპის დიდ ოჯახს მიეკუთვნება, სწორედ ამიტომ, აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობაც ფეხს უწყობდნეს იმ განვითარების ტემპს, რასაც ევროპული დინამიკა ჰქვია და ითვალისწინებდეს იმ ცვლილებებს, რომლებსაც მეზობელი სახელმწიფოები ახორციელებენ, რა თქმა უნდა, საკუთარ რეალობაზე მორგებით. ოჯახი, როგორც ქართული, ისე ფრანგული საზოგადოების ბირთვს წარმოადგენს, რომელიც, მისი მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ორგანიზებული და დაცულია კანონის ძალით. ოჯახი არის ფიზიკური პირების დიდი ან მცირე ჯგუფი, რომლის წევრებსაც ერთმანეთთან გარკვეული სახის ნათესაური ან საოჯახო სამართლებრივი კავშირი გააჩნიათ.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, განსხვავებით ქართული სამართლისაგან, რომელიც წყვილს შორის მხოლოდ ქორწინების ინსტიტუტის არსებობას აღიარებს, წყვილის ურთიერთობის ორ სამართლებრივ სახეს იცნობს: თანაცხოვრება (concubinage) და სოლიდარობის აქტი (pacte civil de solidarité*). თანაცხოვრებისა და სოლიდარობის აქტის შესახებ თავი საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში მრავალი საპარლამენტო დებატის შედეგად, 1999 წელს 15 ნოემბერს №99-944 კანონის საფუძველზე ჩაიწერა. აღნიშული საკანონმდებლო ცვლილებები განაპირობა საზოგადოების განვითარებამ, ქალთა მოძრაობებმა და ქალთა უფლებების ჩამოყალიბებამ, დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ სწრაფვამ და პიროვნულმა თავისუფლებამ. საფრანგეთის სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის კვლევების თანახმად, თანაცხოვრება და სამოქალაქო აქტი ახალგაზრდა წყვილებში მნიშვნელოვნად ხშირად გვხვდება, ვიდრე ქორწინება.

**Ana Gventsadze**
Caucasus international university, University of Poitiers
Doctorate
Supervisor: **Zurab Chechelashvili, Michel Boudot**
Doctor of Law, Professor

## Cohabitation and Civil Union

After the Civil Code of Georgia entered into force in 1997, more than 25 years, the analogue of the German family law at that time - Georgian family law - has not actually become the object of legislative changes. While all over Europe, around the basic core of society called the family, the states establish new regulations, create institutions, expand the concepts and support all this to the free development and choice of the individual, our family law is more and more distant from reality. In this article, the types of relationship between the couple provided by the French Civil Code, different from marriage, are reviewed, which, according to the French national statistics, are much more in demand among young couples compared to marriage. These types allow individuals to decide of their own free will which legal institution is the most favorable for their relationship and goals. Georgian society

belongs to the big family of Europe, that is why it is necessary for the legislation of Georgia to follows the dynamics of European development, and take into account the changes made by the neighboring states, of course, adjusting it to his own reality.The family is the nucleys of both georgian and french society, which, due to its high importance, is organized and protected by law. The family is a large or small group of natural persons who have some kind of kinship or family-legal relatioship with each other. The French Civil code, in contrast to the georgian law, which only recognizes the existence of the institution of marriage between a couple, recongnizes two legal forms of a couple's relationship : Cohabitation (concoubinage) and Act of solidarity (Pacte civil de solidarité*). As a result of many parliamentary debates, the Chapter of the cohabitation and of the acte of solidarity was addeded into the French Civil Code on November 15, 1999 on the basis of Law No. 99-944. The aforementioned legislative change was caused by the development of society, women's movements and tge establishment of women's rights, the desire for an independent life and personal freedom. According to the research by the French National Institute of Statistics, Cohabitation and Act of solidarity are significantly more common among young couples than marriage

**მერი კეთილაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **როინ მიგრიაული**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## სახელმწიფო, როგორც პრივილეგირებული კრედიტორი რეაბილიტაციის რეჟიმში

სახელმწიფოს პრივილეგირებულ მდგომარეობაზე ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა 2007 წლის კანონის ფარგლებში, რომელსაც ზედმეტსახელად „ბენდუქიძის" სახელიც კი ეწოდა. თუმცა, 2021 წლის კანონის ფარგლებშიც კანონმდებლის მიერ ცალსახად არის „შემოპარებული" მისი განსაკუთრებული მდგომარეობა. ვალაუვალობის სამართალში, კერძოდ კი რეაბილიტაციის რეჟიმში, სახელმწიფოს ინტერესების გამტარად გვევლინება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური. სწორედ,

შემოსავლების სამსახური არის კრედიტორი, რომელსაც ახალმა კანონმა პრივილეგირებული მდგომარეობა დაუდგინა ახალი კანონის ფარგლებში, რაც გულისხმობს რეაბილიტაციის გეგმის პროექტის, როგორც ერთ-ერთი კრედიტორის მიერ მოწონებას.

რეაბილიტაციის გეგმას, კრედიტორები იწონებენ, მათ შორის შემოსავლების სამსახური. ჩვეულებრივ, ეს პრობლემას არ წარმოადგენს. მაგრამ, როდესაც კანონი მას უპირატეს მდგომარეობაში აყენებს, სახეზე გვაქვს კრედიტორთა წრის დიფერენცირება და კონკრეტული პირისათვის განსაკუთრებული მდგომარეობის შექმნა. კერძოდ, პრობლემას წარმოადგენს კანონის დანაწესი, რომლის თანახმად, შემოსავლების სამსახურის თანხმობა გაცემულად მიიჩნევა, თუ რეაბილიტაციის გეგმის პროექტი რეაბილიტაციის გეგმის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 წლისა, ყოველწლიურად მოთხოვნათა თანაბარზომიერი დაკმაყოფილებით საგადასახადო მოთხოვნების ძირითადი თანხის სრულად დაფარვას ითვალისწინებს. მიმაჩნია, რომ მოცემული ნორმა, რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების კანონის ძირითად მიზანს კრედიტორთა კოლექტიურ დაკმაყოფილებას და საყოველთაოდ აღიარებულ თანასწორობის პრინციპს არღვევს.

**Meri Ketiladze**
Caucasus international University
Doctoral
Supervisor: **Roin Migriauli**
Doctor of Law,
Associate Professor

## The state as a privileged creditor in the rehabilitation regime

Many have spoken and written about the privileged status of the state within the 2007 law, which was even nicknamed "Bendukidze."

However, the legislator has also included this special regulation in the 2021 law, albeit surreptitiously. In the context of bankruptcy law, specifically in the rehabilitation regime, the state's interests are represented by a legal entity under public law - the Revenue Service. Indeed, the Revenue Service is a creditor with

privileged status, as the law stipulates that the approval of the draft rehabilitation plan is necessary for them, among other creditors.

While creditors, including the Revenue Service, typically approve the rehabilitation plan, this can create differentiation among the circle of creditors and create special conditions for a particular individual when the law puts the Revenue Service in an advantageous position. Indeed, the Revenue Service is a creditor, who has a privileged status. The law stipulates, that the draft rehabilitation plan must be approved by one of the creditors.

In particular, the problem is the legal provision, according to which the consent of the Revenue service shall be deemed to have been granted if a draft rehabilitation plan provides for the full payment of the principal amount of tax claims through the equal satisfaction of claims annually, not later than 5 years from the entry into force of the draft rehabilitation plan.

In my view, this provision contravenes the primary objectives of the Law on Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors, namely the equitable satisfaction of creditors and the universally recognized principle of equality.

**მარიამ კოხრეიძე**
წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მერი კეთილაძე**
სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი

## შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში

ნაშრომი ეხება შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ პრობლემებს საქართველოში. შრომის ანაზღაურება, როგორც ვიცით, არის არამარტო ხელფასი, არამედ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შედეგად გასამრჯელო, დანამატი და ნებისმიერი სხვა რამ, რასაც დამსაქმებელი დასაქმებულს უხდის შესრულებული სამუშაოს პროპორციულად. ძირითადად შრომის ანაზღაურება ხდება ფულადი სახით, თუმცა შესაძლებელია მისი ნატურით გადახდაც, გაჩნია რაზე შეთანხმდებიან შრომითი ხელშეკრულების

სუბიექტები. საქართველოში ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ დამსაქმებელი თავის უფლებამოსილებებს ბოროტად იყენებს, რაც შრომის ანაზღაურების კუთხით გამოიხატება შემდეგში: როცა დასაქმებულს დამსაქმებელი შესრულებულ სამუშაოსთან შედარებით დაბალ ხელფასს უხდის, არ ხდება ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშოს ანაზღაურება, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის ანაზღაურება, როცა საერთოდ არ ხდება შეთავსებადი სამუშაოს ანაზღაურება და ა.შ. დამსაქმებლები სარგებლობენ დასაქმებულების უმეცრებითა და ნდობით. შესაბამისად, მათ მიზერულ ანაზღაურებას უხდიან, რაც არასამართლიანია.

დასაქმებულებს უნდა მიეცეთ საარსებო მინიმუმი, რომლითაც შეძლებენ არამარტო, საკუთარი თავის, არამედ თავიანთი ოჯახის რჩენას, მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შრომის სამართლში, კერძოდ, შრომის ანაზღაურების კუთხით საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება. ეს გამოიხატება იმაში, რომ მოსახლეობამ გაიგოს, თუ რას გულისხმობს შრომის ანაზღაურება. ამის საჭიროება დადგა, რადგანაც დღევანდელ რეალობაში შრომის ანაზღაურებად მიიჩნევენ მხოლოდ ხელფასს, რაც ასე არ არის.

**Mariam Kokhreidze**
St. Andrews Georgian University
Bachelor
Supervisor: **Meri Ketiladze**
Doctoral Candidate of Law,
Assistant

## Issues related to the remuneration in Georgia

The aim of the paper is to raise public awareness in terms of labor law, in particular, in terms of remuneration. This is expressed in the fact that I will introduce the population to what the wages mean. The necessity for this has arisen due to the current perception that employment is only related to income, which is not entirely accurate. Furthermore, the primary objective is to inform workers of their rights related to remuneration. This paper discusses the issues related to labor in Georgia. As we know, the remuneration is not just a salary, but also a means to achieve good

results in performing work, as well as an addition and anything else that the employer assigns to the employee proportionally to the work performed. Mainly, the assessment of labor is monetary, but payment in kind is also possible, and subjects related to labor agreements are determined. The main problem in Georgia is that employers take advantages of employees rights. The following is depicted in terms of labor remuneration: when an employee is paid a low wage compared to the work performed in comparison with the completed work, when the remuneration for the work performed is not proportionate due to the employer's fault, when the remuneration for the work performed is not fulfilled as a whole or partially, etc. Employers enjoy the ignorance and confidence of employees. Consequently, they are paid a low remuneration, which is a violation of the law. Therefore, employers provide a minimum wage to all, which enables employees not only to subsist but also to maintain their families' livelihoods, at least, to meet the minimum psychological and social needs.

**ნანა მიქავა, ლანა ნარსავიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მერი კეთილაძე**
სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი

## მეწარმე სუბიექტის წარმოშობა

სამეწარმეო სამართლის შესწავლის ძირითადი საგანია მეწარმე სუბიექტები, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა და ფორმისა. სამეწარმეო სამართალი იძლევა მეწარმე სუბიექტის ამომწურავ ჩამონათვლას. ჩვენთვის ცნობილია ხუთი სამეწარემო საზოგადოება, რომელბიც იურიდიული პირები არიან , ხოლო ფიზიკური პირი მხოლოდ ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით გვევლინება მეწარმე სუბიექტად.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით სამეწარმეო საზოგადოებებია: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს); კომანდიტური საზოგადოება (კს); შეზღუდული შესაძლებლობის საზოგადოება (შპს); სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი.

აღნიშნული მეწარმე სუბიექტების წარმოშობას სხვადასხვა ეტაპები აქვს. მეწარმე სუბიექტის წარმოშობა სამეწარმეო რეესტრში მის რეგისტრაციას

უკავშირდება. სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირდება როგორც ინდივიდუალური მეწარმე, ისე - სამეწარეო საზოგადეობა. სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია ნიშნავს შესაბამისი ჩანაწერების გაკეთებას აღნიშნული სუბიექტების შესახებ. წარმოშობის შემდეგ მეწარმე სუბიექტები ხდებიან სამეწარმეო სამართლებრვი ურთიერთობის მონაწილენი.

მეწარმე სუბიექტი წარმოშობამდე გადის სამ ეტაპს:

1. სამეწარემო საზოგადოების შექმნა.
2. სამეწარემო საზოგადოების დაფუძვნება.
3. სამეწარემეო საზოგადოების რეგისტრაციის ეტაპი.

შესაბამისად, იმისათვის, რომ სამეწარმეო საზოგადოებამ განახორციელეოს თავისი საქმიანობა სამართლებრივად, კანონთან შესაბამისობაში, მნიშვნელოვანია მეწარმე სუბიექტის წარმოშობა.

**Nana Mikava, Lana Narsavidze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Meri Ketiladze**
Doctoral Candidate of Law, Assistant

## The origin of the entrepreneurial entity

The main subject of the study of business law is business entities, regardless of their legal status and form. Corporate law provides an exhaustive list of entrepreneurial entities. We are aware of 5 entrepreneurial societies, which are legal entities, while a natural person appears as an entrepreneurial entity only with the status of an individual entrepreneur. According to the Law of Georgia "On Entrepreneurs", entrepreneurial societies are: joint liability society (SSO); limited partnership (Ks); Society for Disabilities (LLC); Joint stock company and cooperative.

The origin of the mentioned business entities has different stages. The origin of an entrepreneurial entity is related to its registration in the entrepreneurial register. Both an individual entrepreneur and a business community are registered in the business register. Registration in the business register means making appropriate records about the mentioned entities. After the origin, entrepreneurial entities become participants in entrepreneurial legal relations.

**თამარი ინასარიძე**
კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
ხელმძღვანელი: **როინ მიგრიაული**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის სამართლებრივი სტატუსი ქართულ საზოგადოებათა სამართალში**

აღნიშნულ საკონფერენციო ნაშრომზე მუშაობის მიზანია საზოგადოებას გააცნოს ბინათმესაკუთრეთა კანონის აქტუალური საკითხები, გამოიკვლიოს მისი სამართლებრივი სტატუსი და როლი საზოგადოებათა სამართალში. მრავალბინიან კორპუსებში არსებულმა ვითარებამ განაპირობა ისეთი კანონის შექმნა, რომელიც დაარეგულირებდა ბინის მესაკუთრეთა პრობლემებს და გადაწყვეტდა მათი გადაჭრის გზებს, ამიტომ კანონმდებელმა შექმნა კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“.

2007 წელს საქართველოში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ინსტიტუტი მოექცა საკანონმდებლო ჩარჩოში, ეს იმ ფონზე მოხდა, რომ სამოქალაქო კოდექსში მისი მარეგულირებელი 25 ნორმიდან 23 გაუქმდა და შესაბამისად, მთელი საკანონმდებლო მასალა გადავიდა საქართველოს კანონში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“.

ბინათმესაკუთრეთა კანონის მიღება დიდი ნაბიჯი იყო ამ სფეროს განვითარებისთვის, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ, ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ კანონის ნორმები პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება.

მოცემულ საკონფერენციო ნაშრომში აღწერილია, თუ როგორ უნდა დავიცვათ ამხანაგობის საერთო საკუთრება, ასევე, თუ როგორ ვლინდება უფლებების ბოროტად გამოყენება ამხანაგობის მართვა-განკარგვისას და განხილულია სხვა აქტუალური პრობლემები.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ ბინის მესაკუთრეთა კოოპერატივების განვითარება ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავლისთვის, ამიტომ მის სრულყოფაზე ზრუნვა აუცილებელია არა მხოლოდ მუნიციპალიტეტების, არამედ საზოგადოების მხრიდანაც.

**Tamari Inasaridze**
Caucasus International University,
Master's degree
Supervisor: **Roin Migriauli**
Doctor of Laws,
Associate Professor

## The legal status of condominiums in Georgian community law

The purpose of working on the mentioned conference paper is to introduce the public to the current issues of the law of apartment owners, to investigate its legal status and role in public law. The situation in multi-apartment buildings led to the creation of a law that would regulate the problems of the apartment owners and decide the ways to solve them, therefore the legislator created the law "On the association of apartment owners".

In 2007, the institution of condominiums in Georgia was included in the legislative framework, this happened against the background that 23 of the 25 norms regulating it in the Civil Code were canceled, and accordingly the entire legislative material was transferred to the Law of Georgia "On Condominiums".

Adoption of the law on apartment owners was a big step for the development of this area, although it is worth noting that there are still many gaps in this regard, which indicate that the norms of this law are rarely used in practice.

This conference paper describes how to protect the common property of the partnership, as well as how the abuse of rights is manifested in the management-disposal of the partnership, and other current problems are discussed.

In conclusion, I would like to point out that the development of apartment owners' cooperatives is very important for the future of the country, so it is necessary to take care of its perfection not only from the municipalities, but also from the society.

**ნათია ბაღდავაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
ხელმძღვანელი: **ზურაბ ჭეჭელაშვილი**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

# საკუთრების უფლების კერძოსამართლებრივი შეზღუდვები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

საკუთრების უფლება აბსოლუტური და მნიშვნელოვანი უფლებაა. სამართლიანი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია დაცულ იქნეს ადამიანის ძირითადი უფლებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება მოქცეულია ქვეყნის უზენაეს კანონში. ეს არის უფლება, რომელიც უზრუნველყოფილი და აღიარებულია, თუმცა, ამის მიუხედავად, კანონმდებელი უშვებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას.

საკუთრების უფლების შეზღუდვის პრობლემა ყოველთვის არსებობდა, რის გამოც, გადავწყვიტე ჩემს ნაშრომში განმეხილა საკუთრების უფლების შეზღუდვის ფარგლები სამეზობლო სამართლის კუთხით.

სამეზობლო სამართალი მეზობლებს შორის მათი ქონებიდან გამომდინარე ურთიერთობებს აწესრიგებს. დღესდღეობით ეს თემა საკმაოდ აქტუალურია ყოფით ცხოვრებაში. სამეზობლო სამართლებრივი ურთიერთობა ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს და ეფუძნება საკუთრების უფლების როგორც აბსოლუტური უფლების აღიარებას, მეზობლების უფლებათა პატივისცემასა და მათი ინტერესების გათვალისწინებას, ასევე, სამოქალაქო უფლების განხორციელების კეთილსინდისიერების ზოგად პრინციპს. მეზობლებს შორის აუცილებელია ინტერესთა ბალანსის პოვნა. სამეზობლო სამართალი არის საკუთრების თავისუფლებასა და სხვა პირთა ინტერესებში მისი შეზღუდვის საკითხში კომპრომისის ძიება.

**Natia Bagdavadze**
Caucasus International University
Master's Degree
Supervisor: **Zurab Chechelashvili**
Doctor of Law, Associate Professor

## Private legal restrictions of property rights according to the Civil Code of Georgia

Right of ownership is an absolute and important right. It is important for a just state to protect the basic rights of people. Based on the above, the right of ownership is included in the supreme law of the country. This is a right that is guaranteed and recognized, although the legislator allows the possibility of its limitation.

The problem of limitation of property rights has always existed, which is why I decided to discuss the scope of limitation of property rights from the point of view of neighborhood law in my work. Neighborhood law regulates relations among neighbors based on their property. Nowadays, this topic is quite relevant in our daily life. Neighborhood legal relations exist in any society and are based on the recognition of the right to property as an absolute right, respect for the rights of neighbors and consideration of their interests, as well as the general principle of good faith in the exercise of civil rights. It is necessary to find a balance of interests between neighbors. Neighborhood law is the search for a compromise between the freedom of property and its restriction in the interests of others.

**ლიზა ოქრიაშვილი**
წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მერი კეთილაძე**
სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი

## შრომითი დისკრიმინაცია

როგორც ვიცით, დისკრიმინაცია ეს არის პირთათვის ერთნაირ, მსგავს სიტუაციაში განსხვავებული მოპყრობა, რის შედეგადაც დგება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა თანასწორად გამოყენების მოსპობა ან

შელახვა. კონკრეტული თემის მიზანია, რომ ეფექტიანად აღმოიფხვრას დისკრიმინაციის მცდელობები.

ჩემთვის აღნიშნული თემა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ნებისმიერმა სამუშაო სფერომ მიიღოს განსხვავებული ნიშნის ადამიანი და მეტად დაინტერესდნენ მათი განსხვავებული მიმდინარეობებით. საკმაოდ რთულია, როდესაც ზუსტად ამ თვალსაზრისით უარგყოფენ სამუშაო სივრცეში .

აღსანიშნავია დისკრიმინაციის პირდაპირი და არაპირდაპირი სახე. პირდაპირი გულისხმობს პირზე რაიმე ნიშნის გამო არათანაბარ მოპყრობას, არაპირდაპირი მაგალითია, როდესაც ერთ გარკვეულ ჯგუფზე ახდენენ უარყოფით გავლენას, ვიდრე მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებზე. საჭიროა, რომ საზოგადოება გაცნობიერებული იყოს დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმაზეც - სექსუალური შევიწროება, რაც შედარებით ძლიერ ფსიქიკურ ზიანს იწვევს და ანადგურებს ადამიანს. მოთხოვნილ უნდა იქნეს იმ ზიანის ანაზღაურება, რასაც დამსაქმებელი მიაყენებს დასაქმებულს. დისკრიმინაციის მსხვერპლს შეუძლია უჩივლოს დამსაქმებელს სასამართლოში და თვით დაზარალებულებმა მოახდინონ მსგავსი შემთხვევების პრევენცია.

**Liza Okriashvili**
St. Andrews Georgian University
Bachelor
Supervisor: **Meri Ketiladze**
Doctoral Candidate of Law,
Assistant

## Labor Discrimination

As we know, discrimination is a different treatment for the same people -in a similar situation, as a result of which the equal usage of human rights and freedoms is destroyed or undermined. The purpose is to effectively eliminate discrimination attempts. For me this topic is significant to accept people with different characteristics and become more interested in their different orientations . It is quite difficult when you are rejected from any workplace. It is really the worth discrimination form , which is direct and indirect. Direct refers to unequal treatment of a person due to some sign, indirect, for example, when a certain group

is negatively affected than other people -in a similar situation. It is necessary to know people with sexual harassment , which causes very strong psychological damage and destroys a person .There must be a compensation from employer. In conclusion ,the victim of discrimination can sue the employer in court , and they can prevent similar cases.

**მარიამი გაროზაშვილი, ქეთი აბულაძე**
კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მერი კეთილაძე**
სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი

## ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი ქართულ საკორპორაციო სამართალში

ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი ქართულ საკორპორაციო სამართალში განსაკუთრებით აქტუალურია. ამასთანავე, მოგვეხსენება, რომ პრაქტიკა მეტად მრავალფეროვანია და სწორედ ეს შეიძლება ჩაითვალოს ამ საკითხის თაობაზე დოგმატური გააზრების წინაპირობად და იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის გადაწყვეტის მიღების საფუძვლად.

ქართული სამართლისთვის აღნიშნული საკითხი მეტად ახალია, ვიდრე დასავლეთის განვითარებული ქვეყნების საკორპორაციო სამართლისთვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იურიდიული ლიტერატურა არც თუ ისე ბევრია, თუ არ გავითვალისწინებთ პროფესორ ჭანტურიას 2006 წლის მონოგრაფიას, რომელიც სწორედ ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობას ეძღვნება საკორპორაციო სამართალში, ძირეული გამოკვლევა წინამდებარე თემის თაობაზე, თანაც შედარებით სამართლებრივ პერსპექტივაში, უახლოეს წარსულში არც გაკეთებულა. შესაბამისად, მიზანშეწონილი და საინტერესოც იქნება ამ საკითხთან დაკავშირებით სიღრმისეული კვლევა, რაც სტატიაში იქნება ვრცლად წარმოდგენილი.

**Mariami Garozashvili, Qeti Abuladze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Meri Ketiladze**
Doctoral Candidate of Law, Assistant

## The issue of liability of the supervisor in Georgian corporate law

The issue of liability  of the head is especially relevant in Georgian corporate law. At the same time, we note that the practice is very diverse and that it can be considered as a precondition for dogmatic understanding of this issue and as a basis for adopting a different theoretical-practical solution in legal literature. The issue for Georgian law is much newer than for the corporate law of Western developed countries. There is not much legal literature on this issue. If we do not take into account Professor Chanturia's 2006 monograph, which is precisely the responsibility of the leaders in corporate law, the fundamental research on the present topic, as well as the relatively legal perspective, has not been done in the recent past. Therefore, it would be advisable and interesting to have in-depth research on this issue, which will be presented in detail in the article.

**ნინო გურჩიანი, მარიამ ბუსკივაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი:**ნინო ხარიტონაშვილი,**
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ხელოვნური ინტელექტის როლი მართლმსაჯულებაში

XX საუკუნის პირველ ნახევარში, სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრმა პირველად წარუდგინა მსოფლიოს ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტთა კონცეფცია, ამის შემდეგ გაჩნდა შეკითხვა, თუ რა არის ხელოვნური ინტელექტი. ტერმინის შემქმნელი მაკარტი განმარტავდა, რომ ხელოვნულრი ინტელექტი არის კომპიუტერული და დისციპლინათაშორისო მეცნიერება. ხელოვნური ინტელექტს შეუძლია: გაგება, მონიტორინგი, პროგნოზირება,

შესწავლა და გაუმჯობესება. ხელოვნურმა ინტელექტმა თითქმის ყველა სფერო მოიცვა: ჯამრთელობა, განათლება, კულტურა და ა.შ.

სახელმწიფო ორგანიზების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო, სადაც ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ფართოდ ვითარდება და სადისკუსიო საკითხია, არის მართლმსაჯულება. მსოფლიო მასშტაბით ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები, პრაქტიკულად, უკვე წყვეტენ ადამიანის ბედს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში უმრავლეს შტატში ხდება, მათ შორის ფედერალურ დონეზეც. როდესაც მართლმსაჯულებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზეა საუბარი, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რა დადებითი და უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს სასამართლო სისტემაში მისმა გამოყენებამ. იმის თქმა, რომ ხელოვნური ინტელექტი მხოლოდ დადებითად შეფასდეს, არასწორი იქნება.

ხელოვნური ინტელექტით სარგებლობა არაერთ რისკს წარმოშობს. მისი გამოყენება დაკავშირებულია გამჭვირვალეობის, ანგარიშვალდებულების, გამოხატვის თავისუფლების, პირადი ცხოვრების დაცვის უფლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან. მისი მონაწილეობა მართლმსაჯულებაში აღქმულია, როგორც ადამიანური რესურსის ჩანაცვლების საფრთხე. ჯერ ისევ საკამათოა, შეუძლია თუ არა მას კრეატიული გადაწყვეტილების გამოტანა, ვინაიდან მასში არსებულ ჩატვირთულ მონაცემებს ეყრდნობა. თუმცა დღეს ყველასთვის ნათელია ის ფაქტი ,რომ მსოფლიოს მასშტაბით სასამართლო სისტემა მნიშვნელოვნად არის გადატვირთული, რის შედეგადაც ფერხდება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი. შესაბამისად, ტექნოლოგიური მიღწევების ეპოქაში სასამართლო სისტემაში ხელოვნური ინტელექტის, როგორც დამხმარის, როლში გამოიყენება. პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს სასამართლოს სამუშაო პროცესზე. ეს ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემას სწრაფად, კვალიფიციურად და ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება.

იმისათვის, რომ სასამართლო სისტემამ მართლმსაჯულების მიზნებისთვის სასარგებლოდ გამოიყენოს ტექნოლოგიური მიღწევები, საჭიროა კანონმდებლის მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სფეროებისა და როლის კონკრეტულად განსაზღვრა,რათა გამოირიცხოს მისი გამოყენებით გამოწვეული რისკები.

**Nino Gurchiani, Mariam Buskivadze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Nino Kharitonashvili**
Doctor of Law, Associate Professor

## The role of artifical intelligence in justice

In the first half of the 20th century, the genre of science fiction first presented the concept of robots with artificial intelligence to the world, so the question arose as to what is artificial intelligence. McCarthy, the creator of the term ,explained that artificial intelligence is a computer and interdisciplinary science. Artificial intelligence can understand, monitor ,predict ,study and improve. Artificial intelligence has covered almost all areas: health, education, culture, etc. One of the most important areas of government organization, where the usage of artificial intelligence is widely developed and is a matter of discussion, is justice. Worldwide, artificial intelligence algorithms practically They are already deciding the fate of a person. For example, in the United States of America, artificial intelligence is used in criminal justice in most states, including at the federal level. When talking about the use of artificial intelligence in justice, it is necessary to focus on the positive and negative effects of its use in the judicial system. It would be wrong to evaluate artificial intelligence only positively. The use of artificial intelligence creates many risks. Its use is related to challenges related to hardship, accountability, freedom of expression, and the right to protect private life. Its participation in justice is perceived as a threat to replace human resources. It is still controversial whether it can It is capable of making creative decisions, because it relies on the data loaded in it. However, today it is clear to everyone that the judicial system around the world is significantly overloaded, as a result of which the process of justice is being delayed. Accordingly, in the era of technological advances, artificial intelligence is used as an assistant in the judicial system. It has a positive impact. This will help the judicial system to fulfill its obligations quickly, competently and accurately. In order for the judicial system to use technological achievements for the purposes of justice, it is necessary for the legislator to specifically define the fields and role of artificial intelligence in order to eliminate the risks caused by its use.

**ვიკა ჟვანია**
წმ ანდრიას ქართული უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მერი კეთილაძე**
სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი

## დროებითი შრომის უუნარობა (ბიულეტენი)

საქართველოში დამსაქმებელი, ძირითადად, ბოროტად იყენებს თავის უფლებამოსილებას და არღვევს შრომის კოდექსის ნორმებს დასაქმებულის მიმართ. ეს საკითხი იმ მხივაც პრობლემურია, რომ საქართველოს მოქალაქეები არ ინტერესდებიან შრომითი ხელშეკრულებით, რადგან მათთვის დასაქმება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. როცა მათ ექმნებათ ბიულეტენთან დაკავშირებული პრობლემა, ვერ იცავენ თავიანთ უფლებებს შრომის კოდექსის შესაბამისად, რადგან მათ არ აქვთ შესწავლილი ხელშეკრულება და არ იციან შრომის კოდექსი. ( უმრავლეს შემთხვევაში ხელშეკრულებას ბრმად აწერენ ხელს) ეს თემა საინტერესოა, რადგან დემოკრატიულ ქვეყანაში უმთავრესია ადამიანის უფლებები. სწორედ ამიტომ, მაუცილებელია საქართველოს მოქალაქეები იყვნენ ინფორმირებული თავიანთი უფლებების შესახებ, გარკვეული წარმოდგენა ჰქონდეთ და იცნობდნენ საქართველოს კონსტიტუციასა და ,,შრომის კოდექსს“, რათა სათანადოდ შეძლონ თავისი უფლებების დაცვა. მოგეხსენებათ, რომ დროებითი შრომისუუნარობის დროს დასაქმებული არ არის ვალდებული შეასრულოს მასზე დაკისრებული შრომითი მოვალეობები, ეს ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, დამსაქმებელს უფლება არ აქვს დასაქმებული გაათავისუფლოს სამსახურიდან ან დატოვოს ანაზღაურების გარეშე (მოშალოს მასთან შრომითი ხელშეკრულება) მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ პირი დროებით შრომისუუნაროა და ამის გამო ვერ ახერხებს სამუშაოს/ვალდებულების შესრულებას.

არსებობს „მავნე“ პრაქტიკა, რომ სწორედ აღნიშნულის გამო ათავისუფლებენ დასაქმებულს სამსახურიდან, რაც სხვა არაფერია, თუ არა უფლების არამართლზომიერი გამოყენება და „სუსტი“ მხარის კიდევ უფრო სუსტ პოზიციაში ჩაყენება. სწორედ ამიტომ, მართებულად მიმაჩნია, რომ თემა აქტუალურია დღევანდელ რეალობაში. ამ კუთხით კი ბევრი რამ არის შესაცვლელი, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული და ცნობიერების დონეზე.

**Vika Zhvania**
St. Andrew's Georgian University
Bachelor
Supervisor: **Meri Ketiladze**
Doctoral Candidate of Law, Assistant

## Temporary incapacity for work (bulletin)

In Georgia, the employer mainly abuses his powers and violates the norms of the Labor Code in relation to the employee.

This issue is also problematic in the sense that citizens of Georgia are not interested in employment contracts because employment is vital for them. When they have problems with the bulletin, they cannot protect their rights under the LC, because they have not studied the contract and do not know the LC. (In most cases, the contract is signed blindly) This topic is interesting because human rights are the most important in a democratic country, so I want Georgian citizens to be informed about their rights, have a certain understanding and be familiar with the Constitution of Georgia, in particular with the "Labor Code" so that they can protect their rights.

As you know, in case of temporary incapacity for work, the employee is not obliged to perform the labor duties assigned to him, which means that if there are appropriate grounds, the employer does not have the right to dismiss the employee or leave him without pay (terminate the employment contract) only because a person is temporarily unable to work .There is a ''harmful'' practice of dismissing an employee because of this, which is nothing more than unfair use of the law and puts ''weak'' side in a even weaker position . That's why I think it's right that the topic is relevant in today's realities. In this regard, much remains to be changed both at the legislative and practical levels, as well as at the level of awareness.

# მედიცინის სექცია
# Section of Medicine

## I ქვესექცია
## I Subsection

**მარიამ აბისონაშვილი, ნინო ფაილოძე**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
ხელმძღვანელი: **ნინო კიკნაძე**
თსსუ, საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი
ასოცირებული პროფესორი

### ქრონიკული ყოველდღიური თავის ტკივილი: კლინიკური შემთხვევის განხილვა

ქრონიკული ყოველდღიური თავის ტკივილი (CDH) არის ნებისმიერი ტიპის თავის ტკივილი, რომელიც ვლინდება თვეში 15 ან მეტი დღის განმავლობაში. ის შეიძლება იყოს პირველადი ან მეორადი (ძირითადი ეტიოლოგიური ფაქტორიდან გამომდინარე). მნიშვნელოვანი მახასიათებლები იმის დასადგენად, აქვს თუ არა პაციენტს თავის ტკივილის მეორადი მიზეზი, მოიცავს: სისტემურ სიმპტომებს (ცხელება, წონის დაკლება), მეორადი რისკ-ფაქტორები (აივ, სისტემური კიბო), ნევროლოგიური სიმპტომები ან ნიშნები, მათ შორის პაპილედემა, ტკივილის პიკი იწყება 1 წუთზე ნაკლებ დროში ან ტკივილი, რომელიც იწყება 50 წლის შემდეგ, ან თავის ტკივილი, რომელიც გამოწვეულია ხველებით, ვალსალვას ან პოზიციის ცვლილებით.

ქრონიკული ყოველდღიური თავის ტკივილის სინდრომების წარმატებით მართვისთვის მნიშვნელოვანია მეორადი მიზეზების გამორიცხვა სრულყოფილი ანამნეზითა და შესაბამისი გამოკვლევებით; მნიშვნელოვანია

რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც განსაზღვრავენ პროგნოზს, განვითარებას და ამოიცნობენ მის ქვეტიპებს, რათა სათანადოდ იმართოს მდგომარეობა. ქრონიკული შაკიკი, ქრონიკული დაძაბულობის ტიპის თავის ტკივილი, ახალი ყოველდღიური მუდმივი თავის ტკივილი და მედიკამენტების გადაჭარბებული მოხმარების თავის ტკივილი წარმოადგენს ქრონიკული ყოველდღიური თავის ტკივილის უმრავლესობას.

CDH ქვეკლასიფიცირებულია ხანმოკლე (< 4 საათი) ან ხანგრძლივ (> 4 სთ) ქვეტიპებად, ცალკეული ეპიზოდების ხანგრძლივობის მიხედვით. მოკლე ხანგრძლივობის CDH მოიცავს ქრონიკულ კლასტერულ თავის ტკივილს, ქრონიკულ პაროქსიზმულ ჰემიკრანიას, ჰიპნოზურ თავის ტკივილს და იდიოპათიურ თავის ტკივილს. ხანგრძლივი CDH მოიცავს ქრონიკულ შაკიკს (CM), ქრონიკული დაძაბულობის ტიპის თავის ტკივილს (CTTH), ახალ დღიურ მუდმივ თავის ტკივილს (NDPH), მედიკამენტების გადაჭარბებული მოხმარების თავის ტკივილს (MOH) და ჰემიკრანიის მუდმივ ტკივილს. CDH-ის პრევალენტობა არის დაახლოებით 4%. ორი ყველაზე გავრცელებული პირველადი ქრონიკული ყოველდღიური თავის ტკივილია CTTH და CM.

კვლევაში, რომელიც იკვლევდა შაკიკის ერთწლიან პროგნოზს, ქრონიკული შაკიკი დაფიქსირდა შაკიკით დაავადებულთა 3%-ში. შაკიკის გავრცელების და პრევენციის ამერიკულ კვლევაში (AMPPS), CM-ის პოპულაციაზე დაფუძნებული პრევალენტობის მაჩვენებლები არის 0.67%, CM მოიცავს სამჯერ მეტ ხარჯებს/რესურსებს, ვიდრე ეპიზოდური შაკიკი განიცდის.

CM-ის მქონე პირებს ჰქონდათ უფრო მეტი ინტენსივობის თავის ტკივილი (HIT-6 ქულების საფუძველზე) ეპიზოდურ შაკიკთან შედარებით. მაღალი ინტენსივობის თავის ტკივილზე ყველაზე მეტი გავლენა აქვს საშუალო სიმძიმეს და დეპრესიას. ჩვენი პაციენტია 41 წლის ქალი, ინსულინდამოუკიდებელი დიაბეტით, აქვს CDH 2022 წლის სექტემბრიდან. მას შაკიკის (აურის გარეშე) დიაგნოზი დაესვა დაახლოებით 14 წლის წინ და არარეგულარულად იღებდა სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტებს შაკიკის შეტევების შესამცირებლად. 2022 წლის სექტემბერში აღენიშნა ბუნდოვანი მხედველობა მარჯვენა თვალში და ძლიერი ტკივილი მარჯვენა საფეთქლის არეში. ტკივილი უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე წინა შეტევების დროს, თუმცა ტკივილის ხასიათი არ შეცვლილა, პაციენტს სჭირდებოდა მინიმუმ 800 მგ იბუპროფენი და დექსკეტოპროფენის 1 ი/მ ინექცია ტკივილის შესამსუბუქებლად ყოველდღიურად. გამწვავებისას უარყოფდა მიოზს, ფტოზს, ქუთუთოების შეშუპებას, ცრემლდენას, ცხვირის შეშუპებას ან რინორეას. პაციენტმა მიმართა ოფთალმოლოგს, გამოირიცხა თვალისხმრივ

პათოლოგია და გადამისამართდა ნევროლოგთან. ჩაუტარდა თავის ტვინის CT სკანირება ანგიოგრაფიით და გამოირიცხა თავის ტვინის მწვავე დაზიანება, კლინიკური ნიშნების საფუძველზე დაისვა გიგანტურუჯრედოვანი არტერიტის დიაგნოზი და დაიწყო პერორალური მეთილპრედნიზოლონით მკურნალობა 30-60 მგ დღეში. სტეროიდული პრეპარატის მიღებისას პლაზმაში გლუკოზის დონემ მიაღწია 400 მგ/დლ, რის გამოც ენდოკრინოლოგის რეკომენდაციით მეთილპრედნიზოლონის მიღება შეწყდა. უწყვეტი ტკივილის გამო პაციენტმა რამდენიმე თვის განმავლობაში მიმართა სხვადასხვა ნევროლოგს სწორი მკურნალობის შესარჩევად, ნაცადი იქნა სხვადასხვა სქემა, თუმცა დამატებით კვლავ საჭიროებდა აასს მიღებას.

არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების ჭარბი მოხმარების გამო პაციენტს განუვითარდა მედიკამენტის გადაჭარბებული მოხმარებით გამოწვეული თავის ტკივილი, რის ფონზეც საბოლოოდ შეიკრა მანკიერი წრე. უკანასკნელი დანიშნულებით - დულოქსეტინის დღეში 30 მგ-ის მიღებამ შეამცირა ტკივილი, მას სჭირდება მხოლოდ 1 ი/მ დექსკეტოპროფენის ინექცია კვირაში 1-2-ჯერ.

აღნიშნული კლინიკური შემთხვევის წარდგენის მიზანია განვიხილოთ შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო თავის ტკივილის მართვაში 14 წლის განმავლობაში, მათ შორის გამწვავების მართვისას 2022 წელს, პაციენტის მკურნალობასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და მიზნები. ჩვენ გვჯერა, რომ შაკიკის შეტევის მართვის მოწყობილობა (Nerivio) საუკეთესო არჩევანი იქნება ჩვენი პაციენტისთვის. ეს არის სმარტფონით კონტროლირებადი ნეირომოდულაციური მოწყობილობა, რომელიც დამტკიცებულია FDA ციფრული თერაპიული კომპანიის მიერ ისრაელში, მოზარდებში ეპიზოდური ან ქრონიკული შაკიკის სამკურნალოდ და ხელმისაწვდომია საქართველოშიც. ელექტროენერგეტიკული მოწყობილობა გამიზნულია შაკიკის ტკივილისგან უსაფრთხო და ეფექტური განთავისუფლებისთვის მინიმალური გვერდითი ეფექტებით, განსხვავებით იმ გვერდითი ეფექტებისგან, რომლებიც ჩვეულებრივ ვლინდება თერაპიული წამლების გამოყენებისას. ყოველდღიური თავის ტკივილი ICHD-I-დან მოყოლებული იყო თავის ტკივილის მართვის სპეციალისტების ყურადღების ცენტრში და მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი CDH გამოიყენებოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ICHD-II გამოიწვია მნიშვნელოვანი დისკუსია მისი კლასიფიკაციისა და ქვეტიპის შესახებ. ჯერ კიდევ არ არის მიღწეული კონსენსუსი CM-ის განმარტებაზე, ვინაიდან მასთან ხშირადაა

დაკავშირებული მედიკამენტების გადაჭარბებული გამოყენება, რაც ართულებს კლინიკური კვლევების ინტერპრეტაციას.

**Mariam Abisonashvili, Nino Phailodze**
Tbilisi State Medical University
Master
Supervisor: **Nino Kiknadze**
TSMU, Department of Family
Medicine, Associate Professor

## Chronic Daily Headache (CDH): a case report

Chronic Daily Headache (CDH) is a headache of any type occurring 15 or more days per month. It may be primary or secondary (due to underlying disorder). Important characteristics to determine if a patient has a secondary cause for their headaches include: systemic symptoms (fever, weight loss), secondary risk factors (HIV, systemic cancer), neurological symptoms or signs including papilledema, peak onset of pain in less than 1 minute, onset after age 50 years, or a headache precipitated by cough, exertion, valsalva or changes in position.

პანკრეასი რეტროპერიტონეალურად მდებარე ორგანოა, რომელიც მონაწილეობს საჭმლის მონელებაში და აგრეთვე სისხლში გლუკოზის დონის რეგულირებაში, ინსულინისა და გლუკაგონის საშუალებით. პანკრეასის პათოლოგია ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი და რთულად ოპერირებადი შემთხვევაა როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში.

პანკრეასის პათოლოგიებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრეცელებული არის ცისტური სიმსივნეები. ცისტადენომა პირველადი პანკრეასული ცისტური სიმსივნის 76%-ს შეადგენს. გვხვდება სეროზული, მუცინური, სადინარშიდა, დვრილისებრი მუცინური, ფსევდოდვრილისებური ნეოპლაზმები. უახლესი კვლევებით, პანკრეასის ასიმპტომური სიმსივნეების 32%-ს აღმოაჩნდა სეროზული ცისტადენომა, 26%ს კი მუცინური ცისტადენომა. შერეული მუცინური ცისტადენომა სეროზული ცისტადენომით საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა.

დღეს ჩვენ განვიხილავთ ცისტადენომის ამ სახეს, რომელიც ლოკალიზებული იყო პანკრეასის სხეულში და მისი რეზექცია მოხდა თანამედროვე მედიცინაში ყველაზე იშვიათი და ტექნიკურად რთულად შესასრულებელი ლაპარასკოპიული ცენტრალური პანკრეატექტომიით. ლაპარასკოპიული ცენტრალური პანკრეატექტომია არის ქირურგიული მიდგომა, რომლის დროსაც ხდება პანკრეასის ცენტრალური რეზექცია, პარენქიმის დიდი ნაწილის დაზოგვა და არის ალტერნატივა პანკრეასის მასიური რეზექციისა, როგორიცაა დისტალური პანკრეატოქტომია ან პანკრეატოდუდენური რეზექცია. ჩვენ წარმოგიდგენთ ქეის რეპორტს 35 წლის საქართველოს მოქალაქე მამაკაცზე, რომელსაც ჰქონდა პანკრეასის ცენტრალური ნაწილის ცისტადენომა.

პაციენტს აწუხებდა დისკომფორტის შეგრძნება და შეტევითი ხასიათის ტკივილები ეპიგასტრიუმის არეში. სამი წლის წინ CT და MRI-მ აჩვენა 10x11მმ ცისტური ნეოპლაზმა პანკრეასის სხეულის დორსო-პროქსიმალურ ნაწილში. 1 წლის შემდეგ ცისტის ზომა გაიზარდა 12x17მმ-მდე. ოპერაციამდე 2 თვით ადრე, ტკივილი გახდა აუტანელი და მიეცა ყოველდღიური სახე. ეს ოპერაცია

წარმოადგენს საქართველოში პირველ და ერთადერთ უნიკალურ შემთხვევას, როდესაც მოხდა პანკრეასის ცენტრალური ნაწილის რეზექცია, ნაცვლად პანკრეასის თავის რეზექციისა. ოპერაციის ერთადერთ მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენდა ჭარბწონიანობა - BMI: 32.3 kg/m2. პაციენტი საოპერაციო მაგიდაზე განთავსდა ლითოტომიურ პოზიციაში, გამოყენებულ იქნა ზოგადი ანესთეზია თორაკალურ ეპიდურულ ანესთეზიასთან კომბინაციაში. გაკეთდა 5 განაკვეთი, რომლებშიც მოთავსდა 5,10,12 მმ-იანი ტროაკარები. ოპერაციის მსვლელობისას ქირურგი იდგა პაციენტის ფეხებს შორის, პირველი ასისტენტი პაციენტის მარჯვნივ, ხოლო მეორე - მარცხნივ. თავდაპირველად პანკრეასის უკეთესი ვიზუალიზაციისთვის კუჭი აიწია ზემოთ, მოხდა პანკრეასის ქვედა საზღვრის დისექცია და გამოყოფა ირგვლივ მდებარე ქსოვილებისგან, იდენტიფიცირდა ზედა მეზენტერიალური არტერია პანკრეასის ყელთან. არხი შეიქმნა სხეულის უკან და ექსპოზირებულ იქნა ელენთის ვენა. ამის შემდეგ გაკეთდა პანკრეასის ზედა საზღვრის დისექცია, ღვიძლის საერთო და გასტროდუონელი არტერიის იზოლირება. ინტრაოპერაციულად გამოიყენეს ულტრაბგერითი ექოსკოპია პანკრეასის ლატერალური საზღვრის დასადგენად.

რეზექცია მოხდა ჯერ პანკრეასის თავთან ახლოს ხაზოვანი სტეპლერის გამოყენებით, შემდგომ კი - სიმსივნის დისტალურად ისევ ხაზოვანი სტეპლერით, ულტრასონოგრაფიის დახმარებით, რათა არ დაზიანებულიყო ელენთის სისხლძარღვები. რეზექციული ნაწილი მოთავსდა კონტეინერში და ამოღებულ იქნა მუცლიდან 12-მმ-იანი ტროაკარის ადგილიდან. ამ ყველაფრის შემდეგ ჩატარდა პანკრეატიკოგასტროსტომია, დაიდო ანასტომოზი პანკრეასის დისტალურ ნაწილსა და კუჭის უკანა კედელს შორის. ეს პროცედურა ჩატარდა ორ ეტაპად: თავდაპირველად მოხდა ვირსუნგის სადინრის მიერთება კუჭის ლორწოვანთან და შემდეგ უკვე ანასტომოზის დადება პანკრეასის ტაკვსა და კუჭის გარსებს შორის. ბოლოს შემოწმებულ იქნა ჰემოსტაზი, ჩაიდგა დრენაჟი ანასტომოზის ქვეშ.

ოპერაციის ხანგრძივობა იყო 315 წუთი, სისხლის დანაკარგი - 55მლ. პოსტოპერაციულმა პერიოდმა წარმატებით ჩაიარა, პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა და მეშვიდე დღეს გაეწერა კლინიკიდან. ოპერაციიდან 4 თვის შემდეგ, პაციენტის ხელახალი გამოკვლევისას არ გამოვლინდა არანაირი ეგზოკრინული და ენდოკრინული დეფიციტის ნიშნები. საბოლოო პათოლოგიურმა დიაგნოზმა დაადასტურა შერეული მუცინური ცისტადენომა სეროზული ცისტადენომით.

ლაპარასკოპიულ ოპერაციებს ახასიათებს ნაკლები პოსტოპერაციული ტკივილი, სწრაფი გამოჯანმრთელება და უკეთესი კოსმეტიკური ეფექტი. ღია პანკრეატოქტომიის სიკვდილიანობა შეადგენს 43.2 %-ს, რომელიც საერთო სიკვდილიანობის 0,24%-ია, მაშინ, როცა ლაპარასკოპიული და რობოტული ტექნიკით შესრლებული პანკრეატოქტომიის დროს სიკვდილიანობა შემცირებულია 37.3%მდე, რომელიც საერთო ლეტალობის 0%-ია. ლაპარასკოპიული ცენტრალური პანკრეატექტომია არის პარენქიმის დამზოგველი პროცედურა, გამოიყენება უპირატესად კეთილთვისებიანი და დაბალი ხარისხის ავთვისებიანი სიმსივნეების დროს, რომლებიც მოთავსებულია პანკრეასის სხეულის პროქსიმალურ ნაწილში, მაგრამ ეს ოპერაცია ტარდება იშვიათად, რადგან ანასტომოზის დადება არის ტექნიკურად კომპლექსური პროცედურა. როგორც ყველა პროცედურას, ამ ოპერაციასაც გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. უპირატესობებია: ეგზოკრინული და ენდოკრინული უკმარისობის დაბალი დონე და დე ნოვო დიაბეტის განვითარების რისკის არარსებობა. უარყოფით ფაქტორს წარმოადგენს ოპერაციის დროს ორი პანკრეასის ტაკვის შექმნა, რაც ზრდის ოპერაციის შემგომ ფისტულის განვითარების რისკს, აგრეთვე, არის ალბათობა იმის, რომ ანასტომოზის ადგილიდან მოხდეს სისხლის, პანკრეასის წვენის ან კუჭის შიგთავსის გამოჟონვა, რაც უკვე ქირურგის ტექნიკურ შესაძლებლობასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული. რეტროსპექტული გამოკვლევით, პროცედურის შემდეგ ჟონვადობა დაფიქსირებულია პაციენტთა 22-33%-ში. ზოგჯერ ასევე შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი იეუინოიეიუნო ანასტომოზის დადება.

ასევე მინდა შევეხო განსხვავებას პანკრეატოდუოდენალურ რეზექციას, დისტალურ პანკრეატექტომიას და ცენტრალურ პანკრეატექტომიას შორის. პირველ და მეორე პროცედურას მიმართავენ შესაბამისად მაშინ, როცა სიმსივნე ლოკალიზებულია პანკრეასის თავისა და კუდის არეში. მაგრამ, ხშირად ისეთი ქეისების დროს, როცა პანკრეასის სიმსივნე ლოკალიზებულია ცენტრალურად, ქირურგები საქართველოშიც და მსოფლიოშიც მაინც მიმართავენ პდრ-ს და აკეთებენ პანკრეასის თავის რეზექციას თორმეტგოჯა ნაწლავთან და პანკრეასის სხეულის პროქსიმალურ ნაწილთან ერთად და ასე ცდილობენ სიმსივნის ევაკუაციას ორგანიზმიდან, რაც მეტად რთული გადასატანია პაციენტისთვის პოსტოპერაციულად და აქვს მეტი გართულება. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელი იყო იგივე პროცედურა ჩაეტარებინათ, მაგრამ ონკოქირურგმა ანზორ კვაშილავამ შეცვალა გეგმა და გადაწყვიტა გაეკეთებინა საქართელოში პირველი ცენტრალური პანკრეატექტომია,

რითაც პაციენტს შეუნარჩუნა პანკრეასის პარენქიმის დიდი რაოდენობა და პაციენტს თავიდან აარიდა ისეთი გართულებები, როგორებიცაა ენდოკრინული და ეგზოკრინული დეფიციტი, თუნდაც დიაბეტის განვითარების რისკი. ასევე ცენტრალური პანკრეატექტომია პდრ-სგან განსხავებით უპირატესია იმიტომ, რომ ამ დროს ანასტომოზი იდება კუჭსა და პანკრეასის დისტალურ ნაწილს შორის, ხოლო კუჭს აქვს უკეთესი სისხლმომარაგება და კუჭის კედელი არის უფრო სქელი, რაც ხელს უწყობს ანასტომოზების უკეთ შენარჩუნებას. პდრის დროს კი ანასტომოზი იდება მლივ ნაწლავსა და პანკრეასის დარჩენილ, არარეზექცირებულ ნაწილს შორის. უარყოფით მხარეს რაც შეეხება, ეს არის ი, რაც ზემოთ ვახსენეთ, წარმოიქმნება ორი ტაკვი, რაც ზრდის ფისტულების განვითარების რისკს. ასევე პანკრეატოგასტროსტომიის დროს ხშირია შიდა, კერძოდ კი პეტერსენის თიაქრების განვითარების რისკი.


**Roman Babaevi**
Tbilisi State Medical University
Bachelor
Supervisor: **Juansher Babaevi**
MD Assistant, Professor


## Central Part Cystadenoma of Pancreas

IntroductionThe pancreas is a small, hockey stick-shaped gland located behind the stomach. The main jobs of the pancreas are to aid in food digestion and regulate blood sugar levels in the body. The pancreas is involved in maintaining blood sugar levels because it makes insulin and glucagon, two hormones that control blood sugar levels. Pancreatic cancer occurs when mutations in the pancreas cells lead them to multiply out of control. There are two types of tumors that grow in the pancreas: exocrine or neuroendocrine tumors. About 93% of all pancreatic tumors are exocrine tumors. one of the types of pancreatic tumors is cystic tumor. Cystadenomas represented 76% of all primary pancreatic cystic tumors. Pancreatic cystic neoplasms have a wide range of diagnostic possibilities, including serous cystic neoplasm, mucinous cystic neoplasm, intraductal papillary mucinous neoplasm and solid-pseudopapillary neoplasm. Central pancreatectomy (CP) is a

surgical approach which have the advantage of preserving pancreatic parenchyma and can be used as a good alternative to major pancreatic resections, such as distal pancreatectomy (DP). central pancreatectomy preserves pancreatic tissue, preventing parenchyma insufficiency. Also, this method prevents leakage because it does not leave pancreatic ducts exposed. It also decreases the risk of post-splenectomy infection.

Case reportHere we represent a case report of a central part cystadenoma of pancreas in 35 years old male. A 35-year-old male complained of discomfort and painful attacks in the epigastric area. Three years earlier, Computed tomography and magnetic resonance imaging disclosed a 10 × 11-mm cystic neoplasm (Figure 2) in the dorsal/proximal body of the pancreas with a clear-margin multilocular cavity and enhanced internal septum. A year later, the cyst was enlarged up to 12 × 17 mm. Two months before surgery, pain episodes became daily and much worse; therefore, was planned laparoscopic central pancreatectomy. The patient was placed supine in a lithotomy position under balanced narcosis combined with thoracic epidural anesthesia. The surgeon was standing between the legs of the patient, and the first assistant and the scrub nurse worked from the right and the left side of the patient. One initial 10-mm trocar was placed supraumbilically. then 30° telescope was inserted to examine the peritoneal cavity to rule out metastasis disease. after general examination, two 5-mm trocars in the right subcostal, and 5- and 12-mm trocars in the left hypochondrium were placed. After accessing the lesser sac, a lesion was found in the body of the pancreas. The stomach was displaced upward. The inferior border of the pancreas was dissected and the superior mesenteric vein was identified under the pancreatic neck. The tunnel was created behind the body, and a splenic vein was exposed. The upper border of the pancreas was dissected, isolating common hepatic and gastroduodenal arteries and identifying the portal vein. Intraoperative ultrasound was utilized to determine the lateral borders of the lesion. The pancreas was transected close to the head by a linear stapler. Distally to the tumor, the pancreas was transected by ultrasonic shares, preserving splenic vessels. The specimen was placed in the bag and retrieved through

through the enlarged 12-mm trocar incision in the left hypochondrium. The lesion was sent for express histology, and the abdomen was deflated. After confirming the diagnosis, invaginated pancreaticogastrostomy was created on the back wall of the stomach. After the checkup of hemostasis, the drain was placed under the anastomosis. The operating time was 315 minutes. Blood loss was 55 mL.

Discussionlaparoscopic central pancreatectomy is the parenchyma-sparing technique mostly used for benign and low-grade malignant lesions of the proximal body as a better alternative to the distal (left) pancreatectomy. In medical literature, it is also called middle segment pancreatectomy, segmental pancreatectomy, and medial or median pancreatectomy. Central pancreatectomy is an alternative procedure, if the tumor is close to the main pancreatic duct. The advantage of this method is less postoperative exocrine and endocrine insufficiency and low postoperative morbidity compared to distal pancreatectomy. Compared with open surgery, LCP is associated with lower blood loss and shorter hospital stay, which show its advantages as a minimally invasive operation. Laparoscopic central pancreatectomy is performed relatively rarely. The reason is the necessity of pancreatic anastomosis creation, which increases the technical complexity of the procedure and carries the risk of leakage from the proximal or distal stump or both, potentially increasing postsurgical morbidity mortality. The transection of the affected part of the pancreas is not difficult, but creating the anastomosis requires good dexterity. Leakage after central pancreatectomy was reported in as high as 22%-33% of patients, but the source of the fistula was a cephalic stump in all cases. A multi-institutional retrospective study confirmed that central pancreatectomy preserves long-term endocrine function. Pancreaticojejunostomy is the most common technique of reconstruction employed, and typically, it is performed with a Roux-en-Y jejunal loop. Leakage and pancreatic fistula incidence after central pancreatectomy followed by pancreaticojejunostomy is 10.6%. Mason analyzed 733 cases of pancreaticogastrostomy after pancreatoduodenectomy. The incidence of leakage for both reconstruction types is similar, and the aggregate leakage rate was as low as 4%. The better results of pancreaticogastrostomy could be caused by several factors: the proximity of the stomach to the pancreas allows to minimize tension; the stomach has an excellent blood supply; gastric acid may prevent the activation of pancreatic juice; gastric wall thickness provides better suture-holding capacity than the jejunum; pancreatoduodenectomy needs the creation of extra anastomosis - jejunojejunostomy; pancreaticogastrostomy excludes the development of the Petersen's hernia. Fixation of the gastric wall on the pancreatic stump can affect gastric motility and delay gastric emptying. However, this suggestion is not confirmed in practice.

**სალომე ჯიქურაული, ლინდა ხოზრევანიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მაია სვანიძე**
მედიცინა, დოქტორანტი

## ფილტვების არასასუნთქი ფუნქციები

ყველასათვის ცნობილია, რომ ფილტვები ორგანიზმში ასრულებენ სასუნთქ ფუნქციას, ანუ ფილტვების საშუალებით ხდება გაზთა ცვლა გარემოსა და ორგანიზმს შორის. აღმოჩნდა, რომ ფილტვები ასრულებენ მრავალ არასასუნთქ ფუნქციას, რომელთაც აქვთ მექანიკური და მეტაბოლური ხასიათი. აღნიშნული არასასუნთქი ფუნქციების საშუალებით დგინდება ფილტვების მჭიდრო კავშირი ორგანიზმის სხვა სისტემებთან. აქედან გამომდინარე ფილტვები სხვა ორგანოებში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების მონაწილეა. სულ ახლახანს კლინიკური ფიზიოლოგია დაინტერესდა და აღმოაჩინა ფილტვების არასასუნთქი ფუნქციები, რომელთაც მიეკუთვნება:

1. დამცველობითი ფუნქცია - სასუნთქი გზების ეპითელური უჯრედები გამოყოფენ სხვადასხვა ნივთიერებებს, როგორიცაა მუცინი, ლიზოციმი, ლაქტოფერინი და აზოტი ოქსიდი. ისინი ასევე აწარმოებენ ანთების უამრავ შუამავალს, რომლებიც გვხვდება ბრონქულ სეკრეტში. აღნიშნული წინააღმდეგობას უწევს ინფექციებს და ხელს უწყობს რესპირატორული ლორწოვანის მთლიანობის შენარჩუნებას;
2. ფილტრაციულ-გამწმენდი ფუნქცია: ფილტვები სისხლს ასუფთავებენ მექანიკური მინარევებისაგან - უჯრედების აგრეგატების, ცხიმის წვეთებისაგან; მცირე თრომბები, ბაქტერიები და დიდი ზომის უჯრედები შეყოვნდება და შემდეგ გარეთ გამოძევდება ფილტვის მიერ ნახველთან ერთად;
3. ფიბრინოლიზური და ანტიკოაგულაციური ფუნქცია: აქ იგულისხმება ის ფაქტი, რომ ფილტვის საშუალებით ხდება მის მიერვე დაკავებული თრომბების ლიზისი. იგი ხელს უწყობს, აგრეთვე, სისხლის ფიბრინოზულ და ანტიკოაგულაციურ აქტივობას;
4. ცილებისა და ცხიმების დესტრუქცია და სინთეზი: ფილტვებში გამომუშავდება და სინთეზირდება სურფაქტანტი - ლიპოპროტეიდების ნარევი, რომელიც ხელს უწყობს ალვეოლური ქსოვილის მდგრადობასა და სტაბილიზაციას;

5. წყლის ცვლაში მონაწილეობა: ფილტვების საშუალებით ორგანიზმიდან დღე-ღამეში გამოიყოფა დაახლოებით 500 მლ წყალი. ინარჩუნებს რა ნახშირმჟავა გაზისა და კარბონატების ნორმალურ დონეს, სისხლში გამოყოფს CO2–სა და, შესაბამისად, მოქმედებს ოსმოსურად აქტიური კარბონატების გარკვეულ რაოდენობაზე. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ფილტვების საშუალებით სხვადასხვა სითხე მყისიერად შეიწოვება.

ფილტვების წყლის ცვლაში მონაწილეობის ფაქტი მჭიდროდაა დაკავშირებული სისხლძრღვების გარეთ არსებულ სითხესთან, რომლის დონეც იცვლება ყველა კრიტიკულ მდგომარეობაში და რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია სუნთქვის მწვავე უკმარისობის მექანიზმთან. ამ პრობლემას მიეძღვნა სპეციალური კონფერენცია 1980 წელს;

6. არჩევითი დესტრუქცია, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების პროდუქცია და შენახვა, ისეთების, როგორებიცაა: სეროტონინი, ჰისტამინი, ანაფილაქსიის ნელა მომქმედი სუბსტანცია, ანგიოტენზინი, აცეტილქოლინი, ნორადრენალინი, კინინები და პროსტაგლანდინები; როდესაც ეს ნივთიერებები უკვე შეასრულებენ თავიანთ ფუნქციას უნდა გამოძევდნენ ქსოვილებიდან და სისხლიდან, რის შედეგადაც ხვდებიან ფილტვებში და მათი ორგანიზმიდან გამოძევება სწორედ აქედან ხდება;

7. ზოგიერთი სამკურნალო ნივთიერებების დეტოქსიკაცია - ამინაზინი, ინდერალი, სულფანილამიდები და სხვა;

8. სითბოს წარმოქმნა და გამოყოფა: ჩვეულებრივ პირობებში ფილტვების სადღეღამისო სითბოს ცვლა დაახლოებით 350 კკალ-იაა, კრიტიკულ სიტუაციებში კი აღნიშნული მაჩვენებელი რამდენჯერმე იზრდება.

9. ჰემოდინამიკური ფუნქცია - ფილტვები რეალურად წარმოადგენენ, როგორც სისხლის რეზერვუარს, აგრეთვე პირდაპირ შუნტს გულის მარჯვენა და მარცხენა ნახევრებს შორის, რის საშუალებითაც ინარჩუნებენ სისხლის მოძრაობის მიმართულებას, იმის მიუხედავად, რომ სისხლის მიმოქცევის დიდსა და მცირე წრეებზე ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა უკუმიმართულებით მოქმედებს.

10. ენდოკრინული და მეტაბოლური ფუნქციები - იზოლირებული ფილტვის ნეიროენდოკრინული უჯრედები (PNECs) და ნეიროეპითელური სხეულები (NEBs) ფართოდ არის გავრცელებული სასუნთქი გზების ლორწოვან გარსში. ისინი ერთად მოიხსენიება, როგორც "ფილტვის ნეიროენდოკრინული სისტემა". ამ უჯრედების როლი ჯანმრთელობასა და დაავადებებში სულ უფრო ნათელი ხდება. ისინი გამოყოფენ მრავალფეროვან ამინებს (მაგ. სეროტონინი) და პეპტიდებს (მაგ. ბომეზინს). PNEC მნიშვნელოვან როლს

ასრულებს განვითარებად ფილტვში უჯრედების ზრდაში, დიფერენციაციასა და განშტოების მორფოგენეზში. NEB-ები განლაგებულია სასუნთქი გზების ბიფურკაციებზე და იშლება ჰიპოქსიის არსებობისას.

ადრე მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ ნორმალურ პირობებში ჯანმრთელ მდგომარეობაში თავისი ფუნქციის შესასრულებლად ფილტვებს ჟანგბადის მცირე რაოდენობა ესაჭიროებოდა, მაგრამ დადგინდა, რომ ფილტვშიდა მეტაბოლიზმის მაღალ დონეზე შენარჩუნებისათვის საჭიროა ორგანიზმის მიერ მოხმარებული ჟანგბადის 10%. მაშინ წარმოვიდგინოთ, თუ რა რაოდენობის ჟანგბადი დასჭირდება კრიტიკულ მდგომარეობაში მხოლოდ ფილტვებს, რადგანაც ამ დროს მისი არასასუნთქი ფუნქციები აუცილებლად მობილიზირებულად და გადაძაბულ რეჟიმში იმუშავებს. ახლა ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა მდგომარეობაშია ფილტვები მაშინ, როდესაც რაიმე მიზეზის გამო შემცირდება ფილტვების სისხლით მომარაგება; განვითარდება ფილტვების იშემია, შესაბამისად მცირდება და ფერხდება იმ ნივთიერებების სინთეზიც, რომლებიც პროდუცირდება ფილტვებში; (მაგ, სურფაქტანტი.) მცირდება აგრეთვე ორგანიზმისათვის უკვე არასაჭირო და მოსაშორებლად გამზადებული ნივთიერებების დესტრუქციაც და გამოყოფაც, რომელსაც ფილტვები ახორციელებს (მაგ, სეროტონინის). იზრდება აგრეთვე, ალვეოლარული მემბრანის განვლადობაც.

ამ ყველაფრის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ არსებობს ორგანიზმში რაიმე დაზიანება, რომლის დროსაც მეორადად არ დაზიანდეს ფილტვები და არ არსებობს ისეთი კრიტიკული სიტუაციაც, რომელიც მიმდინარეობს სუნთქვის უკმარისობის გარეშე. მაშ რა არის სუნთქვის მწვავე უკმარისობა? სუნთქვის მწვავე უკმარისობა - ეს არის ფილტვებში მისული ვენური სისხლის არტერიულად გარდაქმნის უუნარობა, ანუ რაღაც გარკვეული მიზეზების გამო ფილტვებს ვერ შესწევთ უნარი მოახდინონ გაზთა ცვლა გარემოსა და ქსოვილებს შორის, ხოლო, განვიხილავთ რა ფილტვების არასასუნთქ ფუნქციებს, აუცილებლად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ნებისმიერი კრიტიკული სიტუაციის დროს არსებული სუნთქვის მწვავე უკმარისობის პროფილაქტიკა და სწრაფი აღმოფხვრა აუცილებელი პირობაა ნებისმიერი დაავადების სამკურნალოდ.

**Salome Jikurauli, Linda Khozrevanidze**
Caucasus international university
Bachelor
Supervisor: **Maia Svanidze**
Medicine, PhD

## Non-respiratory functions of the lungs

Non-Respiratory Functions of the LungsStudents: Salome Jikurauli, Linda KhozrevanidzeCaucasus International University, Faculty of MedicineScientific advisor: Maia Svanidze - Invited Lecturer at Caucasus International University; PhD student at SDASU School of Medicine and Dentistry It is known to everyone that the lungs perform the respiratory function in the body, that is, gas exchange between the environment and the body takes place through the lungs. It was found that the lungs perform many non-respiratory functions, which have a mechanical and metabolic character. By means of the mentioned non-respiratory functions, a close connection of the lungs with other systems of the body is established. Therefore, the lungs are a participant in pathological processes in other organs. More recently, clinical physiology has become interested in and discovered the non-respiratory functions of the lungs, which include: 1.Protective function - the epithelial cells of the airways secrete various substances, such as mucin, lysozyme, lactoferrin and nitric oxide, which non-specifically protect the lungs from microbial attack. They also produce a number of inflammatory mediators, which are found in bronchial secretions, resist infections and help maintain the integrity of the respiratory mucosa.2.Filtration-cleansing function: the lungs clean the blood from mechanical impurities - cell aggregates, fat drops; Small clots, bacteria and large cells are trapped and then expelled by the lung with the sputum.3.Fibrinolytic and anticoagulation function: this refers to the fact that the lysis of blood clots is carried out by the lung itself. It also promotes fibrinous and anticoagulant activity of blood.4.Destruction and synthesis of proteins and fats: Surfactant is produced and synthesized in the lungs - a mixture of lipoproteins, which contributes to the stability and stabilization of the alveolar tissue.

5.Participating in water exchange: approximately 500 ml of water is released from the body per day through the lungs. It maintains the normal level of carbonic acid gas and carbonates, releases $CO_2$ into the blood and therefore affects a certain amount of osmotically active carbonates. The fact that the lungs participate in the

water exchange is closely related to the fluid outside the blood vessels, the level of which changes all in critical conditions and directly related to the mechanism of acute respiratory failure. A special conference was devoted to this problem in 1980.6.Selective destruction, production and storage of biologically active substances, such as: serotonin, histamine, slow-acting substance of anaphylaxis, angiotensin, acetylcholine, noradrenaline, kinins and prostaglandins; When these substances have already fulfilled their function, they should be removed from the tissues and blood, they enter the lungs, and they are removed from the body from here.7.Detoxification of some medicinal substances - Aminazine, Inderal, Sulfanilamides and others;8.Heat generation and release: under normal conditions, the daily heat exchange of the lungs is about 350 kcal, and in critical situations, the mentioned figure increases several times.

9.Hemodynamic function - the lungs actually represent a reservoir of blood, as well as a direct shunt between the right and left halves of the heart, By means of which they maintain the direction of blood movement, despite the fact that inhalation and exhalation affect the large and small circles of blood circulation in the opposite direction.10.Endocrine and Metabolic Functions - Isolated pulmonary neuroendocrine cells (PNECs) and neuroepithelial bodies (NEBs) are widespread in the airway mucosa. They are referred to together as "pulmonary neuroendocrine system". The role of these cells in health and disease is becoming increasingly clear. They secrete a variety of amines (serotonin) and peptides (bomesin). PNEC play an important role in cell growth, differentiation, and branching morphogenesis in the developing lung. NEBs are located at bifurcations of the airways and collapse in the presence of hypoxia. It used to be thought that under normal conditions, the lungs needed a small amount of oxygen to function in a healthy state. But it was determined that 10% of the oxygen consumed by the body is needed to maintain a high level of intrapulmonary metabolism. Then let's imagine how much oxygen only the lungs will need in a critical condition, because at this time its non-respiratory functions will definitely work in a mobilized and overstressed mode. It used to be thought that under normal conditions, the lungs needed a small amount of oxygen to function in a healthy state. But it was determined that 10% of the oxygen consumed by the body is needed to maintain a high level of intrapulmonary metabolism. Then let's imagine how much oxygen only the lungs will need in a critical condition, because at this time its non-respiratory functions will definitely work in a mobilized and overstressed mode.

Now we can easily imagine the condition of the lungs when the blood supply to the lungs is reduced for any reason; Ischemia of the lungs will develop, therefore the synthesis of those substances decreases and is inhibited. which are produced in the lungs; (e.g., surfactant.) The destruction and release of substances already unnecessary for the body and prepared for removal, carried out by the lungs, (e.g., serotonin) also decrease. Alveolar membrane permeability also increases. Based on all this, we can conclude that there is no injury in the body, during which the lungs are not damaged, and there is no such critical situation that occurs without respiratory failure. So what is acute respiratory failure? Acute respiratory failure - this is the inability to transform the venous blood reaching the lungs into arterial blood, that is, for some reason, the lungs are unable to exchange gases between the environment and the tissues. And, considering the non-respiratory functions of the lungs, we definitely come to the conclusion that Prevention and rapid elimination of acute respiratory failure in any critical situation is a necessary condition for the treatment of any disease.

**სალომე წულეისკირი, ნინო გიორგაძე**
კავკასის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ლიკა გუბელაძე**
მედიცინის დოქტორი, კავკასის საერთაშორისო
უნივერსისტეტის ასოცირებული პროფესორი

## S.aureus - ის მიერ ბიოფილმის წარმოება, მისი როლი დაავადების პათოგენეზში, მკურნალობის ალტერნატიული გზები და მექანიზმები.

ბოლო ხანებში შეიმჩნევა იმ დაავადებების ხვედრითი წილის მკვეთრი ზრდა, რომლებიც გამოწვეულია პირობით პათოგენური მიკრობებით. აღსანიშნავია რომ ეს მიკროორგანიზმები განსაკუთრებით საფრთხეს წარმოადგენს ჰოსპიტალიზირებული პირებისთვის, რომლებიც ძირითადი დაავადების გამო განიცდიან სხვადასხვა ხარისხის იმუნოდეფიციტს. ფართოდ გავრცელებული სტაფილოკოკის გვარის წარმომადგენლებიც მიეკუთვნებიან პირობით პათოგენურ ანუ ოპორტუნისტულ მიკროორგნიზმებს.

Staphylococcus-ის გვარი აერთიანებს 30-ზე მეტ სახეობას, რომელთაგან რამდენიმე მჭიდროდაა ადამიანთან დაკავშირებული და იწვევს მრავალ

მძიმედ მიმდინარე დაავადებას. Staphylococcus aureus-მა შეიძლება გამოიწვიოს კანის საფარველის დაავადებები და ლოკალიზებული აბსცესები, ენდოკარდიტები, ოსტეომიელიტები, მენინგიტი, სეფსისი. ასევე იწვევს კავასაკის დაავადებას და ტოქსიკური შოკის სინდრომს სისხლში სუპერანტიგენების გაშვებით. იგი წარმოადგენს ჰოსპიტალთან ასოცირებული ნოზოკომიალური ინფექციების მთავარ გამომწვევ აგენტს. Staphylococcus epydermidis აინფიცირებს ინვაზიურ პროცესებთან დაკავშირებულ სამედიცინო აპარატურას.

Staphylococcus saprophyticus-ი იწვევს საშარდე გზების ინფექციებს, განსაკუთრებით ქალებში. პათოგენობის ფაქტორების სიმრავლით განსაკუთრებით გამოირჩევა ოქროსფერი სტაფილოკოკი, გარდა ამისა, მას უნარი აქვს წარმოქმნას უჯრედგარე მატრიქსი - ბიოფილმი, რომელიც ხელს უწყობს მიკრობის გადარჩენას ექსტრემალურ გარემოში და შესაძლებელს ხდის მის უფრო სწრაფ ადჰეზიას, კოლონიზაციას და შემდგომ ბიოფილმის ფორმირებას. ბიოფილმი პასუხისმგებელია ქრონიკულ ინფექციებზე მასპინძელი ორგანიზმების ქსოვილებსა და ხელოვნურ იმპლანტებზე.

ბიოფილმების პროდუცენტი მიკრობებით განპირობებული ინფექციები დაკავშირებულია მაღალ სიკვდილიანობასთან და ჯანდაცვის გაზრდილ ხარჯებთან. ვინაიდან ბიოფილმი ხელს უშლის მიკრობთა პოპულაციამდე ანტიბიოტიკებისა და იმუნური დაცვის სხვადასხვა კომპონენტების შეღწევას. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას პროთეზირებული სახსრების, გულის ხელოვნური სარქველების მკურნალობის შემთხვევაში.

S. aureus -ის პათოგენეზში მრავლობით ვირულენტურ ფაქტორთან ერთად აღსაღნიშნავია ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული შტამების ( MRSA , VISA, VRSA ) მზარდი ტენდენცია, რაც წარმოადგენს გლობალურ საფრთხეს მათ მიერ გამოწვეული სიკვდილიანობის დონით, რომელიც ყოველწლიურად უფრო და უფრო მატულობს. ბიოფილმპროდუცენტი და ანტიბიოტიკორეზისტენტული ოქროსფერი სტაფილოკოკით გამოწვეული ინფექციების მკურნალობა თანამედროვე მედიცინის მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. ყოველივე ამან აუცილებელი გახადა ქიმიური პრეპარატების ალტერნატიული სამკურნალო საშუალებების ძიება. ბაქტერიოფაგები მოისაზრებიან მსგავსი უნარის მქონე მიკროორგანიზმებით გამოწვეულ ინფექციური პროცესების საწინააღმდეგო ყველაზე ოპტიმალურ და უვნებელ საშუალებად, რაც წლების მანძილზე დაგროვილმა გამოცდილებამ დაადასტურა. წარმატებული ბაქტერიოფაგური თერაპიის

განსავითარებლად აუცილებელია სხვადასხვა ფაგების ფართო სპექტრის წვდომა.

ჩვენი მოხსენება შეეხება სწორედ ბიოფილმის მწარმოებელ S.aureus ის მულტირეზისტენტული შტამების პათოგენეზს და მასთან ბრძოლის თანამედროვე შესაძლებლობებს.

**Salome Tsuleiskiri, Nino Giorgadze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Lika Gubeladze**
Doctor of Medicine, Associate Professor
of Caucasus International University

## Biofilm production by S.aureus, its role in disease pathogenesis, alternative treatment methods and mechanisms

UniversityIn recent years, there has been a sharp increase in the specific type of diseases caused by conditionally pathogenic microbes. It should be noted that these microorganisms are especially dangerous for hospitalized persons who suffer from different degrees of immunodeficiency due to the main disease. Representatives of the widespread Staphylococcus genus also belong to conditionally pathogenic or opportunistic microorganisms. The genus Staphylococcus includes more than 30 species. Some of which are closely related to humans and cause many serious diseases. Staphylococcus aureus can cause skin diseases and localized abscesses, endocarditis, osteomyelitis, meningitis, sepsis. Also causes Kawasaki disease and toxic shock syndrome by releasing superantigens into the bloodstream. It is the main causative agent of hospital-associated nosocomial infections. Staphylococcus epidermidis infects medical equipment related to invasive procedures. Staphylococcus saprophyticus causes urinary tract infections, especially in women. Staphylococcus aureus is especially distinguished by its abundance of pathogenicity factors, in addition, it has the ability to form an extracellular matrix - biofilm, which helps the microbe to survive in extreme environments and enables its faster adhesion, colonization and subsequent biofilm formation.Biofilm is responsible for chronic infections in host tissues and artificial implants. Infections caused by biofilm-producing microbes are associated with high mortality and increased

healthcare costs. because the biofilm prevents the penetration of antibiotics and various components of immune defense to the microbial population. This issue is especially acute in the case of treatment of prosthetic joints, artificial heart valves.Among with multiple virulence factors in the pathogenesis of S. aureus, there is a growing trend of antibiotic-resistant strains (MRSA, VISA, VRSA), which represent a global threat due to the level of death caused by them, which is increasing every year.Treatment of infections caused by biofilm-producing and antibiotic-resistant Staphylococcus aureus has become an important problem in modern medicine. All this made it necessary to search for alternative remedies to chemical drugs. Bacteriophages are considered to be the most optimal and harmless means against infectious processes caused by microorganisms with similar abilities, which has been confirmed by years of experience. Access to a wide range of different phages is essential for the development of successful bacteriophage therapy.

**სერგი დუაძე, ანა ბალხამიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ლელა გრიგოლია**
მეიდიცინის დოქტორი

## ტკივილი თავის არეში

თავის ტკივილის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ხშირი ფორმაა შაკიკი, რომელიც ცნობილია უძველესი დროიდან. მისი არსი მდგომარეობს პერიოდულად წარმოშობილ შეტევითი ხასიათის ტკივილში, დამახასიათებელი კლინიკური თავისებურებებით. შაკიკს, როგორც წესი, არ ერთვის არავითარი გართულება, არ წარმოადგენს საფრთხეს სიცოცხლისათვის და არ მიჰყავს ადამიანი მდგრად ინვალიდობამდე, მაგრამ ეს არის როგორც სამედიცინო, ისე სოციალური თვალსაზრისით სერიოზული დაავადება.

მრავალი ავტორის მიერ მოცემული შაკიკის განმარტებიდან უნდა განხილულ იქნეს ორი განსაზღვრება მაინც, რომლებსაც დღეისთვისაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. 1888 წ. ჰოვერსი წერდა: „შაკიკი ეს არის დაავადება, დამახასიათებელი პაროქსიზმული ნერვული მოშლილობებით,

რომელთა შედარებით მუდმივი ელემენტია თავის ტკივილი. ტკივილი შეიძლება იყოს, როგორც ერთადერთი სიმპტომი, მაგრამ, ძირითადად, დართულია გულისრევით და ღებინებით, არაიშვიათად წინ უსწრებს სენსორული მოშლილობანი, განსაკუთრებით ეს ეხება მხედველობას. ხშირად ეს სიმპტომები ცალმხრივია“.

1912 წ. ფლატაუ ასე განმარტავდა შაკიკს: „შაკიკად შეიძლება ჩაითვალოს თავის ტკივილის ის ფუნქციონალური ფორმები, რომელთა დროსაც მეტ-ნაკლებად გამოხატულია პერიოდულობა, ერთვის კუჭნაწლავის მოშლილობანი (უმადობა, გულისრევა, ღებინება). ამ სიმპტომების გავლის შემდეგ დგება შედარებით სიმშვიდისა და მოსვენების პერიოდი. შაკიკი ყოველთვის აღმოცენდება ორგანულ ფონზე, მაგრამ, ამავე დროს, არ არის დამოუკიდებელი ნოზოლოგიური ერთეული, წარმოადგენს ამ ფონის ერთ-ერთ სიმპტომს“. ეს და სხვა ამგვარი განმარტებები ითვალისწინებს მხოლოდ კლინიკურ თავისებურებებს, რაც იძლევა შაკიკის თავის სხვა ტკივილებისაგან გარჩევის საშუალებას. შაკიკი ცნობილია უძველესი დროიდან. ძველი შუმერელი პოეტი, რომლის სახელი არ შემორჩენილა, ჩვენს ერამდე 3000 წელს დაწერილ ნაწარმოებში მიუთითებს დროებითი სიბრმავით დართულ თავის ტკივილზე, რომლითაც ის იტანჯებოდა.

ჰიპოკრატეს დეტალურად აქვს აღწერილი შაკიკის შემთხვევები. ის ყურადღებას აქცევდა ტკივილისწინა მხედველობით სიმპტომებს და შეტევის დროს ღებინებას. მკურნალობისათვის ის რეკომენდაციას აძლევდა სისხლის გამოშვებას და შარდმდენი ბალახის ნაყენის გამოყენებას. შაკიკის ყოველმხრივი და დაწვრილებითი აღწერა უძველეს მედიცინაში ეკუთვნის არეთეი კაპადოიკიისკის (II საუკუნე ჩვენს ერამდე). ამ ავტორმა სცადა მოეცა სხვადასხვა თავის ტკივილის დაწვრილებითი კლასიფიკაცია. „ცეფალგიას“ ის უწოდებდა ხანმოკლე ხასიათის ტკივილს, ხოლო „ცეფალეიას“ ქრონიკული ტიპის ტკივილს. გალენმა (II საუკუნე ჩვენს ერამდე) დასახელება „ჰეტეროკრანია“ შეცვალა დღემდე ხმარებული ტერმინით „ჰემიკრანია“. ბერძენი ექიმი ეგინატი თავის შრომებში ყურადღებას აქცევს იმ ფაქტორებს, რომლებიც იწვევენ შაკიკის შეტევებს და მათ შორის ასახელებს ხმაურს, ძლიერ სინათლეს, მკვეთრი სუნის მქონე ნივთიერებებს, ალკოჰოლის მიღებას. ცელიუს აურელიუსი (IV საუკ. ჩვენს ერამდე) ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ შაკიკის დროს ტკივილი შეიძლება ლოკალიზებული იყოს თვალბუდის სიღრმეში და ირადიაციას განიცდის საფეთქელში.

შუა საუკუნეების მედიცინას პრინციპულად ახალი არაფერი უთქვამს შაკიკის აღწერის და მკურნალობის საკითხებში. აღორძინების ხანის ექიმებიდან

ყურადღებას იმსახურებს ჟან ფერნელის შრომა (XVI საუკ.), სადაც ავტორი ეჭვის ქვეშ აყენებს შაკიკს, როგორც ცალკე ნოზოლოგიური ფორმის არსებობას და თვლის, რომ ის არის სხვადასხვა დაავადების სიმპტომი. XVII საუკუნეში ყურადღებას იპყრობს შვეიცარიელი ექიმის, ვეპფერის, შეხედულებანი. მან ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა თვალსაზრისი, რომ ტკივილი შაკიკის დროს დაკავშირებულია ტვინის სისხლძარღვებთან, რომლებიც ფართოვდება.

**Sergi Duadze, Ana Balkhamishvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Lela Grigolia**
Doctor of medicine

## Pain in the Head

One of the most common and frequent forms of back pain is migraine, which has been known since ancient times. Its essence lies in periodically arising pain of an offensive nature, with characteristic clinical features. Migraine is usually uncomplicated, life-threatening, and permanently disabling, but it is a serious disease both medically and socially. From the definition of migraine given by many authors, at least two definitions should be considered, which have not lost their importance even today. 1888 Hoovers wrote: “Migraine is a disease characterized by paroxysmal nervous disturbances, the relatively constant element of which is headache. Pain may be the only symptom, but is usually accompanied by nausea and vomiting, often preceded by sensory disturbances, especially vision. Often these symptoms are one-sided." 1912 Flatau explained migraine in this way: "Migraine can be considered functional forms of headache, during which periodicity is more or less pronounced, gastrointestinal disorders are attached (indigestion, nausea, vomiting). After the passing of these symptoms, there is a period of relative peace and rest. Migraine always emerges against an organic background, but at the same time it is not an independent nosological entity, it is one of the symptoms of this background.

These and other such definitions take into account only the clinical features that allow to distinguish migraine from other headaches. Migraines have been known since ancient times. An ancient Sumerian poet, whose name has not been preserved, in a work written in 3000 BC refers to the headache he suffered from, accompanied by temporary blindness. Hippocrates has described in detail the cases of migraine. He paid attention to the pre-pain visual symptoms and vomiting during the attack. For treatment, he recommended bloodletting and the use of diuretic herbal infusions. Comprehensive and detailed description of migraine in ancient medicine belongs to Aretaeus of Cappadocia (II century BC). This author has attempted to give a detailed classification of various headaches. He called "cephalgia" short-term pain, and "cephalea" chronic pain.

Galen (II century BC) replaced the name "heterocrania" with the term "hemicrania" which is still used today. The Greek doctor Aeginatus in his works pays attention to the factors that cause migraine attacks, and names them as noise, strong light, strong-smelling substances, alcohol intake.Caelius Aurelius (4th century BC) draws attention to the fact that pain during migraine can be localized in the depth of the eye socket and radiates to the temple.Medicine of the Middle Ages did not say anything new in principle regarding the description and treatment of migraine.Among Renaissance doctors, the work of Jean Fernel (XVI century) deserves attention, where the author doubts the existence of migraine as a separate nosological form, and believes that it is a symptom of various diseases. In the 17th century, the views of the Swiss doctor Wepfer attract attention. He was one of the first to express the point of view that the pain during migraine is related to blood vessels in the brain that are dilated.

**შაკო გორდულავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მაია სვანიძე**
მედიცინის სკოლის დოქტორანტი

## საინტერესო ფაქტები მედიცინაში

მედიცინა ელვის სისწრაფით ვითარდება. ის, რაც დღეს ჭეშმარიტად მიიჩნევა, ხვალ შესაძლოა შეცდომად ჩაითვალოს. თანამედროვე მედიცინაში კი ბევრ გასაოცარ ფაქტს წავაწყდებით. წარმოგიდგენთ მედიცინაში ცნობილ რამდენიმე უცნაურ შემთხვევას. საქმე ეხება ესპანელი ებრაელების შთამომავალთა ერთ-ერთ ჯგუფს, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო, რათა ინკვიზიციის მხრიდან დევნისთვის თავი დაეღწია. ამ ჯგუფის შთამომავლების დიდი ნაწილი, დაახლოებით 100-მდე ადამიანი ძალიან უცნაური გენური მუტაციის შედეგად მომცრო აღნაგობის მოევლინა ქვეყნიერებას. საოცრება კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები არასოდეს ავადდებიან ავთვისებიანი სიმსივნეებით, დიაბეტითა და ინსულტით. მეცნიერები წლების მანძილზე აქტიურად იკვლევენ ამ ფენომენს.

ჯაიმი გევარასა და ვალტერ ლონგოს დასკვნით, რომლებიც ფენომენს 22 წელი აქტიურად სწავლობდნენ, მომცრო აღნაგობის ეკვადორელების ორგანიზმში ზრდის ჰორმონი GHR მუტირებული აღმოჩნდა. სწორედ ამან განაპირობა შეუვალობა, რაც რელიგიაგამოცვლილი ებრაელების შთამომავლებს აღმოაჩნდათ. ჰორმონ GHR-ის ბლოკირება უჯრედს აიძულებს, გარემოს მავნე ზეგავლენის შედეგად დაუყოვნებლივ განადგურდეს, ნაცვლად იმისა, რომ არსებობა განაგრძოს და კიბოს უჯრედად გარდაიქმნას.

კიდევ ერთი საინტერესო სამედიცინო ფაქტი: მე-20 საუკუნის დასაწყისში პაპუა ახალი გვინეის ტერიტორიაზე რაღაც უცნაური დაავადება გავრცელდა. უმეტესად იხოცებოდნენ ბავშვები და ქალები. 50-იან წლებში მეცნიერები დაინტერესდნენ დაავადების შესახებ და აღმოაჩინეს, რომ გამომწვევი, ადამიანისათვის დამახასიათებელი ცილის სტრუქტურის ცვლილება და მისი გროვებად ჩალაგება იყო. მეოცე ქრომოსომაში, კერძოდ, 20q13 ლოკუსში არის გენი სახელწოდებით PRNP - იგივე პროტეაზ-რეზისტენტული პროტეინი ან პრიონული პროტეინი. ნორმალურ ადამიანში ამ გენის პროდუქტი ნერვულ კავშირებში და ნეირონის მეტაბოლურ გზებში მონაწილეობს, ადვილად იშლება პროტეაზათი, შესაბამისად, არ იწვევს რაიმე პათოლოგიურ

ცვლილებებს. თუმცა დაავადებულების ტვინის აუტოპსიამ აჩვენა ცილოვანი აგრეგატები. აგრეგატები ნორმაში არ ყალიბდება, თუმცა, თუ მოხვდა მუტაცია გენში, ან ცილის გარედან შესვლა ორგანიზმში - უკვე გროვდებიან ერთად და აზიანებენ ნერვულ ქსოვილს. დაავადება ტრანსმისიულ ღრუბლისებრი ენცელოპათიის ერთ-ერთი სახეა. კონკრეტულად, კურუს შემთვევაში ზიანდება ნათხემი, რაც მოტორულ პათოლოგიებს იწვევს: მათ შორის ატაქსია, კოორდინაციის დარღვევა, ტრემორი, დისართრია (ლაპარაკის უუნარობა) და მრავალი სხვა. გამოსავალი აუცილებლად სიკვდილია. ტვინი ბავშვებმა და ქალებმა ჭამეს. დაავადებულის მუტაციური ცილები (PrPSc შეცვლილ ცილას ასე ეწოდება) დაგროვდნენ "მჭამელებში". რამდენიმე წლის შემდეგ ისინიც დაიღუპნენ და ასე ჯაჭვურად გავრცელდა დააავადება, მანამდე, სანამ ტრადიციული კანიბალიზმი არ აიკრძალა. ბოლო შემთხვევა 2009 წელს დაფიქსირდა. სიტყვა კურუ ნიშნავს რხევას (დამახასიათებელი სიმპტომი). ასევე დაავადებას მოიხსენიებდნენ სიცილის ავადმყოფობად (ავადმყოფს უეცრად სიცილის "შეტევა" ეწყებოდა) ახლა კი გიამბობთ იმ ბერძნულ მითოლოგიურ არსებებზე, რომლებიც შესაძლებელია რეალურად არსებობდნენ. ციკლოპია-ალობარული ჰოლოპროზენცეფალია უიშვიათესი გენეტიკური დაავადებაა, რომელიც 100 000 დან 1 ახალშობილში გვხვდება და გამოწვეულია ემბრიოგენეზში, კერძოდ, 18-დან 28-ე კვირამდე წინა ტვინის იგივე პროზენცეფალონის არასრული გაყოფით მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროებად. გარდა იმისა, რომ ტვინი არ არის დაყოფილი, მოიცავს: ერთ თვალს, განუვითარებელ ცხვირს, რომელიც ხშირად თვალის ზემოთაა განთავსებული. ექსტრაკრანიალური სიმპტომებია: პოლიდაქტილია, თირკმლის პათოლოგიები და ომფალოცელე. დაავადების ეტიოლოგია თითქმის უცნობია, ყველა შემთხვევა ლეტალურად დამთავრდა, ზოგიერთი მკვრად დაიბადა, ზოგიც დაბადებიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. დაავადება გვხვდება სპორადულად(ანუ ოჯახური ისტორიის გარეშე, უცაბედად) თუმცა არსებობს გენეტიკური და სხვა ფაქტორები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ დაავადების პათოგენეზში. შემთხვევები ასოცირებული იყო სონიკ ჰედჯეკოკის (SHH ) გენის მუტაციასთან, ეს გენი Pax6 პროტეინთან ერთად ჩართულია თვალის ჩანასახის ორ ნაწილად დაყოფაში. ასევე აღმოჩენილი იქნა ამ სინდრომის კორელაცია პატაუს სინდრომთან (მე-13 ქრომოსომის ტრისომია) დიაგნოსტირება ხდება ორსულობის პერიოდში ულტრაბგერით, ან დაბადების შემდეგ ინსპექციით. მკურნალობა პრინციპში არ ხდება, დაავადება 100%-ით ლეტალურია, სამწუხაროდ.

**Shako Gordulava**
Caucasus international University
Bachelor
Supervisor: **Maia Svanidze**
Doctoral Student of the School of Medicine

# Interesting Facts in Medicine

It concerns a group of descendants of Spanish Jews who converted to Christianity to escape persecution by the Inquisition. A large part of the descendants of this group, about 100 people, were born with short stature as a result of a very strange genetic mutation. The miracle is that the representatives of this group never get cancer, diabetes, and never have a stroke. Scientists have been actively researching this phenomenon for years. According to the conclusions of Jaime Guevara and Walter Longo, who have been actively studying the phenomenon for 22 years, the growth hormone GHR was found to be mutated in the body of Ecuadorians of short stature. This is what led to the inevitability that the descendants of the converted Jews found.Blocking the hormone GHR causes the cell to be destroyed immediately by the harmful effects of the environment, instead of continuing to exist and transform into a cancer cell. At the beginning of the 20th century, a strange disease spread in the territory of Papua New Guinea. Children and women were mostly killed. In the 1950s, scientists became interested in the disease and discovered that the cause was a change in the structure of a human-specific protein and its clumping.On chromosome 20, specifically at the 20q13 locus, there is a gene called PRNP - the same as protease-resistant protein or prion protein.However, autopsies of the brains of patients showed protein aggregates. Aggregates are not formed normally, however, if there is a mutation in the gene, or if the protein enters the body from outside, they already accumulate together and damage the nerve tissue. The disease is one of the types of transmissible cloudy encephalopathy. Specifically, in Kuru, speech is damaged, which leads to motor pathologies: including ataxia, incoordination, tremors, dysarthria (inability to speak) and many others. The solution is definitely death. Children and women ate the brain. Mutated proteins of the patient (PrPSc - this is the name of the changed protein) accumulated in the "eaters". After a few years, they too died, and the disease spread in chains, until traditional cannibalism was banned. The last case was recorded in 2009. The etiology of the disease is almost unknown, all cases ended fatally, some were born densely and some died within a few hours of birth. The disease occurs sporadically

(that is, without a family history, accidentally), although there are genetic and other factors that participate in the pathogenesis of the disease. Cases have been associated with mutations in the Sonic Hedgehog (SHH) gene, which is involved with the Pax6 protein in the division of the eye germ into two parts. Correlation of this syndrome with Patau syndrome (trisomy of chromosome 13) was also found. Diagnosis is made during pregnancy by ultrasound, or by inspection after birth. There is no treatment in principle, the disease is 100% lethal, unfortunately.

**მარიამ შულაია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **დალი ღაღანიძე**
მედიცინის დოქტორი

## უჯრედული ბიოლოგიის გამოყენება რეპროდუქციულ მედიცინაში

ადამიანის რეპროდუქცია ფიზიოლოგიური ფუნქციაა, რომლის საშუალებითაც ნარჩუნდება ადამიანი, როგორც ბიოლოგიური სახეობა დედამიწაზე. ქალის საშვილოსნო წარმოადგენს ჩანასახის მიმაგრების, ინპლანტაციისა და განვითარების ადგილს.

საშვილოსნოს ენდომეტრიუმი ციკლურ ცვლილებებს განიცდის, კერძოდ, მენსტრუალური ციკლის მენსტრუალურ ფაზაში ენდომეტრიუმის ფუნქციური შრე ჩამოიფცქვნება, ხოლო პროლიფერაციის ფაზის დროს აღდგება და აღწევს გარკვეულ ზომას, რაც უზრუნველყოფს ჩანასახის ინპლანტაციასა და განვითარებას. WHO-ს მონაცემებით მსოფლიოში 48 მილიონი წყვილიდან 15% უნაყოფოა. უნაყოფობის მრავალი მიზეზიდან ერთ-ერთი ენდომეტრიუმის სისქის ნაკლებობაა.

არსებობენ უნივერსალური უჯრედები, რომლებსაც თითქმის ყველა უკურნებელი სენის დამარცხების პოტენციალი აქვთ. ბუნების ეს სასწაული ღეროვანი უჯრედებია. სწორედ მათი თვისება, განიცადონ გაყოფასთან ერთად დიფერენცირება და ჩამოყალიბდნენ იმ ქსოვილის უჯრედად ,რომელშიც იმყოფებიან, გამოყენებულ იქნა რეპროდუქციულ მედიცინაში

ენდომეტრიუმის სისქის პრობლემის დასაძლევად. ჩვენი მიზანია დავადგინოთ, რამდენად ინერგება ქართულ რეპროდუქციულ მედიცინაში მსგავსი უახლესი მეთოდი და რა შედეგებია აღნიშნული ამ კუთხით.

**Mariam Shulaia**
caucasus international university
Bachelor
Supervisor: **Dali Ghaghanidze**
Doctor of Medicine

## Applications of cell biology in reproductive medicine

Human reproduction is a physiological function through which humans are maintained as abiological species on earth. The uterus of a woman is the place of attachment, implantation anddevelopment of the embryo. The endometrium of the uterus undergoes cyclical changes, namely, in the menstrual phase of the menstrual cycle, the functional layer of the endometriumis shed, and during the proliferation phase, it recovers and reaches a certain size, whichensures the implantation and development of the embryo. One of the many causes of infertilityis the lack of thickness of the endometrium. There are universal cells that have the potential todefeat almost all incurable sensitization. These miracles of nature are stem cells. It is theirproperty to undergo differentiation along with the division and to form the cells of the tissue inwhich they are, which has been used in reproductive medicine to overcome the problem ofendometrial thickness. Our goal is to determine the extent to which this latest method isintroduced in Georgian reproductive medicine and what results are noted in this regard.

**სოსო ჩავლეშვილი, ნიკა გოგოლაძე**
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მაია სვანიძე**
სდასუს მედიცინის სკოლის დოქტორანტი

## გულის თანდაყოლილი მანკების ოპერაციული მკურნალობა

კლინიკაში შემოვიდა ბავშვი, 1 თვის, ციანოზური კანის ფერითა და დარღვეული სუნქვის რიტმით. დედის განმარტებით, ბავშვი დაიბადა დღენაკლი, 38-ე კვირაზე და დაბადებისთანავე მხოლოდ კვნესის მაგვარი ხმიანობით ახერხებდა ჩასუნთქვას. ჩვილი მაშინვე მოთავსებულ იქნა კუვეზში სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებებისათვის, საიდაც მალე გაუმჯობესდა მდგომარეობა. ბავშვი არის ბუნებრივ კვებაზე, აქვს ფიზიოლოგიურად ნორმალური სიგრძისა და წონის მატება, თუმცა, ძუძუთი კვების დროს დედა ბავშვს ზოგჯერ ამჩნევს ცხვირ-ტუჩის არეში ციანოზსა და ქოშინის შეტევას, რომელიც ძუძუთი კვების შეჩერებისთანავე მალე ქრება. ბავშვს მიეცა ჟანგბადი. ჩატარებული ელექტრო და კარდიოექოსკოპიური კვლევისა და სხვა კვლევების საფუძველზე დაისვა გულის განვითარების მანკის დიაგნოზი და შემდგომი კვლევისა და მკურნალობისათვის გაიგზავნა სპეციალიზირებულ კლინიკაში.

დაისვა დიაგნოზი: ტრიკუსპიდალური ატრეზია პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტით. ნაწილობრივ, თანდაყოლილ მანკებს აქვთ გენეტიკური ბუნება, ძირითადად კი მათი განვითარების მიზეზებია ორსულობის პირველ ტრიმესტრში ორგანიზმზე ეგზოგენური ფაქტორების ზემოქმედება. მაგ: წითელა და დედის სხვა დაავადებები, ალკოჰოლიზმი, ზოგიერთი სამკურნალო საშუალებების გამოყენება, რადიაციის ზემოქმედება და სხვ.

არსებობს გულის თანდაყოლილი მანკების რამდენიმე კლასიფიკაცია. ფილტვის სისხლმიმოქცევაზე ზემოქმედების მიხედვით, გამოყოფენ 4 ჯგუფს:

1. მანკები, რომელთა დროს არ იცვლება ან მცირედ იცვლება ფილტვის სისხლმიმოქცევა: გულის მდებარეობის ანომალია, აორტის რკალის ანომალია, მისი კოარქტაცია, აორტის სტენოზი, აორტის სარქვლის ატრეზია, ფილტვის ღეროს სარქვლის უკმარისობა, მიტრალური სტენოზი, სარქვლის ატრეზია და უკმარისობა; სამწინაგულოვანი გული, გვირგვინოვანი არტერიებისა და გულის გამტარი სისტემის მანკები.

**მარიამ ციცაგი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **სოფია კასრაძე**
ნევროლოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ნევროლოგიისა და ნეიროფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

## ეპილეფსიის სტიგმის სკალის (ესს) ვალიდაცია ქართულ ენაზე

ეპილეფსიისადმი საზოგადოებაში გავრცელებული არასწორი შეხედულებები და ნეგატიური დამოკიდებულებები ეპილეფსიის მქონე პაციენტებს ხშირად უქმნის ურთიერთობის, განათლების, ოჯახის შექმნის, დასაქმებისა და მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვან პრობლემებს, ასევე ართულებს ეპილეფსიის მკურნალობას და ამძიმებს დაავადების მიმდინარეობას. ამიტომ, ეპილეფსიის სტიგმის კომპონენტების შეფასება, რომელიც განსხვავებულია კულტურალური პოპულაციების მიხედვით, აუცილებელია სწორი ინტერვენციული ღონისძიებების დასაგეგმად.

ეპილეფსიის სტიგმის კვლევები, რომლებიც აწარმოეს ადგილობრივი პოპულაციებისთვის ადაპტირებული საერთაშორისო კითხვარებით, საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩატარებულა, რადგან ქართულენოვანი ვალიდური კითხვარი ჯერ არ არის შექმნილი.

**მიზანი:** საერთაშორისოდ აღიარებული „ეპილეფსიის სტიგმის სკალის“

(ესს) კითხვარის ქართულ ენაზე ადაპტაცია და ვალიდაცია.

**მეთოდი:** კვლევა ჩატარდა ნნი-ს ბაზაზე. ვალიდაციისთვის შეირჩა სადემონსტრაციო პროექტის დროს ბრაზილიაში (1) გამოყენებული ესს კითხვარი(2), რომელიც ქართულ-ინგლისურ და ქართულ ენებზე ითარგმნდა სამ-სამი დამოუკიდებელი პირის მიერ და საბოლოოდ შეიქმნა ქართულ ენაზე ადაპტირებული ფორმატი. აღნიშნული სკალის ვალიდაციის მიზნით, მოხდა 18-დან 60 წლამდე 87 ფიზიკური პირის, 32-ეპილეფსიის დიაგნოზის მქონე და

55 ეპილეფსიის არმქონე ინდივიდის გამოკითხვა. მონაცემების სტატისტიკური ანალიზები ჩატარდა SPSS-ის გამოყენებით (3); კერძოდ, შეფასდა დემოგრაფიული ვარეაბელობა, დამოუკიდებელი არაპარამეტრული ცვლადები, პრინციპული კომპონენტები და ქართული ვერსიის ვალიდურობა. 0.05-ზე ნაკლები ალბათობა ჩაითვალა სტატისტიკურად სარწმუნოდ.

**შედეგი:** ესს-ის საერთო საშუალო ქულა იყო 19.5 (SD 10.1; მინ. 2, მაქს. 53),

ეპილეფსიის არმქონე პირებისთვის 20.7 (SD 8.9; მინ. 2, მაქს. 53), ხოლო

ეპილეფსიის მქონე პაციენტებისთვის 17.5 (SD 10.4; მინ. 3, max. 42) და ეს განსხვავება არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო. კრონბახის ალფას ზოგადი მაჩვენებელი იყო 0,854; ეპილეფსიის კოჰორტასთვის - 0.876 და ეპილეფსიის არმქონე პირებისთვის 0.8237, რაც გვიჩვენებს ესს-ის ქართული ვერსიის კარგ შიდა ურთიერთგადანაწილებას. კაიზერ-მეიერ-ოლკინის საზომი იყო 0,705 და ბარტლეტის სფერულობის ტესტი - 926,2 (df 276; $p<0,001$), რაც მიუთითებს მისაღებინიმუშის ადეკვატურობაზე.

დასკვნა:

ესს-ს ქართული ვარიანტი წარმოადგენს ვალიდურ ინსტრუმენტს ეპილეფსიის სტიგმისკომპონენტების პუპულაციური კვლევებისთვის.

დასტური:

კვლევა განხორციელდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფუნდამენტური გრანტების პროექტის ფარგლებში.

**Mariam Tsitsagi**
Caucasus International University
Bachelor's degree
Supervisor: **Sofia Kasradze**
Neurologist, Academic Doctor of Medicine,
Associate Professor of the Caucasus International
University, Director of the Institute of
Neurology and Neurophysiology

## Validation of Epilepsy Stigma Scale (ESS) in Georgian language

Common misconceptions and negative attitudes about epilepsy are in society, which often creates a problem for patients in relationships, education, family creation, employment, and material prosperity. It also complicates epilepsy treatment and aggravates the course of the disease. Therefore, the epilepsy stigma evaluation of components, which differs according to cultural population, is necessary to plan the right intervention measures. Epilepsy stigma studies, which are produced locally for populations, and adapted from international questionnaires, it has not yet been conducted in Georgia, because there is no valid Georgian-language questionnaire yet created. Objective: To use the internationally recognized "Epilepsy Stigma Scale" (ESS) method: The research was conducted based on NNI. selected for validation demonstration project time (1) ESS questionnaire used in Brazil (2) which was translated from English to Georgian languages by three independent persons and finally A format adapted to the Georgian language was created. Validation of the mentioned scale A survey was conducted for this purpose 87 individuals aged 18 to 60, 32 with epilepsy diagnosis, and 55 people without epilepsy. data Statistical analysis was performed using SPSS (3); In particular, it evaluated Demographic variability, independent nonparametric variables, Principle components, and validity of the Georgian version. less than 0.05 The probability was considered statistically significant. Result: The overall mean ESS score was 19.5 (SD 10.1; min. 2, max. 53), for non-epileptics 20.7 (SD 8.9; min. 2, max. 53), and for patients with epilepsy 17.5 (SD 10.4; min. 3, max. 42). This difference was not statistically significant. The overall index of Cronbach's alpha was 0.854; For the epilepsy cohort - 0.876 and for non-epileptics 0.8237, which shows the good internal distribution of the Georgian version of the ESS. Kaiser-Meyer-Olkin measure was 0.705 and Bartlett's test of sphericity was 926.2 (df 276; $p<0.001$), which, indicates acceptable sample adequacy.

Conclusion:

The Georgian version of the ESS is a valid tool for population research on epilepsy stigma components.

Permission:

The research was carried out by the Caucasus International University within the framework of the fundamental grants project.

**მარიამ აბულაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ვერა ხუნძაკიშვილი**
ასოცირებული პროფესორი

## ლაზერი - 21-ე საუკუნის ინოვაცია სტომატოლოგიაში

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ლაზეროთერაპია სტომატოლოგიის პერსპექტიულ მიმართულებად იქცა. ტექნოლოგიური რევოლუციის

პარალელურად ლაზერის პოპულარიზაციამ გაზარდა პაციენტის მოლოდინები უმტკივნეულო და არაინვაზიური მეთოდების უპირატესობაზე.

ბოლო წლების სტატისტიკამ ცხადყო, რომ მისი პოპულარობა დღითიდღე მზარდია. ლაზერის პრაქტიკული გამოყენების სიმარტივე მის ბევრ უპირატესობაში ჩანს, განსაკუთრებით პაროდონტოლოგიაში. ლაზერული ტექნოლოგიები იძლევა კარგ შესაძლებლობას მცირედ ინვაზიური მეთოდით მივიღოთ მეტი სარგებელი პაციენტის სასარგებლოდ კონსერვატიულ( ტრადიციულ) მეთოდებთან შედარებით. თუ ადრე ის მხოლოდ ქირურგიული მანიპულაციების ჩატარების ეფექტურ მეთოდად მიიჩნეოდა, დღესდღეობით უკვე სტომატოლოგიაში დაინერგა, როგორც ძველი მეთოდების პრობლემების აღმომფხვრელი ინოვაციური სიახლე. ლაზერი ავლენს ტკივილგამაყუჩებელ, ანთების საწინააღმდეგო და ბიომოდულატორულ

ზემოქმედებას მოლეკულურ დონეზე, რაც აუმჯობესებს ქსოვილების ეპითელიზაციის პროცესს.

ნაშრომში განვიხილავთ 2022-2023 წლების წამყვანი საერთაშორისო ექსპერტების გამოკვლევისა და პაციენტების მკურნალობისას მიღებული შედეგების ანალიზს.

**Mariam Abuladze**
Caucasus International University
Bachelor's degree
Supervisor: **Vera Khundzakishvili**
Associate Professor

## Laser- 21st century innovation in dentistry

In the last decade, laser therapy has become a perspective direction in dentistry. Along with the technological revolution, the popularization of the laser increased the patient's expectations for the advantages of painless and non-invasive methods.
The statistics of recent years have made it clear that its popularity is increasing day by day. The ease of practical use of the laser can be seen in its many advantages, especially in periodontology. Laser technologies provide a good opportunity to get more benefits for the patient with a minimally invasive method compared to conservative (traditional) methods. If earlier it was only considered an effective method of performing surgical manipulations, nowadays it has already been introduced in dentistry as an innovative innovation that eliminates the problems of old methods. The laser exhibits pain-relieving, anti-inflammatory and bio modulative effects at the molecular level, improving the tissue epithelization process.
In the paper, we discuss the analysis of the results obtained during the 2022-2023 examination of leading international experts and the treatment of patients.

**მარიამი პაპავა**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ეკა კვარაცხელია**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
(ეპიგენეტიკა, მოლეკულური გენეტიკა)

## CRISPR - Cas9-გენეტიკური ინჟინერიის მომავალი

წლების განმავლობაში მეცნიერები ცდილობდნენ, განეკურნათ გენეტიკური დაავადებები და ეპოვათ გზები უჯრედის გენომის შესაცვლელად. შესაბამისი გენომური ინჟინერიის ტექნოლოგიები აქამდე იმდენად ძვირადღირებული და რთულად შესასრულებელი იყო, რომ მეცნიერები უარს ამბობდნენ ლაბორატორიაში და კლინიკურ კვლევებში მათ გამოყენებაზე.

CRISPER-Cas9-ის აღმოჩენამ ეს მოცემულობა შეცვალა. ეს არის ახალი ტექნოლოგია, რომელიც ბაქტერიის მიერ ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდის მოდელის გამოყენებით, შესაძლებელს ხდის დნმ-ის ჩვენთვის სასურველი მონაკვეთის ამოჭრას და უჯრედში არსებული მექანიზმების საშუალებით, მისი ახლით ჩანაცვლებას. თუ გვეცოდინება შესაბამისი ნუკლეოტიდური თანმიმდევრობები, ეს ტექნოლოგია საშუალებას მოგვცემს, ჩავანაცვლოთ დნმ-ის მუტირებული უბნები და განვკურნოთ გენეტიკური დაავადებები, რომელთა განკურნებაც აქამდე შეუძლებელი იყო.

CRISPER-Cas9 ტექნოლოგიის პოტენციური გამოყენება ასევე იძლევა ემბრიონში გენეტიკური ინფორმაციის შეცვლის შესაძლებლობას. ის მშობელს საშუალებას აძლევს, წინასწარ განსაზღვროს ნაყოფის ნიშან-თვისებები, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს ეთიკურ პრობლემებს და ზრდის საზოგადოების წევრების უთანასწორობის ხარისხს. გენომ-ინჟინირებული ადამიანები ჯერ არ არიან ჩვენს რიგებში, თუმცა ეს ფენომენი უკვე აღარ არის სამეცნიერო ფანტაზიის ნაწილი.

**Mariami Papava**
Tbilisi State Medical University
Bachelor's degree
Supervisor: **Eka Kvaratskhelia**
Doctor of Medical Sciences
(Epigenetics, Molecular Genetics)

## CRISPR-Cas9 - Future of genetic engineering

For many years scientists have been trying to cure genetic diseases and find ways to change the genome of human cells. Genetic engineering technologies that were able to do that were very expensive and difficult enough, so scientists refused to use them in laboratories and for clinical applications. Discovering CRISPER-Cas9 has changed the situation. CRISPER-Cas9 is a new technology that uses bacterial Immune system mechanism that fights against viruses as a guide to cut the DNA part of our choice and replace it with intercellular mechanisms. If we find out a specific nucleotide sequence this technology will give us the ability to replace mutated part of DNA and cure genetic diseases that have been incurable before. Crisprcas9 technology also can be used to change genetic information in embryos, it gives parents an opportunity to choose their kids' traits in advance, which causes some ethical problems and raises the risk of inequality between community members. Genome-engineered humans are not with us yet, but this phenomenon is no longer science fiction.

**ნატო მუკბანიანი, სალომე მიქანძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ლელა გრიგოლია**
მედიცინის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ენის და ტუჩის ლაგამი

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის განვითარების თანდაყოლილი პათოლოგია - ბავშვებში განვითარების თანდაყოლილი პათოლოგიის (გთპ) ეს სახე ყველაზე ხშირია და უმეტეს შემთხვევაში ვლინდება იზოლირებული

სახით. თუმცა რიგ შემთხვევებში ის გვევლინება, როგორც ერთ-ერთი სიმპტომი, უმძიმესი თანდაყოლილი სინდრომებისა (პირ-სახე-თითისებრი სინდრომი, ჰემიფაციალური მიკროსომია, პიერ-რობენის კომპლექსი, ბეკვიტ-ვიდერმანის სინდრომი და სხვ.)

ენისა და ტუჩის ლაგამის ანომალიას შედეგად მოსდევს კბილთა მწკრივების მთელი რიგი პათოლოგიები:

1) ცალკეული კბილების დგომის ანომალიები;

2) კბილთა რკალის ანომალიები;

3) თანკბილვის ანომალიები.

დაბადებისას ახალშობილს შეიძლება აღენიშნებოდეს ენის შემდეგი პათოლოგიები:

1) მაკროგლოსია(დიდი ზომის ენა);

2) მიკროგლოსია(პატარა ზომის ენა);

3) ენის ანომალია - ენის კუნთების ნაპრალი;

4) ანკილოგლოსია - ენის ლაგამი თითქმის არ არსებობს, რის გამოც ენა უძრავდაა ან მცირედ მოძრაობს;

5) ენის მოკლე ლაგამი.

კლინიკურ პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ექიმებს გვხვდება ენის მოკლე ლაგამი. ამ ანომალიების მკურნალობის ქირურგიულ მეთოდებს განეკუთვნება: პირის კარიბჭის თაღის პლასტიკა (ვესტიბულოპლასტიკა), რომლის ჩატარებაც მიზანშეწონილია მუდმივი ეშვების ამოსვლის შემდეგ; ფრენულოტომია (ლაგამის გაკვეთა), რეკომენდირებულია მისი ჩატარება 0-3 თვემდე; ფრენულექტომია(ლაგამის ამოკვეთა), გვერდითი საჭრელების ამოსვლის შემდეგ (როდესაც ოპერაცია ტარდება ტუჩის ლაგამზე და გვერდითი საჭრელები ამოსულია 2/3-ზე, ხოლო ენის ლაგამზე, როდესაც გვერდითი საჭრელები ამოსულია ნახევრამდე; ლაგამის პლასტიკა,როდესაც აღინიშნება რბილი ქსოვილების მკვეთრი დეფიციტი და პაციენტი ბავშვთა და მოზარდთა ასაკს გადაცილებულია.

**Nato Mukbanian, Salome Mikandze**
Caucasus International University
Bachelor's degree
Supervisor: **Lela Grigolia**
Doctor of Medicine, Associate Professor

## Tongue and lip bridle

Congenital pathology of oral mucosa development in children This form of congenital developmental pathology (GDP) is the most common and in most cases, it appears in an isolated form. However, in some cases, it appears as one of the symptoms of the most severe congenital syndromes (facial-finger-like syndrome, hemifacial microsomia, Pierre-Robin complex, BeckwithWiederman syndrome, etc.) As a result of the tongue and lip bridle anomaly, a number of pathologies of the tooth rows follow; 1) abnormalities of the position of individual teeth; 2) dental arch anomalies; 3) Dentition anomalies. At birth, the newborn may have the following pathologies of the tongue: 1) macroglossia (large tongue); 2) microglossia (small language); 3) Anomaly of the tongue - cleft of the tongue muscles 4) ankyloglossia - tongue bridle is almost absent, due to which the tongue is motionless or moves slightly; 5) Short tongue bridle. In clinical practice, doctors most often encounter a short tongue bridle. Surgical methods of treatment of these anomalies include: - plasty of the arch of the mouth gate (vestibuloplasty), which is recommended to be carried out after the removal of permanent teeth; - Frenulotomy (dissection of the bridle), it is recommended to perform it before 0-3 months. - Frenulectomy (excision of the bridle), after the lateral incisors emerge (when the operation is performed on the lip bridle and the lateral incisors are raised to 2/3, and on the tongue bridle when the lateral incisors are raised to half. - Bridle plasty, when there is a sharp deficiency of soft tissues and the patient is beyond the age of children and adolescents.

**ნიკა გოგალაძე**
კავკასის საერთაშორის უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მაია სვაინიძე**
დოქტორანტი

## გულის თანდაყოლილი მანკის ძირითადი ასპექტები

კლინიკაში შემოვიდა ბავშვი, 1 თვის, ციანოზური კანის ფერითა და დარღვეული სუნქვის რიტმით. დედის განმარტებით, ბავშვი დაიბადა დღენაკლი, 38-ე კვირაზე და დაბადებისთანავე მხოლოდ კვნესის მაგვარი ხმიანობით ახერხებდა ჩასუნთქვას. ჩვილი მაშინვე მოთავსებულ იქნა კუვეზში სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებებისათვის, სადაც მალე გაუმჯობესდა მდგომარეობა. ბავშვი არის ბუნებრივ კვებაზე, აქვს ფიზიოლოგიურად ნორმალური სიგრძისა და წონის მატება. თუმცა, ძუძუთი კვების დროს დედა ბავშვს ზოგჯერ ამჩნევს ცხვირ-ტუჩის არეში ციანოზსა და ქოშინის შეტევას, რომელიც ძუძუთი კვების შეჩერებისთანავე მალე ქრება. ბავშვს მიეცა ჟანგბადი. ჩატარებული ელექტრო და კარდიოექოსკოპიური კვლევისა და სხვა კვლევების საფუძველზე დაისვა გულის განვითარების მანკის დიაგნოზი და შემდგომი კვლევისა და მკურნალობისათვის გაიგზავნა სპეციალიზირებულ კლინიკაში. დაისვა დიაგნოზი: ტრიკუსპიდალური ატრეზია პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტით.

ნაწილობრივ თანდაყოლილ მანკებს აქვთ გენეტიკური ბუნება, ძირითადად კი მათი განვითარების მიზეზებია ორსულობის პირველ ტრიმესტრში ორგანიზმზე ეგზოგენური ფაქტორების ზემოქმედება, მაგალითად, წითელა და დედის სხვა დაავადებები, ალკოჰოლიზმი, ზოგიერთი სამკურნალო საშუალებების გამოყენება, რადიაციის ზემოქმედება და სხვ. არსებობს გულის თანდაყოლილი მანკების რამდენიმე კლასიფიკაცია. ფილტვის სისხლმიმოქცევაზე ზემოქმედების მიხედვით გამოყოფენ 4 ჯგუფს:

1. მანკები, რომელთა დროს არ იცვლება ან მცირედ იცვლება ფილტვის სისხლმიმოქცევა: გულის მდებარეობის ანომალია, აორტის რკალის ანომალია, მისი კოარქტაცია, აორტის სტენოზი, აორტის სარქვლის ატრეზია, ფილტვის ღეროს სარქვლის უკმარისობა, მიტრალური სტენოზი, სარქვლის ატრეზია და უკმარისობა; სამწინაგულოვანი გული, გვირგვინოვანი არტერიებისა და გულის გამტარი სისტემის მანკები.

2. ა) ადრეული ციანოზის გარეშე მიმდინარე მანკები: ღია არტერიული ხვრელი, წინაგულთაშუა და პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, ლუტამბაშეს

სინდრომი, ფილტვ – აორტის ხვრელი, აორტის კოარქტაცია; ბ) ციანოზით მიმდინარე მანკები: ტრიკუსპიდალური ატრეზია პარკუჭთაშუა ძგიდის დიდი დეფექტით, ღია არტერიული ხვრელი გამოხატული ფილტვისმიერი ჰიპერტენზიითა და სისხლის დინებით ფილტვის ღეროდან აორტაში.

3. მანკები მცირე წრის ჰიპოვოლემიით: ა) ციანოზის გარეშე მიმდინარე – ფილტვის ღეროს იზოლირებული სტენოზი; ბ) ციანოზით მიმდინარე – ფალოს ტრიადა, ტეტრადა და პენტადა, ტრიკუსპიდალური ატრეზია ფილტვის ღეროს შევიწროებით ან პარკუჭთაშუა ძგიდის მცირე დეფექტით, ებშტეინის ანომალია (ტრიკუსპიდალური სარქვლის გადანაცვლება მარჯვენა პარკუჭში), მარჯვენა პარკუჭის ჰიპოპლაზია.

4. კომბინირებული მანკები გულის სხვადასხვა ნაწილებისა და მსხვილი სისხლძარღვების ურთიერთმდებარეობის დარღვევით: აორტისა და ფილტვის ღეროს ტრანსპოზიცია (სრული ან კორეგირებული), მათი გასვლა ერთ – ერთი პარკუჭიდან, ტაუსინგ – ბინგის სინდრომი, საერთო არტერიული ღერო, სამსაკნიანი გული საერთო პარკუჭითა და სხვ. კლინიკურ გამოვლინებასა და მიმდინარეობას განსაზღვრავს მანკის სახე, ადრეული ციანოზით მიმდინარე მანკები (ე. წ. ,,ლურჯი მანკები) ვლინდება ბავშვის დაბადებისთანავე. მრავალ მანკს, განსაკუთრებით პირველ-მეორე ჯგუფში შემავალ მანკებს, მრავალი წლის მანძილზე აქვთ უსიმპტომო მიმდინარეობა, ვლინდება შემთხვევით პროფილაქტიკური გასინჯვისას, ან უკვე მოზრდილ ასაკში ჰემოდინამიკის დარღვევების პირველი კლინიკური ნიშნების გამოჩენისას. მე-3 და მე-4 ჯგუფის მანკები შესაძლოა შედარებით ადრე გართულდნენ გულის უკმარისობით, რაც იწვევს ლეტალურ გამოსავალს.

დიაგნოზის დადგენა ხდება გულის კომპლექსური გამოკვლევით. პირველადი დიაგოსტიკური გამოკვლევა მოიცავს ელექტროკარდიოგრაფიას, ექოკარდიოგრაფიას და გულისა და ფილტვების რენტგენოლოგიურ გამოკვლევას, რომლებიც უმრავლეს შეთხვევაში საშუალებას იძლევიან გამოვლინდეს გარკვეული მანკის პირდაპირი (ექოკარდიოგრაფიის დროს) და ირიბი ნიშნები. მკურნალობა მხოლოდ ქირურგიულია. იმ შემთხვევაში, თუკი ოპერაცია შეუძლებელია, მკურნალობა შემოიფარგლება ფიზიკური აქტივობის შეზღუდვით, რაც ახანგრძლივებს მანკის დეკომპენსაციის ვადებს, ხოლო გულის უკმარისობის განვითარების დროს – სიმპტომური მკურნალობით. გულის ზოგიერთი თანდაყოლილი მანკი სპეციალურ მკურნალობას არ საჭიროებს.

**Nika Gogaladze**
Caucasus International University
Bachelor's degree
Supervisor: **Maya Swainidze**
PhD student

## Basic aspects of congenital heart defects

A 1-month-old child entered the clinic with cyanotic skin color and disturbed olfactory rhythm. According to the mother, the child was born prematurely, on the 38th week, and immediately after birth, he was able to breathe only with a sound like a sigh. The infant was immediately placed in an incubator for life support, where his condition soon improved. The child is on natural nutrition, and has a physiologically normal length and weight gain. However, during breastfeeding, the mother sometimes notices cyanosis in the nose-lip area and attacks of shortness of breath, which disappear soon after stopping breastfeeding. The child was given oxygen. Based on the performed electro-cardio-echoscopic research and general blood analysis, a diagnosis of heart malformation was made, and was sent to a specialized clinic for further research and treatment. A diagnosis was made: tricuspid atresia with ventricular septal defect. Anomalies of the abdominal development of the heart and large blood vessels (including its valves, septum). Congenital malformations are partially genetic in nature, and the main reasons for their development are the effects of exogenous factors on the body in the first trimester of pregnancy (for example, measles and other maternal diseases, alcoholism, the use of certain medications, exposure to radiation, etc.). There are several classifications of congenital heart defects. 4 groups are distinguished according to the effect on pulmonary circulation:

1. Defects during which pulmonary blood flow does not change slightly: abnormality of the location of the heart, abnormality of the aortic arch, its coarctation, aortic stenosis, aortic valve atresia, pulmonary stem valve insufficiency, mitral stenosis, valve atresia, and insufficiency; Tricuspid heart, malformations of coronary arteries and cardiac conduction system.

2. a) malformations without early cyanosis: open arterial orifice, atrial and ventricular septal defect, Lutambashe syndrome, pulmonary-aortic hole, coarctation of the aorta; b) Malformations with cyanosis: tricuspid atresia with a large defect of the interventricular septum, an open arterial hole with pronounced

pulmonary hypertension and blood flow from the pulmonary trunk to the aorta.

3. Defects with hypovolemia of a small circle: a) ongoing without cyanosis - isolated stenosis of the pulmonary trunk; b) ongoing with cyanosis - triad, tetrad, and pentad of a phallus, tricuspid atresia with narrowing of the pulmonary trunk or a small defect of the interventricular septum, Ebstein's anomaly (displacement of the tricuspid valve in the right ventricle), hypoplasia of the right ventricle.

4. Combined malformations with a violation of the mutual location of different parts of the heart and large blood vessels: transposition of the aorta and pulmonary trunk (complete or corrected), their exit from one of the ventricles, Tausing-Bing syndrome, common arterial trunk, three-chambered heart with a common ventricle, etc. The diagnosis is made by a complex examination of the heart. Heart auscultation is of diagnostic importance mainly in valvular malformations, similar to acquired ones, i.e. in valvular insufficiency or valvular orifice stenoses, and to a lesser degree in patent arterial orifice and ventricular septal defect. The primary diagnostic examination includes electrocardiography, echocardiography, and X-ray examination of the heart and lungs, which in most cases allow to reveal direct (during echocardiography) and indirect signs of certain malformations. Treatment is only surgical. If surgery is not possible, treatment is limited to physical activity restriction, Thesis which prolongs the time of decompensation of the defect, and in the case of heart failure - symptomatic treatment. Some congenital heart defects do not require special treatment.

**ნინიკო ყალაბეგაშვილი, სოფიო ჯორბენაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ხათუნა კოვზირიძე**
ასისტენტ პროფესორი სტომატოლოგიაში

## კბილის მაგარი ქსოვილის ცვეთის ეტიოლოგია, პათოგენეზი და ორთოპედიული მკურნალობა

ადამიანის მინანქრი და დენტინი მთელი ცხოვრების განმავლობაში განიცდის ცვლილებას ცვეთის შედეგად. ეს პროცესი ფიზიოლოგიურია და

იწყება კბილების ამოსვლისა და ანტაგონისტებთან შეხებისთანავე. პროცესის სიმძიმე დამოკიდებულია თანკბილვის ტიპზე, მინანქრისა და დენტინის სტრუქტურაზე, ღეჭვის დროს განვითარებულ დატვირთვაზე და მოხმარებული საკვების სიმკვრივეზე.

განირჩევა კბილის მაგარი ქსოვილების ცვეთის ორი ფორმა: ფიზოლოგიური და პათოლოგიური. ფიზიოლოგიური ცვეთა ბუნებრივი პროცესია, რომელიც მიმდინარეობს ორ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სიბრტყეში. ჰორიზონტალური ცვეთა აღინიშნება კბილის საღეჭ და საჭრელ ზედაპირებზე, ამ შემთხვევაში გვირგვინის სიმაღლეში შემცირება უნდა განვიხილოთ, როგორც ორგანიზმის შემგუებლობითი რეაქცია. ამის მიზეზია, ასაკთან ერთად პაროდონტის, საფეთქელ- ქვედა სახსრის სისხლძარღვოვანი და სხვა ქსოვილების ცვლილებები. ვერტიკალური ცვეთისას კი იცვითება კბილის საკონტაქტო ზედაპირები, რის შედეგადაც საკონტაქტო პუნქტები დროთა განმავლობაში გარდაიქმნება საკონტაქტო მოედნებად. კბილებს შორის კონტაქტი არ წყდება კბილების მეზიალურად გადახრის გამო. კბილთა რკალი ინარჩუნებს უწყვეტობას, მხოლოდ მცირდება მისი სიგრძე.

პათოლოგიური ცვეთა თავისი მიმდინარეობით განსხვავდება ფიზიოლოგიური ცვეთისგან. მას ახასიათებს სწრაფი მიმდინარეობა და არა მხოლოდ მინანქრის, არამედ დენტინის მნიშვნელოვანი შემცირება, რის გამოც მკვეთრად იცვლება კბილების ანატომიური ფორმა: ქრება საღეჭი ბორცვები, საჭრელი კიდეები, მნიშვნელოვნად მცირდება გვირგვინების სიმაღლე. პათოლოგიური ცვეთისთვის დამახასიათებელია სტაბილურად პროგრესირება, რასაც შეიძლება თან ახლდეს კბილზე მომატებული მგრძნობელობა თერმული და ქიმიური გამღიზიანებლების მიმართ, რაც შესაძლებელია გაქრეს მონაცვლე დენტინის წარმოქმნით, რომელიც ერთგვარ დამცველობით ბარიერს წარმოადგენს.

განირჩევა კბილის მაგარი ქსოვილის გაცვეთის სამი ხარისხი:

1) პირველი ხარისხის დროს იცვითება კბილის ბორცვები და საჭრელი კიდეები.

2) მეორე ხარისხის დროს გვირგვინი საკონტაქტო მოედნებამდე.

3) მესამე ხარისხის დროს გვირგვინი ღრძილამდე (ამ დროს ცვეთას განიცდის არა მარტო მინანქარი და დენტინი, არამედ მეორადი დენტინიც)

**Niniko Kalabegashvili, Sopio Jorbenadze**
Caucasus International University
Bachelor's degree
Supervisor: **Khatuna Kovziridze**
Assistant Professor of Dentistry

## Etiology, pathogenesis and orthopedic treatment of soft tooth wear

Human enamel and dentin undergo changes throughout life as a result of wear and tear. This process is physiological and begins as soon as the teeth erupt and come in contact with the antagonists. The severity of the process depends on the type of dentition, the structure of enamel and dentin, the load developed during chewing and the density of the food consumed. There are two forms of wear of soft tooth tissues: physiological and pathological wear. Physiological wear and tear is a natural process that takes place in two horizontal and vertical planes. Horizontal wear is observed on the chewing and cutting surfaces of the tooth, in this case the decrease in the height of the crown should be considered as an adaptive reaction of the body. The reason for this is the age-related changes in the periodontium, temporomandibular joint blood vessels and other tissues. During vertical wear, the contact surfaces of the tooth are worn, as a result of which the contact points are transformed into contact areas over time. The contact between the teeth is not interrupted due to mesial deviation of the teeth. The dental arch maintains its continuity, only its length decreases. Pathological wear differs from physiological wear in its course. It is characterized by rapid progress and significant reduction of not only enamel, but also dentin, due to which the anatomical shape of the teeth changes dramatically: chewing ridges, cutting edges disappear, and the height of the crowns decreases significantly. Pathological wear is characterized by a steady progression. This can be accompanied by an increased sensitivity of the tooth to thermal and chemical irritants, which can disappear with the formation of replacement dentin, which is a kind of protective barrier. There are three degrees of wear of the cool tissue of the tooth: 1) During the first degree - tooth ridges and cutting edges are worn. 2) during the second degree - the crown to the contact area. 3) during the third degree - crown to gum (at this time, not only enamel and dentin, but also secondary dentin suffers from wear

**ნინო შენგელია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მაგდა თორთლაძე**
მედიცინის დოქტორი, პროფესორი

## სამედიცინო ოქრო: პლურიპოტენტური უჯრედები შარდში

ოცდამეერთე საუკუნეში ყველაზე დიდ გამოწვევად არის ქცეული ჯანრმთელობის პრობლემები, რომელთაც სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული ქსოვილთა დესტრუქცია იწვევს. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ამ ყველაფრის გადაჭრის გზებიც, მათ შორის კი სამომავლო პერსპექტივებში უდიდესი ადგილი უჭირავს უჯრედულ თერაპიას.

უჯრედული თერაპია გულისხმობს პლურიპოტენტური უჯრედების გამოყენებას დეფექტური და დაზიანებული ქსოვილების აღსადგენად, თუმცა აქაც არსებობს დილემა: ზრდასრული ადამიანის ღეროვანი უჯრედების ხელმისაწვდომი წყაროს ძებნა უჯრედულ თერაპიაში დიდ გამოწვევად რჩება, თუმცა უმნიშვნელოვანესმა აღმოჩენამ, რომელიც ჩატარდა 2013 წელს ჩინეთში გუანჯოუს უნივერსიტეტში, შესაძლებელია სამომავლოდ რევოლუცია მოახდინოს. 2013 წლის 7 თებერვლიდან გუანჯოუს უნივერსიტეტში მიმდინარებდა ექსპერიმენტი, რომლის მიზანიც იყო შარდში პოლიპოტენტური უჯრედების აღმოჩენა. კვლევის შედეგად დადასტურებული იქნა შარდში მულტიპოტენტური უჯრედების არსებობა, ასე, რომ, შარდი განიხილება, როგორც ზრდასრულის ღეროვანი უჯრედების იდეალური წყარო, რომლის მიღებაც შესაძლებელია არაინვაზიური მეთოდებით. მიუხედავად იმისა, რომ შარდი ბიოლოგიური ნარჩენია, ის შეიცავს უჯრედების მცირე პოპულაციას, რომლებსაც აქვთ თვითგანახლების უნარი და რამდენიმე ტიპად დიფერენცირების პოტენციალი. ისინი წარმოიქმნებიან ნეფრონის, თირკმლის მენჯის, შარდსაწვეთების, შარდის ბუშტისა და ურეთრის შერეული მილაკებიდან. შარდიდან მიღებულ ღეროვან უჯრედებს (UDSC) აქვთ მეზენქიმური სტრომის უჯრედების (MSC) მსგავსი ფენოტიპი და შეიძლება გადაპროგრამდეს iPSC-ში (ინდუცირებული პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედები). მარტივი, უსაფრთხო, იაფი და არაინვაზიური შეგროვების პროცედურების გამო, ინტერესი UDSC-ის მიმართ ბოლო ათწლეულის განმავლობაში იზრდება. რეგენერაციულ მედიცინაში დიდი პოტენციალით, UDSC ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ბიოლოგიური მოდელები ფარმაკოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ტესტებისთვის.

საიდან წარმოიქმნება შარდის მულტიპოტენტური უჯრედები?

როდესაც უჯრედული პოპულაცია მუდმივად განიცდის სტრესს დამაზიანებელი ფაქტორებისგან (ქიმიური, ფიზიკური, თერმული), ისინი იძენენ განახლებისა და რეგენერაციის უნარს, მაგალითად, კნტ-ს ლორწოვანი გარსის სწრაფი განახლების უნარი დამყარებულია მასში მჟავა-ტუტოვანი ბალანსის ცვლილებასთან, რაც სავარაუდო დამაზიანებელ ფაქტორად შეიძლება აღიქვას უჯრედულმა პოპულაციამ, შესაბამისად, ცოცხალი ქსოვილები მუდმივად უზრუნველყოფენ თავდაცვითი მექანიზმის ჩართვას, რაც განაპირობებს მოცემული უჯრედების რეგენერაციის საშუალებას, მსგავსი გარეგანი ფაქტორები, როგორებიცაა Ph-ის ცვლილება და ოსმოსური წნევა, მოქმედებს საშარდე გზებზე, რაც იწვევს საშარდე ტრაქტის უჯრედების მზაობას რეგენერაციისთვის, შესაბამისად, დესქვამირებული უჯრედები, რომლებიც აღმოჩნდებიან გამოყოფილ შარდში, ხასიათდებიან მულტიპოტენციის უნარით.

UDSC იზოლაციის შემდეგ ჩნდება კითხვები მათი ფენოტიპის, წარმოშობისა და დიფერენციაციის პოტენციალის შესახებ. ღეროვანი უჯრედის ფენოტიპის იდენტიფიცირებისა და დახასიათების საერთო მეთოდი ეფუძნება უჯრედის ზედაპირის მარკერების ანალიზს, რომელიც ცნობილია, როგორც დიფერენციაციის კლასტერები (CD). UDSC-სთვის CD ფენოტიპი მსგავსია MSC-ის, CD73, CD90, CD105 და CD133, ხოლო HSC-ის CD მარკერები (CD45, CD31 და CD34) არ არის. ამის მიუხედავად, UDSC-ის წარმოშობა კვლავ საკამათოა, ზოგიერთი ავტორის აზრით, შეგროვებული UDSC წარმოიქმნება თირკმელებიდან, რადგან ქალი პაციენტებისგან მიღებული უჯრედები, რომელთაც ჰქონდათ სქესის შეუსაბამო თირკმლის ტრანსპლანტაცია, შეიცავდნენ Y-ქრომოსომას და შეიცავდნენ თირკმლის უჯრედის ნორმალურ გენებს და მარკერებს, რომლებიც საერთოა პარიეტალური უჯრედებისთვის და ზედა საშარდე გზების პოდოციტებისთვის. სხვა ავტორები ვარაუდობენ, რომ UDSC წარმოიქმნება უროთელიუმის ბაზალური შრიდან, თირკმლის პერიციტებიდან ან შარდსაწვეთის ეპითელიუმიდან. წარმოშობის ასეთმა შესაძლო მრავალფეროვნებამ შეიძლება გამოიწვიოს შარდში უჯრედების სხვადასხვა პოპულაციის არსებობა.

შარდიდან მიღებული მულტიპოტენტური უჯრედები შესაბამის პირობებში გვაძლევენ სხვადასხვა ტიპის უჯრედულ პოპულაციას, როგორც ოსტეოგენურს, ასევე მიოგენურსა და 28 დღიანი კულტივირების შემდეგ მოხდა ნერვული უჯრედების მიღებაც. ვირთხის შარდიდან მიღბული უჯრედები შედარებულ იქნა ცხიმის მულტიპოტენტურ უჯრედებთან, აღოჩნდა, რომ

შარდის მულტიპოტენტური უჯრედები მიგრირდნენ ტვინში და პროდუცირებდნენ ნეიროგენულ მარკერებს β-III ტუბულინსა და ნესტინს. იგივე ცდა იქნა ჩატარებული ოსტეოდეგენერაციის მქონე ვირთხებში, რომელთაც სისხლში შეუყვანეს შარდის პოლიპოტენტური უჯრედები და აღინიშნა მათი ძვლოვანი სტრუქტურის გამკვრივება და ოსტეობლასტური აქტივობის დაჩქარება, თუმცა აღნიშნულ იქნა, რომ რეგენერაციის უნარი უკეთესად გამოავლინეს ახალგაზრდა ორგანიზმებმა. აღსანიშნავია, რომ შარდის პლურიპოტენტური უჯრედები ნაყოფის პლურიპოტენტური უჯრედებისგან განსხვავებით არ შეიცავს სიმსივნესთან ასოცირებულ მარკერებს( ჩიკაგო, IL, აშშ) 2016 წ), ამავდროულად USC არ იწვევს იმუნური სისტემის გააქტიურებას ტრანსპლანტანტის მოშორების რეაქციისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქსოვილების სრულყოფილი რეგენერაციისა და, შესაბამისად, ფუნქციური აქტიურობისთვის.

იმუნურ სისტემასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მარკერი, რომელიც განასხვავებს UDSC-ს ჰემოპოეზური ღეროვანი უჯრედებისგან, არის II კლასის HLA (ადამიანის ლეიკოციტების ანტიგენი) გლიკოპროტეინები, რომლებიც საერთოა ანტიგენწარმომდგენი უჯრედებისთვის (დენდრიტული უჯრედები, მაკროფაგები, B-ლიმფოციტები და სხვა).

მრავალი დამოუკიდებელი კვლევის მიხედვით, ადამიანის UDSC არ შეიცავს HLA-DR-ს (II კლასის HLA გლიკოპროტეინებიდან), რომელიც პასუხისმგებელია იმუნური რეაქციის გამოწვევაზე. ყოველი ანალიზისთვის ჩატარდა დამოუკიდებელი ექსპერიმენტების მინიმუმ სამი კომპლექტი. ყველა რაოდენობრივი მონაცემი გადაეცა სტატისტიკურ ცხრილებს და გაანალიზდა კომერციულად ხელმისაწვდომი სტატისტიკური პროგრამის SPSS ვერსიის 16.0 (IBM SPSS Inc., ჩიკაგო, IL, აშშ) მიერ.

წინა კვლევების შესაბამისად, შარდიდან მიღებული უჯრედები მნიშვნელოვან დონეზე გამოხატავენ პლურიპოტენციის მარკერებს, რამაც შეიძლება შეამციროს ბარიერი მთლიანად რეპროგრამირებული პლურიპოტენტური უჯრედების წარმოქმნაში. ამიტომ, შარდი განიხილება უპირატეს წყაროდ ინდუცირებული პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედების წარმოქმნისთვის. გარდა ამისა, შარდისგან მიღებული პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას წამლების სკრინინგისთვისა და იშვიათი გენეტიკური დაავადებების კვლევისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიოს განვითარებასთან ერთად იზრდება სხვადასხვა დაავადების გამოვლენის სიხშირე და იმატებს დაავადებულ პირთა

რიცხვი, მნიშვნელოვანია ამ პრობლემის გადაჭის გზების პოვნა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელიც სამყაროს შეცვლის, სწორედ უჯრედული თერაპიაა და, რაღა თქმა უნდა, მოცემული თერაპიის ნაკლებად ინვაზიური, ეფექტური და მარტივი მეთოდები, რომლებშიც აუცილებლად იგულისხმება შარდში არსებული პლურიპოტენტური უჯრედების გამოყენება მულტიორგანული პათოლოგიების მკურნალობისთვის.


**Nino Shengelia**
Caucasus International University
Bachelor's degree
Supervisor: **Magda Tortladze**
Doctor of Medicine, Professor


## Medical gold - Pluripotent cells in urine


The twenty-first century has brought about significant challenges in the area of health, with tissue destruction caused by various factors being a major puzzle to solve. While there are several ways to address this issue, cell therapy presents the most promising future perspective. This approach involves the use of pluripotent cells to repair damaged and defective tissues. However, the search for an affordable source of adult human stem cells remains a significant challenge in cell therapy. Fortunately, a groundbreaking discovery made at Guangzhou University in China in 2013 may hold the key to solving this problem. The experiment conducted at the university aimed to detect stem cells in urine, and the study confirmed the presence of multipotent cells in urine, which makes it an ideal source of adult stem cells. The non-invasive methods of obtaining these stem cells make them a more accessible resource for regenerative medicine. Human urine, despite being a biological waste product, contains a small population of cells with self-renewal capacity and differentiation potential into several cell types. These urine-derived stem cells (UDSC) are similar to mesenchymal stroma cells and can be reprogrammed into induced pluripotent stem cells (iPSC). The low-cost, safer, and non-invasive collection procedures have led to increasing interest in UDSC in the last decade. In addition to their regenerative medicine potential, UDSC can also be used asbiological models for pharmacology and toxicology tests. This review aims to

describe the biological characteristics and differentiation potential of UDSC and their possible applications, including the use of UDSC-derived iPSC in drug discovery and toxicology, as well as in regenerative medicine. The ability to collect UDSC noninvasively makes it a new cellular platform that could be used for disease stratification and personalized therapy in the future. Under constant stress from various factors, tissues often exhibit increased cell proliferation, high regeneration rates, and the presence of regional stem cells. Skin and the mucous layer of the stomach are examples of tissues with fast renewal capabilities. Urine, which contains toxic metabolic wastes, has a nonphysiological pH and high osmotic pressure, making it an aggressive body fluid that changes dramatically with the type of insult. These characteristics also suggest a high regeneration potential for the urinary tract, leading to increased interest in the search for regional tissue-specific stem cells in the urinary system. Isolation and cultivation of two different cell types from human urine sediments were performed in a study by Dörrenhaus et al. One cell population was thought to be a urothelial population originating within the urinary tract, while the other was considered renal tubular cells. UDSC can be isolated from healthy and unhealthy individuals while maintaining proliferation and differentiation capacity, allowing the possibility of large-scale non-invasive sample collection and storage.

Furthermore, no major ethical concerns are associated with UDSC collection, making them suitable for personalized and high-throughput research or clinical applications, such as in vitro pharmacological tests, regenerative medicine, and disease modeling. In conclusion, UDSC's impact on personalized and regenerative medicine has been increasing, despite several open questions. One significant advantage of this stem cell source over other human biological materials is the non-invasive nature of its collection, which simplifies ethical concerns. The potential of UDSC in regenerative medicine and drug discovery is exciting, and further research in this area could lead to significant breakthroughs in the treatment of various diseases.

**Fatemeh Hamidinik, Zahra Hamidinik**
Ivane Javakhishvili State University
One-step program
Supervisor: **Zurab Chkhaidze**
MD, Full PhD.

## Diagnosis and treatment of acute diverticulitis with small intestine

The main purpose of our research is that small intestinal diverticulitis is rare, and only 2% consist of the digestive tract. Diverticulitis is often associated with acute complications, so it will be difficult to diagnose.

Clinical symptoms may be characterized by complications of any other organ of abdomen. And the diagnosis can be made only intraoperative.

Material:

In our clinic, during the 5 years ago, there have been patients treated, 110 patients with small intestinal diverticulum, so of which only 15 had acute complication, 8 patients had perforation, and 4 patients had bleeding, and 3 patients with obstruction.

Method:

For diagnosis, we used tests as well as laboratory test , instrument image method, which can be sonography, CT scan with contrast, as well as X-ray. 15patient with acute complication operated and post operated period one patient died, who had kidneyfliure.

Conclusion

Clinical symptoms may be characterized by complications of any other organ of abdomen.

And the diagnosis can be made only intraoperative.

For preventing from more acute complication so immediately must plan operation specially in case of total diverticulosis.

So surgery can be classified:

1. Diverteculectomy
2. Resection of small intestine with diverticulum
3. Total diverticulosis with malabsorption syndrome perform by 2 stage of operation.

# ბიზნესისა და ტექნოლოგიების სექცია
# Section of Business and Technologies

## მენეჯმენტის ქვესექცია
## Subsection of Management

**მზია ბეგაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **თამარ დუდაური,**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

### კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა კომპანიაში

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მთელ მსოფლიოში არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კომპანიის კაპიტალიზაციის გაზრდისთვის, არაკომერციული რისკების პრევენციისთვის, უზრუნველყოფს წვდომას საინვესტიციო რესურსების ფართო სპექტრზე და ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიღწევას სამ ძირითად სფეროში - ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. იმავდროულად, ყველა ქართულ კომპანიას არ ესმის დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის, მათი ბიზნესის გამჭვირვალობის გაზრდის და მართვის თანამედროვე მიდგომების გამოყენების მნიშვნელობა, რაც საშუალებას მისცემს მათ მიღწეულ იქნეს არა მხოლოდ მოგების მხრივ

მოკლევადიანი მიზნები, არამედ საფუძველი ჩაეყაროს ბიზნესის გრძელვადიან განვითარებას.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია, გამოდის, როგორც სოციალური პოზიციონირების საშუალება, კომპანიას აძლევს შესაძლებლობას წარუდგინოს თავისი თავი საზოგადოებას, წინ წამოსწიოს საკუთარი ღირებულებები, მოახდინოს პოზიციონირება, როგორც სანდო დამსაქმებელმა და პროგრესულმა კომპანიამ.

**Mzia Begashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Tamar Dudauri**
Doctor of Economics,
Associate Professor

## The Importance of Corporate Social Responsibility in the Company

Corporate social responsibility worldwide is one of the most important tools for increasing the company's capitalization, preventing non-commercial risks, providing access to a wide range of investment resources and contributing to the achievement of sustainable development in three main areas - environmental, economic and social. At the same time, not all Georgian companies understand the importance of communicating with stakeholders, increasing the transparency of their business and using modern management approaches, which will allow them to achieve not only short-term profit goals, but also lay the foundation for long-term business development.

The concept of corporate social responsibility comes out as a means of social positioning, it gives the company an opportunity to present itself to society, to promote its own values, to position itself as a reliable employer and a progressive company.

**გვანცა გვენცაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **თამარ დუდაური,**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## კორპორაციული კულტურის მნიშვნელობა, კომპანიის მართვის პროცესში

კორპორატიული კულტურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციის სტრატეგიის რეალიზაციაზე. ორგანიზაციის საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი, რომელიც გაწერილია სტრატეგიაში, შეიძლება ემთხვეოდეს ან ეწინააღმდეგებოდეს (რაც დიდად ართულებს სტრატეგიის განხორციელებას) კორპორატიული კულტურის ძირითად პრინციპებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ახლად დაფუძნებული ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ მკაფიო გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია და, მით უმეტეს, არა აქვთ წარმოდგენა კორპორაციულ კულტურაზე, რომელიც ყალიბდება სპონტანურად, რამაც შესაძლოა მომავალში სერიოზული შედეგები გამოიწვიოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჰარმონია იქნება კულტურასა და გრძელვადიან გეგმებს შორის, კომპანია მიაღწევს დადებით შედეგებს.

კომპანიის ჩამოყალიბებული კორპორატიული კულტურა ხელს უწყობს სტრატეგიის განხორციელებას, სტიმულს აძლევს თანამშრომლების შემოქმედებით საქმიანობას, ავითარებს და მოტივაციას უმაღლებს მათ. კორპორატიული კულტურის თავისებურებები, პირველ რიგში, დამოკიდებულია კომპანიის მიზნებზე და მისი ბიზნესის ხასიათზე.

**Gvantsa Gventsadze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Tamar Dudauri**
Doctor of Economics,
Associate Professor

## The Importance of Corporate Culture in the Process of Company Management

Corporate culture has a significant impact on the realization of the organization's strategy. Some aspects of the organization's activities, which are described in the strategy, may coincide with or contradict (which greatly complicates the implementation of the strategy) the basic principles of the corporate culture. This problem is especially relevant for newly founded organizations that do not have a clear long-term development strategy, and even more so, they do not have an idea of a corporate culture that is formed spontaneously, which may lead to serious consequences in the future. Only if there is harmony between culture and long- term plans, the company will achieve positive results.

The established corporate culture of the company contributes to the implementation of the strategy, stimulates the creative activity of employees, develops and increases their motivation. Features of corporate culture, first of all, depend on the goals of the company and the nature of its business.

**ნატო კიკორია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ნაცვლიშვილი,**
ფინანსების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

ყველა მეცნიერული დისციპლინის შესწავლა მისი საგნის განსაზღვრებით იწყება, ამიტომ ისმის კითხვა - რას შეისწავლის ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები?

სიტყვა „ბიზნესი“ ინგლისური წარმოშობისაა და „ საქმეს „ ნიშნავს, ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, ადამიანთა სამეურნეო საქმიანობას ნიშნავს, რომელიც დაკავშირებულია რისკთან. უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან „ბიზნესი“, როგორც რეალური სამეურნეო საქმიანობა, ბიზნესის ადმინისტრირება და ასევე ეკონომიკური მოვლენა.

ბიზნესი, როგორც რეალური მოვლენა (ფართო და ვიწრო გაგებით), ფართო გაგებით არის საქონელწარმოება, რომელიც კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაზე აღმოცენდა და არსებობდა მეურნეობის საქონლური ორგანიზაციის პირობებში საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე. ვიწრო გაგებით, ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის პირმშოა, სადაც მთელი პროდუქცია გასაყიდად იწარმოება მოგების მაქსიმალური მიღებისთვის.

ბიზნესი რომელი უფრო „ხნიერია“, ბიზნესი, როგორიც სასწავლო დისციპლინა, თუ როგორც რეალური მოვლენა? ბიზნესი, როგორც რეალური ეკონომიკური მოვლენა, საზოგადოების ისტორიის გარიჟრაზე იშვა. ტერმინი „ბიზნესი“ და „მეწარმეობა“ XVIII საუკუნეში შემოვიდა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად. ამ პერიოდიდან დაიწყო მათი თეორიული გააზრებაც.

ტერმინი „ბიზნესი“ ინგლისში ჩამოყალიბდა და შემდეგ აშშ-ში გავრცელდა. ტერმინი „მეწარმეობა“ პირველად რიჩარდ კანტილიონიმ შემოიტანა (1680- 1734) საფრანგეთში და შემდეგ გერმანიასა და ავსტრაში გამოიყენეს. თანამედროვე ბიზნესში ბიზნესმენი ვალდებულია ფიქრობდეს არა მარტო თავის სარგებლობაზე, არამედ უნდა ფიქრობდეს სხვა პირების სარგებლობაზეც, რომლებიც ერთ საქმეში მონაწილეობენ. მსოფლიოში დღეს ყველაზე დიდ ინტერნაციონალისტად ბიზნესი არის მიჩნეული, რომელმაც ეროვნებები და საზღვრები არ იცის.

ბიზნესი წარმოადგენს საქმიანობას, რომელიც საქონლის წარმოების, კერძო პირების საწარმოების მიერ ბუნებრივი დოვლათის მოპოვების, შეძენის და გაყიდვის ან სხვა საქონელზე, ან ფულზე გაცვლისათვის ხორციელდება. თუ ამ საქმეში მონაწილე ერთი მხარე მოგებას ღებულობს მეორე მხარის ზარალის ხარჯზე, ეს უკვე ბიზნესი არ არის, ეს მოტყუებაა.

ბიზნესს განიხილავენ როგორც კონკრეტულ სამეურნეო საქმიანობას, რომლის მიზანს წარმოადგენს შემოსავლის მიღება. ნებისმიერ ბიზნესს გააჩნია ეკონომიკურ- ორგანიზაციული ფორმა. საწარმო მიისწრაფვის , რომ იყოს გამორჩეული ბაზარზე მსგავსი საწარმოებისაგან. ბიზნესი გამოირჩევა არა მხოლოდ როგორც საქმიანობა, არამედ საკუთრების ობიექტიც,

რომელიც ასევე შეიძლება დაგირავდეს, გაიყიდოს, დაიზღვიოს და ამ მხრივ ბიზნესი ხდება გარიგების ობიექტი, საქონელი.

ბიზნესის წარმოება, საქონლისა და მომსახურების მიზნით, ხორციელდება ეკონომიკაში. ეკონომიკის სუბიექტები (საოჯახო მეურნეობა, სახელმწიფო, ფირმა) გამოდიან სხვადასხვა საქმიანი გარიგებების მონაწილეებად. „ბიზნესი“ და „ეკონომიკა“ ახლო მდგომი მოვლენებია. ეკონომიკა ფართო ცნებაა, შედის როგორც სახელმწიფო სექტორი, ასევე კერძო ნატურალური მეურნეობა და მრავალნაირი არაკომერციული სტრუქტურები. ბიზნესში მოიაზრება მხოლოდ კერძო, სადაც საქონლისა და მომსახურების წარმოება ხორციელდება მოგებისთვის.

**Nato Kikoria**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Nikoloz Natsvlishvili**
Doctor of Finance, Associate Professor

## Risks Related to Business Activities and Their Management

The study of every scientific disciplines begins with the definition of its subject, so the question is: what will be studied in the basics of business administration?

The word "business" is of English origin and means "doing", i.e. for the purpose of obtaining economic benefits or human economic activity, which is all related to risk. We must distinguish between "business" as a real economic activity, business administration and also an economic event.

"Business" as a real event in a broad and narrow sense. In a broad sense, it is commodity production, which arose at the dawn of human history and existed under the commodity organization of farming at all stages of the development of society. In a narrow sense, business is the offspring of a market economy, in which all products are produced for sale to maximize profit.

Which is "older", business as an academic discipline or as a real event? Business as a real economic event was born at the dawn of the history of society. The terms "business" and "entrepreneurship" were introduced in the 18th century, along with the transition to a market economy. Their theoretical understanding also

started from this period. The term "business" was coined in England and then spread to the USA. The term "entrepreneurship" was first introduced by Richard Cantiglione (1680-1734) in France and then used in Germany and Austria.

In modern business, a businessman is obliged to think not only about his benefit, but also about the benefits of other persons who participate in the same business. Business is considered to be the biggest internationalist in the world today, which does not know nationalities and borders.

Business is an activity that is carried out for the production of goods, the acquisition, purchase and sale of natural resources by private enterprises or exchange for other goods or money. If one party participating in this business receives profit at the expense of the loss of the other side, this is no longer business, it is cheating.

Business is considered as a specific economic activity, the purpose of which is to receive income. Any business has an economic-organizational form. The enterprise strives to be distinguished from similar enterprises in the market. Business is distinguished not only as an activity, but also as an object of ownership, which can also be pledged, sold, insured, and in this respect, business becomes an object of transaction, a commodity.

Business is the production of goods and services in the economy. Economic subjects (household, state, firm) appear as participants in various business transactions. "Business" and "economy" are closely related events. Economy is a broad concept, including both the state sector and the private one, natural farming and various non-commercial structures. Business means only private, where the production of goods and services is carried out for profit.

**მარიამი მარკოზაშვილი, ელენე ზაალიშვილი**
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მარიამ ზაქარიაშვილი**
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
ინფორმატიკის მიმართულებით,
ასოცირებული პროფესორი

## ბიზნეს პროცესების ოპტიმალური დაგეგმვა - SOLVER ტექნოლოგია

ყოველდღიურ ცხოვრებაში ცხადი ან არაცხადი სახით სისტემატურად გვიხდება ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტა, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთება ბიზნეს პროცესების მართვისას. პირადი ბიუჯეტის, საწარმოს, კომპანიის, სახელმწიფო ბიუჯეტის მართვა, შეზღუდული რესურსების განაწილება, კაპიტალ-დაბანდებები, რთული სისტემების დაგეგმვა და ა.შ. მოითხოვენ საუკეთესო ვარიანტის მოძებნას, საუკეთესოს - დასმული მიზნის განხორციელების თვალსაზრისით.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამდე ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად აქტიურად გამოიყენებოდა წრფივი პროგრამირება, რაც დაკავშირებული იყო რთულ მათემატიკურ გათვლებთან. დღეისათვის თანამედროვე მძლავრი ტექნოლოგიური უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა ადვილად გადაიჭრას ოპტიმიზაციის ამოცანები. კომპიუტერული ექსპერიმენტის საფუძველზე შეირჩეს საუკეთესო ეკონომიკური მოდელი არსებული რეალური სიტუაციებისათვის.

ნაშრომის მიზანია ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანების პრაქტიკული კვლევის მოდელების განხილვა ბიზნეს სფეროდან, რაც ეფუძნება SOLVER ტექნოლოგიას. შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილია ოპტიმიზაციის ამოცანების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები და მათი ოპტიმალური გადაწყვეტის ტექნოლოგიური მეთოდოლოგია.

**Mariami Markozashvili, Elene Zaalishvili**
Iakob Gogebashvili Telavi State University
Bachelor
Supervisor: **Mariam Zakariashvili**
Doctor of Pedagogical Sciences in Informatics,
Associate Professor

## Optimal Planning of Business Processes-SOLVER Technology

The management of business processes is a prime example of how optimization problems must be methodically solved in daily life, whether explicitly or implicitly. Finding the best alternative, the best - in terms of attaining the stated goal - is necessary for managing personal budgets, businesses, state budgets, and allocation of limited resources, capital investments, and planning complex systems, among other things.

Prior to the emergence of computer technologies, optimal judgments were actively made via linear programming, which required intricate mathematical computations. Today's sophisticated technology makes it simple to complete jobs involving optimization. The most suitable economic model for the current real-world circumstances was chosen based on the computer experiment.

The purpose of the paper is to discuss real-world, SOLVER-based research models of ideal planning tasks from the corporate world. As a result, the study gives the technological approach to optimally solving optimization problems as well as the economic and mathematical models of those problems.

**ეთერი ნაცარაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ნაცვლიშვილი**
ფინანსების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## სალიცენზიო საქმიანობა და ლიცენზიის სახეები

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის რეგულირების სფერო მოიცავს:

1. ორგანიზებული საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. 2. არაორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.

3. ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს.

კანონი განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანისა და მათი გაუქმების წესებს.

ნებართვის შესახებ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტს.

ნებართვის საფუძველზე პირს წარმოეშობა განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას. მაგ: მშენებლობის ნებართვა.

შესაძლებელია ნებართვის გადაცემა სხვა პირისთვის, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული ან ნებართვა არსობრივად არ არის დაკავშირებული მის მფლობელთან.

უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო გასცემს ნებართვს, თუ დაინტერესებული პირი აკმაყოფილებს სანებართვო პირობებს. სანებართვო პირობები არის კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნებისა და ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად და ნებართვით განსაზღვრული ქმედების განხორციელებისას.

**Eteri Natsarashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Nikoloz Natsvlishvili**
Doctor of Finance, Associate Professor

## Licensing Activity and Types of Licenses

The scope of regulation of the Law on Licenses and Permits includes:

1. Organized activity or action that concerns an indefinite group of persons, is characterized by an increased threat to human life or health, involves particularly important state or public interests, or is related to the use of state resources. 2. Unorganized activity or action, in the case defined by law.

3. Area regulated by license and permit. The law determines the exhaustive list of types of licenses and permits, establishes the rules for issuing licenses and permits, making changes to them and canceling them. Concept of permit. The administrative body authorized to issue the permit issues an individual administrative act.

On the basis of the permit, a person has the right to perform an action for a specified or indefinite period, which is related to the object and confirms the compliance of this intention with the conditions established by law. E.g.: construction permit. It is possible to transfer the permit to another person, if this is not prohibited by law or the permit is not substantially related to its owner.The authorized administrative body issues a permit if the interested person meets the permit conditions. Permit conditions are an exhaustive list of requirements and information established by law or by a decision of a representative body of local self-government on the basis of the law, which must be met by the permit seeker in order to obtain a permit and to perform the actions defined by the permit.

**ლიზი ნერსეზაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **თამარ დუდაური**
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## პროდუქციის ხარისხის მართვის სრულყოფა ორგანიზაციაში

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე პირობებში დიდი ყურადღება ეთმობა ხარისხის პრობლემებს. სერიოზულმა კონკურენციამ განაპირობა ხარისხის გაუმჯობესების პროგრამების შემუშავება. სამეცნიერო კვლევებში და პრაქტიკაში საჭირო გახდა ობიექტური ინდიკატორების შემუშავება, რათა შეეფასებინათ ფირმების უნარი - აწარმოონ პროდუქცია საჭირო ხარისხობრივი მახასიათებლებით. ეს მახასიათებლები დასტურდება პროდუქციის შესაბამისობის სერტიფიკატით. ბევრ მწარმოებელ ფირმას აქვს ხარისხის სისტემები, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. მომხმარებლისთვის ხარისხიანი პროდუქტის წარმატებული მიყიდვა ნებისმიერი საწარმოს არსებობის მთავარი წყაროა.

საბაზრო ეკონომიკაში ხარისხი არის უპირველესი ამოცანა, სადაც განხორციელდა მრავალი რევოლუციური ცვლილება. სწორედ ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემების დახმარებით მიაღწიეს წამყვანმა უცხოურ კომპანიებმა მოწინავე პოზიციებს საერთაშორისო ბაზარზე.

არსებობს პირდაპირი კავშირი ხარისხსა და წარმოების ეფექტიანობას შორის. ხარისხის გაუმჯობესება აუმჯობესებს წარმოების ეფექტურობას.

**Lizi Nersezashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Tamar Dudauri**
Doctor of Economics, Associate Professor

## Perfection of the Product Quality Management System in the Organization

In the modern conditions of the market economy in Georgia, much attention is paid to quality problems. Serious competition has led to the development of quality improvement programs. In scientific research and practice, it became

necessary to develop objective indicators to evaluate the ability of firms to produce products with the required quality characteristics. These characteristics are confirmed by the certificate of conformity of the products. Many manufacturing firms have quality systems that meet international standards. Successfully selling a quality product to customers is the main source of existence for any enterprise.

In a market economy, quality is the primary task, where many revolutionary changes have taken place. It is with the help of modern quality management systems that leading foreign companies have achieved advanced positions in the international market.

There is a direct relationship between quality and production efficiency. Improving quality improves production efficiency.

**მეგი სურმანიძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: **როსტომ ბერიძე**
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ნარინჯისფერი ეკონომიკის და ბიზნესის გაციფრულების გლობალური როლი

თანედროვე ბიზნეს ინდუსტრიაში მნიშვნელოვანია ნარინჯისფერი ეკონომიკა და მისი როლი საერთაშორისო ბიზნეს შემოსავლების გაუმჯობესების ზრდის პროცესში. ნარინჯისფერი ეკონომიკის მოდელი დგას იმ სიკეთეებსა და სერვისებზე, რომლებსაც ინტელექტუალური ღირებულება აქვს, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი იქმნებიან იდეებიდან და ექსპერიმენტებიდან, მათ ძირითადად კრეატიული ეკონომიკური საფუძვლები აქვთ.

იქიდან გამომდინარე, რომ ბიზნეს, ტექნოლოგიური, სამეცნიერო ინდუსტრია იცვლება და ვითარდება, მრავალფეროვანია გამოგონებები, ინერგება სხვადასხვა უახლესი ტექნოლოგიები, ნარინჯისფერი ეკონომიკის

მოცვის არეალიც ფართოვდება, ის მოიცავს ტელეკომუნიკაციებს, რობო გამოგონებებს, კონტენტ კრეატივს, კოდირებებს და სხვა მიმართულებებს, სადაც იდეა შეიძლება იქცეს სიკეთეებად ან მომსახურებად.

ნარინჯისფერი ეკონომიკის განვითარებისა თუ ხელშეწყობისთვის აუცილებელია საერთაშორისო კომუნიკაციის ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენება, ამასთან, მის ორ უმთავრეს გასაღებს წარმოადგენს ბიზნესის გაციფრულება, კრეატიული და ტრადიციული ანთერფრენერული საქმიანობა. ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენებით პანდემიის პერიოდშიც და შემდეგ ბიზნეს ორგანიზაციებმა და კომპანიებმა სერვისის და პროდუქტის რეალიზაციის დამატებითი არხები აღმოაჩინეს, რითაც გაზარდეს შემოსავლების მოცულობა. The Inter-American Development Bank (IDB- მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით, 200 კრეატიული ანთერფრენერიდან უმეტესობა სარეკლამოდ სოციალურ მედიას იყენებს, კერძოდ 84.5% ფეისბუქს, 56% ინსტაგრამს, 37.6% ტვიტერს, 19,3% იუთუბს, 7,7% პინტერესტს და სხვა.

კრეატიული ეკონომიკის 2010 წლის მონაცემებით, ნარინჯისფერი და კრეატიული ეკონომიკის სექტორები დაკავშირებულია კრეატიულ სერვისებთან და მათგან მიღებულ მნიშვნელოვან შემოსავლებთან:

არქიტექტურულ და სარეკლამო ციფრულ ინდუსტრიასთან;

აუდიო ვიზუალურ ინდუსტრიასთან: ფილმები, ტელევიზიები, რადიოები;

კულტურულ ინდუსტრიის საიტებთან: არქეოლოგიური საიტები, გამოფენები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები;

გამოქვეყნებად და ბეჭდვად მედიასთან: წიგნები, პრესა და სხვა პუბლიკაციები;

კინოსტუდიებთან, მუსიკალურ სტუდიებთან, სოციალური არხებისა და ქსელების, ონლაინ გაყიდვების პლატფორმებთან, მოდის, ვიდეორგოლების, თამაშების;

გაერთიანებული ერების, განათლებისა და ეკონომიკის ორგანიზაციის მონაცემებით, ნარინჯისფერ ეკონომიკას გლობალური ბაზრის 3%–იანი, ხოლოო დასაქმებულთა 30 მილიონიანი მაჩვენებელი აქვს, რაც ხაზს უსვამს მის გლობალურ საშემოსავლო და დასაქმების გაუმჯობესების ნაწილის მნიშვნელობას.

ნარინჯისფერი ეკონომიკისა და საერთაშორისო კომუნიკაციის ტექნოლოგიების საშუალებით 2002– დან 2011 წლამდე ექსპორტის მაჩვენებლები 134%-ით გაიზარდა, რაც 646 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, მაჩვენებლების ზრდა გამოიკვეთა ბიზნესში ციფრული

გაყიდვებისა და ინტერნეტის გამოყენების შემდეგ. ნარინჯისფერი ეკონომიკა ასევე ორიენტირებულია ახალი ტალანტებისა თუ შესაძლებლობების მოზიდვასა და ინვესტირებაზე.

კრეატიული ეკონომიკის მიმართულებებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით ახალმა ზელანდიამ 2019 წელს მაღალ ბიზნეს აქტივობას მიაღწია, შემოსავლების 80% მოდიოდა თამაშების, მუსიკის, წიგნების, ფილმებისა და ტელევიზიების ბიზნეს კრეატიულ სექტორებზე. სათამაშო სტუდიების 99%–მა შეძლო საკუთარი პროდუქტის ევროპასა და ამერიკაში გაყიდვა.

კრეატიული თვალსაზრისით განვითარებულ რეგიონებს შორის სადაც იდეების, წარმოსახვებისა და კრეატივიზმის ამოწურვის პრობლემა არასდროს დადგება, არის ლათინო ამერიკა, ერთი მხრივ, ეს ამოუწურავი კრეატივიზმის რესურსი არის განპირობებული ქვეყნის მდიდარი კულტურით და ტრადიციებით, რაც ხდება ხოლმე ინოვაციური იდეების პირველი საფუძველი, ასეთი ქვეყნის ხალხს გაცილებით მრავალფეროვანი და საინტერესო ბიზნესის შექმნა შეუძლია, ზოგ შემთხვევაში ის შეიძლება ტრადიციული იყოს, ზოგჯერ კი ზედმეტად ინოვაციური და თანამედროვე, ტრადიციული ელემენტების გამოყენებით. ამ თვალსაზრისით, აზიური და ევროპული კულტურები და მათი ბიზნეს მიმდინარეობებიც განსხვავდება ერთმანეთისგან.

ანთერფრენერების ანუ მეწარმეების საქმიანობა თანამედროვე გაგებით და მისდამი წაყენებული მისიონერული მოთხოვნებით შეიძლება სოციალურიც იყოს, ძირითადად, სოციალური ხასიათისაა, რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთი ტიპის ბიზნესები თავიდანვე სოციალური დანიშნულებით შეიქმნა, არა ფინანსური მოგების მიღების მიზნით, არამედ გარკვეული სოციალური პრობლემის მოგვარების, გადაჭრის მიზნით, მსოფლიო სტატისტიკით: დიდ ბრიტანებთში 470000 სოციალური მეწარმეა, სადაც დასაქმებულია 1,44 მილიონი ადამიანი. ამავე მონაცემებით, მათი შემოსავლები შეადგენს 28,98 მილიარდ ამერიკულ დოლარს. სოციალური საწარმოების 40% იმართება ქალების მიერ, 31% აზიელი ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფების მიერ.

ლათინო ამერიკის ანთერფრენერების, მეწარმეების კვლევაში სტატისტიკურად, განათლების მაჩვენებლების გათვალისწინებით, განათლება ვერ გვევლინება მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორად, რომელიც ხელს უწყობს და ზრდის თანამედროვე მეწარმეთა რაოდენობის ზრდას:

უნივერსიტეტის სტუდენტი მეწარმეების წილი: 70,7%; მაგისტრის ხარისხის მქონე მეწარმეების წილი - 19%; კოლეჯის ხარისხის მქონე მეწარმეების წილი 7,8%; დოქტორანტების წილი 1,5%, მეორეხარისხოვანი სასწავლო ხარისხის მქონე მეწარმეების წილი - 1%.

2002 წლიდან 2011 წლამდე (UNCTAD) გაერთიანებული ერების, კონფერენციებისა და ვაჭრობის ორგანიზაციის მონაცემებით ნარინჯისფერი ეკონომიკის მომსახურებისა და კრეატიული სიკეთეების ექსპორტის ზრდა 134%-ით განისაზღვრა.

ლათინო ამერიკის ქვეყნებმა შექმნეს კრეატიული კლასტერები და ალიანსები, ბიზნესში ეფექტურია კლასტერის ტიპის გაერთიანებების შექმნა, ასეთი კლასტერები საქართველოშიც გვხვდება, მაგალითად, სამშენებლო კლასტერი, თუმცა ნარინჯისფერი ეკონომიკის მიმართულება და ინტერესები განსხვავდება სტანდარტული ბიზნესისგან, მისი მიზანი ინტელექტუალური ღირებულებების, ცოდნების იმ ფორმით გაერთიანება, თავმოყრა და რეალიზაციაა, რომ ის თაობებს შემორჩეს და მომავალ სპეციალისტებს მნიშვნელოვანი ცოდნა გადასცეს, ამ მიზნით, ლათინო ამერიკულ სახელმწიფოებში უნივერსიტეტების, მეცნიერ მკვლევარების და კომპანიების კრეატიული კლასტერები არსებობს. ბუენოს აირესში სახელმწიფომ ნარინჯისფერი ეკონომიკის განვითარების მიზნით ცალკელი რაიონების კრეატიული ზონები გამოყო და მათ შესაბამისი პოლიტიკა მოარგო, ზონები დაყოფილია შესაბამისი კრეატიული თემატიკის მიხედვით, მაგალითად: აუდიო ვიზუალური ზონა, დიზაინის ზონა, ხელოვნების ზონა და ტექნოლოგიური ზონა, სავაჭრო ზონა და ა.შ.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა და ბიზნესის გაციფრულების პროცესმა გააუმჯობესა პროდუქტისა და მომსახურების რეალიზაციის გზები, მოაგვარა ექსპორტთან დაკავშირებული პრობლემები და გაზარდა გაყიდვების მაჩვენებლები, ბიზნესის გაციფრულების გამოწვევის წინაშე პირველად ბიზნესი პანდემიის პერიოდში დადგა, კომპანიებმა, რომლებმაც, მინიმუმ, ონლაინ მაღაზიების და გაყიდვების პლატფორმების დროული ორგანიზება შეძლეს, შეინარჩუნეს ბიზნესი, გაზარდეს შემოსავლები და მეტიც, სხვა მოუქნელი კომპანიების მომხმარებლების გადმობირებაც შეძლეს, ანუ გააფართოეს სამომხმარებლო ჯგუფები.

**Megi Surmanidze**
Batumi Shota Rustaveli State University
Doctoral
Supervisor: **Rostom Beridze**
Doctor of Economy, Associate Professor

## The Global Role of the Orange Economy and Business Digitization

In the modern business industry, the orange economy and its role in the growth process of improving international business revenues are important. The Orange Economy model focuses on goods and services that have intellectual value due to the fact that they are created from ideas and experiments, they have mainly creative economic foundations.

Due to the fact that the business, technological, scientific industry is changing and developing, inventions are diverse, various latest technologies are being introduced, the area of orange economy is also expanding, it includes telecommunications, robo inventions, content creativity, coding and other directions where the idea can be turned into goods or services.

For the development or promotion of the orange economy, intensive use of international communication technologies is necessary, and its two main keys are business digitization, creative and traditional entrepreneurial activities. With the intensive use of digital technologies during and after the pandemic, business organizations and companies discovered additional channels for service and product sales, thus increasing the volume of income. According to the research carried out by The Inter-American Development Bank (IDB), most of the 200 creative entrepreneurs use social media for advertising, namely 84.5% Facebook, 56% Instagram, 37.6% Twitter, 19.3% YouTube, 7.7% Pinterest and others.

According to the Creative Economy 2010 data, the orange and creative economy sectors are related to creative services and significant incomes derived from them:

Architectural and advertising digital industry; Audio-visual industry: films, televisions, radios;

with cultural industry sites: archeological sites, exhibitions, libraries, museums;

For publishing and print media: books, press and other publications;

With movie studios, music studios, social channels and networks, online sales platforms, fashion, videos,

games.

According to the United Nations, Education and Economic Organization, the orange economy has 3% of the global market and 30 million employees, which underscores its importance as part of global income and employment improvements. Through the Orange Economy and international communication technologies, export figures increased by 134% between 2022 and 2011, amounting to 646 million US dollars, the increase in figures was highlighted by digital sales and the use of the Internet in business. The Orange Economy is also focused on attracting and investing in new talent or opportunities.

Through the directions of the creative economy and the use of digital technologies, New Zealand achieved high business activity in 2019, with 80% of revenues coming from the business creative sectors of games, music, books, films and television. 99% of game studios were able to sell their products in Europe and America.

Among the creatively developed regions where the problem of running out of ideas, imagination and creativity will never arise is Latin America, on the one hand, this inexhaustible resource of creativity is due to the country's rich culture and traditions, which sometimes become the first basis for innovative ideas. The people of such a country can create a much more diverse and interesting business, in some cases it can be traditional, and in other cases it can be extremely innovative and modern, using traditional elements. In this sense, Asian and European cultures and their business processes differ from each other.

The activity of entrepreneurs in the modern sense and with the missionary demands placed on it can be social as well, it is mainly social in nature, which means that such type of businesses were created from the beginning with a social purpose, not for the purpose of making financial profit, but for the purpose of solving a certain social problem, according to world statistics:

https://docs.google.com/forms/d/13gXWY4ZIE6BtmeUad74fee5hKSGq8XcB8R_1-4Fkvyg/edit?pli=1#response=ACYDBNi5Y2cufw13EB5fgqWXYA... 20/22

4/19/23, 2:16 PM ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა მე-11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია / The 1...

There are 470,000 social entrepreneurs in the UK, employing 1.44 million people. According to the same data, their incomes amount to 28.98 billion US dollars. 40% of social enterprises are run by women, 31% by Asian ethnic groups.

In the study of entrepreneurs and entrepreneurs of Latin America, statistically, taking into account the indicators of education, education does not appear to be a significant influencing factor that promotes and increases the growth of the number of modern entrepreneurs: Share of university student entrepreneurs: 70.7%;

Share of entrepreneurs with master's degree: 19%;

The share of entrepreneurs with a college degree is 7.8%;

The share of doctoral students is 1.5%

The share of entrepreneurs with a secondary education degree: 1%

From 2002 to 2011 (UNCTAD), according to the data of the United Nations, Conference and Trade Organization, the increase in the export of services and creative goods of the orange economy was determined by 134%.

Latin American countries have created creative clusters and alliances, it is effective to create cluster-type associations in business, such clusters can also be found in Georgia, for example the construction cluster, although the direction and interests of the orange economy differ from standard business. Its purpose is to unite, collect and realize intellectual values and knowledge in such a way that they remain for generations and transfer important knowledge to future specialists, for this purpose there are creative clusters of universities, scientific researchers and companies in Latin American states.

In Buenos Aires, in order to develop the orange economy, the state has set aside creative zones of individual districts and adapted the corresponding policy to them.

Digital technologies and the process of digitalization of business have improved the ways of selling products and services, solved problems related to exports and increased sales figures, Companies that at least managed to organize online stores and sales platforms in a timely manner, kept their business, increased their revenues, and moreover, they were able to recruit customers from other inflexible companies, that is, they expanded their customer groups.

**ნინო ფუტკარაძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
ხელმძღვანელი: **თამთა ვარშანიძე**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასისტენტ პროფესორი

## სამშენებლო ბიზნესსექტორი დინამიკაში და განვითარების პერსპექტივები

სამშენებლო ბიზნესი ერთ–ერთი მთავარი დარგია ეკონომიკურ სექტორთა შორის, რომლის განვითარება არამხოლოდ კონკრეტული ბიზნესის ზრდას უწყობს ხელს, არამედ უზრუნველყოფს სხვა სფეროების მხარდაჭერასაც, როგორებიცაა: ტურიზმი, კავშირგაბმულობა, სოფლის მეურნეობა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1990–იან წლებში სამშენებლო ბიზნესი, ისევე, როგორც სხვა დარგები, განიცდიდა რეგრესს. თუმცა, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, საბაზრო ეკონომიკაზე გადაწყობის პარალელურად, იწყება სამშენებლო სექტორის აღმავლობაც.

საყურადღებოა, რომ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ზემოაღნიშნული დარგი დიდად განვითარდა. ამაზე, პირველ რიგში, მეტყველებს ის, რომ მშენებლობის ბრუნვის მოცულობა უკანასკნელი წლების მანძილზე ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ყველაზე მკვეთრი ვარდნა კი, მხოლოდ 2013 წელს ფიქსირდება და შეადგენს 27.4%–ს. აღნიშნული სექტორის განვითარებაზე, ასევე მიუთითებს მშენებლობის წილის დინამიკა მშპ– ში, რომელიც ხასიათდება როგორც ზრდის, ასევე კლების ტენდენციებით. თუმცა, 2006-2022 წლებში, მშპ–ს მოცულობა მშენებლობაში, საშუალო სტატისტიკურად, 800 მლნ ლარიდან 5 მლრდ ლარამდე იზრდება, სხვა თანაბარ პირობებში, რასაც, ასევე, ზურგს უმაგრებს სამშენებლო დარგში შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობა.

მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, რომ სამშენებლო ბიზნესი, მით უფრო განვითარებადი ქვეყნებისათვის, ერთ–ერთი პრიორიტეტული სექტორია, რომელიც გავლენას სხვა სფეროებზეც ახდენს. საინტერესოა, ზრდადი დინამიკის შედეგად რა მდგომარეობაა დღეს აღნიშნული მიმართულებით და განვითარების რა პერსპექტივები იკვეთება, რაც განხილული იქნება ნაშრომში.

**Nino Phutkaradze**
Batumi Shota Rustaveli State University
Master
Supervisor: **Tamta Varshanidze**
Doctor of Business Administration,
Assistant Professor

## Construction Business Sector in Dynamics and Development Perspective

Construction business is one of the main sectors among economic sectors, the development of which not only contributes to the growth of a specific business, but also provides support to other areas, such as: tourism, communication, agriculture, etc.

It is noteworthy that in Georgia in the 1990s, the construction business, as well as other industries, experienced regression. However, at the turn of the 20th-21st centuries, in parallel with the transformation to a market economy, the construction sector also began to rise. It is worth noting that the above-mentioned field has developed greatly in the last two decades. First of all, this is evidenced by the fact that the volume of construction turnover has been characterized by an increasing trend in recent years, and the sharpest drop was recorded only in 2013 and amounted to 27.4%. The development of the mentioned sector is also indicated by the dynamics of the share of construction in the GDP, which is characterized by both increasing and decreasing trends. However, in 2006-2022, the volume of GDP in construction, statistically average, increased from 800 million GEL to 5 billion GEL, other things being equal. This was also supported by the amount of added value created in the construction industry.

It is important to analyze that the construction business, especially for developing countries, is one of the priority sectors, which affects other areas as well. It is interesting, as a result of the growing dynamics, what the situation is in the mentioned field today and what the prospects for development are, which will be discussed in the paper.

**ლიკა ქუხილავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მამუკა თორია**
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

# პერსონალის მართვის სისტემა საქართველოს საჯარო ორგანიზაციებში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

პერსონალის მართვა ყველა ორგანიზაციისათვის დამახასიათებელ მმართველობით საქმიანობას წარმოადგენს, რომლის მიზანია ორგანიზაციის პერსონალით უზრუნველყოფის, მისი გამოყენებისა და ადამიანთა მოტივაციის მიზნობრივი მართვის საფუძველზე, ორგანიზაციების მიერ საუკეთესო შედეგების მიღწევა. თანამედროვე პირობებში პერსონალთან მუშაობის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ პიროვნების ფორმირება, რომელსაც გააჩნია პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, მაღალი კვალიფიკაცია და ა.შ. ცხადია, რომ ადამიანური რესურსი არის ნებისმიერი ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივი და სხვა რესურსებისგან განსხვავებით, იგი შეიძლება განვითარდეს და გაიზარდოს შეუზღუდავი მასშტაბით.

ნებისმიერი ორგანიზაციის პერსონალის მართვისას ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ ეს არა მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტები, ტექნიკა და რესურსებია, არამედ გარკვეული სახის ხელოვნებაა. ადამიანების მართვა შეუძლებელია განხორციელდეს სტანდარტული მეთოდებით. ეს თავისებურებები კი მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს პერსონალის მართვის სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და პოლიტიკის შემუშავებაში. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვა ნებისმიერი ორგანიზაციის სტრატეგიული ფუნქციაა. იგი რეალურად არის პერსონალის განყოფილების შრომითი ფუნქციების მნიშვნელობა, რომლებიც შეუცვლელია თავად მენეჯმენტის საქმიანობისთვის.

საჯარო ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვის ფილოსოფია გამოიხატება თანამშრომელთა შესაძლებლობებით, ორგანიზაციაში გარკვეული სახის სამუშაოს შესრულებით დაიკმაყოფილონ თავიანთი პირადი მოთხოვნილებები. მსგავსი სახის ფილოსოფია არა მარტო ორგანიზაციის პერსონალით დაკომპლექტების პროცესს მოიცავს, არამედ მომუშავეთა მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებასაც უზრუნველყოფს.

**Lika Kukhilava**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Mamuka Toria**
Doctor of Economics, Associate Professor

## Personnel Management System in Public Organizations of Georgia (on the Example of Tsalenjikha Municipality)

Personnel management is a management activity characteristic of all organizations, the purpose of which is to achieve the best results by organizations based on providing them with personnel, on its use and targeted management of people's motivation. In modern conditions, the main goal of working with personnel is the formation of such a person who has a high sense of responsibility, high qualifications, etc. It is clear that human resource is the most important asset of any organization and unlike other resources, it can be developed and increased to an unlimited extent.

When managing the personnel of any organization, managers should remember that it is not only documents, equipment and resources, but also a kind of art. People cannot be managed by standard methods. These features are important to be taken into account in the formation of personnel management strategy and policy development. Therefore, human resources management is a strategic function of any organization. It is actually the meaning of the labor functions of the personnel department, which are indispensable for the activity of the management itself.

The philosophy of human resources management in a public organization is expressed by the ability of employees to satisfy their personal needs by performing certain types of work in the organization. Such a philosophy not only includes the process of staffing the organization, but also ensures full satisfaction of the employees' needs.

# ბიზნესის სექცია
# Section of Business

## მარკეტინგის და ფინანსების ქვესექცია
## Subsection of Marketing and Finances

**ლაშა აბულაძე**
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **რუსუდან დალაქიშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

### ხელოვნური ინტელექტი მარკეტინგში

წინამდებარე ნაშრომში სიღრმისეულადაა გააზრებული მარკეტინგის სფეროში ხელოვნური ინტელექტის(AI) გამოყენების მნიშვნელობა და ის შესაძლებლობები, რასაც თანამედროვე ტექნოლოგიები ამ მიმართულებით გვთავაზობს. ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მოსაზრებებზე დაყრდნობით, ავტორების მიერ ჩამოყალიბებულია მარკეტინგის სფეროში ხელოვნური ინტელექტის, აპლიკაციების, გამოწვევებისა და სამომავლო მიმართულებების სრული მიმოხილვა. ამასთან, გაანალიზებულია ისეთი აქტუალური და მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორიცაა მონაცემთა კონფიდენციალურობის პრობლემები, ეთიკური საკითხები და სხვა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნაშრომი მოიცავს ვრცელი მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა და მარკეტინგული კომპანიების ეფექტურობის

გაზრდის თვალსაზრისით მარკეტინგულ ინდუსტრიაზე AI-ს გავლენის შეფასებას.

ავტორის მიერ ხაზგასმულია ყველა ის ძირითადი შესაძლებლობა და გამოწვევები, რომლებიც წარმოიქმნება მარკეტინგში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. ამასთან, ნაშრომი იძლევა ინფორმაციას ზემოაღნიშნული განვითარებადი ტექნოლოგიის პოტენციურ სარგებელსა და შეზღუდვებზე.

**Lasha Abuladze**
LEPL – DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
Bachelor
Supervisor: **Rusudan Dalakishvili**
Doctor of Economics, Associate Professor

## Artificial Intelligence in Marketing

In this paper, the importance of using artificial intelligence (AI) in the field of marketing and the opportunities that modern technologies offer us in this direction are thoroughly analyzed. Based on the opinions of Georgian and foreign specialists, the authors have formed a complete overview of artificial intelligence, applications, challenges and future directions in the field of marketing. In addition, current and important challenges such as data privacy issues, ethical issues and others are analyzed. In addition to the above-mentioned, the paper includes an assessment of the impact of AI on the marketing industry in terms of making extensive data-driven decisions and increasing the efficiency of marketing companies.

In order to get the most out of the material, the authors highlight all the main opportunities and challenges that arise from the use of artificial intelligence in marketing. In addition, the paper provides information on the potential benefits and limitations of the aforementioned emerging technology.

**გვანცა დარსაველიძე,**
**მარიამი აგლაძე**
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **რუსუდან დალაქიშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა - ბიზნესის განვითარების საფუძველი

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ თუკი ჩვენ არ ვიზრუნებთ ჩვენს მომხმარებელზე, ჩვენი კონკურენტები იზრუნებენ მათზე. იმისათვის რომ კომპანიებმა მოიპოვონ წარმატება თანამედროვე ბაზარზე, აუცილებელია მრეწველობის მთელი რიგი დარგების ორიენტირება მომხმარებელზე. მათთან ურთიერთობა ორგანიზაციის წარმატების განუყოფელი ნაწილია, CRM არის ორგანიზაციის კლიენტებთან და პოტენციურ კლიენტებთან ურთიერთობის სტრატეგია, რომელიც საშუალებას იძლევა გრძელვადიანი ურთიერთობა დამყარდეს მომხმარებელთან.

ნაშრომში წარმოდგენილია ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც დაგვეხმარება პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს: როგორ ინარჩუნებენ ძლიერი კომპანიები არსებულ მომხმარებელს და რითი იზიდავენ ისინი ახალ კლიენტებს? როგორ შეიძლება მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება? თაობათა ცვლა და შემდგომ, ახალ თაობასთან ადაპტირება, არც თუ ისე მარტივი პროცესია, რადგან თითოეულ თაობას თავისი მკაფიო გამოცდილება, ღირებულებები და ქცევები აქვს. სწორედ ეს იყო მიზნობრივი მარკეტინგის გაჩენის მიზეზი, რასაც მოჰყვა ე.წ. ურთიერთობების მარკეტინგი, რომელიც გახდა CRM-ის ჩამოყალიბების წინაპირობა.

**Gvantsa Darsavelidze,**
**Mariami Agladze**
LEPL – DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL
DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
Bachelor
Supervisor: **Rusudan Dalakishvili**
Doctor of Economics, Associate Professor

## Customer Relationship Management - the Basis of Business Development

“If you aren’t taking care of your customers, your competition will". In order for companies to succeed in today’s market, it is necessary to focus a number of industries on customers. Interrelation with customers is an integral part of the organization’s success. CRM is an organization's relationship strategy with customers and potential customers, which gives you potential to have a long term relationship with the customers. The paper presents the main tasks that will help us answer the following questions: How do strong companies retain existing customers and how do they attract new customers? How can we satisfy costumers’ needs? The change of generations and subsequent adaptation to the new generation is not a very simple process, because each generation has its own distinct experiences, values and behaviors. This was the reason for the emergence of target marketing, which was continued by relationship marketing, which became the prerequisite for the formation of CRM.

**ბექა კვერნაძე,**
**გიორგი სიხარულიძე**
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **რუსუდან დალაქიშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ექსპორტის მარკეტინგული სტრატეგიები

ნაშრომში განხილულია საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები, საქართველოს საგარეო ვაჭრობისთვის დამახსიათიებელი ძირითადი, ფუნდამენტური საკითხები და ის ძირითადი მარკენტიგული სტრატეგიები, რაც აუცილებელია წარმატებული ექსპორტისთვის, მიმოხილულია ის მიკრო თუ მაკრო ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. კერძოდ, განხილულია საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები, შეფასებულია COVID-19 - ის გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე, რა დადედებითი და უაროფითი გავლენა იქონინა რუსეთ - უკრაინის ომმა საქართველოზე, გაანალიზებულია და ფართოდ გაშლილია საქართველოს საექსორტო პოტენციალი და საერთაშორისო ბაზარზე შესვლის სტრატეგიები, გამოკვეთილია სახელმწიფოს როლი საექსპორტო პოტენციალის ამაღლების მიმართულებით. არგუმენტირებულია ექსპორტის მნიშვნელობა, განსაკუთრებით, ისეთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რომლისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ლიბერალური, ღია საბაზრო ეკონომიკა.

**Beka Kvernadze,**
**Giorgi Sikharulidze**
LEPL – DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL
DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
Bachelor
Supervisor: **Rusudan Dalakishvili**
Doctor of Economics,
Associate Professor

## Georgia's Foreign Trade and Export Marketing Strategies

The paper discusses the importance of foreign trade and its prospects, the main, fundamental issues for Georgia's foreign trade and the main marketing strategies that are necessary for successful exports, the micro and macro factors that affect the country's economy are reviewed. In particular, Georgia's trade and economic relations are discussed, statistical data ate analyzed, the impact of covid-19 on Georgia's foreign trade is assessed, the positive and negative impact of the Russia-Ukraine war on Georgia, Georgia's export potential and strategies for entering the international market are analyzed and widely expanded. The role of the state in increasing the export potential is highlighted. The importance of exports is argued, especially for a country with a small economy as Georgia, for which a liberal, open market economy is vital.

**გიული პაქსაძე,**
**თამარ პირგასიმოვა**
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **რუსუდან დალაქიშვილი**
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## მდგრადი მარკეტინგი-თანამედროვე ბიზნესის განვითარების წინაპირობა

ნაშრომში აღწერილია მდგრადი მარკეტინგი, მისი მნიშვნელობა, არსი, გავლენა და პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით თანამედროვე სამყაროში.

მდგრადი მარკეტინგი განხილულია, როგორც მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც სოციალურ და გარემოს დაცვით პასუხისმგებლობას უზრუნველყოფს. იგი საუკეთესო საშუალებაა კომპანიის მდგრადი ძალისხმევის ხელშეწყობისათვის.

მდგრადი მარკეტინგი უზრუნველყოფს ორგანიზაციების ურთიერთობების გაუმჯობესებას გარემოსთან და დაინტერესებულ მხარეებთან. თავის მხრივ, ამ სტრატეგიას შეუძლია დაეხმაროს ორგანიზაციებს გაზარდონ ბრენდის ლოიალურობა, გააუმჯობესონ თანამშრომლების კმაყოფილება, მიაღწიონ რეგულაციებთან შესაბამისობას და გაზარდონ მოგება. ნაშრომში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა სოციალურ მარკეტინგს, რომლის ძირითადი მიდგომა და მიზანი დადებით გავლენას ახდენს კომპანიებზე.

მდგრადი მარკეტინგი უზრუნველყოფს კონსტრუქციულ ცვლილებას გარემოს დაცვით, სოციალურ და ჯანდაცვის კამპანიებში. ნაშრომში ასევე მკაფიოდ არის ხაზგასმული განსხვავება ეთიკურ მარკეტინგსა და მდგრად მარკეტინგს შორის. კარგი ეთიკა მდგრადი მარკეტინგის ქვაკუთხედია. მდგრადი მარკეტინგული მიზნები გრძელვადიანი მომხმარებლისა და ბიზნესის კეთილდღეობის შესახებ შეიძლება მიღწეული იყოს მხოლოდ ეთიკური მარკეტინგული ქცევით.

**Giuli Paksadze,**
**Tamari Pirgasimova**
LEPL – DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
Bachelor
Supervisor: **Rusudan Dalakishvili**
Doctor of Economics,
Associate Professor

## Sustainable Marketing as a Prerequisite for Modern Business Development

This paper describes sustainable marketing, its meaning, essence, impact and responsibility, especially in the modern world. Sustainable marketing is seen as a marketing strategy that provides social and environmental responsibility. It is the best way to promote the company's sustainability efforts. Sustainable marketing

ensures that organizations improve their relationships with the environment and stakeholders. In turn, this strategy can help organizations increase brand loyalty, improve employee satisfaction, achieve regulatory compliance, and increase profits. An important part of the work is devoted to social marketing, the main approach and goal of which has a positive impact on companies. Sustainable marketing provides constructive change in environmental, social and health campaigns. The paper also clearly emphasizes the difference between ethical marketing and sustainable marketing. Good ethics are the cornerstone of sustainable marketing. Sustainable marketing goals of long-term consumer and business well-being can only be achieved through ethical marketing behavior.

**მალხაზ ტერმაკოზაშვილი,**
**მარიამ ბერძენიშვილი**
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **რუსუდან დალაქიშვილი**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## მარკეტინგი ციფრულ ეპოქაში

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ციფრული მარკეტინგის რაობისა და არსის განსაზღვრა, ასევე მისი სრული განხილვა და აღწერა. ნაშრომში შესწავლილი და შეფასებულია თანამედროვე ტექნოლოგიების როლი მარკეტინგში. აღწერილია ციფრული რევოლუცია, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ცხოვრების სტილი და ბევრად მარტივი და თანამედროვე გახადა ყველა სფერო. ნაშრომში ვისაუბრებთ იმ საფრთხეებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ახალ, ციფრულ ეპოქაში. აღვწერთ ციფრულ მარკეტინგს, როგორც თანამედროვე ბიზნესის წარმატების საწინდარს.

ასევე გავაანალიზებთ იმ საკვანძო საკითხებს, რომლებიც ციფრული პლატფორმების საშუალებით გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე. წარმოვაჩენთ ციფრული მარკეტინგის დონეს საქართველოში, მის ისტორიას და განვითარების შესაძლებლობებს მომავლისთვის, თუ როგორ შეიძლება განვავითაროთ ეს სფერო და ამით საფუძველი ჩავუყაროთ ქვეყნის წინსვლას თანამედროვე, ციფრულ სამყაროში.

**Malkhaz Termakozashvili,**
**Mariam Berdzenishvili**
LEPL – DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
Bachelor
Supervisor: **Rusudan Dalakishvili**
Doctor in Economics,
Associate Professor

## Marketing in the Digital Age

The purpose of this paper is to determine the nature and essence of digital marketing, as well as to conduct its full discussion and description. The paper examines and evaluates the role of modern technologies in marketing. The digital revolution is described, which has fundamentally changed the lifestyle and made all areas much easier and more modern. In the paper, we will talk about the threats and opportunities that are most important in the new, digital age. We will describe digital marketing as a precursor to modern business success. We will also analyze the key issues that affect our daily lives through digital platforms. We will present the level of digital marketing in Georgia, its history and development opportunities for the future, and how we can develop this field and thus lay the foundation for the country's progress in the modern, digital world.

**ანამარია გრიგალაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **მანანა მჭედლიშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## საბუღალტრო აღრიცხვა კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით

ბუღალტრული აღრიცხვის ისტორია საუკუნეებს ითვლის. ბუღალტრული აღრიცხვა დღითიდღე რთულდება, რაც გამოწვეულია უამრავი საკანონმდებლო რეფორმით, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ტარდება. თუმცა ამ ყველაფრის ფონზე, საქართველოში ბოლო წლების მანძილზე ბუღალტრული აღრიცხვა საგრძნობლად დაიხვეწა საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. საბუღალტრო პროგრამა ეს არის კომპიუტერული უზრუნველყოფა, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას, ბევრად უფრო სწრაფად, მარტივად, თვალსაჩინოდ და ეფექტურად შეძლოს ფინანსების აღრიცხვა. ამ ეტაპზე საქართველოში იყენებენ როგორც უცხოური წარმოების პროგრამებს, ასევე საქართველოში წარმოებულსაც. რაც დრო გადის, ეს პროგრამები უფრო და უფრო იხვეწება და ხდება ამა თუ იმ ბიზნესზე მაქსიმალურად მორგებული. საქართველოში გავრცელებული ქართული წარმოების პროგრამებია: ბალანსი, ფინა, ორისი, 1C, ინფო. მათგან კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა „ორისი“ ლიდერია ქართულ ბაზარზე.

ბუღალტრული აღრიცხვა ეს არის ყველა იმ სუბიექტის უდიდესი ინტერესის საგანი, რომლებსაც აქვთ კავშირი წარმოებასთან, მომსახურებასთან, საკუთრების მართვასთან, დაფინანსებასთან, ინვესტიციებთან. მისი სამიზნეა ბიზნესის მონაცემების დამუშავება, ეს კი გადაწყვეტილების მიმღებს საშუალებას აძლევს შეაფასოს მის დაქვემდებარებაში მყოფი ბიზნესის ეფექტურობა, დაინახოს ხარვეზები და აღმოაჩინოს შეცდომები. სწორედ ამიტომ ბიზნესის მფლობელების პირდაპირ ინტერესშია ეფექტური გზის გამონახვა, რათა ბუღალტრული აღრიცხვა მაქსიმალურად სრულყოფილი იყოს. ეს ფაქტორი კი ერთ-ერთი გარანტიაა წარმატებული ბიზნესისა.

**Anamaria Grigalashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Manana Mchedlishvili**
PHD in Economics,
Associate Professor

# Accounting Using Computer Technologies

The history of accounting goes back centuries. Accounting is becoming more difficult day by day, which is due to the numerous legislative reforms that are being carried out in our country. However, in the background of all this, in recent years, accounting in Georgia has  significantly improved by using accounting computer programs. Accounting software is computer software that allows the customer to keep track of finances much faster, easier, more visibly and efficiently. At this stage, both foreign and Georgian programs are available in Georgia. As time goes by, these programs improve more and more and become tailored to this or that business as much as possible. Common Georgian programs in  are: Balance, Fina, Oris, 1C, Info. Among them, computer accounting software "Oris" is the leader in the Georgian market.

Accounting is a subject of great interest to all those entities that have a connection with production, services, property management, financing, investments. Its goal is to process business data, which allows the decision-maker to evaluate the effectiveness of the business under his control, see gaps and detect errors. That is why it is in the direct interest of business owners to find an efficient way to make accounting as complete as possible. This factor is one of the guarantees of a successful business.

**ნიკო ლეონიძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **გიორგი აბუსელიძე**
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

# საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ემპირიული ანალიზი და მხარჯავი დაწესებულებების მიერ ათვისებული ასიგნებებისა და გადასახდელების ეფექტიანობის შეფასება ქვეყანაში მიდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენების კვალდაკვალ

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მნიშნელოვან როლს ასრულებს საჯარო რესურსების ეფექტიანი და რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად, რომლის განხორციელებაშიც ხელს უწყობს რესურსების განაწილების ეფექტური სისტემის შექმნა, ფისკალური დისციპლინის შემუშავება, ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვა.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების კვალდაკვალ მნიშვნელოვანია ობიექტურად და ეფექტიანად მოხდეს იმ პრიორიტეტების განსაზღვრა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე საყურადღებოა ის ფაქტი, თუ როგორ ნაწილდება ბიუჯეტში არსებული ფინანსური სახსრები მხარჯავ ორგანიზაციებზე და როგორ ხმარდება კონკრეტული პროგრამების განხორციელების პროცესს.

მთლიანობაში, სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური მაჩვენებლების ცვლილებებისა და არსებული სიტუაციის ობიექტური შეფასებისთვის მნიშვნელოვანია წლების მანძილზე ფინანსური სახსრების განაწილების დინამიკის შესწავლა და პრიორიტეტების მიზნებისა და საბოლოო შედეგების თავსებადობის შეფასება, რომელიც საერთო ჯამში გამოავლენს ღირებულ ინფორმაციას სახელმწიფო ფინანსებისა და პრიორიტეტების გავლენის შესახებ ქვეყნის ფისკლაური ჩარჩოს ჩამოყალიბების პროცესში.

**Niko Leonidze**
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
Bachelor
Supervisor: **Giorgi Abuselidze**
Doctor of Economics,
Associate Professor

# Empirical Analysis of the State Budget of Georgia and Evaluation of the Effectiveness of Allocations and Payments Utilized by Spending Institutions in the Wake of the Current Economic and Political Events in the Country

The state budget of Georgia plays a significant role in ensuring the effective and rational use of public resources; this is facilitated by the creation of an effective resource distribution system, the development of fiscal discipline, the provision of economic stability, and the observance of principles of transparency and accountability.

Following the ongoing political and economic processes in the country, it is important to objectively and effectively determine the priorities that will contribute to the sustainable development of the country. Based on the above, the fact of how the financial funds in the budget are distributed to spending organizations and how they are used in the process of implementing specific programs is noteworthy.

Overall, for an objective assessment of changes in the financial indicators of the state budget and the current situation, it is important to study the dynamics of the distribution of financial funds over the years and to evaluate the compatibility of the objectives of the priorities and the final results, which will reveal valuable information about the influence of the state finances and priorities in the process of establishing the country's fiscal framework.

**ილია ხუციშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **თეა ლაზარაშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## საფონდო ბირჟის საქმიანობის თანამედროვე ტენდენციები

საფონდო ბირჟა არის თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელიც ყველა განვითარებულ ქვეყანას გამართული, ანუ ლიკვიდური აქვს.

საფონდო ბირჟა ბევრი მიმართულებით შეგვიძლია განვიხილოთ, მაგალითად: სხვადასხვა ტიპის ვაჭრებად, დაყოფილი სექტორებად, თუ რა ეკონომიკური ზეგავლენა გააჩნია საფონდო ბირჟას მთლიან შიდა პროდუქტზე.

როდესაც ვსაუბრობთ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაზე, არ შეიძლება ასევე არ ვახსენოთ რისკები და მათი დივერსიფიკაციის გზები, პორთფელებით თუ სხვა საშუალებებით. ყურადღებაა გამახვილებული საქართველოს დღევანდელ სიტუაციაზე საფონდო ბირჟასთან დაკავშირებით, რომელიც დღის წესრიგში დგას და აუცილებლია, რომ მისი საქმიანობა გამართული და ლიკვიდური გახდეს, როგორც ეს სხვა განვითარებულ ქვეყნებშია მიღწეული. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მოხდეს განვითარებული ქვეყნების სააფონდო ბირჟის საქმიანობის შესწავლა, მათი შედარება საქართველოსთან და დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა.

**Ilia Khutsishvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Tea Lazarashvili**
Doctor of Economics, Associate Professor

## Modern Trends of Stock Market Activity

The stock market is one of the main directions of the modern economy, which all developed countries have in order, i.e. liquid.

We can consider the stock market in many directions, for example: different types of traders, divided into sectors, what economic impact the stock market has on GDP. When we talk about securities trading, we cannot fail to mention the risks and ways of diversifying them, through portfolios or other means. Attention is focused on the current situation of Georgia's stock exchange, which is on the agenda, and it is necessary to make its activity smooth and liquid, as it has been achieved in other developed countries. In this regard, it is important to study the activities of the stock markets of developed countries, compare them with Georgia and identify the positive and negative aspects.

**თამთა ჯაჯანიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ვახტანგ სვანაძე**
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## საფონდო ბირჟის საქმიანობის ანალიზი

საფონდო ბირჟა, ეს არის ორგანიზებული ბაზარი, რომელიც მისი წევრი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით უზრუნველყოფს სავაჭრო სისტემაში დაშვებულ (ლისტინგი) ფასიან ქაღალდებზე ვაჭრობისა და დადებული გარიგებების შესრულების ორგანიზებას დადგენილი წესებისა და

პროცედურების შესაბამისად, ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.

საფონდო ბირჟა, როგორც საჯარო ვაჭრობის ინსტიტუტი, ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას ფასიანი ქაღალდების საჯარო განთავსებისა და მათი მიმოქცევის ორგანიზების გზით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 13 საფონდო ბირჟა არსებობს, მათ შორის ყველაზე დიდია ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა (NYSE). მის წილზე მოდის მსოფლიოს დანარჩენი ბირჟების მთლიანი ბრუნვის ნახევარზე მეტი. ბირჟა განთავსებულია მანჰეტენზე, მისამართი: Wall Street, 11. უკვე არა ერთი ათეული წელი იგი ითვლება ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური სიძლიერის და მთელი ფინანსური ინდუსტრიის სიმბოლოდ. სწორედ ამ ბირჟაზე, სხვადასხვა უმსხვილესი კომპანიების მოვაჭრე აქციების მაჩვენებლების მიხედვით განისაზღვრება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დოუ ჯონსის (Dow Jones Industrial Average) და NYSE Composite ინდექსები.

ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ბაზარზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს/თამაშობდა – ამერიკული საფონდო ბირჟა (American Stock Exchange, AMEX), რომელიც დაარსდა 1911 წელს. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან სწორედ ამ ბირჟაზე დაიწყო პირველი ელექტრონული ვაჭრობები, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა პირველი უსადენო ტერმინალები. 2012 წელს American Stock Exchange გაერთიანდა New York Stock Exchange-თან და ეწოდა – NYSE MKT LLC.

22 საფონდო ბირჟა მოქმედებს დიდი ბრიტანეთის დიდ ქალაქებში, როგორებიცაა – ლონდონი, ბირმინგემი, ლივერპული და გლაზგო. მათ შორის გამოსაყოფია ლონდონის საფონდო ბირჟა (LLondon Stock Exchange, LSE), რომელიც ბრიტანეთის სხვა ბირჟებს შორის ყველაზე ინტერნაციონალურია. LSE – მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური ცენტრია. იაპონიაში მდებარეობს 9 საფონდო ბირჟა, რომელთა შორისაც ყველაზე დიდია ტოკიოს საფონდო ბირჟა (Tokyo Stock Exchange). იგი ერთ-ერთი უძველესი ბირჟაა და გააჩნია საკუთარი ტრადიციები და წესები (დაარსებულია 1878 წელს). მის ძირითად სპეციალიზაციას წარმოადგენს კორპორაციების და ფინანსური ორგანიზაციების აქციებით ვაჭრობა.

საქართველოში საფონდო ბირჟების ჩამოყალიბების საწყისი ეტაპი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო და ის ორ ეტაპს მოიცავს. 1991-1993 წლებში მეწარმეობის გაჩენამ საბირჟო ბუმი ჩამოაყალიბა და 1991 წლის ბოლოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდა 20-ზე მეტი ორგანიზაცია,

რომლებიც ბირჟის სახელით იყო ცნობილი („კავკასიის ბირჟა", „თბილისის უნივერსალური ბირჟა", „საქართველოს ბირჟა", „უტა", „კომერსანტი" და ა.შ).

საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭრო აქტივობის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება - იანვარში ბირჟაზე სულ 2,109 ლარის ღირებულების ორი ტრანზაქცია შედგა. ორივე ტრანზაქცია, ტრადიციულად, „ლიბერთი ბანკს" უკავშირდება, დღიური საშუალო ბრუნვის მოცულობა კი 96 ლარი იყო, ნაცვლად დეკემბერში დაფიქსირებული 297 ლარისა.

საქართველოს საფონდო ბირჟა ერთადერთი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარია საქართველოში, სადაც 23 კომპანიის აქციები და ობლიგაციებია განთავსებული. მათი საერთო საბაზრო კაპიტალიზაცია კი 750 მილიონ დოლარს აღწევს.

ცნობისთვის, გასულ 2022 წელს ბირჟაზე საერთო ჯამში 34 გარიგება შედგა, რომელთა საერთო მოცულობა 6.6 მილიონ ლარს შეადგენდა.

ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი პირობა საფონდო ბირჟისა და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის განვითარებაა. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. არსებული პრობლემების ეტაპობრივად გადაჭრით შესაძლებელია საქართველოს საფონდო ბირჟის ჩამოყალიბებულ და მომგებიან ორგანიზაციად გარდაქმნა, რადგან იგი წარმოადგენს ინვესტიციების ზრდის, კაპიტალის მოზიდვისა და არსებული ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენების საუკეთესო საშუალებას.

**Tamta Jajanidze**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Vakhtang Svanadze**
Doctor of Economics, Associate Professor

## Analysis of Stock Market Activity

Stock exchange is an organized market, which, through its member financial institutions, ensures the organization of trade and execution of transactions on securities admitted to the trading system (listing) in accordance with the established rules and procedures, and disseminates information about transactions and other

prices. The stock exchange, as a public trading institution, helps to attract investments through the public placement of securities and organizing their circulation.

There are 13 stock exchanges in the United States, the largest of which is the New York Stock Exchange (NYSE). It accounts for more than half of the total turnover of the rest of the world's stock exchanges. The stock exchange is located in Manhattan, address: 11 Wall Street. For more than a decade, it has been considered a symbol of the financial strength of the United States of America and the entire financial industry. It is on this exchange that one of the most famous Dow Jones (Dow Jones Industrial Average) and NYSE Composite indices are determined based on the indicators of the traded shares of various largest companies. The American Stock Exchange (AMEX), which was founded in 1911, plays an important role in the stock market of the United States of America. From the 90s of the 20th century, the first electronic trades started on this exchange, during which the first wireless terminals were used. In 2012, the American Stock Exchange merged with the New York Stock Exchange and was renamed NYSE MKT LLC. 22 stock exchanges operate in the big cities of Great Britain, such as London, Birmingham, Liverpool and Glasgow. Among them is the London Stock Exchange (London Stock Exchange, LSE), which is the most international among other British stock exchanges. LSE is one of the world's leading financial centers. There are 9 stock exchanges in Japan, the largest of which is the Tokyo Stock Exchange. It is one of the oldest exchanges and has its own traditions and rules (founded in 1878). Its main specialization is trading in shares of corporations and financial organizations.

The initial stage of the formation of stock exchanges in Georgia began in the first half of the twentieth century and it includes two stages. In 1991-1993, the emergence of entrepreneurship created a stock market boom, and by the end of 1991, more than 20 organizations were operating in the territory of Georgia, which were known as the stock exchange ("Caucasus Exchange" "Tbilisi Universal Exchange", "Georgian Exchange", "UTA", "Kommersant", etc.). There is a trend of decreasing trading activity on the Georgian stock exchange - in January, two transactions worth 2,109 GEL took place on the exchange. Both transactions are traditionally associated with "Liberty Bank", and the average daily turnover volume was 96 GEL, instead of 297 GEL recorded in December. The Georgian Stock Exchange is the only organized securities market in Georgia, where shares and

bonds of 23 companies are listed. Their total market capitalization reaches 750 million dollars. For information, in the last year 2022, a total of 34 transactions were made on the exchange, the total volume of which was 6.6 million GEL. A necessary condition for the long-term economic growth of our country is the development of the stock market and securities trading. The securities market in Georgia is still at the initial stage of development. By gradually solving the existing problems, it is possible to transform the Georgian Stock Exchange into an established and profitable organization, because it is the best way to increase investments, attract capital and effectively use existing financial resources.

# ბიზნესისა და ტექნოლოგიების სექცია
# Section of Business and Technologies

## ტურიზმის ქვესექცია
## Subsection of Tourism

**ანი ბედინეიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **გივი ყუფარაძე**
მოწვეული პროფესორი

### ველნეს ტურიზმი გურიაში

საუბარია გურიის მხარის პოტენციალზე, რამდენად განვითარებულია ველნეს ტურზმი საქართველოს ამ მხარეში და რამდენად აქვს მომავალში პოტენციალი იმისათვის, რომ უკეთ განვითარდეს. საქართველოს ყველა კუთხეს აქვს უზარმაზარი პოტენციალი და შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით, მაგრამ ჩემთვის საინტერესო იყო გურიაში ველნეს ტურიზმის დღევანდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

ჩემ წინაშე იდგა ამოცანა, განმესაზღვრა, რა რესურსები და შესაძლებლობები აქვს ამ მხარეს, ასევე რა ხელისშემშლელი ფაქტორებია, რომლებიც აბრკოლებენ გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარებას გურიაში. ამისათვის ჩავატარე როგორც კამერალური კვლევა, ასევე რესპონდენტთა ინტერნეტ გამოკითხვა, რათა ამ კითხვებზე გამეცა სრულფასოვანი პასუხი. საბაკალავრო ნაშრომში შესრულებულ კვლევის ობიექტებს წარმოადგენს გურიაში მდებარე სპა და ველნეს ობიექტები.

კვლევის მიზანია:

1) გურიის მხარეში ველნეს ობიექტებისა და გამაჯანსაღებელი ტურიზმის პრობლემების აღმოჩენა და მათი აღმოფხვრა

2) რამდენად ხშირად იყენებენ ველნეს პროცედურებს გურიის მხარეში ადამიანები.

3) ცნობადობის ამაღლება, შესაძლებლობისა და რესურსების გამოყენება გურიის მხარეში ველნეს ტურიზმის განვითარებისთვის.

**Ani Bedineishvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Givi Kuparadze**
Invited Professor

## Wellness Toursm In Guria

We are talking about the potential of the Guria region, how developed wellness tourism is in this part of Georgia and how much potential it has in the future to develop better.All corners of Georgia have huge potential and opportunities in this regard, but I was interested in the current state of wellness tourism in Guria and its development prospects.The task before me was to determine what resources and opportunities this region has, as well as what are the factors that hinder the development of health tourism in Guria. To do this, I conducted both a desktop study and an internet survey of respondents in order to give a full answer to these questions. Spa and wellness facilities located in Guria represent the objects of research performed in the bachelor's thesis.

The purpose of the research is:
1) Discovery of wellness facilities and wellness tourism problems in Guria area and their elimination
2) How often do people in the Guria region use wellness procedures?
3) Raising awareness, using opportunities and resources for the development of wellness tourism in Guria region.

**მარი გელაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **გივი ყუფარაძე**
მოწვეული პროფესორი

## გასტრონომიული და ღვინის ტურიზმი შიდა ქართლში

ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ქმნის სამუშაო ადგილებს, რის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი უმჯობესდება, აღსანიშნავია, რომ ტურიზმის მრავალი სახე არსებობს, მათ შორისაა, გასტრონომიული და ღვინის ტურიზმი, რომელიც ბოლო წლებში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც მთელს მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც.

გასტრონომიულმა და ღვინის ტურიზმმა თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა, გამომდინარე იქიდან, რომ მოგზაურობის დროს ტურისტისათვის საკვები პირველადი მოთხოვნილების საგანს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ პანდემიამ დიდი ზიანი მიაყენა ტურიზმის ინდუსტრიას, თუმცა პანდემიის შემდგომ ტურიზმის ინდუსტრიამ სწრაფად განაგრძო აღდგენა. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გასტრონომიული და ღვინის ტურები დღეს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია ტურებს შორის და ტურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ჩემი თემის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, გავიგოთ, თუ რა მდგომარეობაა ამ ეტაპზე მსოფლიოსა და საქართველოში, როგორც გასტრონომიულ, ასევე ღვინის ტურიზმში და განვსაზღვროთ, რა შესაძლებლობები და პოტენციალი გააჩნია შიდა ქართლს, როგორც ღვინის, ისე გასტრონომიული ტურიზმის მხრივ.

კვლევის ობიექტები: საბაკალავრო ნაშრომში შესრულებულ კვლევის ობიექტებს წარმოადგენს, თუ რა შესაძლებლობები გააჩნია შიდა ქართლს გასტრონომიული და ღვინის ტურიზმის მიმართულებით, უშულოდ კვლევა ჩატარებული იქნება შიდა ქართლში არსებულ მარნებსა და რესტორნებში, კვლევის შედეგად მივიღებთ კონკრეტული მაგალითებით, თუ როგორია მარნებში და რესტორნებში არსებული მდგომარეობა, რა ძირითად პრობლემას აწყდება კონკრეტული ტურისტული ობიექტი მუშაობის

მსვლელობის დროს, აღნიშნული კვლევის შედეგად ნაშრომში გამოკვეთილი იქნება არსებული პრობლემა, მისი გადაჭრის ხერხები და მეთოდები.

როდესაც გასტრონომიაზეა საუბარი, არ შეიძლება არ ვახსენოთ ქართული ღვინო, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა ხელი შეუშალა საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითრების პროცესს, ტურისტების უმრავლესობამ გადაიფიქრა საქართველოში ჩამოსვლა, ბევრმა მათგანმა გადაავადა ვიზიტი, რამაც მნიშვნელოვნად ჩააგდო ქვწყანაში ღვინის ტურიზმი. თუმცა, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართული ღვინო საკმაოდ პოპულარული გახდა, რამეთუ ძალიან დიდი ენერგია და ფინანსებია ჩადებული ღვინის პოპულარიზაციისთვის. ღვინის ფესტივალებმა და ღვინის ტურიზმში ჩართულმა მეღვინეობების რიცხვმა ხელი შეუწყო ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებას და, შესაბამისად, ტურისტები უფრო ინტერესდებიან ქართული ღვინით.

ბოლო პერიოდში ტურისტებში საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია ღვინის კრუიზმა, რომელიც გულისხმობს ბორტზე ღვინის დეგუსტაციას და ასევე კრუიზით მოგზაურობის დროს პერიოდულად შესაძლებელია სხვადასხვა სანაპიროებზე გაჩერება და ღვინის მარნების მონახულებაც, სწორედ ასეთ საკრუიზო ხაზს მიეკუთვნება ,,Silversea Cruises" ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული კრუიზი მსოფლიოში, რომელიც სტუმრებს რვინის დეგუსტაციასთნ ერთად უამრავ განსხვავებულ და ორიგინალურ ტურებს სთავაზობს.

შიდა ქართლის მხარეს აქვს უდიდესი შესაძლებლობა, რომ განვითარდეს, როგორც გასტრონომიული, ასევე ღვინის ტურიზმი, რადგან საქართველოს ამ კუთხეში გვხვდება უამრავი რესტორანი, სასტუმრო და ღვინის მარანი, სადაც შესაძლებელია ადგილობრივი საკვების, ასევე ღვინის დეგუსტაცია და მონაწილეობის მიღება დამზადების პროცესში, სწორედ ეს იზიდავს როგორც გასტროტურისტებს, ასევე ენოტურისტებს.

რაც შეეხება სამზარეულოს, შეიძლება ითქვას, რომ კუთხეს არც თუ ისე მრავალფეროვანი სამზარეულო აქვს, თუმცა რეგიონი მდიდარია ხეხილის, ნუშის, ნიგვზისა და ბოსტნრულის ბაღებით. განსაკუთრებით კი ხარობს ვაშლის რამდენიმე სახეობა, რისგანაც ადგილობრივი მოსახლეობა ამზადებს მურაბას, ჯემს და ვაშლის ნატურალურ წვენს.

საკმაოდ საინტერესო იქნება თუ გიდები პოპულაციას გაუწევენ ვაშლის ტურებს, სადაც ტურისტებს ექნებათ შესაძლებლობა დაათვალიერონ ვაშლის

ბაღი, მიიღონ საინტერესო ინფორმაცია ადგილობრივებისაგან და მონაწილეობა მიიღონ ვაშლის კრეფის პროცესში, რეგიონი ტურისტებს მისცემს შესაძლებლობას სრულიად განსხვავებული ტურისტული მარშრუტი შესთავაზოს. ჩემი აზრით, შიდა ქართლის მხარეს აქვს პოტენციალი, რომ განვითარდეს სრულიად ახალი, მიმზიდველი კონცეფცია Farm–to-Table, ასევე ცნობილი, როგორც ,,Slow Food'' მოძრაობა, ეს არის მოგზაურობის ტენდეცია, რომელმაც მსოფლიოში დიდი ინტერესი გამოიწვია ბოლო წლების მანძილზე. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ კერძები ვიზიტორებს მიეწოდება იმ ინგრედიენტებით, რომლებიც ადგილობრივადაა მოპოვებული და ადგილზევე აწარმოებენ. ვფიქრობ, რომ რეგიონს აქვს საჭირო რესურსი სრულიად ახალი კონცეფციის განვითრებისა, როგორიცაა ,,Farm-to- Table''. კონცეფციის მთავარი დანიშნულება კი არის ის, რომ ვიზიტორებმა უშუალოდ დაინახონ, თუ როგორ იზრდება პროდუქტი და იწარმოება საკვები რეგიონში. ფერმიდან სუფრამდე სწორედ ასეთი კონცეფციის განვითრება სამომავლოდ ხელს შეუწყობს შიდა ქართლის გასტრონომიული ტურიზმის განვითარებას.

რაც შეეხება ღვინის ტურიზმს, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მხრივ, მდიდარი ისტორიული წარსულის რეგიონად მიიჩნევა. არსებული ვაზის ჯიშებიდან აღსანიშნავია შავკაპიტო, ბუდეშური, გორული მწვანე, გორულა და ჩინური. შიდა ქართლს საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია იმისათვის, რომ მეტად განვითარდეს ღვინის ტურიზმი. რადგან მხარეს აქვს ის ყველა საჭირო რესურსი, რომლებიც ხელს შეუწყობს ტურიზმის ამ მიმართულების წინ წაწევას.

რეგიონში, მდინარე ქსნის ხეობაში, მუხრანის ველის სამხრეთ ფერდობზე, ასევე ახლაგორისა და ცხინვალის რაიონები უნიკალურია მაღალხარისხოვანი ევროპული სტილის, სუფრისა და ცქრიალა ღვინოების წარმოებით, რომელიც მიიღება ადგილობრივი ვაზის ჯიშებისაგან, როგორებიცაა: გორული მწვანე, ჩინური, შავკაპიტო და თავკერი. მტკვრის მარჯვენა მხარეს ბუნებრივად შუშხუნა ღვინოების საწარმოებლად გვაქვს ენდემური და ასევე ზოგიერთი ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების გავრცელების მოკლე აგროკლიმატური დახასიათება. გორული მწვანე- ქართული ვაზის თეთრყურძნიან ჯიშებს შორის ერთ-ერთი ცნობილი და გამორჩეული ჯიშია. იგი უმეტესწილად გორის რაიონშია გავრცელებული. აღსანიშნავია, თუმცა სხვაგავრადაც აყენებდნენ ამ ჯიშს დაწურვისას ქართლის მეორე ცნობილ ჯიშთან, ჩინურასთან აკუპაჟებდნენ და ამ ორი ჯიშის ნარევს ადუღებდნენ თავკვერის ტკბილზე და ჭაჭაზე. ასე დგებოდა ,,ხიდისთვურა''

ცნობილი წითელი შეფერილობის ქართლის ღვინო. ხოლო შავკაპიტო, იგივე შავი კაპიტო, ქართლის აბორიგენული ვაზის საღვინე ჯიშს მიეკუთვნება. ვაზის ამ ჯიშს შიდა ქართლის თითქმის ყველა რაიონში შეიძლება შევხვდეთ. მათ შორის, იმ რაიონებში, სადაც მეღვინეობა ოდითგანვე ნაკლებად იყო განვითრებული.

შავკაპიტო განსაკუთრებულად კარგად გორის, კასპისა და ცხინვალის ტერიტორიაზე ხარმოს. ქართველი ამპელოგრაფები ფიქრობენ, რომ შავკაპიტოსგან შესაძლებელია მაღალი ხარისხის ღვინის მიღება. ადგილობრივი მეღვინეების აზრით, ყურძენი დიდხანს არ ინახება, ამოტომაც ღვინის ტრანსპორტირების დროს განსაკუთრებული მოპყრობა ესაჭიროება.

შავკაპიტო ყინვას საკმაოდ კარგად უძლებს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თუ შავკაპიტოს ცალკე დაწურავთ, შედარებით კარგი და ხარისხიანი ღვინო დგება. ასე, რომ, შიდა ქართლი საკმოად მდიდარია ყურძნის ჯიშებით, საიდანაც საკმაოდ კარგი ღვინის მიღებაა შესაძლებელი.

**Mari Gelashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Givi Kuparadze**
Invited Professor

## Gastronomic and Wine Tourism in Shida Kartli

Tourism is one of the most important sectors of the economy, it contributes to the improvement of the economic situation in the country, creates jobs, as a result of which the standard and quality of life of the local population improve; it should be noted that there are many types of tourism, including gastronomic and wine tourism, which has enjoyed great popularity in recent years, both around the world and in Georgia.

Gastronomic and wine tourism has covered almost the whole world, due to the fact that food is the primary need for tourists during their travels. It is worth noting that the pandemic took a heavy toll on the tourism industry, although the post-pandemic

tourism industry continued to recover quickly. Based on the current situation, it can be said that today gastronomic and wine tours are the most demanded tours today and are very popular among tourists.

The actual issue of my topic is to understand the current situation in the world and in Georgia, both in gastronomic and wine tourism, and to determine what opportunities and potential Shida Kartli has in terms of both wine and gastronomic tourism.

Objects of research: the objects of research carried out in the bachelor's thesis represent the possibilities Shida Kartli has in the direction of gastronomic and wine tourism; the research will be conducted directly in the wineries and restaurants in Shida Kartli; as a result of the research we will get concrete examples of the situation in wineries and restaurants, what are the fundamental problems that a specific tourist object faces during the course of work; as a result of the mentioned research, the existing problem, ways and methods of solving it will be investigated in the paper.

When talking about gastronomy, we cannot fail to mention Georgian wine, it can be said that the Russia-Ukraine war prevented the development of wine tourism in Georgia, the majority of tourists changed their minds about coming to Georgia, many of them postponed their visit, which significantly reduced wine tourism. However, based on the current situation, Georgian wine has become quite popular due to the fact that a lot of energy and finances have been invested in the promotion of wine. Wine festivals and the number of wineries involved in wine tourism have helped to increase the awareness of Georgian wine, and therefore tourists are more interested in Georgian wine.

Recently, wine cruises have attracted a lot of interest among tourists, which means wine tasting on board, and during the cruise it is also possible to periodically stop at different beaches and visit wine cellars. "Silversea Cruises", one of the most expensive cruises in the world, belongs to this type of cruise line. It offers many different and original tours along with wine tasting. The Shida Kartli region has a great opportunity to develop both gastronomic and wine tourism, because in this part of Georgia there are many restaurants, hotels and wine cellars, where it is possible to taste local food and wine and participate in the production process, this is what attracts both gastro-tourists and wine-tourists.

As for the cuisine, it can be said that the area does not have a very diverse cuisine, although the region is rich in orchards of fruit trees, almonds, walnuts and vegetables. In particular, several types of apples thrive, from which the local population makes jam and natural apple juice. It will be quite interesting if the guides popularize the apple tours, where the tourists will have the opportunity to visit an apple orchard, get interesting information from the locals and participate in the apple picking process, the region will have the opportunity to offer tourists a completely different tourist route.

In my opinion, the Shida Kartli region has the potential to develop a whole new, attractive concept of Farm-to- Table, also known as the Slow Food movement, a travel trend that has generated a lot of interest worldwide in recent years. The idea is that dishes are served to visitors with ingredients that are locally sourced and produced on site. I think that the region has the necessary resources to develop a completely new concept such as "Farm-to-Table". The main purpose of the concept is for visitors to see first-hand how produce is grown and food is produced in the region. The development of such a concept from farm to table will contribute to the development of gastronomic tourism in Shida Kartli in the future.

And as for wine tourism, Shida Kartli is considered a region with a rich historical past in terms of the development of viticulture and winemaking.

**ნინო გიგაშილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ლალი ოქროცვარიძე,**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## კახეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი

ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა მთელ მსოფლიოში ხელს უწყობს კულტურულ მრავალფეროვნებას და იძლევა მისით სარგებლობის საშუალებას. მას შეუძლია სოციალური კაპიტალის, ინდივიდუალური და

კოლექტიური კუთვნილების განცდის შექმნა, ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს შენარჩუნებულ იქნას სოციალური და ტერიტორიული ერთობა. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა წარმოაჩენს საზოგადოების ისტორიას, იდენტობას, კავშირს წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან.

ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე საუბრისას კარგად უნდა იქნას გააზრებული ისეთი სიტყვის მნიშვნელობა, როგორიც არის ,,მემკვიდრეობა". ამგვარ მემკვიდრეობაში არ იგულისხმება ფული ან ქონება, არამედ კულტურა, ღირებულებები და ტრადიციები. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა ხშირად ასოცირდება ისტორიულ ძეგლებთან და შენობებთან, ასევე არქეოლოგიურ ადგილებთან, მაგრამ რეალურად მისი ცნება ამაზე გაცილებით ფართოა. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის განმარტება შესაძლებელია შემდეგი სახით: საზოგადოების ან ჯგუფის წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული მატერიალური და არამატერიალური ატრიბუტების მემკვიდრეობა.

მატერიალურ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას გააჩნია ფიზიკური სახე. მასში იგულისხმება შენობები, არტეფაქტები, ძეგლები, ისტორიული ადგილები. არამატერიალურ ძეგლებში იგულისხმება ტრადიციები, გამონათქვამები, რიტუალები, სადღესასწაულო ღონისძიებები. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა გვიჩვენებს კავშირს აწმყოსა და მომავალს შორის, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის. ასევე წარმოადგენს საზოგადოების ცხოვრების გზას, რომელიც მიღებულია წინა თაობებისგან და გადაეცემა მომდევნო თაობებს. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის განვითარებამ რთული ისტორიული პროცესები განვლო და მუდმივად აგრძელებს განვითარებას. მისი საშუალებით შესაძლებელია ადამიანებმა ამოიცნონ მსგავსი წარმოშობის და კულტურის ხალხი. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ერთობლიობა ქმნის საზოგადოებრიობის განცდას. ასეთ ობიექტებში იგულისხმება კულტურული ადგილები, ისტორიული ძეგლები, ფოლკლორი, ტრადიციული ღონისძიებები, წეს-ჩვეულებები, ენები და ა.შ. რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოხდეს მომავალი თაობებისთვის მათი შენარჩუნება.

ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა არის საზოგადოების ცხოვრების გზა, რომელიც არის მემკვიდრეობით მიღებული წინა თაობებისგან, აუცილებელია მისი გადაცემა მომავალ თაობებისათვის. ამგვარი მემკვიდრეობა საზოგადოებას ჰგვრის ერთიანობის განცდას, რაც ხელს

უწყობს ადამიანებმა უკეთ გაიცნონ წინა თაობები და გაიაზრონ, თუ საიდან მოდიან ისინი და რა გზა გაიარეს.

დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქაში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა ხელს უწყობს საზოგადოებას გაიხსენოს და პატივი სცეს თავის კულტურულ მრავალფეროვნებას, ასევე გაზარდოს საზოგადოების პატივისცემა სხვადასხვა კულტურის მიმართ. დედამიწაზე არსებულ ყველა საზოგადოებას თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურაში, იმისათვის, რომ ეს მემკვიდრეობა შენარჩუნდეს და გადაეცეს მომავალ თაობებს აუცილებელია მათი დაცვა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. მსოფლიოში ისტორიული არტეფაქტებით და კულტურული ობიექტებით ვაჭრობის, ისტორიული ძეგლების განადგურების მრავალი შემთხვევაა დაფიქსირებული, რაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მსოფლიო ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას. ამ ყველაფრის თავიდან აცილებაში უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია იუნესკოს (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) თავისი საერთაშორისო კონვენციებით, რომელიც ეხება კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

**Nino Gigashvili**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Lali Okrotcvaridze**
Doctor Social Sciences, Associate Professor

## Historical and Cultural Heritage and Tourism of Kakheti

Historical-cultural heritage around the world promotes and enables the enjoyment of cultural diversity. It can create social capital and a sense of individual and collective belonging, all of which help maintain social and territorial unity. Historical-cultural heritage presents a community's history, identity, connection with the past, present and future. When talking about historical-cultural heritage, the meaning of such a word as "heritage" should be well understood. Such heritage does not mean money or property, but culture, values and traditions. Historical-cultural heritage is often associated with historical monuments and buildings, as

well as archaeological sites, but in reality its concept is much broader than that. Historical-cultural heritage can be defined in the following way: the heritage of material and non-material attributes inherited from the past of a society or group. Material historical-cultural heritage has a physical form. It includes buildings, artifacts, monuments, historical places. Intangible monuments include traditions, sayings, rituals, festive events. Historical-cultural heritage shows the connection between the present and the future, which can be used for the welfare of future generations. The development of historical-cultural heritage has gone through complex historical processes and it continues to develop. Through it, people can recognize people of similar origin and culture. The combination of objects of historical and cultural heritage creates a sense of community. Such objects mean cultural places, historical monuments, folklore, traditional events, customs, languages, etc., which is very important in order to preserve them for future generations. Historical-cultural heritage is the way of life of the society, which is inherited from the previous generations and it is necessary to pass it on to the future generations.

In today's era of globalization, historical-cultural heritage helps society remember and respect its cultural diversity, as well as increase society's respect for different cultures. All societies on earth contribute to the world culture, in order to preserve this heritage and pass it on to future generations, it is necessary to protect them, both at the national and international levels. In the world, there are many cases of the trade in historical artifacts and cultural objects, the destruction of historical monuments, which causes irreparable damage to the world's historical heritage. UNESCO (United Nations Educational, Scientific and Cultural Organization) with its international conventions related to the protection of cultural heritage is of great importance in preventing all this.

**თამარი გოგოლაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ლალი მიქელაძე**
ბიზნეს ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## ევროკავშირის შრომის დირექტივები და ცვლილებები საქართველოს შრომის კოდექსში

ასოცირების შეთანხმება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და სამართლებრივად განმსაზღვრელი აქტია, რომლის ფარგლებში საქართველო ვალდებულია დაარეგულიროს შრომის პოლიტიკის სფერო: ევროპული სტანდარტები ასახოს ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, რაც უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა ღირსეულ დასაქმებას.

ასოცირების შეთანხმების თანახმად, ხელშეკრულებაში გაწერილი ვალდებულებების ვადის დინება დაიწყო 2014 წლის 1 სექტემბრიდან (მე-13 თავი - ვაჭრობა და მდგრადი განვითარება მე-14 თავი - დასაქმება და სოციალური პოლიტიკა; დანართი.XXX)

2006 წელს შემუშავდა და დამტკიცდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) და საქართველო იწყებს მის შესრულებას. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საჭიროა „ევროპის სოციალური ქარტიით" ILO-ს კონვენციების შესაბამისად სტრანდარტების შესრულება.

მოგვიანებით დამტკიცდა 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი და აქაც შრომის პოლიტიკის სფერომ მნიშვნელოვანი ადგილი პოვა, მათ შორის განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა შრომის ინსპექციის მექანიზმის ჩამოყალიბებაზე. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკება 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგზე.

2013 წლიდან დაიწყო შრომის სამართლის დიდი რევიზია, რომელიც 2019-2020 წლების რეფორმებით გაგრძელდა. ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ აღიარა ევროკავშირის 40 შრომის დირექტივასთან დაახლოების ვალდებულება. ეს დირექტივები სამ სვეტად იყოფა: შრომის სამართალი (სახელშეკრულებო ნაწილი); დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში;

სწორედ აღნიშნული საკითხების დასაქმებულთა შრომით პროცესებზე გავლენის ასპექტებია წარმოდგენილ საკონფერენციო თემაში.

**Tamari Gogoladze**
Caucausus International University
Bachelor
Supervisor: **Lali Mikeladze**
Academic Doctor of Business Administration,
Associate Professor

# EU Labor Directives and Amendments to the Labor Code of Georgia

The Association Agreement is an international agreement and a legally defining act of Georgia, within the framework of which Georgia is obliged to regulate the field of labor policy: European standards should be reflected in national legislation and practice, which ensures decent employment of Georgian citizens.

According to the Association Agreement, the obligations stipulated in the agreement began on September 1, 2014 (Chapter 13 - Trade and Sustainable Development, Chapter 14 - Employment and Social Policy; Annex.XXX)

In 2006, the European Neighborhood Policy Action Plan (ENP AP) was developed and approved, and Georgia is starting to implement it. The document states that it is necessary to fulfill the standards in accordance with the ILO conventions of the "European Social Charter".Later, the association agenda for 2017-2020 was approved, and here too the field of labor policy found an important place, among which a special emphasis was placed on the establishment of the labor inspection mechanism. Currently, negotiations on the association agenda for 2021-2027 are underway.

In 2013, a major revision of the Labor Law began, which continued with the reforms of 2019- 2020. With the association agreement, Georgia recognized the obligation to approximate the 40 labor directives of the European Union. These directives are divided into three pillars: labor law (contractual part); Prohibition of discrimination in labor relations; Labor safety. The topic of the conference presents the aspects of influence of the mentioned issues on the labor processes of the employees.

**ანა ვეკუა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ლალი მიქელაძე**
ბიზნეს ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## დიგიტალიზაცია ტურიზმში

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით დიდი მონაცემების შეგროვება და დამუშავება დღითიდღე ცვლის ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს და განსხვავებული პერსპექტივების დანახვის შესაძლებლობას იძლევა, რაც ტურისტულ სექტორსაც ეხება, რომელიც ძალიან ფრაგმენტულია, მოიცავს ქვესექტორებს: ტრანსპორტი, რესტორნები, პირადი სერვისები, რომელნიც განსხვავებული პრობლემების და შესაძლებლობების წინაშე დგებიან გაციფრულების საკითხთან დაკავშირებით. ტურიზმის მდგრადი განვითარების მხრივ არსებობს გამოწვევები:

ციფრული გადაწყვეტილებების ნაკლებობა ტურისტული დანიშნულების ადგილებში;

მონაცემთა არასაკამარისი რაოდენობა ტურიზმის ინდუსტრიაში;

ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების ნაკლებობა დაინტერესებულ მხარეებს შორის მონაცემთა გაზიარების პრაქტიკის არარსებობის გამო;

ტურიზმის სისტემაში გამოწვევები და შესაძლებლობები სულ დომინირებს, იზრდება, ძლიერდება და სწორედ ასეთ ძლიერ სფეროს სჭირდება ახალი სიტყვა, ახალი წყარო, რომლის მატარებელია დიგიტალიზაცია.

დიგიტალიზაცია უზრუნველყოფს ინსტრუმენტებს, ჩარჩოებსა და ტექნოლოგიებს ტურიზმის პროდუქტების შესაქმნელად, მაგრამ დიგიტალიზაციის წარმატება დამოკიდებულია ტურიზმის სექტორის გაზიარების, სწავლისა და თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

სწორედ აღნიშნული საკითხების ანალიზი და განვითარების შესაძლებლობებისთვის რეკომენდაციები არის წარმოდგენილი საკონფერენციო თემაში.

**Ana Vekua**
Caucasus International Univesity
Bachelor
Supervisor: **Lali Mikeladze**
Academic Doctor of Business Administration,
Associate Professor

## Digitization in Tourism

The collection and processing of big data using modern digital technologies is changing almost every sphere of our life and gives an opportunity to see different perspectives; this also applies to the tourism sector, which is very fragmented and includes sub-sectors: transport, restaurants, personal services, which face different problems and opportunities regarding digitization. There are challenges to sustainable tourism development:

Lack of digital solutions in tourist destinations;

Insufficient amount of data in the tourism industry;

Lack of fact-based solutions due to lack of data sharing practices among stakeholders;

Challenges and opportunities in the tourism system dominate, grow, become stronger and such a strong field needs a new word, the carrier of which is digitalization.

Digitization provides tools, frameworks and technologies to create tourism products but the success of digitization depends on opportunities for sharing, learning and collaboration within the tourism sector. Analysis of these issues and recommendations for development opportunities are presented in the conference topic.

**სალომე ვეკუა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ლალი მიქელაძე**
ბიზნეს ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) ტურიზმის ინდუსტრიაში

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR-ის)მნიშმნელობა აქტუალური გასული საუკუნის 90-ან წლებში გახდა, ინდუსტრიულ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის ელემენტებზე და როლზე მსჯელობა დაიწყო XIX საუკუნის დასაწყისშივე.

ბიზნესი დღესდღეობით არ არის აქცენტირებული მარტო მოგებაზე, ის წარმოადგენს საკუთარ თავს და ცნობიერებას სოციალურ კულტურაში. მას აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, რომლის კონცეფციაც მორალური ღირებულებების გარდა, მდგომარეობს მრავალფეროვან და გრძელვადიან სარგებელში, რაც გულისხმობს იმას, რომ, ბიზნესში მოქმედმა სუბიექტებმა უნდა გაითვალისწინონ საზოგადოების მოლოდინები, ინტერესები, დადებითი გავლენა იქონიოს როგორც სამუშაო, ასევე გარემო პროცესებზე და შეამცირონ ის ნეგატიური ეფექტები, რომლებიც, უკავშირდება ბიზნეს საქმიანობას. ბიზნეს სექტორიდან ტურიზმი არის ყველაზე ფართო და დომინანტი ინდუსტრია მსოფლიოს მაშტაბით, ამ სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მდგრად განვითარებას, გარემოს დაცვას, თანამშრომლებისთვის სამართლიანი სამუშაო გარემოს შექმნას და ადგილობრივი თემების კეთილდღეობას.

იმისთვის, რომ ტურიზმის ინდუსტრია იყოს მდგრადი მომავლში, მნიშვნელოვანია სწორი და ეფექტური პოლიტიკის გატარება. ეს პოლიტიკა შეეხება მდგრადი ტურიზმის მართვას, რომელიც მიიღწევა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჩართვით, ტურიზმის სტრატეგიაში და ბიზნეს ოპერაციებში.

საკონფერენციო თემაში განხილულია CSR-ის არსი და მნიშვმნელობა ბიზნესში. ასევე ტურიზმის სექტორში მონაწილე საწარმოების საქმიანობაში CSR-ის დადებითი ეფექტები და გამოწვევები და კორპორაციული სოციალური

პასუხისმგებლობის როლი გლობალური მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებაში.

**Salome Vekua**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Lali Mikeladze,**
Doctor of Business Administration,
Associate Professor

## Corporate Social Responsibility (CSR) in the Tourism Industry

The concept of corporate social responsibility (CSR) became relevant in the 90s of the last century, discussions on the elements and the role of social responsibility in industrial activity started at the beginning of the 19th century. Today, business is not focused only on profit, it represents itself and consciousness in social culture. It has a certain responsibility to society, the concept of which, in addition to moral values, consists in diverse and long-term benefits, which means that entities operating in business must take into account the expectations and interests of society. have a positive impact on both work and environmental processes and reduce the negative effects associated with business activities. From the business sector, tourism is the largest and dominant industry worldwide, in this area, the greatest importance is attached to sustainable development, environmental protection, fair working environment for employees and the well-being of local people. In order for the tourism industry to be sustainable in the future, it is important to have the right and effective policies in place. These policies will address sustainable tourism management, which is achieved by incorporating corporate social responsibility into tourism strategy and business operations.

The conference topic discusses the essence and importance of CSR in business, as well as the positive effects and challenges of CSR in the activities of enterprises participating in the tourism sector, and the role of corporate social responsibility in relation to the goals of global sustainable development.

**ანი კეკელია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: **ნანა ახალაია**
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## შეხვედრების ინდუსტრიის ევოლუცია

შეხვედრების ინდუსტრია ახალგაზრდა, დინამიური ინდუსტრიაა, რომელიც სწრაფად იზრდება და ვითარდება. შემეცნებითი განვითარების პროცესის პერიოდიდან მოყოლებული, ადამიანები ისეთ პროცესებში იყვნენ ჩაბმულები, რომლებსაც სახელი ჟამთა სვლის შემდეგ დაერქვა.

ევროპელი საპიენსების კვლევის პროცესში, მათი სახლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის ნაპირებიდან მოტანილი ნიჟარები, სავარაუდოდ, ამ ნიჟარების გაცვლა-გამოცვლა ხდებოდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არანაირი განვითარების ნიშნები არ არსებობდა. თუ მაშინდელი ადამიანები გაცვლა-გამოცვლის პროცესში იყვნენ ჩართულები, დასაშვებია ის ფაქტიც, რომ ისინი ცნობებსა და ინფორმაციებს უზიარებდნენ ერთმანეთს. თუ ამ იდეას მივყვებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პრეისტორიის ადამიანები ცეცხლის გარშემო მართავდნენ სხვადასხვა ტიპის და სხვადასხვა თემებზე შეხვედრებს, რომელიც, შესაძლოა, ეხებოდა სანადიროდ წასვლას ან ნებისმერ ინსტინქტს, რომლითაც მაშინდელი ადამიანები ცხოვრობდნენ, რათა გადარჩენილიყვნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ იძლევა იმის მყარ საფუძველს, რომ განისაზღვროს ზუსტად პირველი შეხვედრების დაწყების დრო.

ისტორიის თანახმად, ვიცით, რომ ძველ საბერძნეთში, ყველა დიდ ქალაქში ჰქონდათ „აგორა“ - შეხვედრის ადგილი, რომელიც შემდეგ ჩაანაცვლა „ბაზარმა“. ბაზარში ხდებოდა ყიდვა- გაყიდვაზე შეთანხმება, საუბარი სხვადასხვა თემაზე, რომელიც შეიძლება შეხებოდა საყოფაცხოვრებო საკითხებს, პოლიტიკას, უბრალოდ ჭორებს ან კიდევ ფილოსოფიას.

აგორაში შეხვედრები არაოფიციალურად იმართებოდა, მაგრამ ისტორიის წყაროებიდან ვიცით, რომ სწორედ ამ შეხვედრებზე შეიქმნა მრავალი ფილოსოფია. ამ ადგილას დაიბადა დემოკრატიის კონცეფცია. ჩვენს წელთ

აღრიცხვამდე 146 წელს არსებობდა რომის ფორუმი - საზოგადოებრივი ადგილი რელიგიური რიტუალების, დღესასწაულების, პოლიტიკური შეკრებების ჩასატარებლად. ფორუმის შიგნით, რომლის სენატისთვის შეხვედრების დარბაზი იყო აშენებული.

საზოგადოების განვითარებას მოთხოვნილებების გაზრდა მოჰყვა მათი მხრიდან, რომლის უზრუნველყოფას ინდუსტრიულმა რევოლუციამ შეუწყო ხელი. ჩამოყალიბდა შეხვედრების ახალი ტიპები: კონფერენციები, კონგრესები, სემინარები, აკადემიური ლექციები. ღონისძიებების დაგეგმვისა და შეხვედრების ინდუსტრიის სტილი და მახასიათებლები განვითარების ყველა ეტაპზე იცვლებოდა სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაბამისად.

გაყიდვების სფეროში მომუშავე თანამშრომლებისთვის უფრო მეტად შესაძლებელი გახდა პროფესიული განვითარება. პროფესიული ასოციაციები და ეროვნული საბჭოები ხელს უწყობდნენ მთელი ქვეყნის მაშტაბით თავიანთი წევრების შეკრებას ორგანიზებულ შეხვედრებზე. არსებობს ძველი ანდაზა, რომელიც XIX საუკუნის ფრანგ მწერალ ჯან ბატისტა ალფონს კარს ეკუთვნის - „რაც უფრო მეტი იცვლება, მით უფრო მეტი რამ რჩება უცვლელი“, ეს ეხება რამდენიმე ინდუსტრიას, მათ შორის, შეხვედრების და ღონისძიების დაგეგმვის ბიზნესს.

**Ani Kekelia**
Caucasus International University
Bachelor
Supervisor: **Nana Akhalaia**
Candidate of Economic Sciences,
Academic Doctor of Economics, Associate Professor

## The Evolution of the Meetings Industry

The meetings industry is a young, dynamic industry that is growing and developing rapidly.

Since the period of cognitive development, humans have been involved in processes that have been named over time. In the course of research on European sapiens, archeological excavations of their homes revealed sea shells brought from the shores

of the Mediterranean and Atlantic Oceans, probably exchanging these sea shells even before there were any signs of development. If the people of that time were involved in the process of exchange, the fact that they shared news and information with each other is admissible. If we follow this idea, we can assume that prehistoric people held meetings of various types and on various topics around the fire, which may have been related to going hunting or any instinct that people of that time lived by in order to survive. But, of course, this does not provide a solid basis for determining the exact time of the first meetings. According to history, we know that in ancient Greece, all large cities had an "Agora" - a meeting place, which was later replaced by a "market". In the bazaar, there was an agreement on buying and selling, talking on various topics that could be related to: household issues, politics, just gossip or even philosophy.

Meetings in the Agora were held unofficially, but we know from historical sources that many philosophies were created at these meetings. The concept of democracy was born in this place. In 146 B.C., there was a Roman Forum - a public place for religious rituals, celebrations, and political gatherings. Inside the forum, a meeting hall was built for the senate.

With the development of society, there was an increase in their needs, which the industrial revolution helped to provide. New types of meetings were formed: conferences, congresses, seminars, academic lectures. The style and characteristics of the event planning and meetings industry at every stage of development have changed according to socio-economic conditions. Professional development has become more possible for employees working in the field of sales. Professional associations and national councils facilitated the gathering of their members in organized meetings throughout the country. There is an old adage attributed to the 19th century French writer Jean-Baptiste Alphonse Carr - "The more things change, the more things remain the same" - this applies to several industries including the meeting and event planning business.

**სალომე მანძულაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
მაგისტრატურა
ხელმძღვანელი: **ლალი მიქელაძე**
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

## საჰაერო ტრანსპორტისა და საერთაშორისო ტურიზმის მენეჯმენტი

საერთაშორისო ტურიზმი გულისხმობს ხალხის გადაადგილებას ქვეყნიდან ქვეყანაში. ტურიზმის შესწავლისას უმნიშვნელოვანესია მისი ურთიერთობის განსაზღვრა სატრანსპორტო ინდუსტრიასთან. ტურისტული ბაზრების წარმატება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ნებისმიერი ტურისტული ცენტრის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. საქართველოში ტურისტული ნაკადების გაზრდამ ხელი შეუწყო სატრანსპორტო ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას, რომელშიც მაღალი პროცენტული წილი არის განსაზღული საჰაერო ტრანსპორტზე. აღნიშნული განაპირობა ტრანსპორტის სახეობის უსაფრთხოებამ, სიჩქარემ და კომფორტმა, რომელის 21-ე საუკუნის ტურისტისთვის მნიშვნელოვანი ასპექტია.

ტურისტული დესტინაციების მისადგომობა სწორედაც, რომ ტრანსპორტმა გაზარდა. ტურიზმი მთლიანად მისადგომებზეა დამოკიდებული, რეალურად ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის მისადგომობა თუ მიუდგომლობა ხელს უშლის ან უწყობს ტურიზმის განვითარებას.

სატრანსპორტო ავიაკომპანიებთან ურთიერთობის მნიშნელობის გააზრება, მათთან ურთიერთობის წესები, მგზავრებისა და მათი ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მომსახურება, გაყიდვებში შესაბამისი შეღავათების და ფასდაკლებების გამოყენების მენეჯმენტი მნიშვნელოვანია როგორც ტურისტებისთვის, ასევე ტუროპერატორებისთვის. მსოფლიო თანხმდება, რომ საჰაერო ტრანპორტის როლი ტურიზმში დინამიურად იზრდება.

საკონფერენციო თემაში განხილულია საჰაერო ტრანსპორტის არსებული მდგომარეობა და მართვის თავისებეურებანი როგორც საქართველოში, ასევე მსფოლიო ბაზარზე, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საჰაერო ტრასპორტში და საჰაერო ტრანსპორტის მნიშვნელობა საერთაშორისო ტურიზმის ბაზარზე.

**Salome Mandzulashvili**
Caucasus International University
Master
Supervisor: **Lali Mikeladze**
Academic Doctor of Business Administration,
Associate Professor

## Air Transport and International Tourism Management

